



# ჩვენს მსოფლიოში


გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

14 ივნისი 2013

№12 (194)

დაკარგული მელექსე  
 ჯარჯი ფხოველის ლირიკა  
 ნიკო ნიკოლაძის ადგილისათვის  
 მისტიფიკაციად — ინგლისური ნიღბები  
 ირაკლი სამსონაძე და გოგოლის პერსონაჟები  
 ტარიელ ბიბილურის მისტიკური მოთხრობა  
 ნინო ბაქანიძის ზაფხულის ჩანახატები  
 იოსებ ჭუმბურიძის ჩანაწერები  
 პლაგიატორობის წინააღმდეგ  
 წაგება წაგების შემდეგ



# შინაარსი

რადამტორის გვერდი	2	მისტიფიკაციად — ინგლისური ნიღბები
ისტორიის თეთრი ლაქები	4	(გივი გაჩეჩილაძის ლიტერატურული თამაში)
ლემსო, ნუ დაიპარება	6	ვაჟა შუბითიძე ნიკო ნიკოლაძის ადგილისათვის
მსპრეს-ინტერვიუ	8	ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში
პროზა	9	თამაზ ნატროშვილი დაკარგული მელქსე
პოეზია	12	ლია მოლარიშვილი „ეძიებდე და ჰპოვებდე“
უსხოეთის ცხოვრებიდან	17	(მომზადა ნატა ვარადაძე)
ჩვენი ყოფა, წითისოფალი	18	ნინო ბაქანიძე ახალქალაქის ძველი სიმღერა (ზაფხულის ჩანახატები)
თქმა მართლისა	30	ტარიელ ბიბილური თეთრი ვაფხვების სახლი (მისტიკური მოთხრობა)
ფიქრი და განსჯა	34	ჯარჯი ფხოველი მებაღე და სხვა ლექსები
რეპორტაჟი	36	ელგუჯა მარღია Homo Dei
გადი კასისა	39	„მისარია, რომ ამდენი რამ მიწასავს“
ქივია	41	(დევიდ ბარსამიანს ესაუბრება კურტ ვონეგუტი)
წითელი და წვავი	42	ირაკლი სამსონაძე „აქედან იქით და პირიქით“
გამომგაურება	49	(უცნობი, მაინც ასე უცნობი ვინმე გიგოლა და მოგზაურობა გოგოლის რამდენიმე პერსონაჟთან ერთად)
ლიბერალური ცხოვრება	50	რუსუდან ნიშნიანიძე სუფთა წერა დიდებისათვის
ჩანახატი	51	იოსებ ჭუმბურიძე ჩანახატები
კრიტიკა	52	ეკა ბუჯიაშვილი ნაბაბა ნაბაბის შემდეგ
გამომგაურება	54	გია ხოფერია ვარლამ შალამოვი — კოლიმბრაფი
ფიქრები	56	ლევან ბრეგაძე „ვით წუშის გული...“ (ვერსიფიკაციული ნოველა)
უსხორი ნოველა	64	როსტომ ჩხეიძე ისევ ოთხშაბათობით
ნაკვეთები	69	(ოთარ ჩხეიძის ლიტერატურული სემინარები)
მოულოდ	71	დარინა ყურუა მეოთხე განჯომილება
		(გენადი მარგველაშვილის ლექსები)
		თამარ ყალიჩავა „ხელისუფლებას მარგინალად მიაჩნდა“
		(გალაკტიონოლოგიის VI ტომის წარდგინება)
		ქეთევან ელაშვილი უჩვეულო მოულოდნელობა
		ადა ნემსაძე „მოფიქრალი კაცის“ განცდაები (გია კობახიძის პოეზია)
		თამარ სიდამონიძე ჟამი დიდი ტარორისა...
		(ირაკლი ქასრაშვილის პიესა „დილემა“)
		გივი ალხაზიშვილი დღიური
		ფრიდემ კარინტი იანოზ — რა თქმა უნდა
		მასვილსიტყვაობის ნიმუშები
		კამბრიჯელები და გერმანელი რომეო



ორვერეული ჟურნალი

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის #41

რედაქცია: (995 32) 296 20 62

რეკლამა: (995 93) 65 93 68

გავრცელება: (995 92) 25 94 94

ელ-ფოსტა: info@mtserloba.ge



www.facebook.com/chveni.mtserloba

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 28 ივნისს

დაარსებულია  
ომეგა ჯგუფის მიერ  
2000 წლის ივლისში

დამფუძნებელი  
ზაზა ოქუაშვილი



დაბეჭდილია სტამბაში  
**ომეგა თავი**

პ.სარაჯიშვილის ქუჩა 17,  
თბილისი საქართველო  
ტელ: 00 995 32 53 12 77  
ფაქსი: 00 995 32 53 08 33  
ელ-ფოსტა: orders@omegategi.ge  
www.omegategi.ge

მთავარი რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
პროზის რედაქტორი	ივანე ამირხანაშვილი
პოეზიის რედაქტორი	მკაე ჯოხაძე
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი	თამაზ ნატროშვილი
მხატვრული რედაქტორი	კარლო ფაჩულია
დიზაინერი	მალხაზ იაშვილი
სტილისტ-კორექტორი	ნინო დევანოიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა	თენგიზ რობიტაშვილი
ოპერატორი	თამარ ჩიხლაძე
სარეკლამო მენეჯერი	ეკა ბუჯიაშვილი
გავრცელების სამსახური	ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ბუდაპეშტი, უნგრეთის პარლამენტი  
გია კობახიძე

# მისტიფიკაციად — ინგლისური ნიღბები

(გივი გაჩეჩილაძის  
ლიტერატურული თაყაში)

1946 წელს გამოცემული, გივი გაჩეჩილაძის მიერ თარგმნილი კრებული — „ინგლისური ბალადები, ლექსები და სიმღერები“ — მნიშვნელოვან მოვლენად დარჩებოდა ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში.

არაერთი ინგლისელი პოეტის სახელს სწორედ გივი გაჩეჩილაძის მეოხებით გაცნობოდა ჩვენი მკითხველი ჯერ კიდევ წინამორბედი კრებულებიდან, ეს გამოცემა კი ყველაზე უფრო შეესაბამებოდა გახლდათ და შთაბეჭდილებასაც, ცხადია, მეტს მოახდენდა.

რამდენად გამართლებულია ერთი მთარგმნელის მიერ ამდენი — განსხვავებული ეპოქის, მსოფლმხედველობისა და სტილისტიკის — პოეტის თითო-ორი ლექსის გადმოღება?

დაღმინებულ ქვეყნებში შესაძლოა საკამათოც გახდეს ეს საკითხი და ეგებ მართლაც სჯობდეს მთარგმნელმა ორიოდ პოეტის ამეტიყველება იკმაროს ახალ ენობრივ სამოსელში, სამაგიეროდ, გაცილებით უფრო სრულყოფილად, მკითხველიც რომ უკეთ გაერკვევა მათ მხატვრულ თავისებურებებში, ...მაგრამ როდესაც დიდ და თვალსაჩინო ლირიკოსთა სახელებიც უტყნობია, ეგებ სწორედაც ეს გზა იყოს უფრო მართებული — შეაჩვიო მკითხველი უცხო სახელებს, შემოუძღვე, გააშინაურო და... მეერ კი დაე ხვალემ იკითხოს ხვალისა.

ამ გზას აირჩევდა გივი გაჩეჩილაძე და კიდევ გაუმართლებდა, რაკილა ამ საბოლოო კრებულს არც მკითხველის კეთილგანწყობა მოაკლდებოდა და არც ლიტერატურის მკვლევარებისა. და თუმც ამ მთარგმნელის სახელს დაუკავშირდებოდა უილიამ შექსპირის „სონეტების“ სრული კრებულისა და რამდენიმე ტრაველიის ამეტიყველებაც ქართულ ენაზე, ის პოეტური კრებული ყოველთვისაც ამოტივტივდებოდა და არც მის სხვა მიღწევათა ფონზე გაფერმკრთალდებოდა.

კრებულის წინასიტყვაობაში რედაქტორად მონვეული კონსტანტინე გამსახურდია გულუხვობას გამოიჩინდა გივი გაჩეჩილაძის მიმართ და, დაბეჯითებით რომ განაცხადებდა, უთუოდ შეაყვარებს ჩვენს ახალგაზრდა მკითხველს ინგლისური პოეზიის რამდენიმე შედევერსო, დასძენდა:

— მთარგმნელი ცდილა შესაძლებელი სიზუსტე დაეცვა გადმოღებისას, თანაც ქართულ თარგმანში მეტრული ადეკვატები შეენარჩუნებინა. გივი გაჩეჩილაძე ქართული ლექსის ფორმას იმდენად ფლობს, რომ მისი თარგმანები ქართულად შექმნილებს ჰგვანან ხშირად.

უკეთესი შეფასება რა უნდა იყოს!..

წინასიტყვაობიდან სწორედ ამ სტრიქონებს რომ მოხმობდა თავის ნარკვევში — „გარდასულ დღეთა, კაცისა და პოეტის გამო...“ — რევაზ გაჩეჩილაძე, საგანგებოდ გამოარჩევდა ფრაზას:

— თარგმანები ქართულად შექმნილებს ჰგვანან ხშირად.

და დასძენდა: სახელგანთქმულმა მწერალმა არ იცოდა, რომ მისი ეს დაშვება, ერთ შემთხვევაში მაინც, სიმართლეს შეესაბამებოდაო.

იგულისხმება უილიამ დრამონდის (1585-1649) სახელით გამოქვეყნებული ლექსი, რომლის დედანიც... უბრალოდ არ არსებობდა და გივი გაჩეჩილაძე საკუთარ მრწამსსა და განცდებს მიანერდა შოტლანდიელ პოეტს, თითქოს ის უძღვნიდა თავის ორი წლის ვაჟს ამ სტრიქონებს, გამსჭვალულს თავისუფლების მძაფრი შეგრძნებით. და რაკილა მისტიფიკაციის მხატვრული ხერხი აემოქმედებინა, ტოპონიმებსაც შესაფერისად შეცვლი-

და: საქართველოს სკოტლანდიით ჩაანაცვლებდა, მტკვარს — ტვიდით, სვეტიცხოველს — ლინდისფერნის მონასტრით.

მოგვიანებით რევაზ გაჩეჩილაძე ამ ლექსის ინგლისურ პნკარედს ერთ შოტლანდიელ სპეციალისტს რომ გააცნობდა, მას ძალიან გაუჟვირდებოდა: დრამონდი საერთოდ არ წერდა პატრიოტულ ლექსებსო.

საბჭოთა ცენზურას ეს რომ სცოდნოდა, უბრალოდ ინგლისური პოეზიის მცოდნე ჰყოლოდათ თავიანთ რიგებში და მთარგმნელისათვის ლექსის ორიგინალი მოეთხოვათ, ეს თამაში გივი გაჩეჩილაძეს ძვირი დაუჯდებოდა.

ასეთი კაცი არა ჰყავდათ, იძულებულნი იყვნენ კონსტანტინე გამსახურდიას ნდობოდნენ, მას კი ხელი არ შეეშალა დრამონდის სახელით გათამაშებული მისტიფიკაციისათვის და მთარგმნელის ორიგინალური ლექსი ასე იოლად გასხლტომოდა ცენზურის კლანჭებს.

მკვლევარი ვარაუდობს: კონსტანტინე გამსახურდია თარგმანის დედანთან შედარებაზე დროს არ დახარჯავდაო!..

ისე გამოდის, ისიც მოტყუებულა და ეგაა.

თუმც მთავარი მაინც ისაა, რომ თუკი მთარგმნელს ყველა ლექსის დედანს მოსთხოვდა და იძულებულს გახდოდა გამოტყდომოდა, შოტლანდიელ პოეტს ჩემი განცდები მივანერეო, არაფრისდიდებით არ ამოუგდებდა ამ ნიმუშს კრებულიდან და უყოყმანოდ მოაწერდა ხელს წიგნის გამოცემას.

დაე ასე მოეკლა პროტესტის წყურვილი გივი გაჩეჩილაძეს — დრამონდის ნიღბით ელაღადა საკუთარი ტკივილი და ოცნება.

1942 წელს გამოცემული „ინგლისელი პოეტების“ რედაქტორიც კონსტანტინე გამსახურდია რომ გახლდათ, იქ სულაც ექვსი საკუთარი ლექსი შეეპარებინა გივი გაჩეჩილაძეს.

აგერ სერ ჰერბერტ რიდის (1893-1968) „გაზაფხულის გრძნობა სამხრეთში“, რომელსაც ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ფურცლებზე პირველი პუბლიკაციისას „სამხრეთის გაზაფხულის გრძნობა ჩრდილოეთში“ ერქვა და, რევაზ გაჩეჩილაძეს სათაურთა ამგვარი ცვლა ღიმილის გუნებაზე რომ დააყენებდა: მე მგონი, რიდს თავგზა აებნოდაო, — მკითხველს განუშარტავდა: ამ პოეტი-ანარქისტის შემოქმედების შესწავლა — წარდა ვერლიბრით და ომის თემატიკაზე — გვარწმუნებს, რომ მისი სახელით გამოქვეყნებული ქართული ლექსის მეტრი და თემატიკა მისთვის ნიშანდობლივი არა ყოფილაო.

ტომას გრეის სახელით დაბეჭდილი ლექსი „მოპირდაპირე სარკმელში წყნარად“ მკვლევარს უკვე იმითაც დააეჭვებდა, რომ ინგლისელი პოეტი ეპიგრაფად ვერ გამოიყენებდა სტრიქონს იოჰან ვოლფგანგ გოეთეს იმ ლექსიდან, რომელიც დაწერილიც არ იქნებოდა, როდესაც გრეი აღესრულებოდა (1771 წელს).

რობერტ ბერნსს ორი ლექსი რომ მიენერებოდა — „მე და სალაშქარს“ და „თხუთმეტი წლის იყავი“ — თამარ ერისთავი მოერიდებოდა მათ შეტანას 1979 წელს მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის სერიით გამოცემულ შოტლანდიური პოეზიის ანთოლოგიაში, რაკილა მათ ორიგინალებს ვერ დაადასტურებდა. ანკი საიდან უნდა გაჩეჩილაძე შოტლანდიურ დიალექტზე შექმნილი დედნები, რომელთაც არც არასდროს ეარსებათ?!

ხოლო მხატვარი და პოეტი, პრერაფაელიტთა სკოლის დამაარსებელი დანტე გაბრიელ როსეტი (1828-1882) ამ სტრიქონებს რომ ვერ დაწერდა, რევაზ გაჩეჩილაძე ადვილად ამოიცნობდა: ის ქანი ჩადგა. დაბნელდა ნევა სასახლეების უქმი სვეტებითო.

უნებლით დაჰპარვოდა პეტერბურგული მდინარის სახელწოდება გივი გაჩეჩილაძეს და, ბედნი მისი, თორემ ეს ცთომილება შესაძლოა საბედისწეროდაც გახდომოდა. ეტყობა, მთავლიტმა მიიჩნია, რომ როსეტი — და არა მისტიფიკატორი — მართლაც ყოფილიყო სტუმრად სანკტ-პეტერბურგში და სამუდამოდაც ჩარჩენოდა ხსოვნაში ამ მდინარის სიბნელეში ჩაძირული სურათი.

მკვლევარი იმთავითვე მიაქცევდა ყურადღებას ლექსის ჟურნალისეულ პუბლიკაციაში გაპარულ კორექტურულ შეცდომას: „ნევის“ ნაცვლად „ევა“ რომ ეწერა, — და, მისტიფიკაციის დედნის აღმოჩენამდე ვერაფრით ვერ ახსნიდა: რამ და-



აბნელა ასე ეს გაურკვეველი ევაო, — და კიდევ ერთი კაზუსი არ დარჩებოდა მხედველობის მიღმა: შოტლანდიელი უილიამ დრამონდი თავისი ერისათვის სათაყვანებელ ადგილად ნამდვილად არ მოიხსენიებდა ინგლისში მდებარე ლინდისფერის მონასტერს. რა — შოტლანდიურ ტაძართაგან ვერ შეარჩევდა რომელიმეს?!

ხოლო გუგლის მეშვეობით დიდხანს რომ მოუნდებოდა ძებნას, ერთი მხრივ, XX საუკუნის პოეტისა და ბელეტრისტიკის რიჩარდ ოლდინგტონის ლექსისა „სადგური“, მეორე მხრივ კი XVIII საუკუნის პოეტის ჯეიმზ ტომსონის ლირიკული ნიმუშისა „ბირნამის ტყე“ (როგორც ჩანს, ეს ტომსონი გივი გაჩეჩილაძეს უილიამ შექსპირის „მაკბეთიდან“ დამახსოვრებოდა), ხელმოსაჭიდს ვერაფერს იპოვინდა.

მისტიფიკატორობა კი მთარგმნელს მანამდე უკვე დაეწყო — 1937 წელს გამოქვეყნებულ კრებულში „თარგმნილი ლექსები: უცხოელი და რუსი პოეტები“, რომლის 71 ნიმუშს შორის ხუთი დადგინდებოდა ქართულ ჩანართად, მათ შორის, ტბის სკოლის პოეტის უილიამ უორდსუორთის „შემოდგომის ქარი“ და ლორდ ბაირონის „ასულს“.

ამავე რკალში უნდა ვიგულისხმოთ ირლანდიელი პოეტის უილიამ ბატლერ იეიტსისათვის მიკუთვნებული „მე ირლანდია“, რომელიც ჟურნალ „ჩვენი თაობის“ ფურცლებზე კი გამოქვეყნდებოდა, მაგრამ ინგლისური პოეზიის არცერთ კრებულში აღარ განმეორდებოდა — არც მცირეში და არც უფრო მოზრდილში, თუმცა იქ იეიტსის ნამდვილი ლექსები მოხდებოდა.

მიზეზი რა უნდა ყოფილიყო ორიგინალურ ლექსთა ამგვარი გასაიდუმლოებისა?

თავისუფლების წყურვილით გაჟღენთილი ლექსი გასაგებია, რატომაც მიენერებოდა უილიამ დრამონდს, მაგრამ დანარჩენი ლირიკული ნიმუშები პოლიტიკურად სრულიად უწყინარნი რომ იყვნენ, რატომღა უნდა გახვეულიყვნენ მისტიფიკაციის საბურველში?!

სამაგიეროდ, სატრფიალო სულით განმსჭვალულიყვნენ, ყველას თავთავისი ადრესატი ჰყავდა — მედეა ჯაფარიძე იქნებოდა, ეთერ სვანიძე თუ უცნობად დარჩენილი პიროვნებანი — და მიზეზი მართლაც ეს უნდა ყოფილიყო, ბიოგრაფიულ ნარკვევში როგორც განგვიმარტავენ:

— თავისი მუზ(ებ)ისათვის ლექსის ბექდური სახით მიღვნა გივის უფრო ადვილად და სწრაფად შეეძლო, თუკი ის თარგმანს შესთავაზებდა ლიტერატურულ ჟურნალს, თანაც, მაგალითად, „ჯვრისწერა ბირნამის ტყეში“ უფრო იდუმალად და მიმზიდველად ჟღერდა, ვიდრე „ქუაბთახევის ნახვა“, რაც ამ ლექსის ორიგინალის სახელია!

\*\*\*

ეთერ სვანიძე ვახსენეთ და ბარემ აქვე ითქვას გამოცემის ის კაზუსი, ნიგნის 375-ე გვერდზე ფოტოსურათიც რომ არის დაბეჭდილი ასეთი წარწერით: ეთერი, გივი (უცნობი მეგობარი) და გრიგოლ აბაშიძე; 1936 წ.

ეს „უცნობი მეგობარი“ ქართველი მკითხველისათვის ძალიან კარგად ნაცნობი კოტე ხიმშიაშვილია, პროზაიკოსი და 1942 წლის შეთქმულების მეთაური, ვინც საკუთარი გვარსახელითაა მოხსენიებული ამავე ნიგნის 345-ე გვერდზე გამოქვეყნებულ ფოტოსურათზე: ერეკლე ტატიშვილი, ასპირანტები გივი გაჩეჩილაძე და გოგი ლომთათიძე, სტუდენტი კოტე ხიმშიაშვილი; ბეთანია, 1936 წ. შემოდგომა.

\*\*\*

ბიოგრაფიული ნარკვევისათვის დართულ მოკლე წინათქმაში რევაზ გაჩეჩილაძე მკითხველს ამცნობდა: მამაჩემის მხრივ ჩემზე გავლენის მცდელობის მიუხედავად ფილოლოგობა არ მოვინდომე, ჯერ აღმოსავლეთის ისტორიას ვსწავლობდი, შემდეგ — ეკონომიკურ გეოგრაფიას და ლექსთან პროფესიული შეხება არა მაქვსო.

თუმცა ის ძიება, რაც გივი გაჩეჩილაძის მისტიფიკაციების გახსნას ეძღვნება, ისეთი ოსტატობითა და დეტექტიური ალღოთა ჩატარებული, ფილოლოგებს შეეხარბებათ, და საგულისხმოა, რომ ეს მონაკვეთი — დანყებული უბის ნიგნაკის მწვავე, ანტისაბჭოთა ჩანაწერებდან და დაგვირგვინებული ქართველი პოეტისა და მთარგმნელის ინგლისური ნიღბებით — ამ ნარკვევის მშვენებაცაა და მთავარი ძარღვიც.

ნარკვევი კი მართლაც ჩინებულად შეჰკრავდა ამ ორიგინალური აღნაგობის პოეტურ კრებულს: გივი გაჩეჩილაძე, „ნაცნობი თარგმანები. უცნობი ლირიკა“ („ლოგოსი“, 2012), რომელიც არამარტო ლიტერატურის ისტორიის მრავალმხრივ საგულისხმო ფურცლად წარმოგვიდგება, არამედ ძალდაუტანებლად გამოირჩევა ის ნიმუშები, მთარგმნელობითი ხელოვნების უდავო შედეგთა შორის რომ დაუმკვიდრებიათ ადგილი და თვით ყველაზე მკაცრი საზომებით შედგენილ ანთოლოგიაშიც არ გამოიტოვება, ვთქვათ: რობერტ ბერნსის „გული მთებისკენ მიინევს“, პერსი ბშიმელის „მშვიდობის ღამე“, ალფრედ ჰაუსმანის „უსათაურო“ („უკანასკნელად ლედლოდან“), რომელსაც, სხვათა შორის, მურმან ლებანიძე უბადლოდაც მოიხსენიებდა.

ქართველი პოეტისა და მთარგმნელის ინგლისური ნიღბებიო...

ვახტანგ ბერიძე გივი გაჩეჩილაძის პიროვნული ხასიათის წარმოსახვისას საგანგებოდ მიაქცევდა ყურადღებას მის ამ თვისებას — მიდრეკილებას „თამაშისაკენ“, ჭარბ ემოციურობასა და გატაცებას.

ეს თვისება უბიძგებდა თუ უბიძგებდა მისტიფიკაციები-საკენ, ის კი არა, ერთი და ორი პოეტური ნიღბით რომ ვერც დაკმაყოფილდებოდა და ხან ვის ამოეფარებოდა, ხანაც ვის!..

მისი თარგმანები ქართულად შექმნილებს ჰგვანან ხშირად, — კონსტანტინე გამსახურდიას ეს შთაბეჭდილება თუ შეხედულება თეორიულ დადასტურებას ჰპოვებდა გივი გაჩეჩილაძის მეცნიერულ ნააზრევში, დაბეჯითებით რომ არწმუნებდა მკითხველს: თარგმნილი ქმნილება ქართულადაც უნდა წარმოადგენდეს მხატვრულ ნაწარმოებს, რომელიც ისევე მიისწრაფის განუმეორებლობისაკენ, როგორც ორიგინალი. მხატვრული თარგმანის მთელი სილამაზე მის განუმეორებლობაშია და არა შინაარსის პირდაპირ გადმოტანაში, მკითხველს უნდა შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ეს ნაწარმოები ავტორს ქართულად დაუწერიაო.

ჯერ თარგმნის დროსაც აღწევდა ამ შთაბეჭდილებას. და მითუმეტეს, გული რომ ვერ მოუთმენდა და საკუთარ ლექსებსაც გააბნევედა ინგლისელთა ლირიკულ ხილვებში, საკუთარ მღელვარებასა და დარდს შეურევდა და ქალურ მშვენიერებასაც რომ აღუვლენდა ხოტბას ხოტბაზე, ამ ტკივილსაც მიაღწევდა: რომ სკოტლანდიის სიყვარულს წმინდას არ სვამდე ჩემებრ — შხამში გარეულს, მაგრამ ჩემსავით, ტყეში თუ მიწდვრად, ნათლად ხედავდე გზას სიზმარეულსო.



გივი დაწვლია

და დადგებოდა ის დროც, მარცვალ-მარცვალ რომ გამო-  
იკრიბებოდა ეს ლექსები თარგმანებიდან და გულდასმითაც  
აღინუსხებოდა როგორც თავისებური კარნავალის ნატყებები,  
ხან გრეი რომ ხარ, ხან უორდსუორთი, ხან როსეტი, ხან დრა-  
მონდი, ხან იეიტსი, ხან ოლდინგტონი, ხან ტომპოსი, ხან ბერ-  
ნსი და ხანაც ბაირონი.

კარნავალი და... ასეთი?!.  
ნიღბები და... ამისთანა?!.  
\*\*\*

ბევრგვარი განზომილება აქვს ლიტერატურულ თამაშს,  
სამყაროსავით უთვალავფერა.

მის პერსონაჟებსაც ვინ მოთვლის.  
და მათ შორის ამიერიდან გივი გაჩეჩილაძეც იმკვიდრებს  
ადგილს.

იყოს შენს ნებაზეო, — ნიღბების მორგებაში ხელს თუ წა-  
აშველებდა კონსტანტინე გამსახურდია.

ვაჟა შუბითიძე

# ნიკო ნიკოლაძის ადგილისათვის

## ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში

2013 წლის 27 სექტემბერს სრულდება 170 წელი უდიდე-  
სი ქართველი მოღვაწის, დღესაც ყველაზე თანამედროვე  
ქართველის ნიკო ნიკოლაძის დაბადებიდან.

პოლიტოლოგიურ და ფილოსოფიურ ლიტერატურაში  
მრავალი ტერმინია დამკვიდრებული ერისა და პიროვნების  
მახასიათებლად (მაგ. ერი-სახელმწიფო), მაგრამ ნიკო ნიკო-  
ლაძის დასახასიათებლად ძველი ტერმინები მეპატარავა და  
ახლის შემოღება და დამკვიდრება ვცადე. ესაა **კაცი** — **სა-  
ხელმწიფო** — სწორედ ეს ტერმინია ზედგამოჭრილი ნიკო  
ნიკოლაძის წარმოუდგენლად დიდი ღვაწლის საჩვენებლად.  
ამ უდიდესმა საქმიანმა პატრიოტმა ფაქტობრივად მარტომ  
შეძლო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უმნიშვნელო-  
ვანეს კონცეპტუალურ საკითხთა დაყენება და გადაწყვეტა,  
ასევე დიდი ქართული პროექტების წამოწყება და გასრულე-  
ბა, რაც დღესაც სახელმწიფოთა და ინსტიტუტთა ფუნქციაა  
და ზოგი ქვეყანა ამასაც ვერ აუდის და ვერ ახერხებს ჩვენს  
განვითარებულს დროშიაც კი.

ქართველ მოღვაწეთა შორის ნიკო ნიკოლაძე გამორჩეუ-  
ლი თავისი დიდი საქმეებითაც. არჩილ ჯორჯაძემ მას „ულ-  
მობელი საქმის კაცი“ უწოდა და მართლაც საქართველოს  
ახალ ისტორიას არ ახსოვს ასეთი დაუდევარი და საქმიანი  
პიროვნება, ბიზნესის ასეთი ორგანიზატორი.

ნიკო ნიკოლაძემ წინა პლანზე პრაქტიკული და პრაგმა-  
ტული საკითხები წამოსწია, რაც მთლიანად შეესაბამებოდა  
და ახლაც შეესაბამება საქართველოს განვითარების  
მოთხოვნებს. იგი პირველია ქართველ მოაზროვნეებში, ვინც  
ცივილიზებული ბიზნესისა და ვაჭრობის პროპაგანდა და მი-  
სი განხორციელება დაიწყო, რაც მაშინ ერის შინაგანი გაერ-  
თიანების გზაზე (რელიგიის შემდეგ) აუცილებელი და მნიშვე-  
ნელოვანი ნაბიჯის გადადგმას მოასწავებდა, ისევე როგორც  
წარმოებისა და სოფლის მეურნეობის სწრაფი აღორძინება.

უდიდესი წვლილი მიუძღვის მას ქალაქ ფოთის აღმშე-  
ნებლობაში და მისი მომავალი პროფილის განსაზღვრაში,  
პორტის ელექტროფიკაცია და მექანიზაციაში. მან ფოთის  
პორტის აღორძინებით ფანჯარა გაჭრა ევროპაში მომავალი  
საქართველოსათვის. თითქმის 20 წელიწადს იყო ფოთის ქა-  
ლაქისთავი და მისი ბიუჯეტი 10-ჯერ გაზარდა, ფოთი ნამდ-  
ვილ ქალაქს დაამსგავსა.

უდიდესი შრომა გასწია ტყიბულის ქვანახშირის საბადოს  
ათვისებისა და ქუთაისი-ტყიბულის რკინიგზის მონაკვეთის

გასაყვანად, ჭიათურის მანგანუმის წარმოების სამრეწველო  
და საექსპორტო დონეზე დასაყენებლად, შორაპან-ჭიათუ-  
რის სარკინიგზო ხაზის გასაყვანად, რითაც მანგანუმის  
სწრაფი გადაზიდვის საქმეც მოაგვარა და გააიაფა კიდევც.

აქტიურად მონაწილეობდა ასევე თბილისის წყალსადე-  
ნის მშენებლობაში, კახეთის რკინიგზისა და სურამის გვირა-  
ბის გაყვანაში, ქუთაისის აღმშენებლობაში, ტრანსციმბირის  
რკინიგზის მშენებლობაშიც კი, მანვე მოიწვია როტშილდი  
კავკასიაში ნობელისათვის კონკურენციის გასაწევად,  
ფოთში დააარსა ნამდვილი თანამედროვე ბანკი, პირველად  
საქართველოში დაბეჭდა ობლიგაციები და ლატარიის ბილე-  
ტები და ფოთის კეთილმოწყობას მოახმარა (ნახევარკაპიკი-  
ან გადასახადთან ერთად), რაც უპრეცედენტო ნაბიჯი იყო  
მაშინდელ საქართველოში.

ნიკო ნიკოლაძეს ეკუთვნის საქართველოს მომავალი გე-  
ოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფუნქციის განსაზღვ-  
რის იდეა — 1918 წელს გერმანელ დიპლომატებთან საუბარ-  
ში წამოაყენა აზიასთან ევროპის ვაჭრობის უმოკლეს მარშ-  
რუტზე — საქართველოზე — გატარების იდეა (ბერლინი-  
ფოთი-პეკინი), რამაც დღეს ხორცი შეისხა ევრაზიული დე-  
რეფნისა და გადაზიდვის სახით.

იგი იყო ყოველივე მაღალტექნოლოგიურის პირველი  
დამწერგავიც საქართველოში, ისევე როგორც ახალი საზო-  
გადოებრივ-პოლიტიკური იდეებისა.

ნიკო ნიკოლაძე წერდა ქართულ, ფრანგულ და რუსულ  
ენებზე, თანამშრომლობდა უამრავ გაზეთსა და ჟურნალ-  
თან, აქ თუ საზღვარგარეთ, თვითონვე აარსებდა გაზეთებ-  
სა და ჟურნალებს სხვადასხვა ენაზე. იყო დიდი მოაზროვნე  
და მწერალი ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით.

იყო ქართული პოლიტიკური რეალიზმისა და პრაგმა-  
ტიზმის მამამთავარი. შეიმუშავა მთელი რიგი კონცეფციე-  
ბისა საქართველოს თანამედროვე მდგომარეობის შეფასე-  
ბისა და სამომავლო განვითარებისათვის. ამ გაგებით იგი  
უთუოდ უნდა მივიჩნიოთ პირველ ქართველ პოლიტოლო-  
გად და გეოპოლიტიკოსად.

საქართველოს ისტორიის შესწავლისა და გაანალიზების  
შედეგად წარმოაჩინა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი  
მიზეზები და, შესაბამისად, მოგვცა მათი გამოსწორების შესა-  
ფერისი რეცეპტები. ასევე იყო პირველი ქართველი ევროპო-  
ლოგი, რომელმაც ევროპის ქვეყნების მაგალითთა გაანალი-  
ზებით ქართველობას უჩვენა, თუ როგორ ხორციელდება სა-  
ზოგადოებრივ-პოლიტიკური გარდაქმნები განვითარებულ  
ქვეყნებში, როგორ შეიძლება იქცეს ჩამორჩენილი ქვეყნები  
(იაპონია, პრუსია) სუპერსახელმწიფოებად, რა უნდა გაკეთ-  
დეს ქართული სახელმწიფოს გონივრული მოწყობისათვის.

ნიკო ნიკოლაძემ ღრმა ანალიზისა და შორსმჭვრეტელო-  
ბის წყალობით წამოჭრა და გადაწყვიტა ზოგიერთი კონცეპ-  
ტუალური საკითხი, რომელიც მაშინაც და მომდევნო საუკუ-  
ნეშიც იდგა ქართული ეროვნულ-გამათავისუფლებელი  
მოდრაობის წინაშე:

1. წინააღმდეგ გამეფებული შეხედულებისა, მან დაამტკიცა, რომ ვერ შეძლებს დამოუკიდებლობის მოპოვებას, თუ არ განვითარდა და მოძლიერდა სოციალ-ეკონომიკურად და კულტურულ-შემეცნებითი თვალსაზრისით, თუ არ განავითარა ავტონომიური ერთეულები — თვითმართველობა, დემოკრატია, პოლიტიკური სისტემა, პლურალიზმი და შიდასახელმწიფოებრივი ინსტიტუტები (მანამდე და მერეც ბევრს მიაჩნდა, რომ ჯერ უნდა მოიპოვო დამოუკიდებლობა და მერე შეიძლება განვითარდე);

2. მან აუხსნა ქართველობას (და არამარტო მას), რომ ჩამორჩენილი ხალხები ერთი ნაბიჯით ვერ გაივლიან იმ გზას, რაც სხვის ხუთი-ექვსი ნაბიჯით გაუვლია, რომ ჩამორჩენილ ქვეყანას არ შეუძლია განვითარების მაგალითი მისცეს ძლიერ ქვეყნებს;

3. აქედან გამომდინარეობდა ნიკო ნიკოლაძის შემდეგი დასკვნა იმის შესახებ, რომ უეცრად, უშრომლად ვერცერთი ხალხი ვერ გამდიდრდება, რომ არ შეიძლება ქვეყანაში მუდმივად გამეფებული იყოს სხვისი მოიმედებისა და დახმარების, აზიური ინერტიულობის განწყობილება, რომ საკუთარ თავზე უკეთესი დამხმარებელი ჩვენ არავინ გვეყოლება მომავალშიც;

4. ნიკო ნიკოლაძემ ასევე დაუსაბუთა ქართველებს, რომ არაა აუცილებელი ველოსიპედის ხელახლა გამოგონება, უნდა გამოვიყენოთ უცხოური დადებითი გამოცდილება, მაგრამ აუცილებელია შეიქმნას საზოგადოებრივი განვითარების ეროვნული მოდელი, დაფუძნებული ქართული ცხოვრების წესსა და მდიდარ ტრადიციებზე.

ეს მოდელი უცხოელებს კი არ უნდა შეექმნათ ჩვენთვის, რომლებმაც ქართული სპეციფიკა და რეალობა არ იციან, არამედ განათლებულ ქართველებს („ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისათვის უდიდესი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაბარივართ, ისიც ხშირად თხის რძეს გვანოვებს და არა ადამიანისას... უცხოელი ძიძა, რაგინდ საღი იყოს, შენს დედაენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გააცნობს“. (ასეთი ძიძები გვაჩვენებდნენ მარქსისტულ, ბოლშევიკურ იდეოლოგიას, გვაჩვენებდნენ დღესაც სხვადასხვა გლობალისტურ და კოსმოპოლიტურ, ნეოლიბერალურ თეორიებს);

5. ცნობილი უნგრელი მოღვაწეების კოშუტისა და დეაკის, ასევე ბოლშევიკთა მაგალითზე დაუმტკიცა ქართველებს, რომ რადიკალიზმი დამლუპველია ქვეყნისათვის, რომ „ქართველობის მიზნები“ მხოლოდ ზომიერებით მიიწვევება (მიიღწევა). მას ევოლუციური გზა ერჩივნა რევოლუციური გზას;


6. კარგად აჩვენა ყველას, რომ საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ჩამორჩენის უმთავრესი მიზეზი იყო მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თითქმის არქონა, მეცნიერებისა და განათლების ჩამორჩენა ევროპული ანალოგიისაგან და მიღწევებისაგან, პროფესიონალიზმის უკმარისობა;

7. ქართული სახელმწიფოს მშენებლობისათვის უდიდესი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს ნიკო ნიკოლაძის თეზას იმის თაობაზე, რომ „დასაწყისშივეა საჭირო მითითება სწორედ პირველ ნაბიჯთა შეცდომებსა და მოუხერხებლობაზე, რადგან თუ საფუძველშივე ხელი არ ახლე, ათი წლის შემდეგ ვერარანაირი გაუმჯობესებელი მანქანით ვერ ამოგლეჯ“;

8. ქართული სახელმწიფოს გონიერი ორგანიზაციის აუცილებელ პირობად მიიჩნევა ეროვნული და სახელმწიფო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭებას პარტიულ, პიროვნულ, ჯგუფურ ინტერესებთან შედარებით, ასევე ისეთი მმართველობისა და საარჩევნო სისტემის შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის მართვაში ყველაზე ნიჭიერ, განათლებულ და პატიოსან ადამიანთა მონაწილეობას, რომ „ძალა და ძლევა რიცხვსა და სივრცეს კი არა, ცოდნას, ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესსა და დისციპლინას“;

9. ქართული სახელმწიფოს დემოკრატიულად მოწყობის საქმეში ნიკო ნიკოლაძე საფუძველდამდებ პრინციპად მიიჩნევა სასამართლოს სწორად ორგანიზაციას, დამოუკიდებლობას და სამართლიანი სასამართლოს უფლებას რიგით ადამიანთათვის. მან ჯერ კიდევ 130 წლის წინათ გააცნობიერა და დააყენა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების აუცილებლობა, რაც ევროპული სასამართლოს ერთ-ერთი ქვაკუთხედაა დღეს;

10. ნიკო ნიკოლაძემ ცნობილ ეკონომისტებზე — კეინზი (აშშ) და სუზერო ოკიტა (იაპონია) — ადრე წამოაყენა და დაასაბუთა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ზომიერი, კონკრეტული ჩარევის აუცილებლობაზე, რასაც დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული სახელმწიფოსათვის, ისევე როგორც თეზას იმის შესახებ, რომ „სანამ მოსატანი (იმპორტი) მეტი გვექნება, ვინემ გასატანი (ექსპორტი) — მონობას ვერ ავცილდებით“, რომ „ერთი რეჟიმის შეცვლა მეორეთი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა სათანადოდ მომზადებული იქნება პროგრამა და გეგმა, აგრეთვე კადრები ახალი ხელისუფლებისათვის“ და ა.შ.



ნიკო ნიკოლაძე

ეს მცირედი ჩამონათვალიც კი საკმარისია იმის დასაბუთებად, თუ რა მასშტაბის მოაზროვნესთან გვაქვს საქმე ნიკო ნიკოლაძის სახით. იგი იყო ყველაზე გამორჩეული სახე ევროპაში ქართველ მოღვაწეთაგან. კაცს, რომელსაც ჰიუგოსთან, ლუი ბლანსა და სხვა ცნობილ ევროპელებთან ახლო ურთიერთობა აკავშირებდა, ქართველები ნაკლებად წყალობდნენ. მისი სახელი დღესაც არსებითად მიჩქმალულია (პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ კომუნისტურმა საქართველომ უფრო მეტი გააკეთა მისი პოპულარიზაციისთვის, ვიდრე თანამედროვე, დამოუკიდებელმა საქართველომ). არადა თავისი ევროპული მრავალმხრივი განათლებითა და ნიჭით, აზროვნების სიღრმითა და მასშტაბურობით, შორსმჭვრეტელობითა და სიახლის აღქმის უნარით, საქმიანი თვისებებით, გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ხედვით იგი მაღლა იდგა თავის თანამედროვეებზე და ნამდვილ ევროპელ გრანდებს უტოლდება.

ნიკო ნიკოლაძე იყო საქართველოში ახალი იდეების გენერატორი და განმახორციელებელი, ქვეყნისათვის მიმართულების მიმცემი. ასეთი დიდკაცები ბევრ დიდ ერსაც კი არა ჰყავს. დროა ვისწავლოთ ასეთთა დაფასება და მათთვის კუთვნილი, სათანადო ადგილის დროულად მიჩენა. მისი ადგილი კი უეჭველად არის ილიას გვერდით და არა მის შემდგომ ან სხვათა ჩამონათვალში.

ნიკო ნიკოლაძე ჭეშმარიტად იყო „სამშობლოს მამა“ ქართველთათვის.

თამაზ ნატროშვილი

# დაკარგული მელექსა

უბადლო ამადგარი ფშავ-ხევსურული ფოლკლორისა აკაკი შანიძე თავისი წიგნის წინათქმვაში სახელდახელოდ გაიხსენებდა იქაურ მარგალიტებს და დაგვიტოვებდა დიდი მეცნიერის თამაშსა და გაბედულ, ერთგვარად მოურიდებელ ნათქვამს, სწორედ ისეთს, როგორც მას ეკადრებოდა და, ამასთან ერთად, უაღრესი სიზუსტით აწონილ-დაწონილიც რომ გახლდათ: „ერთი ვიკითხოთ, ზემორე ჩამოთვლილ ლექსთაგან რომელია ნაკლები ვეფხისტყაოსნის რომელსამე ტაეზზე, ან ვაჟას პოემების რომელიც გნებავთ იმ ადგილზე?.. რა თქმა უნდა, ამ კრებულში ბევრი სუსტი ლექსიც გვხვდება, მაგრამ სუსტი ადგილები ვეფხისტყაოსანშიც კი მოიპოვება და არც ვაჟა იმათგან თავისუფალი“.

არც მანამდე და არც შემდგომში არავის მოლანდებია ე.წ. ხალხური ლექსის გატოლება ქართული პოეზიის ორი გოლიათის ქმნილებებთან.

სახელდახელო ჩამოთვლა იყო, თორემ საფურცლის ლექსი როგორ გამორჩებოდა მარგალიტების მკრეფელს. საქართველოს ისტორიის ფურცლებზე და ქართველი ხალხის მესხიერებაშიც საფურცლე, ერთი ჩვეულებრივი ტომონიმი ჩვენი სამშობლოს რუკაზე, სამარადისოდ უკვდავყო ზურაბ არაგვის ერისთავმა, თავისი სიკვდილით უკვდავყო არაგვივით დაუდგარმა და მშფოთვარემ, თვისტომთა პირით ათასჯერ დაგმობილმა და ათასჯერვე ხოტბაშესხმულმა, იმ კაცმა, ვინც გამოდგება იმის მჭევრმეტყველ ნიმუშად, თუ როგორ ეზავებიან ერთმანეთს სიკეთე და ბოროტება, თუ როგორ ვზუჭავთ თვალს ავზე და ვეთავყვანებით თვალისმომჭერელ ძალას — დამტოვუნველსა და თავად დაუთრგუნველს.

ასეა თუ ისე, ოლიმპოს ღმერთებს რომ გაემართათ სჯაბაასი ფშავ-ხევსურული ფოლკლორის თაობაზე, რომელი ლექსი რომელსა სჯობსო, ალბათ, საფურცლის ლექსს მიანიჭებდნენ პირველობის პალმას და, უპირველეს ყოვლისა, ათენა, აპოლონი და აფროდიტე უჭოჭმანოდ გაიღებდნენ ხმას ამ არჩევანის გასამარჯვებლად.

**საფურცლეს ზურაბ მოვიდა, ლერწამი ზღვის პირისაო** — ასე მშვიდად, აუღელვებლად იწყება ზემოხსენებული ლექსი, თითქოსდა გაზაფხულის მოხვალს გვამცნობდეს, რომელსაც ლხენისა და სიამის მეტი არაფერი მოჰყვება, აღარც ავდარი დაგვატყდება თავს, ერთი წლით გაქრება სუსხი გრძელი, გაჭიანურებული და გაუსაძლისი ზამთრისა, მაგრამ მაინც ყრუანტელის მომგვრელია ეს პირველი სტრიქონი, თუნდაც არ იცოდე, რა უნდა მოხდეს საფურცლეში, მაგრამ მაინც საგონებელში გაგდებს ეს მარტივზე უმარტივესი დასაწყისი ლექსისა და ეგებ საგანგაშო ზარსაც მიამსგავსო — **საფურცლეს ზურაბ მოვიდა, ლერწამი ზღვის პირისაო.**

პირველი სტრიქონი რჩება პრელუდიად ტრაგედიისა, სადაც ზეიმობს ანგარიშიანი მუხანათობა (მუხანათობის წილ!), არნახული და არგაგონილი ღალატი (ღალატის წილ!) — და ეს ყველაფერი ამეტყველებულა სწორუპოვარ ლექსად.

ერთმანეთს ტყვიასავით მიჯრილი სტრიქონები, ერთიმეორეზე უფრო მძაფრნი და დაუზოგავნი: **აუყვავებენ სუფრასა: „ზურაბ, შეექე ხილსაო!“ ...დაუდგმენ სურას ღვინიანს, დათაფლულსა და ტკბილსაო... გილალატებენ, ზურაბო, ელიან შენსა ძილსაო... ხმლითა სცემ ბარამ ბატონი: „დაჰკარით კახპის შვილსაო!“ ...ვინ მოკვლა, შვილო ზურაბო? ვინ შეგხსნა ხელი გმირსაო? ...ზურაბის ცოლი ტიროდა: „ვაჰმე უდროოდ**

**ქვრივსაო!“ ...გაგზავნეთ მახარობელი, ფშავ-ხევსურეთში ჩაფარი: ფშავ-ხევსურეთის ქალ-რძალმა ძილ დაიძინოს მაგარი. ზურაბის სიკვდილს ამბობენ, — აღარ მოგვივა ლაშქარი.**

ბრწყინვალე ლექსი, თავისი ვარიანტებითურთ, საიმედოდ დაბინავებულა სხვადასხვა გამოცემებში (ლექსო, ნუ დაიკარგები!), მაგრამ არ ვიცით, ვინ იყო ის მელექსე, რომელმაც შექმნა შედეგური შედეგთა შორის. ათასი მკვლევარი რომ დადგეს ფეხზე, ყველა საქმე და საზრუნავი განზე რომ გადასდოს, მაინც ვერაფერს გახდება, ვერაფერს მიაკვლევს, ვერაფერს გვეტყვის სანუგეშოს. და ველარასოდეს ველარ შევიტყობთ იმ დალოცვილი მელექსის სახელს.

ვინ იცის, ეგებ ეს ერთადერთი ლექსი ამოუთქვამს, მაგრამ განა ერთი ასეთი ლექსი არაა საქმარისი უკვდავების მოსახვეჭად? ვაგლახ, უკვდავებას ვინ ჩივის, ჩვეულებრივ მოკვდავთა ხვედრიც კი ასცდენია — ერთი საფლავის ქვა ნახევრად ნაშლილი წარწერით.

და ერთი ავტორის (მთქმელის, მათქვამის) ვინაობა ითქვიფება მრავალფეროვან მორევში, რომელსაც ფოლკლორი ეწოდება. იოსებ გრიშაშვილს მოხდენილად განუმარტავს: „ხალხურ მწერლობად“ გულისხმობენ ისეთ შემოქმედებას, რომლის ავტორიც უცნობი და დაკარგულიაო.

დაკარგული მელექსე! აბა კოლექტივი ხომ არ დაჯდება ერთი ლექსის დასანერად, მრავალხმიანი რომ ემღერათ? შენ პირველი თქვიო, მე მეორეს ვიტყვი და იმან კიდევ ბანი მოგვცესო. ვარიანტები მხოლოდ იმას მეტყველებს, რომ შემდგომში ნაირნაირი კორექტივები შეჰქონდათ, მაგრამ ძირითადი ტექსტი, საკუთრება ერთადერთი ავტორისა, ჩონჩხივით მყარი რჩებოდა.

საფურცლის ლექსი უნდა დავათარილოთ, ალბათ, XVII საუკუნის შუა წლებით. უფრო საფიქრებელია, რომ მომხდარის ცხელ კვალზე დაწერილიყო (ზურაბ არაგვის ერისთავი მოკლეს 1630 წლის შემოდგომაზე) და არა — ხალხში შემონახულ გადმოცემათა საფუძველზე, ვთქვათ ორი-სამი საუკუნის შემდეგ. დიახ, მომხდარისავე თანადროულსა ჰგავს მთელი რიგი დეტალების მიხედვით, რომელთა განხილვა შორს ნაგვიყვანდა აღძრული საკითხიდან.

დღეს კი, უფრო ზუსტად — გასული მეოცე საუკუნიდან დღემდე, ტრამვისა და ატომური ბომბების ეპოქაში, რადიოსა და ტელევიზიის ეპოქაში, მილიონობით წიგნისა და ჟურნალ-გაზეთების ოკეანეთა ეპოქაში, როდესაც ყველაფერი ვიცით ახალ-უხლებ პოეტთა შესახებ, სახელი და გვარი რა სათქმელია, მავანისა და მავანის საყვარელი ფერი და, თქვენ წარმოიდგინეთ, საყვარელი კერძიც კი დაგვიზუპირებია, და არც ის გახლავთ დიდი საიდუმლო, სიზმარში რას ხედავენ და ღმერთს როცა შეხვდებიან, რას მოისმენენ — ესეც კი მოგვეხსენება.

და სამუდამოდ მიჩქმალულია მრავალთავად კიდევ ერთი დაუზინყარი ლექსის ავტორი, კიდევ ერთი დაკარგული მელექსე.

მის ნათქვამ ლექსს დაარქვას „ძმანი სულეთში“. მოცულობით ვრცელი არ გახლავთ და არაფერი დაშავდება იმით, რომ მთლიანად დავიმონმთოთ აკაკი შანიძის მიერ გამოცემული წიგნიდან „ქართული ხალხური პოეზია. I — ხევსურული“ (ტფილისი, 1931):

**„მე რო ძმანი მყვან სულეთსა, სამზეოს დასაფიცარნი, ნეტავინ, ჩემო დედაო, ბეჭნ მანახინა ძმისანი! ქვე დაიჭრად ქვიში? ქვე დაშლიდესა მინანი? დავგიენ მანდლის პირშია თმანი უნცროსის ძმისანი. გზანი მასწავლენ, დედაო, გზანი იმ სულეთისანი. ნეტავინ დამალებინა კარნი სულეთის მხრისანი! ნეტავინ კიდევ მენახნეს თვალნი უფროსის ძმისანი!“**

აკაკი შანიძის სიტყვით, ეს ლექსი ჩაუნერია გიორგი ლომთათიძეს „რომელიღაც ხევსურისაგან“ და ვახტანგ კოტეტიშვილმა გადმოძვალა.

ეს არის და ეს. მეტი არაფერი! რომელიღაც ხევსურისგან... როგორც ჩანს, გიორგი ლომთათიძეს, შემდგომში გამოჩენილსა და დიდად დაფასებულ არქეოლოგს, გამოუცდელიობა

გამოუჩენია, როგორც ფოლკლორისტს და ამიტომაც არაფერი ვუნწყით იმის თაობაზე, თუ ვინ იყო ის „რომელიღაც ხევისჭერი“ — მთქმელი თუ მოამბე, ავტორი თუ დეკლამატორი...

არც სახელი ჩაუნერიათ, არც გვარი, არც სადაურობა (თემი, სოფელი). უკვალოდ გამქრალა და ვეღარასოდეს შევიტყობთ მის ასავალ-დასავალს. რაღა XVII საუკუნეში შექმნილი ლექსის ავტორი და რაღა ჩვენს დროში შექმნილისა!

შესაძლოა სადმე, რომელიმე ხევისჭერი ნარმომავლობის ოჯახში, არსებობდეს კიდევ ოჯახური გადმოცემა ამ დაკარგულ მელექსეზე, მაგრამ რას იპოვი, სადაღა უნდა ეძებო — სამგორის მეზობელ გამარჯვებაში, სადაც შატილიონები დასახლდეს თუ დუშეთის რაიონის სოფელ მლაშეში, სადაც არხოტიონებს მიუჩინეს ადგილსამყოფელი.

ამ ლექსს არც ვარიანტები მოეპოვება და არც პარალელები. ქართული ხალხური პოეზიის მრავალტომულში (ტომი პირველი, ნაკვეთი მეორე) „ძმანი სულეთში“ უცვლელი სახითაა გადმობეჭდილი აკაკი შანიძის ზემოხსენებული ნიგნიდან. მას ეხმიანება მხოლოდ გრ. აფშინაშვილის მიერ ჩაწერილი სტრიქონები: „**მე რო ძმანი მყვან შავეთსა, არა მყვან დავიწყებულნი! კარიმც გაგილო, შავეთო, მხარნი მენახნეს ძმისანი. ხომ არ ჩავიდა ნანვეთი, კი დაჰშლიდესა მინანი?**“

ეს ტექსტი, ჩანს, შანიძის ნიგნში გამოქვეყნებული ლექსის უგერგილო გადამღერება უნდა იყოს.

საფიქრებელია, რომ „ძმანი სულეთში“ ჩვენს დროშია გამოთქმული. ის უცნობი ხევისჭერი მელექსე ვერც კი წარმოიდგენდა, რომ მისი ლექსი შორ გზას გაუდგებოდა და თავისი მშვენიერებით მთელი საქართველოს წინაშე წარსდგებოდა.

ერთადერთი, რაც გადაჭრით შეიძლება ითქვას, ისაა, რომ ეს დაკარგული მელექსე უსათუოდ ქალი იქნებოდა („დავხვიენ მანდლის პირშია“ — ამ სიტყვებს ვერაფრით ვერ მივანერთ ხევისჭერ მამრს).

ვინ იცის, ამ ნახევარი საუკუნის წინათ ეგებ შეგვხვედრია კიდევ შატილსა თუ არხოტში ჩასულებს ეს დაკარგული მელექსე — დაბერებული დედაკაცი...  
ლექსო, ნუ დაიკარგებიო — რა მოხდენილად, გულში ჩამწვდომად უთქვამთ. ლექსი, მადლობა ღმერთს, არ იკარგება, მაგრამ მელექსე რომ დაიკარგა, განა არ არის დასანანი? მელექსემ ნეტავი რა დააშავა?!

ეგებ სწორედ ამ ლექსმა, „ძმანი სულეთში“ რომ დაერქვა, ათქმევინა გიორგი ლეონიძეს ეს უცნაური ჰიპერბოლა: „**რა საჭიროა ლექსისთვის ტაში, ყველა ხევისჭერი, ვიცი, დანტა**“. მართალია, ეს ლექსი დათარიღებულია 1930 წლით, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ დიდებული ქართველი პოეტი აკაკი შანიძის მიერ შეკრებილ მასალებს გამოცემამდე გასცნობოდა, რადგანაც იგი თანამშრომლობდა კიდევ ფშავეხევისჭერი ფოლკლორის ამგადართან, რასაც გვამცნობს აკაკი შანიძის შენიშვნა: „გ. ლეონიძემ გადმოცა კრებული მისი დავალებით ფშავეხე ჩაწერილი ლექსებისა (ნახე ბენუკლიშვილი შ. და რაზიკაშვილი ლ.)“.

და როდესაც ვნახავთ შალვა ბენუკლიშვილისა და ლევან რაზიკაშვილის ნაღვანს, ხელთ შეგვრჩება მართლაც რომ მარგალიტი ანუ უნიკალური, უპარალელო ტექსტი: „**სევდამც გე-**

**ცემის ზურაბო! დაგლევედამც სისხლის წყალა!**“ და ვარიანტებიანი ლექსი, ხევისჭერზე ზურაბ ერისთავის გალაშქრებას რომ მოგვითხრობს (1-17 სტრიქონები ლევან რაზიკაშვილს ჩაუნერია და 18-27 სტრიქონები — შალვა ბენუკლიშვილს).

სახელოვანი იტალიელი პოეტი, რომელმაც იმოგზაურა სულეთში, უზარმაზარ კლდედ არის შერაცხული და მასთან აბა რა მოსატანია ის უცნობი ხევისჭერი მელექსე, რომელსაც ოცნებად დარჩენია თვალის შევლება სულეთს წასული თავისი ძმებისათვის, მაგრამ, ვაჟისი არ იყოს, ვეფხვი და კატა ხომ ერთი ჯიშისა არიან და პანია კენჭად ჩვენი დაკარგული მელექსის თქმულიც ჩაითვლება, კონსისტენციით სალ კლდეს რომ არ ჩამოუვარდება, ერთი მოდგმისა არიან, განსხვავება მხოლოდ მასშტაბებშია.

განა არ ადასტურებს ამ ლექსების სიდიადეს ის ფაქტი, რომ ერთდროულად (თითქოსდა ერთმანეთს შეუთანხმდნენო) ხდება მათი ესოდენ მაღალი შეფასება, როდესაც დიდებულ ქართველ მეცნიერს რუსთველი და ვაჟა აგონდება, ხოლო დიდებულ ქართველ პოეტს — დანტე ალიგიერი.

ერთობ უბრალო და ნაცნობი განცდა ამეტიყველებულა დაკარგული მელექსის დაუკარგავ ლექსში, ამ განცდას, მრავალთა ეგულებში მრავალგზის აღძრულს, ეგებ ამიტომაც ტრივიალური ვუნოდოთ, არ ახალია, ძველიაო, მაგრამ თქმასაც ხომ გააჩნია! ათასში თუ ასი ათასში ერთი გამოჩნდება ხოლმე და ათასთა ნაფიქრალს, ათასთა განცდილს ისე იტყვის, რომ საყვირი გახდება მათი, ხატოვნად იტყვის, ლექსით თუ პროზით, ისე იტყვის, რომ სხვას ვერავის დაესიზმრებოდა ასეთი ნათქვამი („**დავხვიენ მანდლის პირშია თმანი უნცროსის ძმისანი**“), ოღონდ ის სხვა, ათასი იქნება



მხატვარი ნინო მამაცაშვილი

თუ ასი ათასი, უჭოჭმანოდ თავის ნათქვამად აღიქვამს, გულთან ახლოს მიიტანს, გულში ჩაიკრავს, დაიზეპირებს და ეგებ ისიც იფიქროს, ალაღად და დაუმორცხვებლად, ამას ხომ მეც ვიტყვოდი, დრო და ხალისი რომ მქონოდაო.

ამ მტივიანულ განცდას, აუხდენელი მონატრება რომ ახლავს, ყველასგან გამორჩეული და ყველაზე აღმატებული ძეგლი აუგო ტომას ვულფმა თავის გენიალურ მოთხრობაში „დაკარგული ბიჭი“.

ალბათ გახსოვთ ამ მოთხრობის ფინალი, სსოვნის უძვირფასეს კუნჭულებში რომ აღბეჭდილა: „**ამიერიდან იუჯინს ეცოდინება ძმისა და მეგობრის შავი თვლები, მშვიდი სახე, — საბრალო ბავშვი, ცხოვრებისაგან გარიყული და ცხოვრებიდან განდევნილი, ყველა ჩვენგანივით დაკარგული, დიდი ხნის წინათ ბნელ ლაბირინთებში არარაობად ქცეული, — დაკარგული ბიჭი ადამიანის მეხსიერების უღრანი, ჯადოსნური ტყიდან სამუდამოდ გაქრება და აღარ დაბრუნდება**“ (თარგმანი ციალა თოფურაძისა).

დიდებულმა ამერიკელმა მწერალმა უკვდავი ძეგლი აუგო არა მარტო თავის ღვიძლ ძმას, უდროოდ დაღუპულ თორმეტი წლის გროვერს, არამედ ყველას, დაკარგული ბიჭები რომ ჰქვიათ, დაკარგულნი ომსა თუ ომზე უარეს მშვიდობაში; და მათ მიეთვლება სულეთში წასულ ძმებზე, თავის დაკარგულ ძმებზე ხმით მოტირალი ხევისჭერი მელექსე-ქალიც, უიმედოდ დაკარგული ჩვენი თვალსაწიერიდან.



ლია მოლარიშვილი

# „ეკიუბლე და ჰპოვებლე“

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

- სიცოცხლის აზრის არქონა.
- სად ისურვებდით ცხოვრებას?
- მიუხედავად ჩემი „დასავლელიობისა“ (გურული ვარ), საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში.

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

- თავისუფლება.
- თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?
- მერკუციო, სირანო დე ბერჟერაკი, რობინზონ კრუზო, ზვიადური, ლერმონტოვის დემონი, ჯეკ ლონდონის მექსიკელი, მარო ვარგას ლიოსას მარო ვარგასი...

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

- ორი ნამდვილად „სახალხო“ მეფე: ვახტანგ გორგასალი და ერეკლე მეორე.
- თქვენი საყვარელი მხატვარი?
- მოდილიანი.
- თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— ქართული საგალობლებისა და სიმღერების უსახელო ავტორები.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად კაცში?

- მამაკაცურობას, რაც თავის თავში შეიმცნებს: ძალას, ღირსებას, რაინდობას; ვაჟკაცობის ყველა მახასიათებელს... აი, რემარკის გმირების მსგავსად.
- რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?
- ქალურობას, რაც ასევე თავისთავად ნიშნავს: სინაზეს, თავდადებას, უანგარო სიყვარულის ნიჭს...

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მთავარი?

- სიკეთე და თავმდაბლობა.
- თქვენი საყვარელი საქმიანობა?
- წერასავით არაფერი მიყვარს (დრო და განწყობა თუ მოვიხილოთ). ისე კი, როგორც ოთარ იოსელიანი ამბობს: „არის ასეთი საოცარი საქმიანობა — უქმად ყოფნა. უქმად ყოფნა წესიერი ხალხის გარემოცვაში — რა შეიძლება იყოს უკეთესი?“

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდობდათ ყოფილიყავით?

- არც ერთი. ამაზე არც კი მიფიქრია.
- თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?
- რაც ვარ, ეს ვარ — არ ვიცვლები და ალბათ, ეს არის მთავარი თვისება.
- რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?
- შეხედულებათა თანხვედრას. მეგობარი აუცილებლად ჩემი თანამოაზრე უნდა იყოს.



- თქვენი მთავარი ნაკლი?
- როგორც მეუბნებიან: ჯიუტობა და სიზარმაცე.
- თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?
- სულის სიმშვიდე.
- რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?
- მარტობა.
- როგორი გინდობდათ ყოფილიყავით?
- ახლა ისეთი დროა, მხოლოდ ფანტასტიკურ ძალას თუ ინატრებ. აი, პეტი გრძელიწინდასნაირი რომ ვყოფილიყავი!..
- თქვენი საყვარელი ფერი?
- ღია ულტრამარინი.
- ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?
- ია.
- თქვენი საყვარელი ფრინველი?
- ტოროლა.
- თქვენი საყვარელი მწერალი?

- სიგრიდ უნსეტი.
- თქვენი საყვარელი პოეტები?
- მარინა ცვეტაევა, ანა კალანდაძე, ეთერ თათარაიძე.
- საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?
- ელიზაბეტ ბენეტი, ტატიანა ლარინა, ფრეკენ ჟიული, ოლა ბებია...
- საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?
- ყველა მრავალშვილიანი ქართველი დედა.
- საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?
- თამარ მეფე.
- საყვარელი სახელები?
- დავითი, ლუკა, თინათინი, ეკატერინე, მარიამი.
- რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?
- უსამართლობას.
- ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?

— ყველა, ვინც საკუთარი ქვეყნის თავისუფლება გაყიდა; ქართველიც და არაქართველიც.

— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტ-ნაკლები ალტაცებისა?

- კახეთის აჯანყება 1659 წელს.
- რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?
- რუის-ურბნისის კრება.
- ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?
- ცეკვის ნიჭი (და თუ ნატვრათა, პლისეცკიას ან მაქსიმოვას რანგში).
- როგორი გინდათ, რომ გარდაიცვალოთ?
- სიცოცხლის წყურვილით აღსავსე.
- თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?
- იმედი და მოლოდინი...
- ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებს?

- ნებისმიერი უგუნურება, დანაშაულიც კი — თუ სინანული ახლავს.
- თქვენი დევიზი?
- „ეძიებდე და ჰპოვებდე.“
- თუკი ოდესმე შეხვედბოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?
- არაფერი. მინდა გამიღიმოს და ხელი გამომიწოდოს.

ნინო ბაქანიძე

# ახალქალაქის ძველი სიმღერა

(ზაფხულის ჩანახატები)

ქართლის უმშვენიერესი მარგალიტი — ახალქალაქი, პირქუში მთებით შემორაგებული და საგულდაგულოდ დაცული განძი სხვა გარე სამყაროსგან. ამ სოფელში განსაკუთრებული აურაა დავანებული. ჰაერში და მოშრიალე ფოთლებშიც კი თითქოს გარდასული დროის სურნელს შეიგრძნობ. ანდამატივით გიზიდავს თითოეული სახლი და ეზო-ყურე, თუნდაც დანგრეული და გაუდაბურებული. არც ადამიანების ღუხჭირი ყოფა და მათი სევდანარევი ლილილი გიმღერებს მზერას. გარეგანი „სილატაკე შინაგანი დიადი სისუბტაკის სანინდარიო“, უთქვამს ერთ პოეტს და რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს გარე სინამდვილე, იმდენადვე ტკბილია საოცარი ბუნებრიობისა და მიწასთან სიახლოვის განცდა — იმ მიწასთან, რომელზეც დღესაც დაბინძურებენ წინაპართა აჩრდილები. დიას, ისინი ჩვენს შორის მყოფობენ და წარსულის გააზრებაში გვეხმარებიან. ანმყო უბრალოდ ათვლის წერტილია, საიდანაც ბრუნდება წარსულში და შორეულ მომავალშიც იხედები. აი, ეს არის იმ განსაკუთრებული აურის სანინდარი, რომელსაც მყისიერად შეიგრძნობ, თუკი წინაპართა დატოვებულ მინიშნებებს მთელი არსებით გაითავისებ. ერთს თუ შეხედავ თევდორე მღვდლისა და ღვთისმშობლის ეკლესიებს, ძველი გალავნის ნანგრევებს, მთის წვერზე ამოზიდულ, თითქოს ზეცასთან შერწყმულ უძველეს სალოცავს, გაგიჭირდება იმის გარკვევა, სად იმყოფები: სოფელში თუ ზესთა-სოფელში?! იქნებ — ორივეგან?! იქნებ — ცისა და მიწის გასაყარზე?! სად გადის სანუკვარი მიჯნა ამიერსა და იმიერს შორის?! მიაპყარ შინაგანი მზერა მდინარე თქვამს, მიაპყარ შინაგანი ყურე მის სევდიან თუ მრისხანე მზუილს და მიხვდები, რომ ეს სწორედ შენთვის ძვირფასი ადამიანების ხმებია. აი, ის საოცარი მიჯნა, რომლის წინაშე მყოფიც რწმუნდება, რომ მუდამ აქ უნდა დაბრუნდეს, რომ სხვაგვარად არ შეგიძლია. უნებლიეთ მოგესურვება, დასწვდე მდინარის პირას ოღრო-ჩოღროდ ამოჩრილ რიყის ქვევს. ჰოდა, აილე ხელში ერთი მათგანი და ინახე, რომ მოქანდაკე არა ხარ, ინახე, რომ მჭატივარი არა ხარ, არც პოეტი ხარ და არც მისანი. უბრალოდ, აილე ქვა და მოუსმინე. ის გეტყვის, რომ წლების წინ ჯაფით დამაშვრალ მამას მასზედ თავისი ნაკვალევი დაუმჩნევია. აი, ის, უფრო მოზრდილი რიყის ქვა გაიმბობს, თუ როგორ ჩამოჯდებოდა ზედ ჭარმაგი მამა და დადილობის მიუხედავად, ცელქ შვილიშვილებს გაეთამაშებოდა. აი, მოხუცი ბლით დახუნძლულ ტოტს აწვდის პანაი ბიჭს, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევს. შვილი კი ეუბნება: „მამა, მათ ამ ტოტით ვეღარ გააკვირვებ. ამ ბავშვებს ბანანი ურჩევნიათო“. ეს მწარე სიმართლეა და რიყის ქვას ეს მწარე სიმართლეც კარგად ახსოვს (ნეტა, ბავშვებს თუ ახსოვთ?!). ახსოვს, როგორ უახლოვდებოდა სადად და სუფთად ჩაცმული ქალი, ჩაფიქრებული მზერითა და ოდნავ შესამჩნევი ღიმილით. ეს დედაა. ისეთი პენიანია, თმაც ისე კოხტად გადაუვარცხნია, ვერც იფიქრებ, რომ მთელი დღე მინაზე დახრილს გაუტარებია. ეს დედაც არის და ადგილის დედაც, ბუნების ორგანული ნაწილი. დღეს კი თუქამის ხეობის ნიავე გაიმბობს მის დიდებულ უბრალოებაზე, თუქამის ტალღები გაიმბობენ მის ჭირთათმენაზე. სხვებიც აქ არიან: ნათესავები, მეზობლები, ახლობლები. აქ არიან, აქვე არიან და შემოგაქვრიან — შენ, წარმავალს, ვინ — ტალღებიდან, ვინ — ფოთლებიდან, ვინ — ბლახიდან, ჩიტის თუ პუპლის იდუმალი მოძრაობებიდან. ეს თუქამია — წყლის სიმფონია, ჩემი სოფლის სასიცოცხლო არტერია, სოფლისა და ზესთა-სოფლის გამყოფიც და შემაერთებელიც.

ჰოდა, დაბრუნდი, შენ, წარმავალი ადამიანო, დაბრუნდი უკან, ეზიარე შენს წყალს და მიწას, შეენივთე დედა-ბუნებას, რომ მერე და მერე, თვალეზიარე, უსასრულობაში სავალი გზა გაგაიადვილეს!

## სოფლის ღამეულ ბილიკაჯა

იმისათვის, რომ გაიგო, ვინა ხარ და სადა ხარ, ღამით ახალქალაქის ვარსკვლავებით მოჭედებულ ზეცას უნდა ახედო. გეგონება, თავზედ ერთი კი არა, უამრავი მთვარე დაგნათის. ისინი საუკუნო მოთმინებით ქსოვენ სიზმრის ბადეებს და გელიან, როდის ჩაიძირები ძილის მორევში, რომ ერთმა მათგანმა, აი, იმ შენმა მთვარემ შენთვის მოქსოვილი ვერცხლის ბადე საბნად გადაგაფაროს; მაგრამ შენ თვალებს არ ხუჭავ, ვინაიდან ისედაც სიზმარში ხარ და დაჟინებით აპყურებ ზეცას. სიზმრის ბადე არ მჭირდება, მთვარევე; იქნებ შენი ოქროს დალალები ჩამოუშვა, ან ბადის ნაცვლად მანათობელი კიბე დაიშინა, რომელსაც ამოვყვები, ამოვყვები და... შენთან გვეჩნდება. ისე, არც კიბე მინდა, ჩემო მთვარევე და არც შენი დალალების გატკეპნა მსურს. მე ხომ ისედაც მანდ ვარ. აი, ახლა, ამ წუთში დიდი დათვის თანავარსკვლავედს ვუახლოვდები. რაო? რატომ ვერ ვისვენებ? მინაზე რატომ ვერ ვჩერდები? აი, რატომ: გუშინ ღამით ჩემი აივნიდან დიდი დათვის თანავარსკვლავედს რომ გავყურებდი, დავინახე, ამ გიგანტურ ციციხეში როგორ მყუდროდ მოკალათებულიყო პანია გოგონა, როგორ ტკბილად ეძინა და ძილში რაღაცას ტიტინებდა. ეს ხომ მე ვარ. ამ ციციხეში მთელი ჩემი ცხოვრებაა ჩატეული. მარტო ჩემი არა — უსასრულო სამყაროს იმ ნაწილისა, რომელსაც მე ვეკუთვნი. ჰოდა, გადავწყვიტე, ამ უსასრულობას ვეზიარო, ჩემი აივნის სასრული მიჯნა გადავლახო. ამიტომაც არ მინდა ძილი. ძილი სიკვდილია, უკუენითია. ნუ გამინყრები, მთვარევე, შენი გამოგზავნილი სიზმარი თუ ავირიდე. სიზმარი, თუნდაც ყველაზე ღამაზი, მაინც ცხოვრების ანარეკლია და არა თვითონ ცხოვრება. მე კი ჯერ ცხოვრება მსურს. იმისათვის, რომ მინაზე მართლად იარო, მთვარეზე გავლაც უნდა შეგეძლოს და ვარსკვლავების ლაბირინთებში ბორიალიც. აი, ახლა დედა გამოჩნდა. დასწვდა ამ გიგანტურ ციციხეს და ზეცის გულს ღლინ-ღლინით ამოურია. ოჰ, რა კარგია, რა მსუბუქად ვირნევი აქეთ-იქით, ციციხეში მყუდროდ მოკალათებული. დედა ღამის ზღაპარს იმამბობს. აბა, როგორ დავიძინო მთვარევე, არ მსურს, დედის იავნანიდან თუნდაც ერთი ბგერა გამომრჩეს. ღამეულ მელოდებს თუ არ ეზიარე, დღისით რეალური ცხოვრების გაგრძელება გაგიჭირდება. ერთი კია, ყველგან ამას ვერ მოახერხებ. ქალაქის მტვრით დაბინდული თვალეზი ღამით უნებლიეთ გეხუჭება და იძინებ, იძინებ საზიზლარი, უშინაარსო ძილით. იძინებ იმისათვის, რომ დილით ადგე და ავეჯზე მტვერი გადაწმინდო. სოფელში კი უძილობა გირჩევნია, იმისათვის, რომ აივანზე მდგომმა ვარსკვლავების მტვერი რაც შეიძლება ღრმად შეისრუტო. ღამე ცხოვრება გრძელდება. გიგანტურ ციციხეში დულს და გადმოდულს მთელი სამყარო. იქ მეცა ვარ, იქ ყველა — ყველა, ვინც მიყვარს, ვინც ჩემიანია, ვინც იყო, არის და იქნება. მთავარია, არ შეშინდე, ჩამჩურჩულებს დედა, წარსულის ლანდები ისე ახლოს მოდიან შენთან, რომ ამას უნდა გაუძლო. ეს ტკივილიანი, შიშნარევი სიხარულია. როგორც ყოველთვის, მართალი ხარ, დედა, ვამბობ მე და ჩემი სახლის აივნიდან კვლავ დაჟინებით გავყურებ ზეცას. საცაა ინათებს. ახლა შეიძლება ცოტა წაუფიქრო კიდევ. არა უშავს, თუ ბიოლოგიური რიტმი ირღვევა. აბა, სხვაგვარად ვერც ზეციურ რიტმს ეზიარები და ვერც ჭრიჭინების სიმღერას გაითავისებ. ვარსკვლავები და ჭრიჭინები ხომ მუდამყამს ასე შესმატკბილებულად მღერიან...



## ჩაუმიქრალ კერიასთა

საუკუნოვანი სახლი მიძიმედ სუნთქავს. ის ღრმად ჩაისუნთქავს დღევანდელ დღეს და ოხვრა-კენესით ამოისუნთქავს გარდასული დროის მოგონებებს, ოჯახის ოთხი თაობის ისტორიას, ახალქალაქის ისტორიას, „მეფეთა ქალაქად“ წოდებულისა, რომელიც XVII საუკუნეში, 1634 წელს გაშენებულა თეძამის უმშვენიერეს ხეობაში. ეს ამბები სახლმაც გადმოცემით იცის. საიდან იცის? სახლი თითქმის ყოველდღე ისმენს სოფლის ამასოფლიურ ამბებს, რომელთაც მის პირდაპირ აღმართული თევდორე მღვდლის ეკლესია აქამდეც უამბობდა და დღესაც უამბობს. ეკლესია ყველაზე უკეთ ინახავს გარდასული დროის სურათ-ხატებს. ის XIX საუკუნის დასაწყისში აუგიათ და მერე, ამ სახლის პირველ მადლცხებულ მეპატრონეს სწორედ მის პირდაპირ დაუდია ბინა. „მეფეთა ქალაქი“ იმთავითვე სტრატეგიული, სავაჭრო, სამხედრო და პოლიტიკური ცენტრი ყოფილა, სადაც თავს იყრიდნენ საქართველოს სამთავროებიდან, ასევე მეზობელი სახელმწიფოებიდან სხვადასხვა აღმსარებლობისა და სოციალური წრის ადამიანები. ასე მიაბობენ დები, საუკუნოვანი სახლის, მისი ჩაუმიქრალი კერიის დღევანდელი მფარველები. თევდორეს მადლი დასდენია მათ ჭერსა და ფუძეს. მღვდელმა თევდორემ არასწორ გზებზე ატარა მტერი. მეზობელი სახლის ბინადართ კი მუდამ სწორ გზას უჩვენებდა. დღეს ამ სხიფენილ გზას მიუყვებიან დებიც — მარინა და მაია, ახალქალაქის, „მეფეთა ქალაქის“ ორი თვალი, ადამიანობის, სინაზისა და სიკეთის ორი სიმბოლო. „მაია“ მინის სიმბოლოცაა. ალბათ, ამიტომ თეძამისპირა ბაღში უმშვენიერესი ყვავილნარი გაუშენებია. მოხუცი სახლის ირგვლივაც თავს იწონებენ მაიას ხელით დარგული ვარდები, ტიტები, პიონები, ტყის მიხაკები. აქ სუმბულსაც ნახავთ და იასამანსაც. მარინა და მაია უჩუმრად, სიყვარულითა და მოთმინებით დასტრიალებენ თავიანთ ეზო-ყურეს. უხარია ძველ სახლს, ასე რომ აკრიალებენ და ამკობენ მისი დღევანდელი მეპატრონეები, სიცოცხლეს უხანგრძლივებენ, ფერად-ფერადი ყვავილებით რთავენ. სოფელში ბევრი საქმეა, მაგრამ ყოველი საქმე, რასაც დები ხელს ჰკიდებენ, უმაღ ხელოვნების ნიმუშად იქცევა. ნებისმიერ საქმეში თუ სიყვარული, სული და გული არ ჩადე, სასურველ შედეგს ვერ მიიღებ. დებს ეს „არ უსწავლიათ“, ისინი უბრალოდ, ასე ცხოვრობენ; ცხოვრობენ და საუკუნოვან სახლსაც „აცხოვრებენ“. ამ სახლის კარი მუდამ ღიაა, ეკლესიის კარი კი — მუდამ დაკეტილი. თევდორე მღვდლის ეკლესია შველას ითხოვს. ის ძველი დროის მემკვიდრეა, მაგრამ დღევანდელი დღითაც სურს ცხოვრება. ეკლესიის მითითებით ქვა ღაღადებს და მოსთქვამს. მარინა და მაია მის დახმარებულ, მოტირალ კედლებთან მუდამ ანთებენ სანთლებს, ეფერებიან, დარდს უქარვებენ და... თითქოს მათ თვალწინ კედლებს ცრემლი აშრება, ქვებიდან ღვთიური მადლი გადმოდის. ამიტომაც ამ უბანში სრულიად განსხვავებული, მისტიკური აურა. სახლსა და ეკლესიას ისეთი ვიწრო გზა ყოფს, რომ ორი მანქანა ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლის. ვერც უბანში დავანებულ უცნაურ განცდას აუვლის გვერდს ნებისმიერი გამვლელი. ყველამ იცის, რომ აქ დები ცხოვრობენ, ჩაუმიქრალი კერიის, მათი ოჯახის ისტორიის და დღევანდელი დღის მცველები: მარინა და მაია, ახალქალაქის, მათი მშობლიური კუთხის ორი ნაღდი პირმშო, „მეფეთა ქალაქის“ ორი უგვირგვინო მანდილოსანი. მათ ქალობას ლოცავს თევდორე მღვდლის ეკლესია, მათ შრომასა და რუდუნებას ლოცავს საუკუნოვანი სახლი, ლოცავენ წინაპრები და ამ ლოცვას ახლა, ამ წუთშიც ჩურჩულით იმეორებენ ბაღნარში გადაფურჩქნული უმშვენიერესი ყვავილები...

ირაკლის თვალეში  
არაკლილი საყვარო

— ირა, გათენდა, გაიღვიძე, თვალი გაახილე! ირა, ირა...  
ცეცხლოვანი ისრები ფანჯრის მინებს ხეხეთქებიან, ტკრცია-ლებენ, სიცილ-კისკისით იმსხვრევიან და რაკილა მიზანს სცდებიან, უმისამართოდ იფანტებიან ჰაერში. ჯერ ისრების წვიმა მოდის, მერე ოქროსფერი ტალღების ლაშქარი გამოიშლება. სიმღერ-სიმღერით მოინვენ ნინ, გამჭვირვალე მინაზე ზღაპრულ ფიგურებდა იმლებიან და... კვლავ უმისამართოდ ქრებიან; მაგრამ ეს მაინც გამარჯვებისა და სიხარულის ჰანგებია.

— ირა, გათენდა! მე უკვე აქ ვარ. თვალი გაახილე, ირა...  
ირაკლის კარგა ხანია, ღვიძავს, მაგრამ თვალებს არ ახელს. ის ფერადოვან სურათებს ხატავს. საღებავები არ სჭირდება, არც ფუნჯი, არც ტილო. ის სულის ტილოზე ხატავს და ხატავს... ოქროცურვილი ათინათები ქუთუთოებზე ეღვრება და ელამუნება. ეშინია თვალის გახელის, ვაი, თუ...  
— ირა, გძინავს? რა ხანია, გათენდა! შეხედე, მზეს ცეცხლი უკიდია. ბაღში კი ათასი საქმეა.  
ეს უკვე მზიაა. ის ფანჯარას ალებს და ოქროსფერი ტალღები ოთახში იღვრებიან. აქეთ-იქით აცეცებენ თვალებს ონავარი ტალღები, მერე სიცილ-კისკისით ცოცდებიან კედლებზე. კედლები ხომ მხატვრის ტილოებიტაა მოფენილი. ძირითადად ქართლის პეიზაჟებია, უფრო მეტად — ახალქალაქის სურნელი იგრძნობა. ჰოდა, ამ მათრობელა სურნელს ეტანებიან ხარბი ტალღები. შედიან სურათებში, აქეთ-იქით ძრომილობენ და აქოჩრილ ხეებსა თუ ყვავილებში განიბნევიან. მერე რა, რომ ყველა სურათში ვერ ასწრებენ დავანებას. ეს ხომ ცხოვრებაა! ცხოვრებაში ბნელიც ბევრია და ნათელიც. მთავარია, შენ რომელს დაინახავ: ოქროსფერი და ცისფერი — მაინც ეს ფერები სჭარბობს ტილოებზე.

ირაკლი თვალებს ახელს. ის ხედავს მზიას. მზერა ხედავს ცხრათვალა მზეს. ორი თვალთ მძნელია ცხრათვალა მზის ყურება, მაგრამ... მზია იღიმება. მზეს კი სალალობოდ არ სცალია. ის ონავარ ტალღებს ოთახიდან ერეკება: გეყოთ, იკმარეთ ცეკვა-თამაში. გარეთ გამოდით... აცალეთ კაცს!  
ირაკლი ბაღშია. ხელში თოხი უჭირავს და გულმოდგინედ ამუშავებს მინას. ოქროს ტალღები მინიდანაც ამოდიან. ხან იქ გაკრთებიან, ხან აქ... ახალქალაქის მინაში ხომ მზე სულ სხვაგვარად იღვრება. ამიტომაც მოინვეა იქიდან ამდენი ბარაქა.  
მიდი, ირა, მიჰყევი ოქროს ბილიკს. აი, იმას, შენმა მიშკო-მაც რომ მოიხილა და ტილოს შეანივთა. მიდი, მიჰყევი კვალს. შენს ხელში თოხიც კი ჯადოსნური ფუნჯია. ამოაბრუნე მინის გული, სულის მზერით დაინახე, რა ხდება ქვეშეთში.  
— მე და ალეკო მოვედით, მამა! — ეს ნათელია. ნათიაში გადამტყდარი მზის სხივია.  
— მალე მოვრჩები შვილო საქმეს. თქვენ დაისვენეთ. ამოვალ და ვილაპარაკოთ.  
— ნუ ჩქარობ, ირა, ოქროს ბილიკს მიჰყევი. ჯერ კიდევ ბევრი გაქვს გასაკეთებელი! — ირა თოხნის. ის მაინც ჩქარობს. ურჩევნია, თოხი გადადოს და ფუნჯს მოჰკიდოს ხელი.  
— უჩემოდ ფუნჯი მუნჯია! — იცინის მზე. მზიაც იქვე ფუს-ფუსებს. — თქვენ იმუშავეთ, მინა კარგად დაამუშავეთ. ამასობაში შენს ტილოებს ჩემი სხივები მოხატავან. — განაგრძობს ტიტინს მზე. ირა და მზია მინას ჩასცქერიან და მზეს ხედავენ. უხარიათ, ძალიან უხარიათ, რომ სახლის ბანზე თამაში მზერაწული, მზის სხივით ჩამოქნილი ქალი დგას. ეს მზე კი არა, თურმე ბაღლი ტიტინებს, ახალგაზრდა დედის რომ ჩაუკრავს გულში. ისინიც ოქროს ბილიკს გაჰყურებენ. ნათია და ალეკოც აქ არიან. ნათელი არღვევს ბნელს. ეს ერთი დიდი ოჯახია. ერთი პატარა მზეა. ირაკლი დაღლას გრძნობს. აბა, რა იქნება... ამასობაში ჯადოსნური ფუნჯი კვლავ თოხად ქცეულა და ხელში დამძი-

მეგობარს ირაკლი თავს მალა სწევს და ცას უყურებს. მზე უკვე ნება-ნება კრებს ცის კაბადონზე ოქროს თავთავებს. ისიც დაილა-ლა; მაგრამ ვიდრე ცხრათავალა მზე ცხრავე თვალს დახუჭავს, ირა მოასწრებს ფუნჯის ალბას დაკოჭრილ ხელში. თუ ვერ მოასწრებს, მზე ერთ სხივს მაინც გაიმეტებს მისთვის, რომ მერე დალილმა, დამძიმებულმა მზერამ სულის ტილოზე განაგრძოს ხატვა... თოხი მძიმედ ეცემა მიწაზე. ირაკლი დგას დედა-მინაზე და შეჰყურებს ჩამავალ მზეს. თითქოს მზესაც ენანება მასთან განშორება. მზიაც იქვე დგას და შეჰყურებს ირას. ირას კი ეჩვენება, რომ მზე რალაცას ამბობს, დაპირებულ სხივს თვალეში სტყორცნის და პოეტის სიტყვებით ემშვიდობება:

**თვალი მზიური არ ყოფილიყო,  
მზეს ვერასოდეს იხილავდა.**

**ამაოების ბაზრიდან  
ახალქალაქის ბაზრამდე**

შევეყრებ ჩემს ბაღში ვაშლითა და მსხლით ტოტებდაზნექილ ხეებს და სიამოვნებით ვფიქრობ, რომ ახალქალაქში გატარებული ყველა დღე მართლაც ტკბილი წვენი გაჯერებული ამ ნაყოფებივით სავსეა, მაგრამ კვირა დღე ჩემს სოფელში მაინც განსაკუთრებულია. ეს ბაზრობის დღეა. მთელ რაიონში ერთადერთი დღე და ადგილი. ამიტაც გამორჩეულია ჩემი სოფელი. სისხამ დილიდან ისმის ურმების ჭრიალი, მანქანების ქშენა-გუგუნის, ადამიანების გადაძახილ-გადმოძახილი. სოფლის ვინრო შუკები ვერ იტევენ მოზღვავებულ ხალხს. საიდან არ მოდიან: ერთანმინდიდან, ნოსტედან, ახალციხიდან, ხანდაკიდან, კავთისხევიდან, მეტეხიდან. თბილისიდანაც კი უამრავი ხალხი ამოდის. ქართლში ყველამ იცის, რომ ჩვენს მიწაზე განსაკუთრებული, ხვავიანი მოსავალი მოდის.



მხატვარი ბერდია არაბული

კვირა დილაა. უსიამოვნოდ ჟინჯულავს. შავი ღრუბელი ჩამოსწოლია თეძამის ხეობას. მე მაინც მივდივარ ბაზრობაზე. მივუყვები ხეობის ბილიკს და ვფიქრობ, რა მშვენიერი მოთხრობის დაწერა შეიძლება ახალქალაქის ბაზარზე. სადაცა ხეობას გავცდები და სოფლის ცენტრში ამოვყოფ თავს. მაგრამ ამ დროს ვილაცის ხმა მესმის:

- საით გაგინევია, ბაზარში ხომ არა?!
- დიას, ბაზარში... — ვჩერდები და დაბნეული ვიხედები აქეთ-იქით. არავინაა.
- ნეტა იქ რა დაგრჩენია? შენც ეხლა ვაჭრობისა რამე არ გაგეგობოდეს! — მესმის იგივე დამცინავი და უტიფარი ხმა.
- მე... მაინც...
- შენ მაინც არ ისვენებ. თუმცა ქალაქელებს საერთოდ ასე გჩვენიათ. ყველგან ეგზოტიკას და რომანტიკას ეძებთ. სოფლის ბაზარიც ამიტომ გაინტერესებთ. იმას კი აღარ კითხულობთ, როგორ უჭირს ხალხს, რა პირობებში უხდებათ გლეხებს ცხოვრება და შრომა. ან თუ გიკითხავს, რა ხდება ბაზარში? რომანტიკაც ეგეთი უნდა. ათასი ჯურის თაღლითი და მატყუარა იყრის იქ თავს. ესაია გაიხსენე: „რო-

გორ გავამართლო ბოროტეული სასწორი და ქისა მატყუარა საწორით?“ (6. 10)

— შენ კიდევ, ვილაცა ხარ, სოლომონის იგავები გაიხსენე! — თანდათან ვბრაზდები მე — „სწორი სასწორი და საწყაო უფლისაა. ქისის ყველა საწორი მისი საქმეა“ (16.11) და, საერთოდაც, ვინ ხარ?!

— წინ დაიხედე! — კვლავ მესმის გამყინავი ხმა. გაცეცხული ვიხრები. ახლალა ვამჩნევ, ჩემს ფეხებთან პატარა, გაბზარული სარკე გდია. აი, თურმე ვინ წინინებდა! ფრთხილად ვიღებ ხელში, ნესტიან მინას ვაცლი და შიგ საკუთარ გამოსახულებას ვხედავ. ჩემი სახე ისეა ბზარში გადამტყდარი, ისეა მიღრეცილ-მოღრეცილი, რომ უნებლიეთ მეციინება.

— იცინე, იცინე! — მეუბნება სარკე თუ ჩემი დაღრეჯილი ორეული, — ამაოების ბაზარზე რომ მიდხარ, ან უნდა იცინო, ან — იტირო. მეტი რა დაგრჩენია? თუმცა მთელი ცხოვრება ისედაც ამაოების ბაზარია. მაინცდამაინც ახალქალაქის ბაზარზე რომ არ გახვიდე...

— უკვე თავი მომაბერე! — ვცხარობ მე — ჩემი საქმისა უკეთ ვიცი.

— ჰო, რა თქმა უნდა, — ირონიულად მეთანხმება სარკე — მოიცა, მოიცა, როგორ იწყება შენი მოთხრობა? — ახალქალაქში გატარებული ყველა დღე ტკბილი ნაყოფით სავსეაო, კვირა დღე მაინც განსაკუთრებულიაო... ნეტა, ვის ატყუებს? საკუთარ თავს? მკითხველს? ვინ დაიჯერებს მაგ აბდაუბდას?!

— დიას, ახალქალაქის ბაზარი განსაკუთრებულია, —

ვჯიუტობ მე — თუნდაც იმიტომ, რომ მთელ მხარეში ერთადერთია. ქალაქიდანაც კი ამოდიან...

— „რადგან ქალაქის მდიდრები აივსებიან დატაცებულით. მისი მცხოვრებნი ტყუილებს ლაპარაკობენ და ცრუა მათი ენა მათ პირში“. ეს კვლავ ესაიაა (6. 12). გაბზარული ხმით მაჩერებს სარკე.

— მაშ, რა ვქნა, არ წავიდე?  
— შორს წასვლა არ გჭირდება. კარგად ჩახედე ჩემს ფსკერს და ყველაფერს დაინახავ.

დაკვირვებით ვაცქერდები სარკეს. ჩემს თვალწინ ბაზარი გადაშლილა. უამრავ ხალხს მოუყრია თავი. ზოგი ყიდის, ზოგი ყიდულობს. ზოგიც სეირის საყურებლადაა მოსული (შენსავით! — მეჩრება სარკე). აი, ბაზრის კუთხეში მოხუც კაცს ვხედავ. ეს მეტეხელი ძია გაბოა, ჩემი ძველი მეზობელი. მეტეხი ბავშვობის ზღაპარია, ახალქალაქი — დღევანდელი დღე და ხვალინდელი დღის იმედი.

— შენც აქა ხარ, ძია გაბო, ქალაქში აღარ წახვედი? — ვეკითხები მე.

— არ მიყვარს ქალაქი, — ბუზღუნებს გაბო, — მოვა ვილაც ფრჩხილებგალაქული. შენ სასწორზე უწყობ ხილს. ის კი უკან გიყრის. ეს ჭიანიაო, ეს დაბეჭილიაო, დაუკელიო. ეჰ, ამქვეყნად საწყაო კაცის საშველი არ არის...

შემცბარი ზურგს უკან ვმალავ ხელებს. მერე მახსენდება, რომ ლაქი არ მისვია და გულზე მეშვება.



— ეს ახალგაზრდობაც არ ვარგა, — განაგრძობს გაბო და იჭვინულებს მათვალისწინებლად — გუშინ ჩემ ბიჭს ვეუბნები, შვილო, ტარიელ, თოხი გამაიტა-მეთქი. ის კი დგას და პირდაღებული აქეთ-იქით იცქირება. მერე მეუბნება, მამი, ვერა ვხედავ, სად მიაყუდეთ. მეც მეტი არ მინდა, ვპასუხობ, პისმენი სტოლზეა, სამელნეში ჩარჭობილი-მეთქი. აბა, მაგისგან რა უნდა გამოვიდეს?!

— კარგი, კაცო, რა გასხაპურებული ლაპარაკობ, რადიო ხომ არ გადაყლაპე? — უტევეს ცოლი, დეიდა თალიკო — მოდი, მომეხმარე. მაგ ქალისგან რა გინდა, თავი დაანებე...

ვცილდები ჩემს ძველ მეზობლებს და ბაზრის შუაგულსკენ მივიწვევ. ამასობაში „ფრჩხილებგალაქულთა“ მთელი ლაშქარი შესევია ახალქალაქის ბაზარს.

— მაგათ გამოა, ყველაფერი რომ გაძვირდა, — ბუზღუნებენ ადგილობრივები. ყველგან უკმაყოფილო, მოლუშულ, სევდიან სახეებს ვაწყვები. აგერ, მეზობლის ბიჭი პატარა ვედროთი რძეს მიაცუნცულებს.

— სალამი, პაატა, — ვეძახი მე, — საით მიიქვარა? — თქვენთან, — შეუფერებელი სიღინჯით მპასუხობს ბიჭი, — ნათელა ძალომ, შვილიშვილები ჩამომივიდნენო და...

— ბიჭო, აბა ხელი გაუშვი ვედროს, თუ დავარდება! — ხითხითებს იქვე, დახლთან მდგარი ძია ვანიკო. — ვაა, შენც აქა ხარ? — ახლა მე მომმართავს, — ბაზარში შენ ვინ გამოგეშვა?!

— არა, მე... შემთხვევით... — დაბნეული ვპასუხობ და ძია ვანიკოსაც ვმორდები.

— მიდი, ცოტა კიდევ გაიარ-გამოიარე! — მაგულიანებს სარკე.

ერთბაშად ვტრიალდები და ზედ ვიღაცის ვედროს ვაწყვდები, ლამისაა ტალახში გავიშლართო.

— რა ნახე, ქალო, შვინდი არ დამიბნო! — უხეშად მიყვირის ასე, ჩემი ასაკის ქალი, თან ამრეზით მათვალისწინებს.

— უკაცრავად, — ვბუტბუტებ მე და ვცდილობ, მოვშორდე იმ წყეულ, ტალახიან ადგილს.

— ქაა, რა ქენი, კიდე ვერ მორჩი? — ეკითხება გამყიდველს ჩემი უბნელი ნატა ბაბო. თან მე მიქნევს თავს ღიმილით.

— ჯერ ვერა. ესლა დამრჩა. მერე კიდე მაყვალზე მინდა წავიდე. გარიყულაზე შევბირდი, ამოგიტანთ-მეთქი.

— ბარნაბიანთ კარშია ბევრი მაყვალი, გუშინ დავკრიფე, — მთქნარებით ამბობს ნატა ბაბო.

— აქეთაც ბევრია. ერთი ეს ვედროც გამაყიდინა და... შვინდი არ გინდა, ქალო? — ისევ მე მომძახის ბრაზიანი ქალი.

— ამათ თავისიც ბევრი აქვთ, — თავგამოდებით მიცავს ნატა ბაბო.

— ჰო, რა ენაღვლებათ, — ბუზღუნებს შვინდის გამყიდველი, — მე ვიკითხო, სამი ბავშვი მყავს შესამოსი. სხედან სახლში. ამას ეს უნდა, იმას ის. ინტერნეტის ფულიც გადასახდელია და რა ვიცი... აღარა მაქვს გულის ადგილი!

— შენ ინტერნეტი არ გჭირდება, ხომ? — ქირქილებს სარკე, — ჩემშიც კარგად ხედავ მთელ ქვეყნიერებას. აბა, როგორ მოგწონს ამაოების ბაზარი?!

— აქეთ გამო, შვილო, ნუ გაერიე ტალახიანში, — კვლავ მზრუნველად მომმართავს ნატა ბაბო. ნატას მადლიერებით ვუღიმი და განზე ვდგები. სარკე კვლავ ხითხითებს. ახლა ჩემი გაბრაზების ჯერი დგება. გაბზარულ სარკეს მდინარეში ვისვრი (იქნებ თეძამის ტალღებმა დროთა მანძილზე ჭრილობა დაუამონ და გაუთელონ!), მერე თავადაც თეძამის წყალში ვიბან ტალახში გასვრილ ხელებს და... ახალქალაქის ბაზრისკენ მივეშურები.

ტარიელ ბიბილური

# თეთრი ვეფხვების სახლი

(მისტიკური მოთხრობა)

*შეგიძლია თუ არა განმინდო შენი შინაგანი მზერა ისე, რომ დაინახო მხოლოდ სინათლე და არაფერი სინათლის გარდა.*

ლაო ძი

კალიგრაფის აღზრდა შეუძლია მხოლოდ ამ საქმის დიდოსტატს. ვისი ცნობიერებაც განზავებულია პირველმიზეზთან, სიცოცხლის თავწყაროსთან, საიდანაც სათავეს იღებს ხილვადი სამყარო. ოსტატი მღვიძარე ადამიანია. ის ყოფიერების სათავესთან დგას და თავად წარმოადგენს ამ სათავეს. კალიგრაფები არ იყვნენ მხოლოდ გადამწერნი. ორ დიდ საიდუმლოს ფლობდნენ ისინი: სიცარიელე – სისავსის პრინციპით როგორ შეეცვალებოდა რეალობა და როდის გაეკეთებინათ ეს. როგორ და როდის... შეეძლოთ ნებისმიერი მიმართულებით წარემართათ დროის დინება. დაეჩქარებინათ, შეენელებინათ, ან საერთოდ გაეყინათ დრო-სივრცის ნაკადი. მისტიკურ ენაზე ასეთ ღრმა ზედროულ მდგომარეობას ჰქვია “დუმისის კუნძული”. ხოლო “ჩვეულებრივ” ენაზე: შინაგანი ალქიმია, საღვთო მედიცინა, ძოგ-ჩენი, და სადღეისოდ — კვანტური ფიზიკა. სახელი ბევრია, მაგრამ შინაარსი ერთი.

მე დუმისის კუნძულიდან ვარ. ჩემს გულში არის გამოვლილი: ბჰაგავატგიტა, დჰამპაჰადა, დაო დე ძინი, სახარება, ყურანი... მე მღვიძარების ცხოველმყოფელი ქარების მიერ ხელდასხმული გადამწერი ვარ. კალიგრაფიის ხელოვნება ესაა ერთ-ერთი კარიბჭე დიადი დაფარულისა, რომელსაც მხოლოდ მშვიდი ადამიანი ხედავს. როდესაც გონებრივ სიმშვიდეს მოიპოვებ, გაძლიერდება ცნობიერების სინათლე და საგანთა ნამდვილ ბუნებას დაინახავ. ცნობიერების სინათლე – ეს შენ ხარ თვითონ. წერტილს ვერ ჰპოვებ სამყაროში ხილულს, თუ უხილავს, რომ არ შეიცავდეს ამ სინათლეს. ყველა ეპოქაში არსებობდნენ და იარსებებენ ადამიანები, რომელთაც განსაკუთრებული ხედვის უნარი შეიძინეს.

საკრალური კალიგრაფიის მხოლოდ რამდენიმე სახეობას გავამხელ:

1. მარინდებელი არომატი.
2. ცნობადმყოფელი.
3. იმიერ სივრცე (კალიგრაფიის ამ სტილს “ნატივ სამყაროსაც” უწოდებენ).
4. საცნაურქმნა.
5. ცხადქმნა.
6. გზადყოფნა.
7. ცისკრისუფალი (“სინათლის მბრძანებელი”).
8. სიბრძნისუფალი.
9. კვლავშობა.
10. მზეგანდობილი.
11. მარადმთენილი.
12. ვარსკვლავთმეტყველება (“ვარსკვლავთმეტყველი”).
13. მზერითმოსილი.
14. ცითშემოსილი.
15. ცისკენმზირალი.
16. ლერწმისებრი.
17. ქარისმტვირთველი.

18. შრომანისებრი.
19. მთვარეული.
20. მძაფრი სურნელი.
21. ვეფხვისებრი.
22. ალერსი.
23. სამეფო ძონეული (სოსანი).
24. ზურმუხტის გზა.
25. ზეგონი.
26. გარესჯა (მედიტაცია).
27. დამჭვირვება (ყურადღების კონცენტრირება).
28. სულთაძვრის ღამე.
29. არწივის თვალნი.

ამ უკანასკნელ სტილს ვასწავლი ჩემს მოსწავლეს აგერ უკვე მეორე წელია. ძალიან წვალბობს. “არწივის თვალის” კალიგრაფიული სტილის ათვისება საკმაოდ ძნელია. წარმოსახვით უნდა იქცევი ცაში აზიდულ ფრინველად, სივრცე განიცადო, როგორც ნამდვილმა არწივმა და გრაგნილზე დატოვო მტაცებლის მხურვალე მზერა... როცა ამ სტილის ოსტატთა შედეგებს ვეხები, ყურს მჭრის არწივის ბასრი კივილი და ქვეყანასაც მისი თვალით ვჭვრეტ, მისივე სიმაღლიდან... ქალიშვილს სოფია ჰქვია, მაგრამ მე ამბას ვეძახი. ამბა ვეფხვს ნიშნავს უსურვილს ადგილობრივ მკვიდრთა ენაზე. როგორ მომავნო პარიზიდან თბილისში, არ ვიცი. ჩემმა მეგობარმა მოასწავლა, ალბათ. ის დიდი ხანია საფრანგეთში ცხოვრობს.

ხის სახლში ვცხოვრობ, მდინარის პირას, ულამაზეს “ძუ ვეფხვთან” ერთად და მასთან ერთად გატარებული თითოეული წუთისთვის მხურვალედ ვემადლიერები უფალს. ჩემს სახლს არც ფანჯრები აქვს და არც მინები. ეს ევრო-იაპონური სტილის საცხოვრისი თავად შეექმენი. მთელი კედელი იხსნება. იაპონურად ამას ფუსუმა ჰქვია. შეგიძლია კედელი სრულიად “გააქრო” და დატკბე მიმწიხრის ფერთა გრადაციით, ჩიტების ყვირილ-ხივილით დილის სისხამზე და ალერდის მაცოცხლებელი სურნელით გაჯერებული ჰაერი ისუნთქო. როდესაც კედელი ქრება, სამყარო სახლში შემოდის და სახლი ვარსკვლავებს უბრუნდება; სამყარო სახლი ხდება და სახლი – სამყარო. ეს განსაკუთრებული განცდაა.

მიყვარს მტრედები. როცა ამ თეთრ და ვერცხლისფერ ფრთოსანთა ძლიერი გულისფეთქვა ჩამესმის, ვხვდები, რომ ნიშანი ახლოსაა. რა იქნება ეს, წინასწარ არასდროს ვიცი, მაგრამ დარწმუნებული ვარ – ნიშანი ყოველთვის მომძებნის. შესაძლებელია ვერხვის ხეზე “შემთხვევით” დატოვებულმა წარწერამ მამცნოს, ან სარეკლამო ბანერმა გამანდოს თავისი ნამდვილი მნიშვნელობა. “იპოვე შენში ძალა!” – ასე იწყებოდა ერთი რეკლამა და მივხვდი, რაც მითხრეს... მაგრამ ყველაზე იდუმალი ნიშანი ჩემთვის, რომელიც ხშირად მეორდება – ეს შავი ფერის მაკე ძაღლია. საიდან მოდის ეს კეთილშობილი ცხოველი, რატომ არის ყოველთვის მაკედ, ან სად მიდის – არავინ იცის. თუმცა, მას ყოველთვის მნიშვნელოვანი გზავნილი მოაქვს ჩემთან. ეს არის ცხოვრების სათქმელი სიტყვა. ცხოვრება ცოცხალი არსებაა და საკუთარ ენაზე მეტყველებს. მტრედების მღვრიე გულისფეთქვა მესმოდა მაშინაც, როდესაც სოფია პირველად მეწვია და ამიტომ იყო, რომ ჩემი სახლის კარი მის წინაშე ყურთამდე განიხვინა. – დარჩი ჩემთან, – ვუთხარი მაშინ ქალიშვილს, – ერთი მტრედით მეტი იქნება ჩემს ცხოვრებაში.

კალიგრაფიის ოსტატი ფასდება იმის მიხედვით, თუ სინათლის რაოდენ მძლავრ იმპულსს შეიცავს მისი ხელწერა და რამდენად მკაფიო ხილვებს აღძრავს. ოსტატს შეუძლია გადასცეს ისეთი ინფორმაცია, რომელიც სრულიად განსხვავდება იმ ტექსტის შინაარსისაგან, გრაფიკულად რომ გამოჰყავს. კალიგრაფია – ეს ფერწერაა, უფრო სწორად, ფერწერის უმაღლესი ნაირსახეობა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. რადგან კალიგრაფიის საშუალებით გადაცემული

ვიზუალური ინფორმაცია ყოველთვის ფერადია. ამასთანავე, ეს მუსიკალური ხელოვნებაც არის, რადგანაც ხილვა ყოველთვის ხმოვანებს. მხოლოდ ნამდვილ ოსტატს შეუძლია შექმნას კალიგრაფიული ნიმუში და მხოლოდ ასეთივე ოსტატს აქვს მისი ხელოვნების აღქმის უნარი. შესაძლებელია კალიგრაფიის ერთდროულად კითხვაც, ხილვაც და მოსმენაც... მე ვფიქრობ, ეს საიდუმლო მეცნიერება სწორედ იმ მიზნით შეიქმნა, რომ



ერთმა ადამიანმა მეორე ადამიანს გაანდოს ის, რისი გამხელაც ტექსტში არ შეიძლება. მსოფლიოს უძველესი და უმნიშვნელოვანესი ცივილიზაციების მიერ შექმნილი ტექსტები (ფირფიტები, გრაგნილები, ნიგნები) შეიცავენ ფარულ შინაარსს, რისი წაკითხვაც, შესაბამისი ენის სრულყოფილი ცოდნის შემთხვევაშიც კი აბსოლუტურად შეუძლებელია. ამ შინაარსების “წაკითხვა” იდუმალთმეტყველ კალიგრაფთა ხედედრია. მათივე განმარტებით, კალიგრაფია მარადისობის წვეთია, რომელსაც თუ ენაზე დაიდებ, შეიგრძნობ უფლის გემოს.

იაპონელებმა ასე განმარტეს კალიგრაფია ევროპელთათვის – „მხატვრული წერა“. ბრწყინვალეა! გასაგებია და არ არის საშიში...

სოფიამ ქვას თუ შეხედა, ქვაც ქალი ხდება მისი ხიბლით, სოფია ისეთი ქალია. მიყვარს როცა ის უჩუმრად ზის და უკიდვგანო სივრცეს აკვირდება და ამ დროს სივრცე აკვირდება მას...

ჩემი სახლი დიდი მდინარის პირას დგას. მდინარის შუაგულში მწვანე კუნძულია, რომელიც მდინარეს ორ განშტოებად ჰყოფს. სახლიდან ხშირად ვაკვირდები ქარით წარზიდულ ტირიფის კორომს. კუნძულს მრავალი მცენარე აფარებს თავს. ტირიფი მთელი არსებით ავლენს ქარის ზრახვას, ძალმოსილებას და გულისცემას. მე ვიცი ამ ქარს. ეს მღვიძარების ქარია... მრავალი ბრძენის, განდობილის და წმინდადანი გული გაანათა, მრავალი მკვდარი აღადგინა და დღემდე მინაზე დაეხეტება მაძიებელი გულის ძიებაში. ქარი არასდროს ქრის ჩვენს ირგვლივ, იმიტომ, რომ ის ქრის ჩვენი გავლით, ჩვენი სხეულის, მთელი ჩვენი არსების გავლით ქრის ქარი და გულში მღვიძარების ცეცხლის წვეთს ტოვებს ყოველთვის. ცოტაა ისეთი ადამიანი, ვისაც შეუძლია ამ ცეცხლოვანი იმპულსის შეგრძნება და კიდევ უფრო ცოტა, ვინც ავითარებს და აფასებს ამ დიად საგანძურს. ბუნება გრძნობს ამას: ვარსკვლავები იდუმალი სიხარულით ბრწყინავენ, არწივები აღარ კივიან, ყვავილები მიღმიერ სურნელს აკმევენ, ჩემი ძაღლიც კი, კრძალვით ირინდება, როცა მარადისობა მღვიძარების ქარს ამოისუნთქავს. ბუნებამ იცის...

მწვანე კუნძულზე ლელიანის კატების ოჯახიც ცხოვრობს. წვრილმან ფრინველზე ნადირობენ და თუ მოიხელთეს, არც თოლიაზე ამბობენ უარს. ხანდახან შორიდან მესმის მათი უცნაური ჩხავილი. მაგრამ კუნძულის მთავარი საიდუმლო – ეს არის მოვლენა, რომელიც მხოლოდ ერთხელ ხდება წელიწადში, მხოლოდ გაზაფხულზე და მხოლოდ ახალმთავრობის მეშვიდე დღეს.

– მანათობელი თევზი! – განცვიფრებულმა შეჰყვირა სოფიამ, როცა წყლის სიღრმიდან ამომავალი საოცარი ნათება შენიშნა, კუნძულის აღმოსავლეთ ნაპირთან.

– თევზი არ არის, – ვუთხარი მე. – ეგ თვითონ მდინარეა მოსული იმ სახით, რისი აღქმაც შენ შეგიძლია. რაც არანაირად ნიშნავს იმას, რომ სწორედ ისე გამოიყურება, როგორც

შენ ხედავ. ეგ მდინარის ადგილის დედაა. ეს მანათობელი არსება იღებს თავის თავზე იმ მეტათეხას, რაც უნდა დაატყდეს ქალაქს. ქალაქი დარტყმას აუცილებლად მიიღებს, მაგრამ ამ არსების წყალობით უკვე დამცხრალს და ძალადაკარგულს. ეს მდინარე უხილავი მესამეა. წმინდა მდინარეა მტკვარი. რეალობის ამ უმცირეს გამონაშუქსაც ვერ იხილავდი, მედიტაციის პრაქტიკას რომ არ ენეოდე. ვითარდება გონებრივი სიცხადე და ეს მისი პირველი სხივია.

საგანი იმიტომ არის ასეთი, რომ ეს შენი გონებაა ასე მოწყობილი. თუ ადამიანმა მოახერხა და მართლა გაიზარდა, რაც იშვიათად ხდება, – საგნები შეიცვლიან სახეს და შინაარსს: ვეფხვი უკვე ვეღარ იქნება ვეფხვი და წითელი ფერი უკვე ვეღარ იქნება წითელი ფერი. ცნობიერება პირველადია და ის სრულიად განაგებს სამყაროს. დამშვიდდი და მიეცი საშუალება ცხოვრებას დაიწყოს და განხორციელდეს. “განვითარდე” – ნიშნავს მიენდო იდუმალ ნაკადს, რომელიც შენი გულის გავლით სამყაროს დიადი გულისკენ მიედინება. რაც უფრო მეტად ვცდილობ გავერკვე სინამდვილეში, მით უფრო ზღაპრული და მაგიური ხდება ეს სინამდვილე. დაპირისპირებულობანი ერწყმიან ერთმანეთს და ერთ მთლიან სანყისად იქცევიან. მძაფრად განვიცდი ამ დიადი მთლიანობის მომწესხველ არომატს. ღმერთი – ეს ცნობიერების სფეროა, რომლის ცენტრი ყველგან არის და პერიფერია არსად არ არის. ღირს ამისთვის რომ იცხოვრო. თუ სერიოზული მიზანი არ გამოძრავებს, ცხოვრება ხდება ერთფეროვანი და მოსაზებურებული კომპარი. შენს ძალისხმევაზე დამოკიდებული როგორ გააღრმავებ ხედვას. გამაოგნებელია ვარდის არომატი, მაგრამ ის მხოლოდ გარე შრეა ვარდის ნამდვილი ბუნებისა. თუ მხოლოდ სურნელს დასჯერდი, არასოდეს გადაიშლიება შენს თვალწინ მენამული ვარდის სამეფო.

იყო ნამდვილი ხელოვანი ნიშნავს გაბედო და მარადიული ხრწნის ამ ჭაობში იცხოვრო ღვთაებრივი არსების ცხოვრებით. სინამდვილეს აქვს განსაკუთრებული თვისება, მოიქცეს ჩვენი რწმენის და ძალისხმევის შესაბამისად. სინამდვილე ყოველთვის ჩვენი რწმენის სახეს ატარებს. რაც გწამს – იმას ცხოვრობ. თუ ადამიანს სჯერა, რომ იღუპება და სასონარკვეთილებას ეძლევა – მისი დაღუპვა აუცილებლად განხორციელდება. მაგრამ, თუ ადამიანს სჯერა, რომ გაიმარჯვებს და თავდაუზოგავად იბრძვის ამისთვის, – მისი გამარჯვება და წარმატება აუცილებლად განხორციელდება. ყოფნა-არყოფნას წყვეტს შენი არჩევანი. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეუძლია ადამიანის რწმენის და ძალისხმევის დამარცხება – ეს რეალური ძალმოსილებაა და რადგან ასეა, მაშ, ამოირჩიე: უნდა დავიღუპოთ, თუ უნდა გადავრჩეთ. სიბრძნე, ზნეობა, სამართლიანობა, განვითარება იმარჯვებს მაშინ, როცა ჩვენ ეს გწამს და ვიბრძვით ამისთვის. ვინც გათენებას არ ელის, მისთვის არც თენდება.

ქარი ლოკავს და ფორმას უცვლის უმტკიცეს კლდეებს. კლდეს არ აქვს სურვილი ქარის უხილავ ძალმოსილებას დაექვემდებაროს, არ აქვს სურვილი გარდაისახოს, მაგრამ ეს მაინც ხდება და კლდის არსებობა ქარის არსებობის ხილვად სამხილად იქცევა. ეს იმიტომ, რომ ქარს გააჩნია მოთმინება. ქარის დიადი მოთმინებით და ქმედების გულმოდგინებით შენს წინაშე ყველა პრობლემა დადნება. ყველა დაბრკოლება ფორმას იცვლის. მიბაძე ქარს!” კალიგრაფიას გასწავლი და მისკენ მიმავალ გზებს ვათავისუფლებ, მაგრამ ღურგლობა რომ გასწავლო, ან ფანქრის გათლა – მანც იგივეს გეტყვი, რასაც ამბობენ მღვიძარების მოხეტიალე ქარები.

– მინდა ვიცხოვრო მენამული ვარდის სამეფოში, – თქვა სოფიამ, თვალები დახუჭა, ღრმად ჩაისუნთქა და განაგრძო, – ჰაერი ისეთი ცოცხალია, სურვილი კი ისეთი ნაზი, რომ სამყაროს და ადამიანებს იმაზე უფრო ნამდვილს ხდის, ვიდრე რეალურად არიან...

– დღეს ულუნი დღეა – ვუთხარი სოფიას. – ულუნი დავაყენოთ... კვირის ყოველ დღეს მან ჩაის ძვირფასი ჯიშების სახელები დაარქვა. ულუნი ჩვენთვის სამშაბათია... გვაქვს პაი ხაო ინ ჯენის დღე და ფუ-ერის დღეც...”

ჩემს იაპონურ ხმაღს მამონტის ძვლის თეთრი ტარი აქვს, რომელსაც ბაჯალლო ოქროს ორი ვეფხვი ამშვენებს. მესამე ოქროს ვეფხვი ვადაზე “მძვინვარებს”. სოფიას მახვილი ხშირად მზვარეზე გააქვს, გულმოდგინედ ათვალთვლებს და მზეზე მოელვარე ვეფხვებს კოცნის.

– არ გეშინია, ეს ვეფხვები რომ გაცოცხლდნენ? – მკითხა ერთხელ სრულიად სერიოზულად.

– ერთი უკვე გაცოცხლდა და ეს შენ ხარ! – ვუპასუხე... ქალიშვილს გაეღიმა, მზერა ხმაღზე გადაიტანა და განაგრძო, – ეს არის მეომრის სულის განსხეულება ხილვად სამყაროში.

ის უკვე კარგად საუბრობს ქართულად თავისი არაჩვეულებრივი ფრანგული აქცენტით. არ მინდა, რომ ენა უფრო კარგად ისწავლოს – მერე ამ უნიკალურ აქცენტს დაკარგავს. თუმცა ვიცი, რომ ეს გარდაუვალია... ამასწინათ სოფია გაშთვლდა, შემდეგ ხმალიც გააშთვლა და დიდხანს ცეკვავდა მთვარის შუქზე ავად მოელვარე მახვილთან ერთად. “ოქროს ვეფხვების ცეკვა ციური ბამბუკის ქალაში” – ასე დავარქვით ამ გრაციოზულ, რბილ და უაღრესად დახვეწილ მოძრაობას. ქალის სურნელი გარდაიქმნება, ღრმავდება და კიდევ უფრო მძლავრად გაჯადოებს, თუ ქალი შიშველ მახვილთან ცეკვავს.

– არ არის ეგ ცეკვა, რიტუალური ქმედებაა. საიდან მოგაქვს ეს მაგიური მოძრაობები? – ვკითხე მე.

– ალბათ, იქიდან საიდანაც მღვიძარების ქარები ქრიან. – თქვა ქალმა და გვერდზე მომინვა. – ცეკვა ვეფხვის ხმლით მენამული ვარდის სამეფოში... ტატი, ის რა ქვაა, კუნძულის თავზე ჰაერში რომ ჰკიდია? საოცრებაა!

– ჰაერში დარჩენილი უზარმაზარი ლოდი სასწაული კი არა, ჩემი შეცდომის შედეგია. ამ ლოდზე ვიჯექი, როცა აღმავალი ენერგია გავააქტიურე და ლოდთან ერთად ჰაერში ავიჭერი. როგორც ხედავ, მე დავბრუნდი, ლოდი კი – ვერა. ის ჯერ კიდევ ჰაერშია გამოკიდული. რამდენიმე წელიწადში აღმავალი ენერგია აქტიურობის მწვერვალს მიაღწევს და დაღმავალ ენერგიად გარდაიქმნება. ამის შემდეგ ეს უზარმაზარი ლოდი მინას დაასკდება. იმ დროისათვის ის ათჯერ უფრო მძიმე იქნება, ვიდრე არის. საკუთარ ბუნებრივ წონას ლოდი მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როცა ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულების ენერგეტიკული დინებები განონასწორდება. მესვეტეთათვის ზოგჯერ ქვა სწევს სვეტის მაგივრობას...

– არ მინდა ამ დროს ამ ქვის ქვეშ ვიდგე, როცა დაეცემა, სახლს ააშენებ ზედ, იმხელა... ამ ლოდსაც მართო მე ვხედავ, თუ სხვებსაც შეუძლიათ მისი დანახვა? – იკითხა ქალმა.

– მაგას ყველა ხედავს, მაგრამ არ უკვირთ. მზის ამოსვლა აღარ უკვირს ხალხს და ჰაერში დაკიდული ქვით გინდა გააკვირვო? არც ზღვის მომოქცევა უკვირს ვინმეს, არც ნუშის ყვავილობა, არც საკუთარი ორი თვალი და აზროვნების უნარი, არც ჩასუნთქვა, არც ამოსუნთქვა... არაფერი. არც ჩემი სახლია უხილავი, მაგრამ კარის მეზობლები მას ვერ ხედავენ. თუ შენ გზაზე დგახარ, ვითარდები და გულის წიაღში ღრმავდები – შენ აღარ არსებობ მკვდრებისთვის.

უჩვეულო რამ მწვანე კუნძულზე ნამდვილად ხდება: ეს არის ასწლოვან მუხაზე ბავშვის მიერ ამოკვეთილი მაცხოვრის ხატი, რომელიც უცვლელი დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ მუხა გაიზარდა და ფორმა იცვალა. ბრძენთა და ვარსკვლავთმრიცხველთა ძალისხმევამ რომ ვერაფერი გამოაღვიძა ადამიანი, ბოლოს თვით ვარსკვლავთა შემოქმედი მოვიდა კაცთა შორის და რადგან ეს მინა მისი სხეულია, ჩვენს ძარღვებშიც მისი სისხლი მიმოიქცევა და ჩვენს მკერდშიც მისი გული ძვრს. შეეხო თუ არა ქრისტეს სისხლის პირველი წვე-





ბერს უტყუარი ალლო, გონებრივი გამჭრიახობა და შეურყეველი ზნეობრივი სინამდვილე მოეთხოვებოდა. ხევისბერი არის შუამავალი კაცთა შორის, შუამავალი ხილულსა და უხილავს შორის, ცასა და მიწას შორის. ხევისბერებს ბავშვობიდან ზრდიდნენ ხევისბერებად და ის სულიერი მდგომარეობა, რომელსაც განსაკუთრებული ლოცვით და პრაქტიკით აღწევდნენ, ცნობილია მხოლოდ ხევისბერთათვის. მრავალნაცად ბრძენკაცთა სიტყვა კანონი იყო საუკუნეთა განმავლობაში და მის რჩევას ბუნებაც ისმენდა. თუ ხევისბერი ცას ახედავდა და იტყოდა – “განვიმდეს!” – მართლა განვიმდებოდა. იტყოდა – “გამოიდაროს!” – ცოტა ხანში გამოიდარებდა, “მგელი გაცეცალოს ცხვარს და საძოვარს!” – მგლის ხროვა დაუყოვნებლად სადღაც ქრებოდა. ლეგენდები ბევრ რამეს ყვებიან. ყოფილა შემთხვევა, როცა ბრძენკაცმა ხელის “უბრალო” მოძრაობით თავს დაატყუა ზვავი და მენყერი ხეობაში მოულოდნელად შემოჭრილ მომხდურს...

ზნეობა სივრცობრივი, უხილავი ცეცხლია, რომლის კრისტალიზება მზის წნულის არეში ხდება. იმ ადამიანის ორკანიზმში, ვინც მთელი ცხოვრება შეურყეველი ზნეობრივი ცხოვრებით იცხოვრა. სივრცობრივი ცეცხლის კრისტალი პატარა ბურთულის სახით ყალიბდება. ბურთულის გარსი მუქი ფერისაა, ამიტომ მას “შავი მზე” ეწოდება, მეტაფიზიკურ ეგვიპტურ სწავლებათა მიხედვით – “რიმზე”. “შავი მზე” – ეს ჭეშმარიტი სიბრძნისა და ზნეობის კრისტალია. ხევისბერმა სიკვდილის წინაც უნდა დაადასტუროს, რომ ის ნამდვილი ხევისბერია და მისი ცხოვრება უმნიშვნელო იყო. როცა ის იგრძნობს, რომ სხეულს სიცოცხლე ტოვებს და ახლოს არის სიკვდილის უამი, სამ რჩეულს მოუხმობს თავის სამყოფელში. დაჩოქილი მკერდს გაიმიშვლებს, მათ თვალნი ბასრი დაწითლებს მზის წნულში და ზნეობის მზეს გამოაბრწყინებს.

– მე ვარ სიტყვა და ძალმოსილება! – იტყვის ხევისბერი. მას ამისათვის აუცილებლად ეყოფა ძალა.

– ჯერ მზემ შვა კაცი, მერე კაცმა მზე! – იტყვიან მოწმენი, გორდას გააძრობენ და ხმალამონვდილინი ამცნობენ ამბავს მომლოდინე ხალხს. “შავი მზე” მწუხარებას ზეიმად აქცევს, გარდაქმნა და გარდასახება მისი ბუნება...

ხალხური გადმოცემით, ზნეობის კრისტალს გველი ეტანება. გველები ამ საუნჯეს გველთა მბრძანებლის გვირგვინის შესამკობად ელტვიან. სინამდვილეში ვითარება სხვაგვარადაა. გიურზა ანგელოზის ღიმილია, იმასთან შედარებით, ვისაც ამ საუნჯის მიტაცება სურს. სახლის გარშემო მსოფლიოს მთების ცხრა მწვერვალიდან მოტანილი ცხრა ქვაა დამარხული და ოთხივე მხარეს ჯვარი დასმული – მხოლოდ ეს აკავებს ამ შავ-ბნელ ძალას. მე სახლში მაქვს ზნეობის “შავი მზე” დაცული... მკვრივი ბურთულაა, ჩაქურით ვერ დაამტვრევ, მაგრამ თავისით იხსნება წითელ ღვინოში. დადგება უამი და ჩვენ ამ მზეს შევსვამთ. მსგავსი რამ მე მხოლოდ ტიბეტში ვიხილე, როცა მედიტაციის ოსტატის სხეულიდან ამოიღეს რამდენიმე სინათლის ბურთულა. იქ ამ ბურთულას რინგსელი ჰქვია.

დილის ხუთ საათზე ჩვენ უკვე გომდენზე [სამედიტაციო ბალიში – ტიბ.] ვზივართ და ვმედიტირებთ. ფრთოსანთა დაუცხრომელი აელება მაცოცხლებელი სინათლით კვებას ამ დროს ჩვენი არსების თითოეულ უჯრედს. ვნეტარებ, როცა ეს ხმები ჩამესმის და ვკარგავ ზღვარს ჩემსა და მარადისობას შორის. ყოველნაირი ზღვარი წაშლილია, მარადისობის ნაწილი ვარ და სამყაროს მოვიცავ. ვგრძნობ შორეულ ვარსკვლავთა სუნთქვას, რომელნიც უკვე ჩემს მკერდში და ჩემი გულის რიტმში ფეთქავენ. როცა სიმშვიდის ფსკერზე ვიმყოფები – ვარსკვლავი მე ვარ. ვიცო ვისი პირმშოა ქარი, ყოფიერების დაფარულ საზრისს რომ ჩამჩურჩულებს. მღვიძარების მეტყველება ქარმა სინათლედ ქცეულ ბრძენთა გული გამოიარა, სანამ მოცარტის ყურს მიაღწევდა... ცითიმოსილი ბრძე-

ნის დანათესს იმკის ხელოვანი... თუ ამ ზედროულ ნაკადში შევა – ქვაც გამოიღვიძებს.

– კალიგრაფიის კითხვის ხელოვნება ძალიან ჰგავს ტიბეტელ მკურნალთა პულსური დიაგნოსტიკის მეთოდს. – ვუსხსნი სოფიას. – გამოცდილი მაჯის მცოდნე გულის ფეთქვაზე დაკვირვებით არკვევს, თუ რა სახის დისბალანსია “ქარის”, “ლორწოს” და “ნალველის” სასიცოცხლო ენერგიებს შორის და ამის საფუძველზე უშეცდომოდ ცხადქმნის დაავადების მიზეზს და ხასიათს. მე შემიძლია ხუთ წუთში აგისნა ტიბეტური მედიცინის საფუძველები, მაგრამ ეს რომ ნამდვილად ისწავლო, ოცი წლის გულმოდგინე შრომა და პრაქტიკაა საჭირო. კალიგრაფიის შემთხვევაში, შენ ექვს ენერგიასთან გაქვს საქმე. ხელნაწერს ქალი უკეთ აღიქვამს მარჯვენა ხელით, ხოლო მამაკაცი – მარცხენა ხელით. ნეკა თითით გრძნობ სიმშრალის ენერგიას, ნეკა სიმშრალის კარიბჭეა. არათითი – სიცივის კარიბჭე, შუა თითი – ქარის ენერგიის კარიბჭე, საჩვენებელი – სითბოს ენერგიის კარიბჭე და რაც შეეხება ცერა თითს, ის ერთდროულად ორ ენერგიას – სინოტივისა და ცეცხლის ენერგიებს აღიქვამს. როცა მარჯვენა ხელით ხელნაწერს შეეხები, თუ “კარი” ღია გაქვს და ქარის არსები განმნდობილია, ამ ექვსი ენერგიის ინფორმაციული ნაკადი შენში შემოაღწევს და შუბლზე არსებული ქვეყნისკენ დაიძრება. ამ ქვეყანას “ზურმუხტის სასახლე” ჰქვია. როცა “ზურმუხტის სასახლე” აინთება, ის შენს თვალეში სურათებს დახატავს და შენ მკაფიოდ დაინახავ არამართო იმ ფარულ სათქმელს, რაც კალიგრაფმა გადმოგცა, არამედ იმ ეპოქას, რომელშიდაც ის მოღვაწეობს. ოთახს, სადაც ის მუშაობს და კიდევ იმას, თუ რა მიირთვა მან სადილზე... პირველად ეს საკამოდ მტკივნეულია, მაგრამ მიეჩვევი. დროთა განმავლობაში “ზურმუხტის სასახლეში” ცხოვრებას ისწავლი და რა სიტყვასაც შენ იქ დათესავ, შენ ხელნაწერში ის სიტყვა აღმოცენდება... თუ “კარი” გააღე, დაკეტვაც უნდა შეგეძლოს მისი და არასოდეს ღია არ დაგრჩეს, რათა დაუპატიუებელი სტუმარი არ გენვიოს. ნატიფი სამყაროს მკვიდრთა შორის ყველა არ არის კეთილისმსურველი. ზოგიერთი მათგანის ნაკბენი კოლოს ნაკბენს ჰგავს და ზოგიერთის – მძვინვარე ლომის.

თუ ნამდვილი კალიგრაფი ხარ, ნებისმიერ ადამიანს წაიკითხავ, საკმარისია ხელი ჩამოგართვას. ნებისმიერი ბრილიანტის გულისთქმას გაიგებ, თუ ხელისგულზე დაიდებ. შეიგრძნობ ვარსკვლავთა ბედისწერას, გასაგები გახდება შენთვის ყველა ენა. გააცნობიერებ, რომ ფასდაუდებელ და უძვირფასეს მინაზე დგახარ, მაგრამ ერთი ადამიანის სისხლადაც არ ღირს მთელი პლანეტა.

გახსოვდეს: ხელოვნების ნიმუშის არსებობა, მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ ის გამტარია გასხვივონებული ცნობიერების, ან მის ცოცხალ იმპულსს შეიცავს.

ტიბო ჩემი ლაბრადორია. მასთან ერთად დადის სოფია მტკვარზე საბანაოდ. თუ შორს გასცურა გოგომ, ძალი ყეფით და გნიათს აყრუებს არეშარეს. ჩემთან ერთად დღეც ტკბება მათი სიცოცხლის შეგრძნებით. ირემივით წყალზე მოსული დიდი თეთრი დღე... ამ დროს ჩიტივით ტოტზე ზის სევდა და ჩემი ცრემლის უსათუთეს ენაზე გალობს.

როგორი ნაზი, სიფრიფანა და ქალურია სოფია... არავინ იცის, ცხოვრება მის თავს როდის წამართმევს. მაგრამ ეს ქალი დღეს მე მეკუთვნის, ჩემია მისი ტერფის ყოველი ანაბეჭდი, რომელსაც ქვიშაზე ტოვებს. მე შემიძლია გარდაქმნა სინამდვილე, მაგრამ პრინციპი – “როდის” არ ნიშნავს პრინციპს – “როცა მომესურვება”... არაფერი არსებობს დღევანდელი დღის გარდა. მართალია, მიმდინარე დღე მხოლოდ ერთი წამია მარადისობასთან შედარებით, მაგრამ ვინც ისწავლა იყოს ნამდვილად ბედნიერი ერთი წამის განმავლობაში, მას შეუძლია ბედნიერი იყოს მარადუამს.



ჯარჯი ფხოველი

**მეგაღე**

არ ეშინიათ შენი მარჯვენის:  
გაგისტუმრებენ მალე ქაჯავეთს,  
გულის დამფლეთი და დამხანჯრველი  
შენი დღეები, მზეს რომ ხარჯავენ...

უარს ნუ ეტყვი დროის ნამცეცებს,  
დროის პირმშობებს... რაღა გატირებს,  
აქ ხომ იყავი: თვალი აცეცე,  
გული ალაღე და იმარტვილე...

რაც არ გეკუთვნის: არ შეგერგება,  
გეყო თამაში... მეტს ნუ მოელი!  
შენს ბალში ჰყვავის დარდის ნერგები:  
დგახარ მებაღე უდაბნოელი.

**ხატაელი პოეტები**

და ხატაელი პოეტები დამიმეზობლდნენ...

იმ შორეულ, იმ პირშავ დროში  
მათ დამანახეს ნაღვლიანი ზეცის ნაპირი:  
უმთვარო და უვარსკვლავებო...

მთვარის მაგიერ იქ ნათობდა  
სიყვარულის იეროგლიფი;  
ვარსკვლავთა ნაცვლად  
სტრიქონებზე დაშხეფილი ცრემლი ბრწყინავდა...  
და ციმციმებდა საღვთო შუქის იაღკიალი,  
ყვითელ მდინარის ცაზე ნანერი...

მაშინ ამ ცამ ჩემი გული აიტაცა და  
შეურია სიყვარულის იეროგლიფებს...  
იქ ხომ დაოსი განდგვილის სიმარტოვე  
ვარსკვლავ-სტრიქონს ემეზობლებო...

იქ მოვგროვდით მაშინ ობლები:  
მე და... ძიმეი, ლი ტაი-ბო, ტაო ძიანი...  
და იუანი,  
მილოს ზვირთებს რომ მიაპობს,  
გულგასენილი...

ახლა აქა ვართ:  
ბებრისციხის მთვარენასვამ ქაღებში ვცხოვრობთ...  
არავგია, აქ სამოთხის ცას რომ ირეკლავს,  
უმთვაროს და უვარსკვლავებოს...

და ბებრისციხის ბებერი ლანდი  
მდინარის ცაზე მოჩანს, როგორც  
საქართველოს ისტორიის იეროგლიფი...  
ზედ ყორანი ზის:  
შავი ბედის ნაფლეთი რამე...

ეხლა აქა ვართ სუყველანი:  
საარავგოს ძვირი სტუმრები...  
შორეული მზის ნათელი მოგვიტანია...

ვაჟა-ფშაველას სტუმრები ვართ...  
ულრან ტყეში აღმართული ბებრისციხე  
თავზე გვადგას,  
როგორც საქართველოს ისტორიის იეროგლიფი...

ვაჟა-ფშაველა და ძიმეი, ლი ტაი-ბო, ტაო ძიანი...  
ბებრისციხის ბებერ ფესვებთან  
ეული ქოხი სე ტიაოსი:  
იქ გვეგულება ბერი დაოსი...

აქ გულს გახსნის  
ქალაქიდან მომავალი ვაჟა-ფშაველა...  
აქ მუხლს მოიყრის ხელაშვილი,  
ჩარგლისხევი ლალათით მკვდარი...  
და კიდევ ისიც:  
არხოტელი განდგვილი ჯაბუმანური:  
სიყვარულით გულგასენილი!..

აჰა: მომავლის ულრან ტყიდან  
ვილაც გამოდის:  
მოდით, იმას მივესალმოთ!  
ის ჩვენს საძმოს შეემატება!

**ჭარს იხდის გველი**

ძილისნამალშერეული სიზმრებიდან რომ გამოიტან  
და გრილ ფურცელზე რომ დახატავ გველის ჭარივით...

ეს პირველი სტრიქონია: გაკლაკნილი,  
გამვლელ-გამომვლელს ხორკლიანი შიშით რომ ავსებს...

ასე იცის უხსენებელმა:  
ორკაპ ხეში გაიჭედება  
და ისე იხდის ტყავს, რომ ერთხელ არ წამოსცდება  
კვნესა: გველურ ბედისწერის დასაგმობელი!

შენ კი ღრიალებ მთელი ღამე:  
ტყავს ისე იხდი...  
თვითონ არავგვიც ხმას იდაბლებს,  
შენი კვნესა რომ გაიგონოს:  
პირველსტრიქონის დაცემის ხმა,  
შენს ღრიალში რომ ირევა,  
შუალამეს შიშით რომ ბურძგლავს  
ისე, რომ ბალანს ვერ ალაგებს განთიადამდე!..

შენი ლექსები ბესოსელურად ვერ გახდებიან:  
აბა, ვის უნდა გველის ჭარი,  
ნიგნის ყდებში გამომწყვდეული!  
აბა, ვის უნდა, ერთი მითხარი,  
გველის პერანგში დამალული უდაბნოს დარდი,  
დიდი დარდი, სააღსარებო!

\* \* \*

შენც ხომ იმან დაგიმონაფა,  
ვინც ეს მინა გადაზომა გვირგვინოვან არტერიებით,  
და ისტორიის შუალამეში  
ვინც გულქართველის ხმალი შეიბა!..

იმისი სიტყვა იგრძენ გულივით:  
ის შენში ფეთქავს,  
ის შენს სიზმრებს უნანილებს  
პირშავ ღამეებს,  
და უძილობის დარდით მოგდევს  
და ძრწოლის ეკლებს  
აღმოაცენებს ის ჟამიჟამ  
შენს დაწყველილ გულისფიცარზე...

ის გავიწყებს იმათ სახეებს,  
მოლაღატურად ვინც გაიქცა შენი გულიდან...  
ზოგჯერ ეკლებით დაჩხვლეტილი  
მკერდი აგტკივდება:  
გაინანილე ზღარბის დარდი ბედისწერული...  
და იგრძენ ესეც, გულქართველო,  
ისარგაყრილ მეციხოვნის ზურგის ტკივილი!

**გაზაფხული. 2012**

*სალომე კაკაბლიშვილს*

და გაზაფხულის სუნი ტრიალებს,  
ყვავილი დახვდა თოვლის ქვეშ აპრილს...  
და გულზე ლოდებს ირტყამს ტიალი  
არაგვიანი: ლურჯი ვეშაპი!

ნელა დიან და წვიმას ცდილობენ  
ღრუბლები, ელვით დაისრულები...  
ახლა შენც იგრძნობ მინის ჭრილობებს:  
მოისმენ კვნესას დაუსრულებელს...

გადის ზამთარი გულის ფეთქებით:  
გადის, გშორდება ჟამი ჩავლილი...  
წყნარად ღამდება: ცას უერთდება  
დღე, ბუხრებიდან ასულ კვამლივით...

**კაფია — 2013**

დრო გადის: წლების მთიბელი...  
ვიგონებ ცრემლით სველ იას...  
ვბუბუნებ ბერი იბერი,  
ჭალას გავცახი ველიანს:  
„ლომს მორევია სიბერე,  
ჩემი რა საკვირველია!“



თენგიზ მირზაშვილი  
თეთრი ფარა



ელგუჯა მარლია

**Homo Dei**

*მინდა ვიცხოვრო მარტოოდენ ჩემად კი არა,  
სხვებადაც, კაცთა ყველა ხვედრის თანაზიარად.  
გოეთე „ფაუსტი“, თარგმნა დავით წერეთლიანმა*

1.

დგას სახლთან ახლოს ვეება მუხა  
ამაყი მზერით ტყეს გადაჰყურებს...  
დგას, როგორც ფუძის მტკიცე დარაჯი,  
როგორც ფხიზელი მეციხოვნე,  
გმირი სარდალი,  
ბრძოლისწინ ჯარს რომ ამხნეებს და  
გამარჯვების უნით აღანთებს...  
ხეები — მშვიდი, უშიშარი მებრძოლებივით,  
გარინდებულნი შესცქერიან უდრეკ მეთაურს...  
ხანდახან ერთურთს შარი-შურით გადახედავენ,  
ტოტებს უწვდიან და ჩურჩულით აიმედებენ...  
უცებ ღიმილით უნათდებათ პირქუში სახე,  
როცა დილის მზე გადაუსვამს ალერსით ხელებს...  
ცელქი ნიავი, ხშიადივით გრილი და ამო,  
დალღილ მხრებიდან კაკალივით ჩამოაბერტყავს  
წვიმის წვეთებს და მსტოვარვით განაბება...  
მათ უკეთ ესმით ამ ცისა და ამ მინის ფასი,  
ამ მზის, ამ წვიმის, ამ ფრთოსანთა ჟვიღ-ხვილის...  
ვიდრე გარშემო მოსეირნე ადამიანებს...  
იქნება, დადის სადმე აქვე ბრძენი მინდიაც,  
ნეტავ სად არის კიდევ ერთი ვაჟა ფშაველა?  
უფალს ნამდვილად უყვარს ხოლმე დიდი წყალობა,  
მაგრამ რტოებს ვერ იმრავლებენ უღმერთოებიც...  
დავფიქრდეთ ნამით, თუ რამდენჯერ მოგვეცა შანსი,  
გამოღვიძების და ციერთან მიახლოების?  
მასთან, ვინც ბევრჯერ აგვიხილა თვალი...მრავალგზის  
ჩვენს ტვინებს მშვიდად მოაცილა მტვერი და ობი...  
რამდენჯერ ტკბილად დაგვიამა გული და სმენა,  
რამდენჯერ გზაზე დაგვაყენა, რომელიც მიდის  
ტაძართან, მაგრამ ურწმუნონი აღმოვჩნდით ფლიდნი...  
და ვულაღატეთ... დღეს დამფრთხალი ფარისეველები  
თავს ვინუგეშებთ, ვითომ ვნანობთ, თავზე ვეველებით...  
ოქრო და ვერცხლის მოყვარულმან დაეკარგეთ შიში,  
იხრწნება ხორცი, სულიერად ვერაფრით ვიშვით...  
ზურგი ვაქციეთ ბუნებას და დაეკარგეთ სიტყვა,  
დაეკარგეთ აზრი, სიყვარულის აღქმა და ნიჭი,  
სამოთხის კარის გასაღები — ჭირთა დათმენა,  
წმინდა საუნჯე — კურთხეული სათნოებანი...  
აგვებნა გზა და ვხეტიალობთ დაუსრულებლივ,  
და ასე ვივლით ალბათ კიდევ ორმოცი წელი,  
ამ უდაბნოში თვალხილული გლახაკი ბრმები...

\* ნაწყვეტი პოემიდან

ჩვენ შევეგუეთ ბოროტებას ჩვენივე ნებით...  
 ვიმეტებთ ერთურთს, მოსაკლავად დანა ავლესეთ,  
 ღვთის რჯულიც დაგვმეთ უზენაესი...  
 დადგება დილა, ჩამონვება საღამოს ბინდიც,  
 მთებსა და ველებს გადავერცხლავს ნამიც და თოვლიც...  
 ააფრადებს ყვავილები დანამულ მინდვრებს,  
 დაუბრუნდება ზეცის წილს ჩიტი და ქორი...  
 დაუბრუნდება მამას თვისი უძლები შვილიც,  
 მაგრამ სინმინდე ნეტავ როდის დაგვიბრუნდება?  
 ის რაც დაკარგეთ, უსასრულოდ რად რჩება შორი?  
 სხვის თვალში ბენვის მძებნელები არ ვიმჩნევთ დირეს,  
 საკუთარ თვალში და რჩეულთა ვატარებთ ნილას...  
 ველარ ვიცილებთ ამსოფლიურ ტალახს და მწვირეს,  
 და საწყალ მონებს გვეღვიძება ნილბების მიღმა...

**2.**  
 რარიგ საამოდ თენდება დილა,  
 ბროლის პატარა ნამსხვრევებით,  
 კრთის და ციმციმებს ირგვლივ ცვარ-ნამი,  
 მალამოსავით რომ ედება დაწყვეტამდე დაჭიმულ ნერვებს...  
 ფეხისგულეების მგრძობიარე რეცეპტორები —  
 ამ სასიცოცხლო ენერჯის უსწრაფესი ხდება გამტარი  
 და წამის რაღაც მეათედში აღწეხსავს ტვინი,  
 რომ ჩვენც ბუნების ვხდებით ნაწილი...  
 (ბუნებასა და დამიანი,  
 ეს ხელოვნებას უდრის თურმე, —  
 ბრძანებს რუსო, ბრძენი ჟან-ჟაკი...)  
 მოლივლივე და გამჭვირვალე ხდება ჰაერიც,  
 უფრო მსუბუქი, ხელშესახები...  
 (ეს, როგორ გვიძიმს იმ გაბრუნული ჰაერით სუნთქვა,  
 წყალბასავით რასაც გვიყოფს დედაქალაქი...)  
 და ბობოქარი არსება ჩვენი,  
 ცხოვრების წნეხში გამოვლილი მღელვარე გონი,  
 ფიქრი — ფენიქსი, იძირება სიმშვიდის ზღვაში...  
 წყნარდება მზერა... უსამანო ზეცის სილურჯე,  
 კოსმიურ ტაძრის გუმბათს მაგონებს,  
 რომელიც თავზე ჯერჯერობით არ დაგვმხოვია...  
 რაც დენთი გაჩნდა იმის მერე სულ იცხრილება,  
 რას აღარ ესვრის ეს შეშლილი კაცობრიობა...  
 და აღარ უწყის, სასტიკად და დაუნანებლად,  
 სხვასთან კი არა, მან საკუთარ თავთან იომა...  
 დაუსაბამო, უსასრულო არის ტაძარი,  
 თეთრი ღრუბლები — უცოდველნი, უფლის კრავები,  
 დასეირნობენ და გზადაგზა დაბალახობენ...  
 ჟამ-ჟამად ირგვლივ რუხი მგლებით,  
 ეპარებიან რუხი ღრუბლები...  
 რა უჩვეულო სურნელს აფრქვევს ბალახიც,  
 ასე სათუთი, ველური და ხელშეუხები...

**3.**  
 და აი, ისიც, საწუთროსგან დაღლილი კაცი,  
 დამრეც ბილიკზე ტყის სიღრმისკენ წელა ეშვება...  
 ტანაშოლტილი, ახალგაზრდა, ლალი წიფლების  
 უნდა დაესწროს თითქოს ჯვრისწერას...  
 დგანან ხეები ახოვანნი, თავანუღლნი,  
 მითაჟამიდან სიყვარულით ტანჩახვეულნი...  
 და ხეებს, როგორც მაყრიონთა უთვალავ კრებულს,  
 ნეფე-პატარძლის მომლოდინე მონადიმებს,  
 მიმზიდველი და მომწონსხველი ამკობს ხმაური...  
 თითქოსდა ერთხმად ახმიანდა  
 ეოლოსის უჭკნობი ქნარი...  
 ეს ხომ ქარია, ფეხმარდი და მოუსვენარი,  
 ქორწილის მკვირცხლი მერიქიფე, თავაზიანი...

აი, რცხილებიც, ნაბდებივით წამოუსხამთ  
 ტანზე სურო და არე-მარეს მშვიდად ზვერავენ,  
 როგორც სახლეულს სიტყვაძვირი ბრძენი მახვებები...  
 როგორ უხდებთ სუროსავე ყაბალახებიც...  
 რატომ არა ვართ ხეებივით ასე ლაღები?..  
 ბანგივით გვთანგავს მოგონილი თავისუფლება,  
 ეს გარყვნილი და მატყუარა დემოკრატია...  
 (როდის არ იყო იგი ასეთი?  
 ან ვის უნახავს ხალხი — მმართველი?  
 გინახავთ სადმე ხალხს ჰქონოდა ძალაუფლება?)  
 მშვენივრად კი ჟღერს „დემოს“ და „კრატოს“ -  
 „ხალხს+ძალა“ — თითქოს ერთურთს ესატყვისება,  
 აქვს ბუნებრივი ჟღერადობა და ჰარმონია,  
 მისი სიყალბე და სიცრუე გაგიკვირდება...  
 და ეს სიმართლეც, დათრგუნული და მოცახცახე,  
 დამშუულ ქუჩის მანანწალას დამსგავსებია...  
 მაინც ახერხებს ჩახლენილი ხმა გაგვაგონოს,  
 და ხმის კანკალით გვაგრძობინოს, რომ ცოცხალია,  
 მაგრამ რად გინდა, ცოცხალ-მკვდარი, დაკნინებული,  
 ადგილიან და საბოლოოდ გამოუსვამენ  
 ყელში დანას და უმოწყალოდ ისე დაკლავენ,  
 ამითაც აღარ შეაწუხებთ სინდისის ქენჯნა..  
 (შერჩა კი ვისმე წრფელი სინდი? —  
 „პატარა ღმერთი“ რომ შეარქვა ჩვენმა ილიამ)  
 იქნება უკვე დაკლეს კიდევაც,  
 ვინ იცის, ვის რა მოეკითხება...  
 დემოკრატია — ეს მიხრწნილი ათენის კახა,  
 აპოკალიფსის ურცხვი მეძავი,  
 ფერ-უმარილით გათხუპნილი და ანტიქრისტეს მომლოდინე  
 დაემსგავსა საწყალ ფუფალას...  
 (თუმცა ფუფალას რაღას ვერჩი, ჩემო მკითხველო,  
 უცებ სხვა ვერვინ გავიხსენე შედარებისთვის,  
 თორემ ფუფალა ღვთისწიერი დარჩა ბოლომდე,  
 იმედითა და საკუთარი გულის კარნახით...)  
 „დემოსს“ და „კრატოსს“ არასოდეს უქორწინიათ,  
 არც გაჩენილა ხორციელი მათი ნაყოფი,  
 ეს ყველაფერი ის წყეული მოჩვენებაა  
 დღემდე, ეშმასთან წილნაყარი რომ შობს ლილითი...  
 თუმც ტყე არ გახლავთ სამიკიტნო — „ჩვილი ბახუსი“,  
 ანდა სად არის დღეს აბატი კუანიარი?..  
 მაგრამ აბატის მახსენდება ერთი მაქსიმა:  
 მძიმე მონობა არის ხალხისთვის,  
 როდესაც იგი თვისსავ ნებას ემორჩილება...  
 ხალხისთვის ნება საკუთარი, არანაკლები  
 მტრულია ხოლმე,  
 ვიდრე მტარვლის იმავე ნება,  
 რადგანაც ნება ესე საერთო,  
 ნაკლებად ჰგებს ინდივიდში, ანდა კიდევ  
 სრულიად არა...  
 მაშინ როდესაც მისი კირთება  
 მთელის სიმძიმით განიცდება  
 თვითეული ჩვენგანის მიერ...  
 ეს საარჩევნო უფლებები საყოველთაო,  
 სატყუარია ისეთივე ხეპრეებისთვის,  
 როგორც ის მტრედი, ზეთისხილის რტოს მომტანი  
 თვისი ნისკარტით...  
 ისევე როგორც მონარქია, დემოკრატია  
 მხოლოდ ფიქციებს ემყარება, მიმართავს ხრიკებს,  
 ავად თუ კარგად გაიტანოს თავისი თავი...  
 მთავარი არის, რომ ირწმუნოს ხალხმა ფიქცია  
 და ფონს გახვიდე შენი ხრიკებით...  
 უსამართლობა, სიბრიყვე და თვით სისასტიკეც,  
 არავის აღარ ანცვიფრებენ,



როცა ხდებიან კუთვნილება საყოველთაო...  
ჩვენ ვხედავთ ჩვენი წინაპრების ყველა ბინს,  
მაგრამ ვერ ვხედავთ ჩვენსას...  
საჭირო არის ერთი ბენო კეთილი ნება,  
ერთი ბენო უანგარობა  
და ჩვენ სწრაფადვე დავრწმუნდებით,  
რომ კანონები,  
უსამართლობის თავშესაფრებს წარმოადგენენ...  
რომ ზნე-ჩვევებში ჩვენ სათუთად ვინახავთ დღემდე  
ამპარტავნობას, სისასტიკეს და სიხარბესაც,  
რაც გადმოგვეცა მემკვიდრეობით...  
ჩვენ პატივს ვცემთ მხოლოდ სიმდიდრეს  
და არად ვაგდებთ პატიოსან შრომას...

4.

მაინც ვინ იყო ის პირველი ავანტიურისტი,  
კაცობრიობის გადარჩენის გზას რომ ეძებდა...  
ვინც გონივრული ჰპოვა ბოლოს გამოსავალი,  
ვინც უცხო სიტყვა — დემოკრატია  
ანთეოსივით მიაჯაჭვა ჩვენს აზროვნებას,  
და მარადიულ პროთეზივით  
მოაქცია ჩვენს ყბებს შორის,  
რომ ვისაზრდოთ იმედებით,  
ნახირივით ვცოხნოთ იმედი...  
ვერ ვამჩნევთ, მაგრამ ჩვენ დალუპვის ზღვრამდე მივედით...  
ჩვენივე ნებით ვინამლებით და ვიღუპებით,  
წყალი, ბალახი, ყველაფერი, ცაზე ღრუბელიც  
მონამლულია... და ცოდვილი ცივილურები  
მოვწყდით ფესვებს და ჩვენს მარჩენალ დედაბუნებას..  
ვანგრევთ და ვკაფავთ, ვთხრით და ვზურღავთ, რა გვეშველება,  
და დედამინა გატყავებულ-გამომიგნული,  
დრტვინავს და ოხრავს... ამ ნგრევას კი ვარქმევთ შენებას,  
შეგვრჩება ბოლოს მსხვერველადი და მყიფე ფიტული...  
გაქრება ბოლოს გალაკტიკის ციციქნა მარცვალისც,  
საქმით რომ ველარ ვუერთგულეთ, სიტყვით — გვიყვარდა...  
და ვექცეოდით, როგორც ავი დედინაცვალის  
ექცევა გერებს... გადიხარა უკვე ღერძიდან  
ლღობა დაიწყეს ანტარქტიდის აისბერგებმა...  
(მარადჟამს თოვლით შემოსილი კავკასიონიც  
პირველად ვნახე გატიტვლებულ-გამიშვლებული,  
განოლილიყო გაპარსული ხვალი ლომივით,  
რომელსაც მხოლოდ სახელი შერჩა...)  
ყველა მდინარე უბრუნდება თავის კალაპოტს,  
ასე ამბობდნენ წინაპრები... დაეჯერებათ...  
(თუმცა წინაპრები არ არიან უკვე მოდამი,  
თითქოს სამშობლო უწარსულო ლაბირინთია...)  
მთებმაც იციან თურმე სხვაგან გადაბარგება,  
ვით მოგზაურმა საკუთარი გუდა-ნაბადით...  
მიძინებული ვულკანებიც თვალებს ახელენ,  
ამ ხილული და უხილავი ვარსკვლავებივით...  
ზეცა ხანდახან უზარმაზარ ბროლის ჭალივით,  
ჩახჩახებს ... მართლაც საკვირველი არის სამყარო...  
როგორც ჭალიდან ცვივა ხოლმე ბროლის მარცვლები,  
ცასაც წყდებიან ვარსკვლავები დაუსაბამოდ...  
(აი, რატომაც იყო კანტი გაკვირვებული...)  
და რჩება ცაზეც, როგორც გულში ცხელი იარა...  
ეს პლანეტებიც მოთქმა-ვაების  
აპოკალიფსურ ხმებს გამოსცემენ,  
თითქოსდა ვისმენ იერემიას მწარე გოდებას...  
მოგისმენიათ დედამინის გმინვა-ტანჯვის ხმა?..  
(რა შორს წავიდნენ მენცარები, მაგრამ ვინ უწყის  
იმ უხილავის გარდა, ეს გზა სად დამთავრდება?...)  
ეს გალაკტიკა თითქოს ერთი ჯოჯოხეთია,

(მილიონობით არის თურმე გალაკტიკებიც...)  
სადაც უმწეო დედამინა ვერ გადარჩება...  
და როგორც მთებში იცის ზვავი და ქვების ცვენა,  
როდესაც დნება თოვლი, როცა მინა რბილდება,  
ასევე ცვივა კოსმოსიდან მეტეორები,  
დგას კოსმიური ორომ-ტრიალი, მტვერი და ბული...  
(ამ სამყაროსაც უნდა, ალბათ, დასუფთავება,  
უკვე ზედმეტად დაბინძურდა...ყარს გვამებისაგან...)  
ახავაი, სქანი ცოდა,  
მოფურინუნს ნიბირუ...  
ირფელ ვანშე ქუდგოსქიდეუ,  
მუთ გისხაპ დო გიბირუ...  
ახავაი, სქანი ცოდა,  
მოსოფუნცუ ნიბირუ...

5.

იძვრის სამყარო, იღვიძებენ ქარაშოტები  
ცუნამები და ნიაღვრები აფრინენ ხახახას...  
ვაი, ცოდვილო კაცობრიობავ!  
ყოფნა-არყოფნის უფსკრულთან დგახარ!  
ეი, შენ ჩემო ციციკორე, ბრძენო დიადო,  
კვდება იმედიც სამერმისო, საგანთიადო...  
მატარებელმა მოიტანა დეგრადაციაც,  
კაცი-ქალია, შენს მამულში, ქალი-კაცია...  
ტაკიმასხრების და უზნეო შერეკილების,  
ისმის გნისაი...სად არიან ზნეკეთილები?...  
ჩუმად არიან... ან არიან ქვეყნად საერთოდ?  
ყველამ ჩაყლაპა ეშმას ანკესი,  
და მის ფერხულში ნებით ჩაერთო...  
ჩვენ ვიღუპებით ცალ-ცალკე და უერთმანეთოდ,  
მარტოსულები, თავის თავში ჩაკეტილები...  
და ერთ დროს უფლის ხატად ქმნილი მოდგმა ადამის,  
ვართ დასალუპად განწირული ცოდვის შვილები...  
აი, კაენის, რა თქმა უნდა, მოდგმა ახალი,  
მინას გაურბის თვინიერი მოდგმა აბელის...  
რალას გვიშველის მაინც სირბილი,  
როცა მას ვერსად დავემალებით?...  
არსად არ არის სამალავი კუთხე-კუნჭული,  
ყველგან გვიპოვის... მის ხსოვნაში აღნუსხულია  
ჩვენი წარსული, ჩვენი აწმყო და მომავალი...  
(და თუ წარსული აღარა გაქვს, მაშინ არც აწმყო  
გექნება... ვინძლო, მომავალსაც საეჭვო არის...)

6.

ლილინებს კაცი და მიინევს ტყის სიღრმისაკენ,  
სადაც ბევრია პანტა და სოკო,  
მაჟალო, თხილი, შინდი, მაცვალი...  
რა ხელგაშლილი და რა უხვია  
ტყე, მომლოდინე დედასავით, მუდამ მართალი...  
გაგიშლის სუფრას, გამოგიტანს უცებ ყველაფერს,  
რაც კი რამა აქვს შემონახული...  
და როგორც დედის ნაჯაფარ ხელებს  
სდის ნანვიმარი მიწის სურნელი,  
ასეთი არის ახლა ეს ტყე გადაბურული...  
ტყეც დედასავით გაგიშლის ლოგინს  
და ლეიბივით დაგიფენს ბალახს...  
რომ დაქანცულმა სული მოითქვა  
და დაიბრუნო ჩვეული ძალა...  
წამონვე სადმე მდელს ნაგლეჯზე,  
გადაგეფაროს მშობლიური ხეების ჩრდილი,  
მარაოსავით რომ იშლება, ირწევა ამოდ;  
ამ პირველყოფილ მდუმარებას მიაყურადო;  
და ფაუსტივით შეჰლაღადო: „შეყოვნდი, წამო!“

7. როგორ დაჩქარდა დრო უწყვეტი, მარადმედიანი, წლები-წლებს ისე ემატება, ველარც კი ვატყობთ, რომ გვიკაკუნებს კარზე ჩუმად ჩვენი სიბერე... ნეტავი იმ დროს, იმ უზრუნველ და ლალ ბავშვობას, იმ წყალუხვ ენგურს, სადაც ბევრი იყო კალმახი, (დღემდე რომ იჭერს მაინც ჩვენი რენო ქარდავა, კაცი უებრო მონადირე და მეზადური... სოფელსაც თურმე ამიტომაც ჰქვია „პალური“, — ასე განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი...) ენგურში ბევრი იყო წვერაც და ორაგულიც, რა უმოწყალოდ გაატიტვლეს ლამაზი ჭალა, გაქრა ფრინველი, სადღა არის უკვე ნადირი... ფესვებიანად ამოძირკვეს ვრცელი ქაცვნარი სამკურნალო და ბარაქიანი... (რალას იზამდნენ კომუნისტი ბარბაროსები? — მათი რჩეული კალმოსნები, გვირგვინოსნები, ხობტა-დიდებას რომ უძღვნიდნენ ჩვენი მგოსნები...) არ გალობს შაშვი, არც ჩიტების ისმის ჟღერტული, არც ჭივჭავი და ყვავ-ყორანი, აღარც მერცხლები, ჭრიჭინობელას აღარ ისმის სადმე ჭრიჭინი, გამქრალან სადღაც ბალახივით მწვანე ხვლიკები, და გუბებში ბაყაყები — ორკესტრანტები არ ხმაურობენ, აღარ ისმის მათი ყიყინი, არც ჩირგვებიდან გამობტება სადმე კურდღელი... (სამაგიეროდ პეპელა გვყავს ამერიკული...)

8. მივყვები დინჯად მოგონების ხეულ გზა-შარას, პეიზაჟით იხატება სივრცე, ნიალი, სადაც ბავშვობა ხან უბელო ცხენზე ჯირითებს, ხან ბურთაობით გახვითქული ცივი მდინარის მიაპობს ტალღებს, დღენიდავ გაკაჟებული... ტანგაშლილი და ბობოქარი მახსოვს ენგური,

(ენგურს მეგრულად ჰქვია „ინგირი“, ეს შუმერული „ქა-დინგირ-რა“, რაც „ღმერთის კარს“ და „ცის კარებს“ ნიშნავს, იქნებ, ფუძეა ჩვენი „ინგირის?“..) მოჰქონდა შეშა, უამრავი ღორღი და ქვიშა, ასე ერთგულად პატრონობდა გულმართალ სოფელს, კვებავდა, ფუძეს უშენებდა, კერას უთბობდა... მეზადურები თხმელის ნედლი წნელებისაგან საგულდაგულოდ წნავდნენ ფაცერს... შემორავგავდნენ მდინარის ტოტებს რიყის ქვებით, რომ ძაბრისებრი ჰქონოდა ფორმა...წყლის ჩქრიალა ვინრო ყელთან კი ჩადგამდნენ ფაცერს... და ფარდულებს შეფარებულნი, ორაგულების მოლოდინში ათევდნენ ლამეს... რას არ ჰყვებოდნენ, რომ ლოდინის დამღლეი ტვირთი, დავინყებოდათ მაინც დროებით... ინელებოდა დრო, სიჩუმეს მიყურადებულთ გვესმოდა თევზის განწირული ხტომა-დფაფუნის ხმები... ხანდახან ეცემოდნენ ორაგულები მონაცვლეობით — ხან დედლები, ხანაც მამლები... შავი ზღვის გავლით იჩქაროდნენ სათავისაკენ, სად ცივზე ცივი და წყალმარჩხი არის ენგური, ყრიდნენ ქვირითს და ვალმოხდილი ალმა და დაღმა დასრიალებდნენ, რომ ეპოვათ სადმე ადგილი, სამუდამო და უდრტვინველი აღსასრულისთვის... მათი სტუმრობა ახარებდა ადამიანებს, გამარჯვებულნი შევცქეროდით ერთურთს ყველანი... ვინ იცის, იქნებ დავინყებას ორაგულებმა, ეს გზა არჩივს ჩვენი გულისთვის... ვინ გვასწავლიდა, რომ უფლისთვის გვეთქვა მადლობა, და ასე წლობით ვეჩვეოდით უმადურობას... და ასე წლობით ვეჩვეოდით უსამართლობას...

2012 წლის სექტემბერი

# რჩეულობის ნიშნით

(ჯანსუღ კორძაიას გახსენება)

ჯანსუღ კორძაია — ფილოსოფოსი, პოეტი... როგორც მისი მეგობრები ამბობენ, ის იყო ადამიანი, მოკეთე — რჩეულობის ნიშნით, მან სიცოცხლის საზრისის წვდომას 13 პოეტური კრებული და ორი რომანი მიუძღვნა. 24 მაისს ჯანსუღ კორძაიას 80 წელი შეუსრულდებოდა. ამ დღის აღსანიშნავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიკრიბნენ მისი მეგობრები, კოლეგები, ოჯახის წევრები და ის ადამიანები, რომელთაც უყვართ ჯანსუღ კორძაიას შემოქმედება. საღამოს უძღვებოდა პოეტი შარლოტა კვანტალიანი. პროექტორზე ნაჩვენები იყო 1995 წელს ჩანერილი ინტერვიუ, სადაც ფილოსოფოსი პოეტი თავის შემოქმედებაზე საუბრობს. ის საკუთარ თავზე ამბობს, რომ არის პოეტი, ფილოსოფოსი და რაღაც მაძიებელი სული. საღამოზე გულითადი სიტყვებით გამოვიდნენ ფილოსოფოსები აკაკი ყულიჯანაშვილი, რეზო ბალანჩივაძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ზოია ცხადაია, რომელიც პოეტს პირადად არ იცნობდა, თუმცა როგორც მან აღნიშნა, როდესაც პოეტის შემოქმედებას ეცნობი, ეხები მისსავე სულს.



საკმაოდ ვრცელ მოხსენებაში ქალბატონმა ზოიამ ამომწურავად ისაუბრა ჯანსუღ კორძაიას ლირიკაზე. „სტუმარი, რაინდი, პოეტი — ეს იყო ჩემთვის ჯანსუღ კორძაია“, — თქვა თამარ ბარბაქაძემ, რომელმაც ისიც აღნიშნა, რომ პოეტობა რჩეულთა ხვედრია, უმაღლესი ნოდება საქართველოში კაცებისთვის. ღვანლმოსილი მოღვაწე დიდი გულითადობით მოიგონა ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ჯული გაბოძემ, რომელიც ბატონი ჯანსუღის ნასტუდენტარია, შემდგომში მისი მეგობარი და ოჯახის ახლობელი. სასიამოვნო და მხიარული ეპიზოდებიც გაიხსენა. „მე იმ მცირერიცხოვან ადამიანებს მივეკუთვნები, რომელთაც ბატონი ჯანსუღის ლექსები ხელნაწერში წაუკითხავთ და იმ მრავალრიცხოვან ადამიანებს — რომელთაც ბატონმა ჯანსუღმა ნიგნები ავტოგრაფით უსახსოვრა“. დიმიტრი კორძაიამ, პოეტის უფროსმა ვაჟმა, დამსწრე საზოგადოებას დიდი მადლობა გადაუხადა. „ჩემს ძმასაც და მეც რაღაც პროფესიული წარმატება გვაქვს, მაგრამ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ის, რაც ჯანსუღმა შეძლო. მან შექმნა თავისი სამყარო ოჯახთან და დიდ სამეგობრო წრესთან ერთად...“ დასასრულ, პროექტორზე გაკრთა კადრები, სადაც ერთ-ერთ შემოქმედებით საღამოზე ბატონი ჯანსუღ კორძაია ემშვიდობება საზოგადოებას.

სოფიო ჯაჭვიაძე

23 თებერვალს, მანჭეტენში, მიდთაუნზე კიბე ავიარე და ზარი დავრეკე. მოლიმარი სახე და ანეწილი, ხვეული ქალარა თმა შემეგება — კურტ ვონეგუტი გახლდათ. უცებ გავიგონე: „უკბინე“, ვონეგუტის ფეხებთან მშვიდი გარეგნობის, პატარა, თეთრი ძაღლი იდგა. მან პატრონის ბრძანება არ შეასრულა. ძალიან მოწყენილი თვალებით შემომხედა. ვონეგუტმა დაიწუნუნა, ძაღლის დამორჩილება არ შემიძლიაო.

ყველაფერი, რაც კი შეიძლება გქონდეთ გავიგონილი ამ 80 წლის მწერალზე, სიმართლეა. იგი უხეში და უდარდელია, თუმცა ამავედროულად ძალიან სასაცილო. როცა გამოვუტყედი, რომ თქვენი ყველა წიგნი წაკითხული არ მაქვს-მეთქი, მითხრა: „ახლა შეგიძლიათ ნაბრძანდეთ“.

მთელი საღამო, რომელიც მის სასტუმრო ოთახში გავატარეთ, „პელ-მელს“ ეწოდება. როცა ამაზე მივანიშნე, მიპასუხა „ვცდილობ მოვკვდე, მაგრამ ეს აშკარად არ მოქმედებს“, და გადაიხარხარა. ბოლოსანს ის წერს სვეტს უურნალისათვის ახლანდელი დროება, სადაც მკითხველის შეკითხვებს იღებს. ვონეგუტის სიძულვილი ბუშის მიმართ აშკარაა. „ამერიკა ყველას სძულდა მთელს მსოფლიოში მანამ, სანამ მიკი მაუსი ვადატრიალებას მოახდენდა“, წერდა იგი. „ბუშის მოსვლამდე არავის ვძულდით ჩვენი თავისუფლებისა და სამართლის გამო. შეგვიძულეს იმიტომ, რომ ჩვენი კორპორაციები გამავრცელებელი იმ ახალი ტექნოლოგიებისა და ეკონომიკური სისტემებისა, რომელიც ანადგურებს კულტურებს“.

მწერალი 1944 წელს დრეზდენის სამხედრო ტყვეთა ბანაკში მოხვდა. ეს ხანა მან აღწერა ნაწარმოებში *სასაკლავო ნომერი ხუთი*. ვონეგუტს დიდი ადგილი უჭირავს ანტიმილიტარისტულ ლიტერატურაში. მის მრავალ ნაწარმოებს შორის ყველაზე ცნობილია *იავნანა კატისათვის, ჩემპიონთა საუბრე, გამოუსწორებელი დამნაშავე და ლურჯწვერა*, რომელსაც ავტორი ავტობიოგრაფიულ კოლაჟს უწოდებს სახელწოდებით: *მედი უარესი სიკვდილისა*.

# „მიხარია, რომ ამდენი რამ მინახავს“

(დავიდ ბარსამიანს ესაუბრაბა ურტ ვონეგუტი)

— რას ფიქრობთ ჯორჯ ბუშზე?

— ჩვენმა პრეზიდენტმა ისტორია საერთოდ არ იცის, და ჰყავს გარემოცვა, რომელიც ყურადღებას არ აქცევს ისტორიას. თავი ნოვატორებად მიაჩნიათ. ფაქტობრივად ეს ყველაფერი ძველი ტირანიაა, მაგრამ რატომღაც ჰგონიათ, რომ კრეატიულები არიან.

— 1946 წელს, ჰერმან გერიგმა ნიურნბერგში თქვა: „რა თქმა უნდა ხალხს ომი არ უნდა... მაგრამ პოლიტიკას ქვეყნის ლიდერები განსაზღვრავენ. ადვილია შეკრიბო ხალხი ერთად, დემოკრატია იქნება ეს, ფაშისტური დიქტატურა, პარლამენტი თუ კომუნისტური დიქტატურა“. ეს პრინციპი ამერიკაშიც მოქმედებს?

— რა თქმა უნდა! ბუშმა არ იცის, რაზე ვსაუბრობ, რადგანაც არაფრად აგდებს ისტორიას, მაგრამ ჩვენც ხომ გვერნდა ჩვენი რაიხსტაგის ხანძარი. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიამ სცადა დემოკრატია აეშენებინა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც რაიხსტაგი, კანონმდებლობა დაიწვა 1933 წელს. ამ მოვლენებმა ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობაც კი დააყენა ეჭვქვეშ. ცათამბჯენებზე თავდასხმამ ნება მისცა ბუშსა და მის ბანდას ყველაფერი ეკეთებინათ. ნამდვილად არ მგონია, რომ რაიმე რეალური საფრთხე გვემუქრება.

— დღეს ომი ისე წარმოებს, როგორც სატელევიზო შოუ, ომი ვიდეოთამაშად იქცა შინ მჯდომი ადამიანებისათვის.

— ეს პრეზიდენტის გასართობია. კლინტონმაც მოიმოქმედა მსგავსი რამ და, სხვათაშორის, აპატიეს. ბუში იმით გვართობს, მე „რესპუბლიკის სუპერ თასს“ ვეძახი, უმცროსკლასელები რომ თამაშობენ ცოცხალი საბრძოლო მასალის გამოყენებით.

— თქვენ გაეროს შტაბბინიდან ოდნავ მოშორებით ცხოვრობთ. 15 თებერვალს ნიუ იორკში მასობრივი დემონსტრაცია იყო. მიიღეთ თუ არა მონაწილეობა?

— დემონსტრაციას ვესწრებოდი, მაგრამ სიტყვით არ გამოესულვარ.

— მიიჩნევთ თუ არა, რომ ხალხის პროტესტი და დემონსტრაციები ეფექტურია?

— მე უკვე ხნიერი ვარ, მაგრამ ვიცი ნამის ომს მუდამ ვაპროტესტებდი. ჩვენ ერთი ამერიკელისთვის 50 აზიელს ვკლავ-

დით. როცა აშკარა გახდა, რომ ეს უაზრო სასაკლავო ფიასკოს განიცდიდა, ყველა ხელოვანი ამ ქვეყანაში ომის წინააღმდეგი გამოვიდა. ჩვენი პროტესტი ლაზერის სხივის მოქმედებასავით იყო. ყველა მხატვარი, ყველა მწერალი, კომიკოსი, ნოველისტი, პოეტი ერთი მიმართულებით უმიზნებდა. მოგვიანებით ამ შეუდარებელი იარაღის მოქმედება შესუსტდა. ახლა ბანანის კრემიან ღვეზელსა ჰგავს, დაბალი სიმალლიდან ჩამოგდებულს. ადამიანთა უფლებაა, მშვიდობიანად შეიკრიბონ და მთავრობას მოსთხოვონ მსხვერპლის რაოდენობის შემცირება. მაგრამ ამას ახლა არავითარი ფასი არ აქვს, რადგან ტელევიზია არ ინტერესდება დემონსტრაციებით.

მთავრობა თავს იმასხრებს. ერთადერთი იმის იმედი შეგვიძლია ვიქონიოთ, რომ ამერიკელი ხალხი ხმას აღიმადლებს ამ გაუმაძღრობისა და მანკიერების წინააღმდეგ. მაგრამ ასეთი ხალხის რაოდენობა გაუდმებით მცირდება ტელევიზიის გამო. ტელევიზიის ერთადერთი პლიუსი არის ის, რომ თუკი საშინელი სიკვდილით მოკვდით, ჩათვალეთ, რომ ტყუილად არ მომკვდარხართ, რადგანაც ეს მშვენიერი გასართობი გახდება.

— სასაკლავო ხუთში თქვენ დრეზდენის საჰაერო დაბომბვა გაქვთ აღწერილი. რამდენიმე თვეში ჰიროსიმასა და ნაგასაკის მოვლენები იყო.

— მონობის მერე ამ ქვეყნის ყველაზე რასისტული და საზიზღარი ქმედება ნაგასაკის დაბომბვა იყო. ჰიროსიმას ეს არ ეხება, რადგან შესაძლოა მართლა იყო სამხედრო სტრატეგიის ნაწილი. მაგრამ ნაგასაკი ყვითელი რასის ჰაერში გასაფანტად მოხდა, კაცების, ბავშვებისა და ქალების. მადლობა ღმერთს, მეცნიერი არა ვარ, თორემ ახლა თავს დამნაშავედ ვიგრძნობდი.

— ნიურნბერგის სასამართლოს მთავარმა მბრალდებელმა, რობერტ ჯექსონმა, რომელიც შეერთებული შტატების მთავარი პროკურორი იყო, თქვა: „აგრესიული ომის წამოწყება უმაღლესი დონის საერთაშორისო დანაშაულია“.

— ხალხი მუდმივად ტყუის იმის თაობაზე, რა მკვლელი ერი ვართ. მოდით სიმართლე ვთქვათ. საზიზღრად ვიქცევით. ტვინი გვაქვს არეული. ვინმემ უნდა თქვას: „მე ვფიქრობ, ძია ჩარლი გაფრინდა თავისი რაკეტიდან“. ჩვენ ახლა სამინლად ვიქცევით. ჯორჯ ბუშსა და მის ბანდას ჰგონია, რომ პოლიტიკური გენიოსები არიან.

თქვენ არასოდეს გინახავთ დიდებული მმართველები. მე მინახავს. ფრანკლინ რუზველტს ვგულისხმობ. იგი იყო ჰუმანური, ბრძენი და საზრიანი. თავისი კლასის წარმომადგენლები მოლაპატედ მიიჩნევდნენ. ჯორჯ ბუშს ეს ნამდვილად არ ემუქრება.

— ბუშის პოლიტიკა ერაცში უოლ სტრიტის გლობალურ სკანდალს დაემთხვა — ენრონი, ჰარკენი, ჰალიბარტონი. ამით საზოგადოების ყურადღება გადაიტანეს კორპორაციულ სექტორში მიმდინარე მოვლენებისაგან.

— ერთი რამ, რაც ინდიანაპოლისის სკოლის კომიტეტში გავიგე, ისაა, რომ როცა ტირანია ან მთავრობა გასაჭირში ვარდება, იწყებს ფიქრს თუ რა მოიმოქმედოს. გამოაცხადე ომი! ეს ჭადრაკივითაა, თუკი რამეს ეჭვობ, გააკეთე როქი.

გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ამერიკელთა 50 პროცენტი, რომელიც ახალ ამბებს ტელევიზიის საშუალებით იგებს, ფიქრობს, რომ სადამ ჰუსეინი დგას ტყუილების დაბობვის უკან. ადამიანებს ჰგონიათ, რომ ტელევიზიის საშუალებით ასე თუ ისე სანდო ინფორმაციას მიიღებენ. ვფიქრობ, ტელევიზია ნამდვილი უბედურებაა დემოკრატიაში.

— **ნიგნების კითხვის აუცილებლობაზე რას იტყვი?**

— რთულია წერო და იკითხო. ან იმედი იქონიო, რომ ვინმე წიგნს წაიკითხავს. ეს იმას ჰგავს, ვინმე საკონცერტო დარბაზში შეუშვა, ხელში ვიოლინო მიაჩერო და უთხრა, დაუყო-ნებლივ დაუკრას. გასაოცარი ოსტატობაა, რომ ხალხს კარგად კითხვა შეუძლია. ეს ცოტა ადამიანს ეხერხება. მაგალითად, მე ძალიან ფრთხილად უნდა ვიყო ირონიასთან, ფრთხილად უნდა ვიყო, როცა ვამბობ ერთს და ვგულისხმობ მეორეს. სასაკულაო ნომერ ხუთს უფროს კლასებში ასწავლიან, ზოგჯერ მასწავლებლები სთხოვენ სტუდენტებს, აღწერონ ავტორი. ზოგიერთი წერს, რომ მოვლენები არათანმიმდევრულია! რთულია წაიკითხო წიგნი, რომელიც ოთხშაბათს ორშაბათი მოჰყვება.

— **მამათქვენი არქიტექტორი იყო. ამბობთ, რომ არასოდეს გინახავთ, მას წიგნი წაეკითხოს. ბიძათქვენი ალექსი სადაზღვევო აგენტი გახლდათ, ადამიანი, ვინც გიბიძგათ კითხვის დაწყებისაკენ.**

— დიას, მან მაიძულა. და მისი რეკომენდაციები უმაღლესი დონისა იყო.

— **მაგალითად?**

— ბერნარდ შოუს პიესების წინასიტყვაობანი, რომლებმაც ჩემზე უდიდესი გავლენა მოახდინა. ჯანდაბამდე გზა ჰქონია პიესებს. მახსოვს, ერთ-ერთი წინასიტყვაობის სათაური იყო ქრისტიანობა, რატომ არ უნდა მივცეთ მას შანსი?

— **შოუს, რომელსაც თქვენს გმირად აღწერთ, სოციალისტი იყო.**

— სრულიად ჩვეულებრივია, იყო სოციალისტი. ჩვეულებრივი ამბავია, იყო სახანძრო განყოფილების სამსახურში. იყო დრო, როცა მე შემეძლო ხმა მიმეცა სამართლიანი ეკონომიკისათვის, ახლა აღარ შემეძლია. პირველ ტურში ხმა სოციალისტ კანდიდატს, ნორმან ტომასს მივეცი, ქრისტიან მინისტრს. მე ეს უნდა გამეკეთებინა კენჭისყრის თავის არიდებით. სამი სოციალისტური პარტიიდან უნდა ამერჩია — სოციალისტურ შრომის პარტია, სოციალისტურ მუშათა პარტია და... დამავინყდა მესამე რა იყო.

— **თქვენ ამავობთ, რომ ინდიანას შტატიდან ხართ.**

— შტატიდან, სადაც იუჯინ დებსი დაიბადა (ამერიკელი სოციალისტი). მან თქვა (და ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ პერიფრაზი ქადაგება მთაზე-სი, რომელიც ძალიან სოციალისტური ნაშრომია): „მანამ, სანამ არსებობს დაბალი ფენა, მე მისი წევრი ვარ; სანამ კრიმინალური ელემენტები არსებობენ, მათგან თავი შორს მიჭირავს; მანამ სანამ სული ციხეშია, მე თავისუფალი ვერ ვიქნები“. რა არის ცუდი ამში? იესოც ამის თქმის გამო აცვეს ჯვარს.

— **დღეს შეერთებულ შტატებში 2 მილიონი ადამიანია ციხეში. დებსი ძალიან დაკავებული იქნებოდა.**

— დებსი სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებდა, რადგანაც მიხვდებოდა, ამას ვერაფერს უშველიდა.

— **თქვენ წერთ კიდევ ერთ ადამიანზე, რომელიც საზოგადოებისთვის უცნობია. ეს არის პოვერს ჰაპუდი ინდიანაპოლისიდან. ვინ იყო იგი?**

— მდიდარი ბავშვი. მის ოჯახს კონსერვების ქარხანა ჰქონდა ინდიანაპოლისში. ჰარვარდი რომ დაამთავრა, ქვა-

ნახშირის მალაროში წავიდა სამუშაოდ, რათა ენახა, როგორია ეს. მუშებს ჩაუდგა სათავეში და გამოდიოდა საკოსა და ვანეტის სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მე მოგვიანებით გავიცანი, უკვე ინდუსტრიული ორგანიზაციის მეთაური იყო. როცა სასამართლოში მივიდა ორგანიზაციის წევრთა პრობლემების გადასაჭრელად, მას ჰკითხეს „რატომ გაეხვია თქვენნაირი მდიდარი, კარგი ოჯახისა და განათლების მქონე ადამიანი ასეთ ამბებში?“ „იმიტომ რომ მთაზე ექადაგა სერ, არ არის ცუდი ხომ?“



კურტ ვონეგუტი

ისე მოხდა, რომ მე ამერიკის ჰუმანისტთა ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი ვარ. ჯონ აპდაიკი, რომელიც ძალიან რელიგიური პიროვნებაა, ამბობს, რომ მე ღმერთზე უფრო მეტს ვლაპარაკობ, ვიდრე ნებისმიერი სემინარიელი. სოციალიზმი ფაქტობრივად ქრისტიანობის ფორმაა, ხალხს უნდა ქრისტეს მიბაძოს.

— **თქვენი სული გაჟღენთილია ქრისტიანობით.**

— რა თქმა უნდა. არ ვიცი, არსებობს თუ არა ღმერთი, მაგრამ ქადაგება მთაზე შედეგია, ასევე ლოცვა: „მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევეთ თანამდებთა მათ ჩუენთა“. ორი ყველაზე რადიკალური აზრი, რომელიც მოკრძალებულ ადამიანურ ფიქრებშია ჩადებული არის,  $E=MC^2$  მატერია და ენერჯია. ეს იგივეა, რაც „მოგვიტევე ჩვენ თანამდებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევეთ თანანადებთა მათ ჩუენთა“. 1844 წელს კარლ მარქსმა თქვა: „რელიგია ბრბოს ოპიუმი“. ეს მაშინ, როცა ოპიუმი და მისგან მიღებული ნივთიერებები ერთადერთი ტკივილგამაყუჩებელი იყო. ეს კი არც ისე ეფექტური საშუალებაა. მას აგრეთვე შეეძლო ეთქვა: „რელიგია ხალხის ასპირინია“. და ეს მაშინ, როცა ამერიკაში მონობა ლეგალური იყო. ახლა, მოწყალე ღმერთის თვალთ, ვინ უფრო მეტად საძულველი იყო მაშინ? კარლ მარქსი თუ შეერთებული შტატები?

— **თქვენ თქვით, რომ დიდი დეპრესიის ან მეორე მსოფლიო ომის ხანას არაფრის გამო არ გამოტოვებდით, რატომ?**

— იმიტომ, რომ ეს ყველაფერი საკუთარი თვალთ ვნახე. ნიგნებში არ წამიკითხავს. ნამდვილად ვიყავი ქვეითი ჯარის რიგითი. აქ საქმე სიამაყეს ეხება. მე ვიყავი პოლიტიკური რეპორტიორი ჩიკაგო სითი ნიუსის ბიუროში, ამან მომცა შესაძლებლობა დამენერა პიესა პირველი გვერდი. ჩიკაგოს მოვლენებს ვაშუქებდი, როგორც ქუჩის რეპორტიორი. მასწავლებელიც ვიყავი და კიდევ უამრავი რამ. მიხარია, რომ შესაძლებლობა მომეცა ამდენი რამე მენახა.

— **როდესაც კოლეჯის სტუდენტებთან ატარებთ ლექციებს, როგორ პასუხებს იღებთ?**

— ძალიან თბილს, ერთუზიანებით აღსავსეს. გგონიათ, კოკაინით კაიფი უფრო მაგარია? წარმოიდგინეთ, რა გრძნობაა, როცა სტუდენტები ასეთი თვალეებით გიყურებენ. ეს შესანიშნავია.

ინგლისურიდან თარგმნა  
ლიზა ზუპაჰვილია



ირაკლი სამსონაძე

# აქედან იქით და პირიქით

ანუ

**უცნობი, მაინც ასე ნაცნობი  
ვინმე გიგოლა და მოგზაურობა გოგოლის  
რამდენიმე პერსონაჟთან ერთად**

ალარ მახსოვს აქედან იქეთ მივდიოდი თუ პირიქით, იქიდან აქეთ მეჭირა გეზი, ეს არც ისე მნიშვნელოვანია, რადგან აქედან იქითაც და იქიდან აქეთაც სამარშრუტო ტაქსებით ვმგზავრობ. სწორედ ამ ტრანსპორტში მოვისმინე ამბავი ჩემთვის უცნობ ვინმე გიგოლაზე. ჯერ ჩანახატის დაწერა ჩავიფიქრე, შემდეგ მომცრო მოთხრობისა, მივუჯექი კიდეც მაგიდას და უეცრად მივხვდი, რომ არც ჩანახატი, არც მოთხრობა ჩემი სკვირიდან არ იქნებოდა. მივივინყებ-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ამბავი თავად არ მომეშვა, გეგონება ქუჩიდან გამოყოლილი ვირუსი ქრონიკულ დაავადებად მექცაო, უცნაური სიჯიუტით მახსენებდა თავს, ამის წამალი კი, მერწმუნეთ, მხოლოდ ერთია — როგორმე მოუძებნო სათქმელს ფორმა და საბოლოოდ გაირიღო, განიკურნო, გათავისუფლდე მისგან. ფორმის ძიებამ ბოლოს და ბოლოს ლიტერატურული პორტრეტის შექმნა გადამანყევტინა იმ კაცზე, ვინც თვალით არ მინახავს და, როგორც მეჩვენება, მაინც ვიცნობ.

თუმცა ერთია, როცა ნატურიდან ხატავ პორტრეტს, სხვა — წარმოსახვით შექმნილი. ვნახოთ რა გამოვა.

არცთუ ახალი ამბავია, უფრო თუ დავაზუსტებთ, ჯერ კიდეც იმჟამინდელი, ვიდრე მერია ყვითელ სამარშრუტო ტაქსებს შემოუსევდა ქალაქს. ნოემბრის შეცივებული, დღე-ღამეული საღამო იყო, სამარშრუტო ტაქსი ამ უღიმღამო საღამოსთან სრულ შესაბამისობაში მოსული — წყვეტილად მოდადღანე, ჩიხოლჩამოტყავებული სკამებით თითქოსდა იმაზე გაბრაზებული მსუყეკეფიან მძღოლთან ერთად, რომ მხოლოდ სამი მგზავრის წამოკრეფა მოახერხა ბინდომძღვარებული ქუჩის სიმატროვიდან.

მესამე მგზავრი მე გახლდით, გვერდივეკერდ მსხდარი ორი მამაკაცი მანქანაში დამხვდა. მათ უკან, მოპირდაპირე რიგში, განმარტოებულ სკამზე ჩამოვჯექი და თანამგზავრებს შევავლე თვალი. ფანჯრის მხარეს ხმელი, ლოყებჩაცვნილი, ყვრიმალეზამონეული კაცი იჯდა, მის გვერდით — ჩადგმული, ქედგამგელებული, აეროპორტი ქუდით თავზე. არიან ასეთები, კისერი გაძვალეზიანთო თითქოს, პირს კი არ იქცევენ მოსაუბრისკენ, მთელი სხეულით ბრუნდებიან ხოლმე. ამიტომაც იქმნება ჩვეულებრივი, საყველპურო, უეშმაკო საუბრის დროსაც კი ისეთი შთაბეჭდილება გექმნება, გეგონება ეს კისერგაძვალეზულნი თუ ქედგამგელებულნი რალაციით უკმაყოფილონი დარჩნენ, რალაც არ მოეწონათ შენში და ჰა, სადაცაა შემოგიტყვენ. ჩადგმულ მამაკაცს მოკლე, ნაცრისფერი ქურთუკი ბეჭებზე ასკვებოდა, დარუმბულ ფეხებს შორის მკვიდრად გატენილი, ძველი ჩანთა მოემწყვდია. მანქანაში ამოსვლისთანავე მიიქცია ყურადღება ჩანთის სახელურებმა, რომელიც რამდენიმე ფენად გადახვეული ბინდით გაენასკვათ და ერთმანეთთან მოეჭიდროვებინათ. მამახსოვრდება ასეთი დეტალი, რადგან რალაცაზე მიაბობს — გარდასულიდან მოწყენით მაცქერალზე, სოფელსა და ქალაქს შორის ამგზავრებულთა ძველისძველ პრაქტიციზმზე, ჰო, ამაზეც და იმ სარჩოზეც, რომელიც უნდა გამოიზოგო —

ბოთლები ტყემლით, პომიდვრის სანებლით, შინაური არყით, ჭადის ფქვილი თეთრ ტომსიკაში, სამლიტრიანი კომპოტი, კიდეც რალაც — შესაძლოა ლობიო და ნიგოზი, ანდა ხილი პირის გასასველებლად, მაგრამ ყველაფერი მოზომილად, ცოტაცოტაობით, თუმც ჩანთას კი გასკდომამდე ავსებს და იმედისმომცემ მნიშვნელობას ანიჭებს, რის მიღმაც, როგორც წესი, შეჭირვება ჭიატობს. ქედგამგელებული ფიქრში გართულიყო, მძღოლის მსუყე კეფას მისჩერებოდა ერთხანს, შემდეგ სანახევროდ მიბრუნდა თანამგზავრისკენ, თქვა — ჰმ, ორჯერ ახსენა ვინმე გიგოლა, ისევ თქვა — ჰმ, გასწორდა და მძიმედ, მრავალმნიშვნელოვნად დადუმდა.

ქუჩის ნიალიდან ლამპიონების დროდადრო შემოცეცე-ბულმა ნათებამ ხმელი კაცის სახე აირეკლა, მის ჩაცვნილ ლოყებს ჩრდილი ჩაუფინა, ამონეულ ყვრიმალეზს პირიქით — ელვარება შეაფრქვია, ქედგამგელებულის პროფილს მიაცქერდა უხმოდ, დაკვირვებით, მერე რალაცნაირი მისტიკური გაფატულობით იკითხა:

— რა, გიგოლა?..

ჩადგმული მამაკაცი, როგორც ჩანს, ელოდა ამ კითხვას, მან თქვა — „ფიე“, თუ ამისმაგვარი რამ, რაც განზილებასაც გამოხატავდა და უკიდურეს უკმაყოფილებასაც და დაიწყო: გიგოლა და გიგოლა, — თქვა მან, — გიგოლა იქ, გიგოლა — აქა, ვფიქრობ ჩემთვის, ნუთუ ისაა, უბნიდან რომ მახსოვს-მეთქი? ვკითხულობ, მპასუხობენ — გამოცანა გერგება, ჰო, ისააო... ვაჰ, — ვფიქრობ, — როგორ, კაცო, იმ უნიფხვომ იშოვნა ფული და ის ნუპაკა გახდა საკრებულოს წევრი? ვაჰ, — ვფიქრობ, — ვაჰ, სასწაული თუ გინდა ესაა! მე ვფიქრობ, — მოდი ერთი, მივაკითხავ გიგოლას, რა იცი, რა ხდება, ნესით უნდა ვახსოვდე, ჯიმი ვარ, მიცხოვრია, რამე...

დავიმახსოვრე სახელი — ჯიმი, და ისიც ვიფიქრე, რომ დამინტერესა ამ ვინმე გიგოლამ.

ჯიმი ერთხანს დუმდა, დუმდა ყვრიმალეზამონეულიც, რომელიც თვალს არ აცილებდა თანამგზავრის პროფილს. ჯიმიმ განაგრძო: ახლა რა არის, იცი, კაცი ვარ, ის ხომ არა ვარ, გადავწყვიტე სათხოვარზე მისვლა, მაგრამ იმასაც მოფიქრება უნდა, როგორ მივიდე, რა ვთხოვო; მართალია, გიგოლაა, მაგრამ ვინც გინდა იყოს, კარს ხომ არ ავუტალახებ, თვითონ ჩემთვის არაა ლამაზი, მოკლედ, ხომ გესმის, ხვდები ალბათ...

— ჰო, — თქვა ყვრიმალეზამონეულმა საიდანღაც, რომელიც დარეტიანებული სევდიდან, — ჰო...

— ჰოდა, ჯერ ჩემს გოგოზე ვიფიქრე, — თქვა ჯიმიმ, — იქნებ სამსახურში მომანყობინოს-მეთქი გიგოლამ, მერე ვიფიქრე, ბიჭზე ვთხოვ-მეთქი, ისიც უმუშევარია, მაგრამ მახალა დღეს სამსახურის შოვნა, ან პირდაპირ მოგახლიან უნდა და ისეთ სურათს დავიხატავენ, ვერაფერში გაამტყუნებს, ანდა შეგპირდებიან და ისე განელავენ დროს, თვითონ გადაგავიწყდება, რა სათხოვარზე იყავი მისული... რალა ბევრი გავაგრძელო, ვიფიქრე, ფულს ვთხოვ-მეთქი, წინ ზამთარია, შეშა, რამე, მოკლედ, როგორც არის... გავიკითხე გიგოლას მობილურის ნომერი, მითხრეს, ვფიქრობ თანაც, ან უპასუხებს უცხო ზარს, ან არა-მეთქი, ხო იცი, ათასი მთხოვნელი ჰყავს ფულიან კაცს, თანაც ცხვირის აბზუება იციან მერე... დავრეკე, გავიდა ზარი, სიტყვებს ვეძებ გონებაში, რა ვუთხრა, როგორ ვუთხრა, ისიც მეეჭვება, საერთოდ თუ აიღებს ყურმილს. აილო, მიპასუხა. ვაჰ, — ვფიქრობ, — ვაჰ, ერთიც ვნახოთ და მართლა კაცი დადგა ეს გიგოლა! ვეუბნები — გიგოლ, ჯიმი ვარ, საქმე მაქვს შენთან... ვუსმენ, რას მეტყვის. ჯიმი, ძმაო, სად დამეკარგეო, — მეუბნება; ოფისის მისამართს მაძღვეს, დილის 11 საათზე მიბარებს. აგაშენა ღმერთმა, — ვფიქრობ, — კაცი ყოფილხარ!.. ნავედი მეორე დღეს, მივდივარ და მაინც მეფიქრება, არ დამხვდება, რალაცას მოიმიზეზებს, გიგოლას ეგრე იოლად რას გამოჩენბი-

მეთქი... დამხვდა, შემეგება, გადამკოცნა, მაგიდასთან მიმიპატიუა. ვაჰ, — ვფიქრობ, — ვაჰ, ის გიგოლაა? ჰო, ისაა, ზის ჩემს პირდაპირ, თვალს მიპაჭუნებს, მაქეზებს რა, მითხარი რამ მოგიყვანა ჩემთანო — ამას მანიშნებს. ამდენი ხანია არ მინახავს, ვატყობ, მემძიმება ვგრევე ფულის ხსენება; ვეუბნები — გიგოლ, ჯიმი ვარ, ხომ კარგად გახსოვარ-მეთქი? მაგას კითხვა უნდაო? — აქეთ მამუნათებს. დროა საქმეზე გადავიდე, ვეუბნები — მე-მეთქი, გიგოლ, კაცთან თუ მივალ, ერთ სათხოვარზე მივალ, გამიჭირდა, ძმაო, 700 დოლარით რომ გამიმართავდე ხელს, დიდი შეღავათი იქნებოდა-მეთქი ჩემთვის... ჩაფიქრდა, — ვუცქერ; მიცქერს, — ფიქრობს. ვაჰ, — ვფიქრობ, — ვაჰ, გამიზა ეგ ფული, არ არის მომცემი. მერე მეკითხება, — ძველი ფაბრიკა ხომ გახსოვს? კი-მეთქი, როგორ არ მახსოვს. ვიყიდე ფაბრიკა, ოფისიც იქით გადამაქვსო, — მეუბნება. მეთქი რა ტარაბუხას მასხამს ეს ნუპაკა, რა შუაშია-მეთქი ძველი ფაბრიკა?! დრო გადის, ვუცქერ, მიცქერს, მიცქერს და მეუბნება, — ერთხელ მოსულხარ სათხოვარზე, უარით როგორ გავისტუმრო, ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე მოხვალ იქ, დანარჩენი ჩემზე იყოსო... ვაჰ, კოტე, ძმაო, — მიტრიალდა ჯიმი ყვრი-მალეზამონეულისკენ, — თუ დამიჯერებ, გული ყელთან მომეზვინა, უკვე ჩაქნეული მქონდა ხელი, ვიფიქრე, ფაბრიკის ყიდვაც იმიტომ მიხსენა, უფულობას დაიბრალებს-მეთქი. თანაც ისე კი არ მითხრა, ჰაიჰარად, ქლესა ღიმილით და რამე... არა, კაცი რო კაცურ სიტყვას დაადგებს, ხო იცი, აწონილ-დანონილად, ღირსეულად, რამე, აი, ეგრე მითხრა... ეს გული კიდევ არ მეშვება, მეზვინება და მეზვინება ყელთან, ლამისა ავტირდე ამხელა კაცი, ეგე-მეთქი, ვფიქრობ, — ეგე, კაცი ყოფილა ეს გიგოლა, შენ კი ამდენი ხანი ვერ გიცნია-მეთქი... მერე ვეუბნები, — გიგოლ, ძმაო, მართალი უნდა ვიყო შენთან, ახლა ვერ გიპასუხებ, როდის დავაბრუნებ ვალს, მაგრამ ჯიმი ვარ, რალაც გამოჩნდება, სულ ასე ხომ არ იქნება-მეთქი... გამილიმა, ხელი გამომიწოდა, წამოვდექით, გადამკოცნა, მეუბნება — დაივიწყე, ჯიმი, შენ მაგით გული არ დაიმძიმო, — თანაც კარისკენ მივდივართ, მაცილებს. მოკლედ, გამომისტუმრა... გეგონება ფრთები გამომესხაო, ფული ფულად მიხარია, გიგოლას დახვედრა და სიტყვა-პასუხი ცალკე მახარებს. ვაჰ, — ვფიქრობ, — ვაჰ, თითქოს გავმალდი-მეთქი, — ვფიქრობ. გზადაგზა ვეგემა თანაც, როგორ გადავიზამთრებ, რას ვიყიდი... სულ ცოდილო და იმასაც ვფიქრობ, რა ვიცოდი ასე თუ დამხვდებოდა, დამემრგვალებინა ბარემ, 1000 დოლარი მეთხოვა-მეთქი. ეეე... — თქვა ჯიმიმ, ტანი გაიპირდაპირა, მძიმედ დაიკრა მუხლზე ხელი, მანქანის იატაკს ჩააცქერდა, ერთხანს იყურა, მერეღა მოაყოლა ამ ამბის დასასრული: ეგრე ფრთაგამოსხმული გავეშურე დათქმულ დღეს, დათქმულ საათზე ძველ ფაბრიკაში, — თქვა მან, — ვხედავ რუზრუზია ეზოში, ვინც კი დედას დაუნყევლია, ყველა იქაა — ჩორნა, ტრუხა პავლე, მანდაუშკა სერგო, ანტონა რო იყო, მილიციონერი, ისიც იქაა, ყველა, რა, წითელი და შავი ერთად ირევა, სიგარეტს ღეჭავენ, გიგოლას ელიან... ვაჰ, — მივხვდი რაშიც იყო საქმე, მაგრამ ეგრევე ხომ არ გა-

მოვტრიალდებოდი, მეც გავლექე ამათთან ორი თუ სამი სიგარეტი, წამოვედიო მერე, გზადაგზა ვაგინებო გიგოლას, მეც ვაგინებ ამათთან ერთად, მაგრამ სიტყვით რო გიგოლას ვაგინებ, გულში ჩემს თავს ვლანძღავ — ხომ იცოდი, ვინც იყო ეს ნუპაკა, რა გეგმებს აწყობდი-მეთქი... ეეე... — ჯიმის გულგვამიდან კვლავაც დაიძრა ეს გულდარდიანი „ეეე“, შემდეგ ორივე ხელით დაეყრდნო მუხლისთავეს და უფრო თავისთვის, ვიდრე თანამგზავრის გასაგონად გაგრძელებულად, თითქოს დამწვრისა მიუსიმღერაო, გააყოლა და გააყოლა — ეგეეც შენი გი-გო-ლაა... ამის მერე სანახევროდ შერბუნდა კოტესკენ და განდობილად უთხრა: — დაფურეკე მაინც, არ აილო ყურმილი, ოფისშიც მივაკითხე, გადაბარგებულა. ნავედი ძველ ფაბრიკაში, იქაურობა ისევე ისეა ჩაოხრებული, მაგრამ დაცვა ჩაუყენებია, ჩიტი ვერ შეფრინდება... რალას გახდები, ჩავიქნე ხელი, მინდოდა მეგინებინა,



მსატყარო თამარ მინაშვილი

თუმცა სად ნახავ, მობილურიც გამოცვალა ალბათ...  
 — ჰო, — თქვა კოტემ, — სხვა ნომერი აქვს. — და ახლა ის მიაცივდა მზერით მძლოლის დანაკეცებულ კეფას.  
 ჯიმი თვალსა და ხელსშუა გამოცოცხლდა, მთელი ტანით მიბრუნდა კოტესკენ, გეგონება მისი მომწყვდევა სურსო:  
 — მობილურის ნომერი იცი?! მითხარი, თუ ძმა ხარ, მითხარი, რა!..  
 კოტემ პირი იბრუნა მეგზურისკენ და მოკლედ, მოჭრილად მიუგო:  
 — აზრი არა აქვს, უცხო ნომერს არ პასუხობს...  
 მხოლოდ ჯიმისთვის კი არა, ჩემთვისაც ცხადი გახდა, რომ კოტეს ჰქონდა გიგოლას მობილურის ნომერი.  
 — მაშინ შენი მობილურიდან გამაშვებინე ზარი, — გულით, რალაცნაირი გაბავშვებით სთხოვა ჯიმიმ კოტეს, — გამაშვებინე, რა, ერთ-ორ სიტყვას ვეტყვი, მართლა კი არ უნდა ვაგინო, საქმე მაქვს გადაუდებელი, მიდი ძმურად, არ დაგიკარგავ...  
 — ვერ გავაშვებინებ ზარს, — თქვა კოტემ და მეტად განმარტოვდა თავის სევდაში...  
 — რატომ? რატომ?! — ჩააფინდა ჯიმი კოტეს.  
 — 300 დოლარი ვესესხე... — თქვა კოტემ, რაც იმას ნიშნავდა, რომ ესესხა, მაგრამ ვერ დაუბრუნა ფული.  
 — ააა, — თქვა ჯიმიმ, მოტრიალდა, გასწორდა, — გასაგებიაო, ჩაილაპარაკა, ცოტა ხანს იყურა და მერე თქვა: — რამე არ გეგონოს, ჯიმი ვარ, ხომ მიცნობ... კაცი რო ასე მოგექცევა, იმას როგორ ვთხოვ რამეს... შენი თანდასწრებით უნდა მეგინებინა!..  
 — ჰო, — თქვა კოტემ, — ვიცი... — თუმცა რალაცნაირი „ჰო“ იყო, „ვიცი“ რალაცნაირი იყო, სათქმელად სათქმელი, ისე სათქმელი რა, რალაც რომ უნდა თქვა, რადგან ერთხანს ისევე გინვით მგზავრობა შენ და იმას, ვისაც ეს „ჰო“ და ეს „ვიცი“ სჭირდება ახლა...  
 — გადავანყდეები სადმე და მაინც ვაგინებ, — თქვა ჯიმიმ, — ქალაქია, ის ხომ არ არის...  
 — თუ ძმა ხარ, — თქვა კოტემ, — სადღაა ქალაქი, ქალაქი — არა...  
 და მერე გაყურდნენ, მოიწყინეს.

ჩასვლის წინ ჯიბეზე გაიკრა ჯიბი ხელი, ქურთუკის მარჯვენა უბე მოისინჯა ჯერ, მერე — მარცხენა, გულის ჯიბესაც მისწვდა, მაგრამ ამასობაში კოტემ მიაწოდა მძლოლს ფული. ჯიბი მკვიდრად გატენილ, სახელურებზე ბინდგდანასკველ ჩანთას მოეჭიდა, აეროპორტი ქუდის ჩრდილიდან დაუგდო კოტეს მადლობა და საზრუნავს მიცემული ფართი-ფურთით გაეჩქარა შეღამებული ქუჩისკენ, მწყობრად ჩარიგებული ლამპიონებისკენ, მოახლოებული ზამთრის მაუწყებელი ნოემბრის სუსხში...

როგორც ჩანს, ისე გამიგაცა გიგოლას ისტორიამ, რომ მერეღა შევნიშნე — სამარშრუტო ტაქსი სანახევროდ შევსებულიყო მგზავრებით. მძლოლს მაინც ემჩნეოდა სიბრაზე, თუნდაც იქიდან ემჩნეოდა, რა ხაზგასმული გაზანტებითა და აგდებული დამოკიდებულებით იღებდა მგზავრობის საფასურს და ხურდასაც იმგვარად აბრუნებდა, გეგონება გეზუზღუნებოთ თანაც, — აბა, ამ საქმეს საქმე ჰქვია, ტილაობაა, საქმე კი არაო...

მძლოლის განწყობას წყვეტილად ადადლანებული მანქანაც უბამდა მხარს.

ჯიბის ჩასვლის შემდეგ კოტემ ფანჯრისკენ იბრუნა პირი, დაახლოებით ხუთ წუთში კი ისიც ჩავიდა. აღარც მე მქონდა შორი გზა, ის გზა გიგოლაზე ფიქრმა უცებ გალია. მას მერე საკმაო ხანი გავიდა, ამის დასტურად ისიც იკმარებს, რომ ქალაქში ვედარსად შეხვდებით ასეთ ძველ მანქანებს, — კი არ დალოდავენ, დასრიალებენ, იმაზეც გაფიქრებენ, რომ დრო ერთ ადგილას არ დგას და ბევრი რამ შენს თვალწინ იცვლება; თუმცა ჯერჯერობით უცვლელია ჩემი მსვლელობა აქედან იქით და პირიქით — იქიდან აქეთ. მე სამარშრუტო ტაქსის მგზავრი ვარ. გიგოლა, რაღა თქმა უნდა, ამ საზოგადოებრივი ტრანსპორტით არ სარგებლობს, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ სწორედაც საზოგადოებრივ ტრანსპორტში ლაყობენ მასზე...

\*\*\*

და მაინც, ვინაა ეს ვინმე გიგოლა, როგორ გამოიყურება, რომელი სოციალური ჯგუფის წარმომადგენელია, რა ფუნქცია მოიხრგო, რას წარმოადგენს?

დავინყოთ იქიდან, რომ გიგოლა მრავალგვარი შეიძლება იყოს — მსუქანი, გამხდარი, მაღალი, დაბალი, საშუალო ზომა-წონისა, მოკლედ რომ ვთქვათ, ისეთიც და ასეთიც, ნებისმიერი, მაგრამ როგორც უნდა იყოს, ერთი რამ ცხადია, ჯიბის სიტყვას თუ ვენდობით, ცხოვრების რაღაც ეტაპზე იგი „უნიფზვო“ გიგოლა ყოფილა, მაგრამ შემდეგ მორგებია დროს, ფულიც უმოგნია და საკრებულოს წევრიც გამხდარა; ანუ, თუკი გიგოლას სახის შექმნა გვინდა, ის დრო უნდა განვსაზღვროთ, როცა ნუპაკა გიგოლად ქცეულა. ამ აზრს ისიც ამყარებს, რომ ყველა დრო თავის ნიშანს ადებს მსგავს ტიპაჟს, მარტივად ვთქვათ — კომუნისტების ხანაში სხვანაირი გიგოლები იყვნენ, დამოუკიდებლობის პირველ წელს — სხვანაირი, ტრიუმფირატის მმართველობისასაც — სხვანაირი, მერეც და მერეც — სხვანაირი და სხვანაირი. როგორც წესი, გიგოლები დისტანცირებულნი არიან „პირველი კაცისგან“, მათი დასაყრდენი ხელისუფლების მეორე ემელონშია, აქ ეგულებათ „კრიშა“. ესე იგი, ისინი სადღაც შუაში იმყოფებიან ხელისუფლებასა და ხალხს შორის, ახლა ის დავაზუსტოთ, ჯიბის ნახსენები გიგოლა რომელმა დრომ ჩამოქნა და მიითბო. ვარდების რევოლუციის შემდგომი ხანაა, რიგით მეორე ტრიუმფირატი დაიშალა, პრემიერ-მინისტრი და პარლამენტის თავმჯდომარე ძალაუფლებას ჩამოშორდნენ თუ ჩამოაშორეს (მიზეზებს ნუ ჩავუღრმავებთ, ამჟამად გიგოლა გვაინტერესებს), დარჩა პრეზიდენტი და მისი გუნდი. ისინი ყოჩაღად და, როგორც პოლიტიკოსები ამბობენ

ხოლმე — „ცალსახად“ ახორციელებენ რეფორმებს. მათ შორის, ბუნებრივია, დედაქალაქის სატრანსპორტო რეფორმაც იგულისხმება, მაგრამ რეფორმა ჯერ არ განხორციელებულა, გზაშია ჯერ კიდევ ეს რეფორმა, ჰა და ჰა, სადაცაა შემოიყვანენ ყვითელ სამარშრუტო ტაქსებს, რომლებიც კი არ დალოდავენ, დასრიალებენ, და იქნებ ესეც იყო მსუყვეყვია-ნი მძლოლის გალიზიანებისა თუ უკმაყოფილების საბაბი, მე კი რა არ დავაბრალებ... კარგი, მოვეშვათ მძლოლს, გიგოლას დაუბრუნდეთ. დავინყოთ ყველაზე მარტივი დეტალით. პირგაპარსულია თუ პირგაუპარსავი? პირგაპარსული. ალბათ. ჰო. თუმცა... იქნებ საჭიროებისამებრ პირგაპარსულიცაა... რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ შესაძლოა გიგოლას დროდადრო შემოქმედებითად დაუდევარი იერიც კი გადაჰკრავდეს ხოლმე, მოშვებული — არა, არავითარ შემთხვევაში; შეძლებული კაცის შემოქმედებითად დაუდევარი იერი სულ სხვა რამ გახლავთ; ხუთი-ექვსი დღის პირგაუპარსაობა, თუკი ძალიან ბებერი და მსუქანი არ ხარ, განიჭებს ასეთ იერს, ხოლო თუ შესაბამისი პენითაც იმოსები, არც ისაა გამორიცხული, ჟურნალის გარეკანზე აღბეჭდილ ცნობილ ფეხბურთელსა თუ რომელიმე კინოვარსკვლავს მიგამსგავსონ. ისინი არიან ასეთები — მოვლილები, მაგრამ ცოცხათი, სულ ცოცხათი პირგაუპარსავები, ლაღები თანაც, შთამბეჭდავი ღიმილით ბაგზე. იქნებ მართლაც ასეთია ეს ვინმე გიგოლა, თუმცა როცა საქმეს სჭირდება, გარდაისახება, პირსაც იპარსავს და შესაბამისად იმოსება კიდევ (ჰალს-ტუხითურთ, რასაკვირველია). ვითომ ასეთია? არა, არა მგონია. უფრო სწორად, ასეთ გიგოლას არსებობის უფლება აქვს, თუმცა რამდენიმე მიზეზი უშლის ხელს მანქანაში ყურმოკრული ამბის მთავარ გმირად იქცეს. უპირველეს ყოვლისა, ჯიბის ჩამყავებული უბნის მკვიდრობა არ ეტყობა, სხვა სოციალური თითქოს, აღზრდისა და გემოვნების იმ სისტემაში ვერ თავსდება, საიდანაც ჯიბის გიგოლა უნდა იყოს. საიდან არის ჯიბის გიგოლა? ვილაც ნამილიციონარი ანტონაო, ვილაც ტრუხა პავლე, მანდაუშკა სერგო და ჩორნაო, — ახსენა ჯიბი. ასეთ უბნებში ზეაღმატებულობის ნიშნად ოქროს მიიჩნევენ. უნდა ჩანდეს ოქრო, თვალს უნდა გტაცებდეს, რადგან ოქრო სავიზიტო ბარათიცაა ოქროსთან ერთად, და ჯიბის გიგოლასაც უეჭველად ექნება ოქროს ნივთი, — „პერსტენი“, „ცეპი“, საათი, კბილი... არა, კბილი მეტისმეტია... უფრო „პერსტენი“ და „ცეპი“... ეს ისე, „სავიზიტო ბარათად“, რესპექტაბელურობის დასტურად... შინაგანი კომფორტისთვის... სუფთად პირგაპარსული, არც გამხდარი, არც მსუქანი, თითზე „პერსტენით“, ყელზე ოქროს „ცეპით“, ოდნავ მოშავგვრემანო, ოდნავ თმაშევერცხლილი, შუახნის კაცი... შუახნის კი იმიტომ, რომ ჯიბი დაახლოებით 50-60 წლისა იქნებოდა, გიგოლაც დაახლოებით ამ წნისა უნდა იყოს, შესაძლოა 5-7 წლით უმცროსი ჯიბიზე, მეტი — არა. ის, საჭიროებისამებრ პირგაპარსული, ანუ წარმოსახვაში პირველად ნამოტივტივებული გიგოლა კი არაბუნებრივად ახალგაზრდა გამოგვენივთა, გეგონება ჟურნალის გარეკანიდან შემოგვეცინისო მართლაც... სტერეოტიპი. სტერეოტიპები... თუ რამეს უნდა ერიდოს მწერალი, ამათ, ამ მამაძაღლ სტერეოტიპებს, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი ახსნა, ალბათ იმასაც, რატომ წარმოვიდგინე ასე ახალგაზრდა გიგოლა. ისევ დროს მიუბრუნდეთ ამის გასარკვევად. დრომ, კონკრეტულმა დრომ, დროის გარეგნული იერსახე უფრო შემომთავაზა, ვიდრე იმ გიგოლასი,ვისზეც ჯიბი ყვებოდა. გავიხსენოთ ვარდების რევოლუციისწინა ჩამყავებული ატმოსფერო. ახალგაზრდა პოლიტიკოსები თავის გუნდს ქმნიან და რეფორმების განხორციელებას პირდებიან ხალხს. ისინი არიან უაღრესად მომართულნი, სამართლიანნი, ღიბერალიზმის სულისკვეთებით გაჟღენთილნი; მათ თვალზე-

ში კიაფობს ისეთი სხივი, რომელიც ხალხს იმედს უსახავს; მათ სიტყვებში სიმართლის ნოტი ჟღერს, ხოლო გარეგნულ იერში უკვე იგრძნობა ჩე გევარას მომხიბვლელი მზადყოფნა, ნებისმიერ წუთას გადაინაცვლოს საველე პირობებში, თუკი ეს სამშობლოს და რევოლუციას სჭირდება... ხალხი თანდათან ეჩვევა მათ, ხალხს მოთხოვნილებაც კი უჩნდება უსმინოს, დაიმუხტოს ამ გუნდისგან, მეტსაც ვიტყვი, — ძველმა ხელისუფლებამ იმდენად ამონურა თავისი დრო, სხვა პოლიტიკური დაჯგუფება რომ გამოჩენილიყო იმხანად და თავისუფლების ინსტიტუტის დამოძღვრილი ლიბერალური დოგმებით კი არა, თუნდაც რომელიმე ტერორისტული ლოზუნგებით ეხელმძღვანელა, ხალხი მათაც გაყვებოდა ალბათ... ცხადი ისაა, რომ სიახლე აუცილებლობად იქცა, რადგან ძველმა თავი ამონურა, ძველი ყველას მოყირჭდა, ძველის დრო გასრულდა, პოლიტიკა კი, მოგეხსენებათ, საბაზრო ეკონომიკასავითაა, — გაჩნდა მოთხოვნა, ჩნდება საქონელიც...

პოლიტიკა და დრო... სიმართლე ითქვას, აღარ მახსოვს, შინ ავიკვირებ ამზე ფიქრი თუ გარეთ, მაგრამ ერთი პასაჟი გოგოლის „ძველი დროის მემამულეებიდან“ კი ნამდვილად სამარტრუტო ტაქსით მგზავრობისას დაფუკავშირე ვინმე ქედამგებულბული ჯიმის ნაამბობს ვინმე გიგოლაზე. აქედან იქით მივდიოდი ალბათ, ან — პირიქით, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს.

გავიხსენოთ ეს მოთხრობა: ათანასე ივანეს ძე ტოვსტოგუბი და მისი ცოლი, პულხერია ივანეს ასული ტოვსტოგუბოვა (ამის შემდეგ ბატონ ათანასედ და ქალბატონ პულხერიად მოვიხსენიებ ამ პერსონაჟებს) ძველი დროის, ძველი ყაიდის მემამულენი არიან. დიდი მწერალი იმ ყოფას გვიხატავს, სადაც უშფოთველად ცხოვრობს ეს უშვილო წყვილი. მათ მყუდრო სახლში სითბო სუფევს. სოფლის ბაღებში ალუბლის, ვაშლის, მსხლისა და ქლიავის ხეები პასტორალურ პეიზაჟს ქმნიან. აქ ყველაფერი მიამიტური უდრტინველობით გაჟღერებულია და თვით ძაღლების ყეფაც ფლეგმატურია თითქოს, უფრო ღაგრაგრა, ვიდრე ყეფა, ხიფათზე არ მიგანინებებს, აგრესიისაგან არის დაცლილი. აქ დროს არსად ეჩქარება, ბატონი ათანასე და მისი ცოლიც ამ დროის რიტმში თანაარსებობენ; მათი გარეგნული პორტრეტები, მათი ცხოვრების წესი, მათი ურთიერთდამოკიდებულება ღიმინისმომგვრელიცაა და ადამიანურიც, გამაღიზიანებლად თვითკმარიცა და კეთილიც... იქნებ მშვიდი გარემოს ზემოქმედების შედეგად ქცეულან ბატონი ათანასე და ქალბატონი პულხერია ასეთებად, იქნებ თავად არიან ამ სამყაროს შემოქმედნი ან იქნებ ორივე ფაქტორი დაემთხვა ერთმანეთს და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ — ცხოვრების დუნე დინებას მიყოლილი, თითქოსდა სწორედაც ერთისთვის შექმნილი, მოსიყვარულე, სტუმართმოყვარე წყვილი. სტუმრისგან იგებენ ისინი თუ რა ხდება შფოთსა და ქარტეხილებს გარიდებული მათი სოფლის მიღმა და ეს სავსებით აკმაყოფილებთ, რადგან შინ არიან და არსად აპირებენ აქედან წასვლას, ხოლო თუ რამეს ეკითხებიან სხვა სამყაროდან წვეულს, ისე, უბრალოდ, ადამიანური ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

დაახლოებით ეს ატმოსფერო იგრძნობა მოთხრობის ექსპოზიციურ ნაწილში, ახლა იმ პასაჟზე მოგახსენებთ, საიდანაც იწყებს გოგოლი კვანძის შეკვრას. ქალბატონმა პულხერიამ ნაცრისფერი კატა მიიჩვია და პატრონის ფეხებთან მოკალათებული ფისუნაც ერთ შტრიხად, ერთ დამახასიათებელ, ნიშანდობლივ ფერად იქცა ამ მშვიდი ყოფისა. თუმცა ღობის იქით ტყეა, სადაც გაველურებული კატები ბინადრობენ, და აი, აქ კი ჩნდება მეორე სამყარო, რომელიც სრულებით არა ჰგავს პირველს. ესაა ის მკაცრი სინამდვილე, ობიექტურად რომ არსებობს, მიუხედავად იმისა, ვამჩნევთ თუ

არა მას. გაველურებული კატები განსხვავებულნი არიან, რადგან მათი საარსებო სივრცე უღრანი ტყეა, სადაც ტყის უმთავრესი კანონი მოქმედებს — ბრძოლა არსებობისათვის ნებისმიერი ხერხით.

როგორც „სალდათები“ გაიტყუებენ გლეხის სულელ გოგოს, ისე გაიტყუებს პულხერიას ნაცრისფერი ძუ ტყის ხვადმა კატებმაო, — წერს გოგოლი. ქალბატონმა პულხერიამ ერთხანს იდარდა თავისი ნებიერას გაუჩინარება, თუმცა ბოლოს და ბოლოს მიივინყა ის და სწორედ მაშინ ხელმეორედ ჩნდება ერთ დროს მოვლილი, პულხერიას სიახლოვეს მომთბარი ცხოველი, რომელსაც ნათრევი იერი დასდებია, შიმშილით დაოსებულა, გაველურებულია, ყოფილ პატრონს არ თუ ვერ სცნობს.

ქალბატონმა პულხერიამ ლამბაქით რძე და ხორცის ნაჭერი მოატანინა მსახურს. კატა ხარბად შეექცა საჭმელს, მაგრამ როცა თავზე ხელის გადასმა დაუპირა ქალმა, გაერიდა მას და ახლა უკვე საბოლოოდ მიბრუნდა ტყისკენ. ეს აღარაა „გატყუება“, ეს — არჩევანია, და მაშინ კი 55 წლის პულხერია, ვისაც აქამდე არაფერი აწუხებდა, უცნაურ ფრზას ამბობს: — ჩემმა სიკვდილმა მომაკითხა ახლა...

წინათგრძნობაა თუ ხილვა? რატომ აიკვირებ პულხერიამ სიკვდილზე ფიქრი, რატომ ამზადებს თავის ქმარს იმისთვის, რომ ცოლის გარდაცვალებას უნდა შეეგუოს და თავს მოუაროს, რატომ სთხოვს თუ მოითხოვს ერთ-ერთი მსახურისგან, რომ კარგად მიხედოს ბატონ ათანასეს? არა, არც წინათგრძნობაა, არც ხილვა, ვიტყვოდი, ზუსტი გააზრებაა იმისა, რომ მათი დრო გასრულდა. ის სიმშვიდეა, რაშიც აქამდე ცხოვრობდნენ, პირთამდე აივსო და ადუღებული რძესავით გადმოიღვარა ქვაბიდან; პულხერიას სიტყვები ღობის მიღმა არსებული ტყის გააზრებაცაა, რომელიც აქამდე მივიწყებული ჰქონდათ, ამაზე არც კი ფიქრობდნენ, თუმცა მათ ეზო-კარში ასე უშფოთველად გაყურსული დრო, რომელიც მოჩვეული, მომთბარი ნაცრისფერი ძუ კატასავით მომყუდროებულიყო პულხერიას სიახლოვეს, ახლა ამძუვდა, ტყისკენ გაიწია და ამჯერად გაიწია არა გატყუებით, არამედ საკუთარი ნებით.

არის „ჟამი ქვათა მიმოფანტვისა და ჟამი მათი შეგროვებისა“-ო, — ვკითხულობთ ეკლესიასტეს წიგნის მესამე თავში. ჭეშმარიტად ასეა, რადგან დროს თავისი შინაგანი ლოგიკა, მდინარების თავისი წესი გააჩნია, რომელიც ჩვენთვის, უბრალო მოკვდავთათვის, ხშირად ვერშესაცნობი და პარადოქსულია. ამ მოთხრობაშიც ეს ხდება, — ერთი დრო მეორეთი იცვლება, გნებავთ რევოლუციის გზით, გნებავთ ობიექტური რეალობით ნაკარნახევი, გნებავთ მწერლის ფანტაზიაში შექმნილი სიმბოლური ხატით — ნაცრისფერი ძუ კატა, ვისაც არაფერი აკლდა მზრუნველი პატრონის ხელში, ღობეში ხვრელს ნახულობს და მშვიდ ყოფას უღრანი ტყის ხიფათით სავსე, გაველურებულ არსებობაზე ცვლის. ეს მან, დრომ იცის, რა არჩევანს აკეთებს, ჩვენ ისლა დაგვრჩენია, ვიარსებოთ ან ვიცოცხლოთ ამა თუ იმ დროში, ავად თუ კარგად, ასე თუ ისე, მაგრამ არჩევანი კი მას — დროს — ეკუთვნის.

პულხერიამ ეს გაიაზრა და მართალიც გამოდგა. არც თავისი, არც ბატონი ათანასეს ადგილი იმ „გაველურებულ“ დროში არ არის; ახალი დრო გარდევული ღობიდან კონტრბანდისტივით შემოზიდავს მათ უშფოთველ გარემოში ტყის კანონებს, ტყის ურთიერთობებსა და წესებს, რომელიც უცხოა, მომწამვლელია, სასიკვდილო განაჩენის ტოლფასია ამ მიამიტი წყვილისთვის.

ასეც ხდება. პულხერიას სიკვდილს ბატონი ათანასეს დაჩანაყვება მოსდევს, ხუთ წელიწადში კი ისიც კვდება. რჩება მიშვებული, თითქმის გაძარცული მამული, რომელსაც ბა-

ტონი ათანასესა და ქალბატონი პულხერიას შორეული ნათესავი, ვინმე ნაპორუჩიკალი მემკვიდრე იბარებს. მის აღწერას გოგოლი დიდ მონაკვეთს არ უთმობს, თუმცა ერთი ძალიან ზუსტი შტრიხით მასაც ახასიათებს და მოთხრობის მთავარ ქვეტექსტსაც შიფრავს. „Страшный реформатор“-ი იყო, ამბობს ამ პერსონაჟზე მისთვის დამახასიათებელი სარკაზმითა თუ ირონიით მწერალი. ქართულად რომ გამოვთარგმნოთ და ირონიის მარცვალაც შევინარჩუნოთ, ერთობ მონდომებელი რეფორმატორი ანუ, ანდა ბრჭყალები მოვიშველიოთ და „დიდი“ — რეფორმატორი — დავწეროთ, ან სულაც ვუთხუროთ მოვუქციოთ და: ნამეტნავი რეფორმატორი — ვთქვათ, მთავარი სხვაა, ამ დახასიათებით მწერალი თავშივე მიგვანიშნებს, რომ იმ ვილაც „რეფორმატორი“ მემკვიდრისგან სახირო არაფერი გამოვა, მამული მეტად გაპარტახდება და ვერასდროს დაიბრუნებს უწინდელ სიმყუდროვეს.

რეფორმატორი იმის რეფორმატორია, რეფორმა გააჩაღოს — ეს ნაპორუჩიკალი მემკვიდრეც ასე იცქევს. შეიძენს ინგლისური წარმოების ექვს ცალ შესანიშნავ ნამგალს და ლამის წაქცევის პირას მისულ ქონმახებს დანომრავს, ამით მთავრდება „რეფორმა“...

მოთხრობის ფინალში „გამომცხვარი“ ეს ვინმე „რეფორმატორი“ დროის ცვალებადობის ზუსტ სტენოგრამას გვთავაზობს, რადგან დროთა ჩანაცვლების ყველაზე უტყუარი მაუწყებელიცა და ასეთ ჟამს ყველაზე ხშირად მოსახმობი სიტყვაც — „რეფორმა“ და „რეფორმატორია“, რაც სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ძველ დროს „რეფორმირებული“ დრო აჯობებს.

„ძველი დროის მემამულენი“ გარდა ხილული, იოლად მოსახელთებელი ქვეტექსტისა, დროთა ჩანაცვლების სისასტიკესა და იმედგაცრუებებზეც გვიამბობს, მასთან ერთად კი კაცობრიობის ისტორიის თანმდევი პროცესის რთულ, წინააღმდეგობრივ, რიგ შემთხვევაში აბსურდულ ბუნებასაც ამოშვლებს, და თუნდაც ამიტომ უნდა გამოჩინილიყო მოთხრობის ფინალში ვინმე ნაპორუჩიკალი, „ერთობ მონდომებული“, „დიდი“ თუ „ნამეტნავი“ რეფორმატორი...

მამ რეფორმატორი? კეთილი... მგონი, ნაცნობი სურათია ჩვენთვის... გიგოლას მივუბრუნდეთ. იკვეთება თუ არა მისი სახე რევოლუციის დღეებში? კი, იქაა, რევოლუციისა, ძირითადად მიდი-მოდის, ასაქმებენ და ისიც ტრიალებს, — დინამიკა გასასწორებელი თუ რუპორი ხრიალებს უშნოდ თუ ერთი ჯგუფი აქედან იქით უნდა გადაბარგდეს და ამას ორგანიზაცია სჭირდება; მოკლედ რომ ვთქვათ, იქაა გიგოლა, უკვე შეიგულა რომელიღაც გარეოლოგიონერებული, საჭიროებისამებრ პირგაპარსული თუ საჭიროებისამებრ პირგაუპარსავი ლიბერალი, ვის მითითებებსაც ყურადღებით ისმენს და ზედმეტი კითხვების გარეშე ალასრულებს კიდევ. ასეთ დღეებში გიგოლა „პერსტინისა“ და „ცეპის“ გარეშე გიგოლაა, ანდა, უკეთ ვთქვათ, ჯერ კიდევ ნუპაკაა თავისი ჩამყავებული უბნიდან, აცვია სპორტული ქურთუკი და სპორტული ფეხსაცმელი, რაც უფრო მოსახერხებელია, რადგან ხშირად უწევს გადაადგილება მომიტინგეთა შორის. მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ნუპაკას, შემდგომში გიგოლად სახელდებულს, შეუძლია ზედმეტი მლიქვნელობის გარეშე, მაგრამ მაინც როგორღაც ქვემოდან ზემოდ შეხედოს მას, ვინც მომავალ მფარველად შეიგულა. მერე რა ხდება? რაღა თქმა უნდა, ახალი ნესრიგი მყარდება, რადგან ძველმა მართლაც ამონურა თავისი დრო. ძალაუფლების წინით ატანილი ახალგაზრდების ქმედება თანდათან გაშმაგებულ ხასიათს იძენს, გაშმაგებას ცოდვა მოსდევს, ცოდვას — შიში ან — კიდევ უფრო გახელება; ცოდვას, შიშსა და გახელებას — უკმაყოფილოთა რიცხვის ზრდა. ამას მოთოკვა

სჭირდება. ხელისუფლება თავად აცალკევებს ადამიანებს „თავისიანებად“ და „მტრებად“, „თავისიანებს“, მოგესხენებათ, სასათბურე პირობები უნდა შეუქმნა, თუკი ასეთად ჩათვალე. „მტრებს“ ჭკუა ასწავლო, თუკი „მტრად“ მოგეკიდნენ. ყველა საზოგადოებრივ ინსტიტუტში, მათ შორის ქურჩაშიც, ავტორიტეტების ჩანაცვლების პროცესი იწყება, ამასთან ერთად კი, ბუნებრივია, იწყება ქონების ხელახლა გადანაწილება. აი, აქ კი უკვე მკაფიოდ იკვეთება გიგოლას სახე. მან კარგად შეისწავლა „პირველის“ ხასიათი, მისი ახირებები და მიდრეკილებები, მაგრამ შეისწავლა იმიტომ კი არა, რომ დაახლოებას აპირებს „პირველს“; არა, გიგოლა მკაცრად იცავს სუბორდინაციას და იცის, რომ იქ, ყველაზე ზედა ეშელონიში მიმავალი ბილიკი ხელისუფლების მეორე ეშელონიდან მიემართება მისთვის. გიგოლას იმის ცოდნა სჭირდება, საიდან უბერავს ქარი, რათა ზუსტად განსაზღვროს თავისი ადგილმდებარეობა ამა თუ იმ პოლიტიკურ ამინდში. ამავე დროს გიგოლას იმის ცოდნაც სჭირდება, თუ რისი შეთავაზება შეიძლება, რისი კი არა ხელისუფლების მეორე ეშელონიში თავამორგული პოლიტიკოსისთვის, ვის მითითებებსაც ასე ყურადღებით, გულდასმით, ზედმეტი კითხვების გარეშე ალასრულებდა რევოლუციის დღეებში. გიგოლა ზედმინევენი გრძნობდა თავისი „კრიშის“ ბუნებას და იმთავიდან ხედავდა, რომ ცხვრის ქურქში გადაცმული მტაცებელი იწყებდა ნადირობას ძალაუფლებისთვის. ძალაუფლება მონადირებელია, ჯერი ქონების გადანაწილებაზე მიდგა, — აქ გიგოლასაც ეკუთვნის წილი, ახლა გიგოლას ნადირობის დრო მოვიდა.

პოსტრევოლუციური ხანა საუკეთესო პირობას ქმნის დიდი ქონების ხელში ჩასაგდებად. ამ ვითარებაში გიგოლას ნაირი კაცი იაფად ყიდულობს და ძვირად ყიდის. რევოლუციის ხელის ბიჭი ვინმე გიგოლა რიგ შემთხვევაში თავად სთავაზობს ხელისუფლების მეორე ეშელონის წარმომადგენელს სარვიან საქმეს, რიგ შემთხვევაში კი „კრიშისგან“ იღებს მითითებას, რადგან მას, „კრიშას“, მეტი ინფორმაცია აქვს, თუ სად რისი გამოგლეჯა შეიძლება. ინტერესები და მიზნები სრულ თანხვედრაშია, სადაც მეორე ეშელონის კაცი ვერ გამოჩნდება, ჩნდება გიგოლა, რომელიც ამ კაცისგანვეა დაცული. მათი „ნანადირევი“ იმდენად უხვია, ხოლო „ნადირობა“ იმდენად ნუპაკური ხერხით განხორციელებული, რომ ამას ნადირობაზე მეტად ბრაკონიერობა ეთქმის. ვაჰ, გიგოლ, ვაჰ, როგორც ამას ვინმე ქედგამგელებული ჯიმი იტყოდა, რევოლუციის ხელის ბიჭო, ბრაკონიერობის დრო დაგდგომია, ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ხელისუფლების ნუპაკური ბუნება სამზეოზე გამოდის.

ყველა საქმეს სჭირდება ცოდნა, მათ შორის ბრაკონიერობასაც. ფული და ქონება მიზანია, მაგრამ ამის მოსაპოვებლად ზუსტ პოზიციებზე უნდა განლაგდე, და აი, გიგოლას საბრაკონიერო ადგილიც განისაზღვრა — საკრებულოს წევრად შესახელდა, რადგან კაცს ხელისუფლების მეორე ეშელონიდან თავისიანები სჭირდება საკრებულოშიც, პარლამენტშიც, მთავრობაშიც და ქურჩაშიც.

„გიგოლა ქუჩიდან“ ზუსტად ემთხვევა „პირველი კაცის“ ჩაფიქრებულ პოლიტიკას — შეიქმნას ახალი ავტორიტეტი. გიგოლა თანაბარ დისტანციაზე დგას „შავებთანაც“ და „წითლებთანაც“, ანუ არც მაინცდამაინც „შავია“ და არც „წითელი“, ვინმე ნუპაკაა, ვისაც იმდენი მოუხერხებია, რომ გიგოლად ქცეულა. აქ უკვე თავად ხელისუფლების, გნებავთ „პირველი კაცის“, ინტერესიცაა, რომ სწორედ ასეთი გიგოლა „გაპიარდეს“, როგორც ხალხის წიალიდან შობილი ფხიანი ბიზნესმენი, ვინც გამჭრიახობა და მოქნილობა გამოამყლავნა, და აჰა, ბატონო, ყური უგდეთ მას, გიგოლას, განსაკუთრებით კი მამინ უგდეთ ყური, როცა არჩევნები მოახ-



ლოვდება... კიდევ ერთხელ უნდა დავესესხო ქედგამგელებულ ჯიმის, ამჯერადაც მოვიხმო მისი დათუთქული შორისდებულები და ვთქვა: ვაჰ, გიგოლ, ვაჰ, ფასადური დემოკრატიის უცვლელი ფუნდამენტო, ხან ისეთი სახე გაქვს, ხანაც ასეთი, მაგრამ ფუნდამენტში კი მუდმივად რჩები.

ქართულ და მსოფლიო ლიტერატურაში მედროვის არაერთი დასამახსოვრებელი სახე შექმნილა (თუნდ ყვარყვარე ვთქვათ), მაგრამ რადგანაც გიგოლს დავესესხე, ისევ ამ დიდებული მწერლის პერსონაჟს — ჩიჩიკოვს გავიხსენებ „მკვდარი სულები“-დან. ისინი გარეგნობით იქნებ არც გვანან ერთმანეთს, თუმცა ერთი საერთო ნიშან-თვისება კი ორივესთვისაა დამახასიათებელი: „სავიზიტო ბარათი“ შინაგანი კომფორტისთვის, „სავიზიტო ბარათი“ რესპექტაბელურობის ხაზგასასმელად, — ჩიჩიკოვისთვის ეს „სავიზიტო ბარათი“ ჰოლანდიური და ინგლისური პერანგებია, გიგოლასთვის — „პერსტენი“, „ცეპი“, ზოგადად ოქრო, იქნებ „ზაპონკებიც“ თეთრი პერანგის სახელურებზე, იქნებ საათიც, მაგრამ „ზაპონკებიც“ და საათიც აუცილებლად ოქროსი... თუმცა ყველაზე მეტად ჩიჩიკოვი და გიგოლა ფუნქციური დატვირთვით ემსგავსებიან ერთმანეთს. ვერც ერთი, ვერც მეორე ვერასდროს ვერაფერს შექმნის, მიტაცებას — კი, იაფად ნაყიდს ძვირად გაყიდის, მაგრამ შექმნით, ნურას უკაცრავად, ვერასდროს ვერაფერს შექმნის, თუნდაც იმიტომ, რომ არც ინტელექტუალური რესურსი გააჩნია საამისოდ და, რაც მთავარია, არ გააჩნია ამის სურვილი, ნება, მისწრაფება. ისინი ძალიან სიცოცხლისუნარიანი, რესპექტაბელური „სავიზიტო ბარათებით“ აღჭურვილი სამაგალითო პარაზიტები არიან იმ ტყიდან, სადაც გაველურებული კატები ბინადრობენ. ანდა, ვინ იცის, იქნებ ჩიჩიკოვიცა და გიგოლაც თავად არიან გაველურებული კატები, ისწავლეს სიტყვები, რომელიც კონკრეტულ დროს სჭირდება, შეითვისეს უნარჩვევები (მაგიუბს ეს სიტყვა), რომელიც ასევე სჭირდება კონკრეტულ დროს, მონესროგდნენ, მოლამაზდნენ, თავი მოირესპექტაბელურეს და იმდენი ჭკუაც ეყვო, რომ სულ ზედაპირზე არა, არც ზედაპირის მომდევნო ფენაში (ანუ ხელისუფლების მეორე ეშელონში), მაგრამ, აი, იმის შემდგომ ფენაში კი მომყუდროდნენ და ტუჩიც გაილოკეს...

ჩიჩიკოვის მოგზაურობის მთავარი მიზანი სხვადასხვა მემამულეთაგან მკვდარი სულების შესყიდვაა. გიგოლას თავისი ფეხით მოაკითხეს „მკვდარმა სულებმა“. დაუკვირდეთ, როგორ დაუხასიათა ვინმე კეფაგამგელებულმა ჯიმით თავის თანამგზავს, კოტეს, ის ხალხი, ვისი რუზრუზიც დახვდა რომელიღაც ძველი ფაბრიკის ეზოში — ვინც კი დედის დაუნყევლია, ყველა იქ იყო... ჯიმიც ხომ იგივე მარაქაში აღმოჩნდა თავამორგული, მანაც გაღეჭა რამდენიმე ღერი სიგარეტი ამათთან ერთად, მერე წამოვიდნენ გიგოლას გინებ-გინებით... რატომ? რა მოხდა? რა ფანდია გიგოლას მხრიდან? სწორედ ამაშია სამარშრუტო ტაქსში ყურსმობვედრილი ისტორიის მთელი მარილი... დაფიქრდა და მერე დამიდგო სიტყვა გიგოლამო, — უთხრა ჯიმით კოტეს, — ჰაიპარად, ქლესა ლიმილით კი არა, დაფიქრებულად, აწონილ-დანონილად მითხრაო... რამ დააფიქრა გიგოლა, საინტერესოა... რამ დააფიქრა და იმან, რომ ამის, ამ ჯიმის ბედს სწყევტდა მაშინ, — სად გაემწესებინა, ვის რიგში ჩაეყენებინა, ცოცხალი მთხოვნელისა თუ მკვდარი სულებისა... როგორც ჩანს, ჯიმის „მკვდარ სულებში“ ერგო ადგილი, იქ გამწესდა გიგოლასგან. ყველა ერთად შეყარა, მოაუზრუზა, სიგარეტი ალექჩინა, თავიც აგინებინა, მაგრამ სანადელს კი მიაღწია — აი, რამდენი ხართ, თქვე ოღრაშეობო, — ეს ჩასძახა, — ვედრო შაურად არ ღირხართო, — ეს უთხრა, — ახლა არ მჭირდებითო, ამჟამად არ ვყიდულობ მკვდარ სულებსო, — ეს მიანიშნა.

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ყვრიმალეზამონეულ კოტეს ხომ გაუმართა ხელიო, — იკითხავს მავანი და მართალიც იქნება. ჰო, ხელი გაუმართა, რადგან ჯერ კიდევ ცოცხლებში ჰყავს ჩანერილი, ის კი არადა, ამათაც იყიდის, ამ „მკვდარ სულებსაც“, როცა ამისი დრო მოვა, ხოლო ამის დრო მაშინ მოვა, როცა გიგოლა მიიჩნევს, რომ „მკვდარი სულების“ ყიდვის დრო მოსულა, არჩევნების წინ, თუნდაც... დიახ, არჩევნების წინ, რადგან გიგოლას ასე ურჩევნია, გიგოლა ორმხრივ ვაჭრობას აჩალებს ამ დროს, ცალკე ხელისუფლებასთან, ცალკე ამათთან, ამ „მკვდარ სულებთან“, რომლებიც მიეყიდებიან, აუცილებლად მიეყიდებიან, ვედრო შაურად მიეყიდებიან თანაც... ასეთ ჟამს გიგოლა შეუცვლელი კაცია, შუამავალია და არის კიდევ შუაში ზედა ფენებსა და მის ქვეშ არსებულ რამდენიმე ფენას შორის, სადაც ისეთებიც მოიძებნებიან, ჯერ კიდევ ცოცხლებში რომ ჰყავს გიგოლას ჩანერილი, და ისეთებიც, „მკვდარ სულებად“ რომ ქცეულან, ჰოდა, რაც მეტნი იქნებიან ეს „მკვდარი სულები“, მით უფრო ხეირობს გიგოლაც, კაცი — შუა ფენიდან, შეხახუნებულად ახლოს მდგომი მეორე ფენასთან, რომელიც უმოკლესი გზაა პირველ ფენამდე და ამავე დროს ზემდგომი, ზეაღმატებული, ზემოქცეული ყველაზე დაბალ ფენებზე, სადაც ჯერ კიდევ ცოცხლებთან ერთად მკვდრებიც დალასლასებენ და თავისი ცოცხალ-მკვდარი არსებობის საშველს ამ ვინმე გიგოლაში ხედავენ...

კარგად თუ გავჩხრეკთ, აღმოვაჩინთ, რომ პოლიტიზებულ დრო, რომელშიც რახანია ვცხოვრობთ, სინამდვილეში გიგოლას დროა. გიგოლები პოლიტიკური ვენებათაღელვის ფონზე მიდიან და მოდიან. პოლიტიზებული დრო ყველაზე ხელსაყრელი პირობაა ბრაკონიერობისთვის, რადგანაც ამ ჟამს ერის შემოქმედებითი პოტენცია თუ სოფლად თუ ქალაქად თუ ბიზნესსა და ხელოვნებაში იფიტება, ინრიტება და იმ მდგომარეობამდე მიდის, რომ ვინმე გიგოლას ხელის შემყურად ვრჩებით. თავისუფალი, შემოქმედებითი ცხოვრება უპირველეს ყოვლისა წუპაკას, შემდგომ გიგოლად სახელებულს, უხშობს გზას, რადგან შემოქმედება ქმნას გულისხმობს, ხოლო თავისუფლება გიგოლას საჭიროებას გამოირიცხავს. აქედან გამომდინარე, ეს ტიპაჟი საზოგადოების სარკედაც შეიძლება მივიჩნიოთ, გიგოლადან შევხედოთ ჩვენს თავს და საკუთრივ ჩვენი თავი დავინახოთ სარკეში. როგორია ის, ჩვენი არსებობა, რომელიც მოჯადოებულ წრეზე ტრიალებს გიგოლას ირგვლივ, ანდა რატომ ვტრიალებთ წრეზე, იქნებ იმიტომაც, რომ გადაგვაინყდა, ანდა არც არასდროს ვიცოდით, როგორ გვეცოცხლა გიგოლას გარეშე? რა ხარისხშია ეს ვინმე გიგოლა ჩვენი საზოგადოების ფუნდამენტში ჩაჭრული? ვინ მიუჩინა ეს ადგილი — თავად გიგოლამ შეისახელა თავი თუ ხელისუფლებამ გაამწესა გიგოლა იქ, სადაც გიგოლა დასჭირდა, ან იქნებ ჩვენ, ყველამ ერთად, ზოგადად ხალხმა ჩავკირეთ ჩვენი ხელით ჩვენსავე ცნობიერებაში ეს ვინმე გიგოლა და: ვაჰ, გიგოლ, ვაჰ, როგორც ამას ქედგამგელებული ჯიმი იტყოდა, მართლაც რომელმა...

ჩვენმა ტყემ გამოზარდა, იქაური გაველურებული კატაა, ჩვენი ტყისა.

ნეტა სადაა ახლა, სად შეიყუჟა, რადგან დრო ისევ შეიცვალა და იმ გიგოლას ჟამი გასრულდა თითქოს. თუმცა ვინ იცის, ისევ მომხდარა, რომ გიგოლას დროის რყევისთვის გაუძლია. ასეთ გიგოლაზე იტყვიან, მაგარი გიგოლააო. დარჩება? ჩანაცვლებს სხვა? ან რა მნიშვნელობა აქვს, დარჩება თუ არა, თუკი სხვა ჩანაცვლებს? ბევრი კითხვა, რაზეც პასუხი არ მაქვს, მიდომოვდივარ საზოგადოებრივი ტრანსპორტით — ხან აქედან იქეთ, ხანაც პირიქით, და ჯერ-ჯერობით ვუსმენ. ხელობა მაქვს ასეთი, მწერლობა დავიჩემე, მწერალმა ყურადღებით უნდა უსმინოს.

რუსუდან ნიშნიანიძე

# სუფთა წერა დიდებასათვის

ბავშვობისას სკოლაში სუფთა წერის საკონტროლო ხშირად გვიტარებოდა. ტექსტი უნდა გადაგენერა სუფთად და არცერთი შეცდომა არ დაგეშვა. ბოლოს, ორიოდ სიტყვით, შენი აზრი უნდა გამოგეთქვა. ყველა ძალიან ფრთხილად ასრულებდა დავალებას, სირთულე არაფერი იყო, მთავარია, არ შეგშლოდა, არ გადაგეხაზა ნაწერი და ამოსაშლელი არაფერი ყოფილიყო. რამდენადაც იოლი და კარგი იყო ეს პირველ და მეორე კლასში, მერე დავალებები იცვლებოდა... მაგრამ ის, რომ შენი აზრი უშეცდომოდ, მწყობრად და გამართულად უნდა გადმოგეცა, უცვლელი რჩებოდა, არც შეცდომების დაშვება იყო სასურველი; მთავარი კი იყო — არსაიდან გადაგენერა!

იძულებული ვარ „სუფთა წერის“ გაკვეთილები გავიხსენო! კიდევ ერთხელ გამოვიყენებ სიტყვას „იძულებული“... არც მე მსიამოვნებს, მაგრამ რაღაც ეტაპზე უკვე საკმარისია, უნდა დამთავრდეს!..

სიტყვას „პლაგიატი“ ამგვარი განმარტება აქვს:

„მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში სხვისი შემოქმედების, სხვისი იდეებისა და გამოგონებების გააზრებული მითვისება.“ **კანონი — მოქმედებს!**

„საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავტორიანობისა, უანონსო, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა“,

და იქვე:

„საავტორო უფლება ვრცელდება როგორც გამოქვეყნებულ, ისე გამოუქვეყნებელ ნაწარმოებებზე, რომელიც არსებობს რაიმე ობიექტური ფორმით.“

არაერთგზის უთქვამთ, რომ „ჩემი“ ნაწერი ნაუკითხავთ: ინტერნეტში, წიგნში — ავტორის მითითების გარეშე, სხვათაშორის, უთქვამთ სტუდენტებსაც, უცნინათ, მაგრამ მათზე გვარი ვერ ამოუკითხავთ... ამჯერად რამდენიმე „ნიმუშით“ შემოვიფარგლები.

„ბურუსი“ ინტერნეტ სივრცეში პოპულარული საიტია. სათაურით: „გიორგი გამყრელიძე: პოეტთა მეფედ არჩევა“ ვკითხულობთ:

„ქართული ემიგრანტული მწერლობის მართლაც და ღირსეული წარმომადგენლის გიორგი გამყრელიძის მოგონებებში ვხვდებით გალაკტიონის შესახებ მეტად საინტერესო ცნობებს.“

ამის დამწერს ერთხელ მაინც ნანახი რომ ჰქონდეს ეს „მოგონებები“, ამას არ დანერდა. განვმარტავ, ლაპარაკია სიუჟეტთან ლექსზე, რომელიც სათაურით „პოეტების მეფე“ დაიბეჭდა კრებულში „კავკასიონი“, პარიზში 1986 წელს. ამ პოეტური ტექსტის განხილვა ჯერ დაიბეჭდა ჩემს ორტომეულში (2005), შემდგომ გალაკტიონოლოგიის (IV) კრებულში უკვე ემიგრაციის არქაივიდან, გაფართოებული ვერსიით შევიდა (2008). სრულიად შესაძლებელია, პიროვნებამ ისარგებლოს დასახელებული წყაროთი და საკუთარი ინტერპრეტაცია ან კომენტარი გაუკეთოს. „ისესოს“ შეფასების კრიტერიუმით, „მიბაძოს“ — ისე, რომ ხვდებოდე, ეს შენი აზრი და იდეაა, მაგრამ მან საკუთარი სიტყვე-

ბით „გადმოსცეს“. ვერ დაამტკიცებ, თორემ ცხადია. არადა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ასე რთულად არაა საქმე: ყველაფერი დღესავით ნათელია — სიტყვა-სიტყვითაა გადანერილი. ამჯერად ორტომეულიდან („საქართველო — სამანს აქეთ... და სამანს იქით...“) მივუთითებ.

ჩემს წიგნშია:

„ვნერ ამ სტრიქონებს ერთი შენი მეფედ ამრჩევი,“ — იტყვის გიორგი გამყრელიძე და საქართველოში, საუკუნის დასაწყისის ერთ გამორჩეულ დღეს მოიგონებს, დღეს, როდესაც „მეფეს“ ირჩევენ... თუმცა ან უკვე ემიგრანტ პოეტს, ყოველთვის ესმოდა მისი, ერთი რამ ვერ გაეგო მხოლოდ: თუ რათ გინდოდა გამხდარიყავ პოეტთა მეფე...“

საიტზეა (ავტორის და წიგნის მითითების გარეშე):

„ვნერ ამ სტრიქონებს ერთი შენი მეფედ ამრჩევი“ — წერს გიორგი გამყრელიძე და მოიგონებს ერთ დღეს, დღეს, როცა „მეფეს“ ირჩევენ. გიორგი გამყრელიძეს ერთი რამ ვერ გაუგია მხოლოდ:

„თუ რად გინდოდა გამხდარიყავ პოეტთა მეფე...“

წიგნში: „საქართველოს პოეტების მეფე! არაჩვეულებრივი აზრი. მით უფრო იმ წლებში, როცა უნიჭიერესი მოლექსეები შეიძლება შეეჯიბრონ ურთიერთს. კონკურსი, რომელიც ერთადერთ ტიტულს ადგენს — „მეფე“. არადა, არ დაგვაინყდეს — 1921 წლის იანვრის ბოლოა. სულ რამდენიმე კვირაში (თვეც კი არ იქნება გასული) ქვეყანა დამოუკიდებლობას დაკარგავს... თუმცა ეს მერე მოხდება... ჯერ კიდევაა ოციოდ დღე. მსურველი საკმაოზე მეტი გამოჩნდება. არასაკვირველია, მათ შორის გალაკტიონიცაა, ლექსით „პოეზია — უპირველეს ყოვლისა“ (თითოეულ მონაწილეს მხოლოდ ერთი ნიმუშის წარდგენის უფლება აქვს). გამყრელიძის ლექსის მიხედვით, ამ დღეების ინიციატორი თავად გ. ტაბიძე ყოფილა, რომელსაც მოუხდენია „პარიზიდან მისი იმპორტი.“ ამჟამად გამყრელიძე მხოლოდ თვრამეტი წლისაა. „არტისტული ყვავილები“ ნაუკითხავს და იგი ამ გაოგნებას თუ სიამოვნებას მეშვიდე ცის გახსნას ადარებს. გალაკტიონთან მისულს, დაახლოებით, თორმეტიოდე პოეტი დახვედრია: რუხაძე, ქუჩიშვილი, კიდევ რამდენიმე, მაგრამ ამდენი წლის შემდეგაც არ განელეზია ერთი ემოცია (თუ გაკვირვება): არ ავიწყდება, რომ არცერთი ყანწელი „ანუ სხვაგვარად: ლექსის ახალ ოსტატებიდან / პოეტთა მეფედ შენ კურთხევას არ დასწრებია.“

საიტზე:

„საქართველოს პოეტების მეფე! არაჩვეულებრივი აზრი. კონკურსი, რომელიც ერთადერთ ტიტულს ადგენს — „მეფე“. არადა, 1921 წლის დასაწყისია. სულ რამდენიმე კვირაში ქვეყანა დამოუკიდებლობას დაკარგავს...“

მსურველი ბევრი გამოჩნდა. რალა თქმა უნდა მათ შორის გალაკტიონიცაა, ლექსით „პოეზია — უპირველეს ყოვლისა“.

18 წლის გიორგი გამყრელიძეს „არტისტული ყვავილები“ ნაუკითხავს. გალაკტიონთან მისულ გამყრელიძეს 12-მდე პოეტი დახვედრია, თუმცა არცერთი ყანწელი არ ყოფილა მათ შორის“.

წიგნში: „ცერემონია მაინც შედგა — პოეტების მეფე გალაკტიონ ტაბიძე. გიორგი გამყრელიძეს სურს, დეტა-



ლები დავინყების ჭაობიდან ამოათრიოს და გარკვეული სურათები აღადგინოს: აქაა ყვითელ „ბუშლატიანი“ გრანელი მეგობართან, ვინმე გობრონთან ერთად მოსული; პოეზიის „ჩოფურა ჭინკა“ გიონ საგანელი.

არავითარი ზარ-ზეიმი. „ითქვა სიტყვები: მართალი და ქათინაური“. მანიფესტზე ხელმოწერის შემდეგ ყველა ნავიდა-ნამოვიდა, ექვსი დარჩა ბოლომდე და..

საიტზეა:

„ცერემონია მაინც შედგა-პოეტების მეფე გალაკტიონ ტაბიძე.

აქაა ყვითელ „ბუშლატიანი“ გრანელი მეგობართან ერთად.

არავითარი ზარ-ზეიმი. ითქვა სიტყვები მართალი და ქათინაური. მანიფესტზე ხელმოწერის შემდეგ ყველა ნავიდა. ექვსი დარჩა მხოლოდ ბოლომდე და

„შენთან ერთად გალაკტიონ...“

ლექსში გიორგი გამყრელიძე საკუთარ სახელს ამგვარად წერს: „გალაქტიონი“. გადამწერს, როგორც ჩანს, შეცდომა ჰგონებია და „გალაკტიონად“ „ჩაუსწორებია“. ეს სტროფი ჩემს წიგნში ბოლომდეა ციტირებული. და შემდეგ:

„ეს დღე მართლაც ასე დამთავრდა, მაგრამ დამთავრდა თითოეულისთვის მაინც სხვადასხვანაირად. გალაკტიონი არ შეიმჩნევს, არც გარეგნულად დაიწყობს, სამეფო კვერთხსაც ღიმილიანი შეხვდება და შეიფერებს კიდევ, მაგრამ სახლში დაბრუნებული, მარტო დარჩენილი „ხელმწიფურ სიმართლეს“ ტრაგიკული სიმშვიდით მაინც გააცხადებს:

უპირველესი მომანიჭეს დაფნა მეფეთა,  
იმ დღეს მოვიდა თეთრი თოვლი და მარტოობა.  
გავალე კარი, თეთრი თოვლი შემომეფეთა,  
მივხურე კარი, მარტოობამ დაისადგურა.  
ამიერიდან მე მარტო ვარ...  
(„მარტოობა“)

როგორ გგონიათ, ჰგავს ეს ბედნიერი მეფის ჩანაწერს?! არადა, კურთხევის შემდეგ პირველი — რაც მეფის მიერ დაინერა. ისევე გიორგი გამყრელიძის ლექსს დავუბრუნდეთ“.

საიტზე:

„ეს დღე მართლაც ასე დამთავრდა, მაგრამ დამთავრდა თითოეულისათვის მაინც სხვადასხვაგვარად. გალაკტიონი არ შეიმჩნევს, არც გარეგნულად დაიწყობს, სამეფო კვერთხსაც ღიმილიანი შეხვდება და შეიფერებს კიდევ, მაგრამ სახლში დაბრუნებული, მარტო დარჩენილი „ხელმწიფურ სიმართლეს“ ტრაგიკული სიმშვიდით მაინც გააცხადებს

„უპირველესი მომანიჭეს დაფნა მეფეთა,  
იმ დღეს მოვიდა თეთრი თოვლი და მარტოობა.  
გავალე კარი, თეთრი თოვლი შემომეფეთა,  
მივხურე კარი, მარტოობამ დაისადგურა.  
ამიერიდან მე მარტო ვარ...“  
ისევე გიორგი გამყრელიძე იტყვის“

წიგნში: „როგორც ვთქვი, ის დღე იმგვარად დამთავრდა, მაგრამ ამბავი არ დასრულებულა. მეორე დღით გაზეთები ხმაურით შეხვედრიან ამ ფაქტს. (და მერე წიგნში კონკრეტულადაა დასახელებული, ვინ რა მოსაზრება გამოთქვა, ან როგორ მოიქცა) შემდეგ: ამ კონკურსის გავლიდან ბევრი წყალი ჩაივლის, დიდი დროც გავა, მაგრამ... არც სოვად დაავიწყდებათ, მგოსანსაც ხშირად გაახსენებენ, თორემაც მეფურ ჟესტს მოიფიქრებს:

„ძვირფასო ამხანაგებო!“ (როგორ შეეფერებათ ეს მიმართვა?) ამ სიტყვებით დაიწყებს და: „არცერთი იმათგანი, ვინც ამირჩიეს პოეტების მეფედ, ეხლა ცოცხალი აღარ არის... გთხოვთ, თუ ჩემი უკმაყოფილო ხართ, აირ-

ჩიოთ სხვა“, — წლების შემდეგ დაწერს (ეგებ აცდის, სეირს უყურებს აქამდე?)

ვინ იქნება ის „სხვა?“ როგორც არ უნდა დაუწუნონ „დემოკრატობა“ (ვ. ნოზაძე), „მეფობის მარკა“ (ს. ფაშალიშვილი), ან ამგვარად მონათლონ: „გალაკტიონ პირველი“ (ს. თოდრია) ან კიდევ, მის საქციელს „სასაცილო“ და „კურიოზული“ (პ. იაშვილი) უწოდონ, ხომ ყველასთვის ცხადია, რომ გენიოსზე ლაპარაკობენ. კი ბატონო, გადადგება, მაგრამ ხომ ყველამ იცის, საქართველოს „პოეტების მეფის“ გვირგვინი გალაკტიონის სიცოცხლეში (მერეც) მის ნაცვლად ძნელად შეჰფერის (შეჰვენის) ვინმეს. არ აღიარებენ, თორემ ცოდნით ყველამ იცის!”

საიტზე:

„მეორე დღით გაზეთები ხმაურით შეხვდებიან ამ ფაქტს. ამ კონკურსის დღიდან ბევრი წყალი ჩაივლის, მაგრამ.

გალაკტიონი სწორედ მეფურ ჟესტს მოიფიქრებს: „ძვირფასო ამხანაგებო, არცერთი იმათგანი, ვინც მე ამირჩიეს პოეტების მეფედ, ცოცხალი აღარ არის. გთხოვთ, თუ ჩემი უკმაყოფილო ხართ, აირჩიეთ სხვა“

ვინ იქნება ეს სხვა? ხომ ყველასათვის ცხადია, რომ გენიოსზე ლაპარაკობენ. კი ბატონო გადადგება, მაგრამ ხომ ყველამ იცის, რომ საქართველოს „პოეტების მეფის“ გვირგვინი გალაკტიონის ნაცვლად ძნელად შეჰფერის ვინმეს.

არ აღიარებენ, თორემ ცოდნით ყველამ იცის!”

ყოჩაღ!!! არ ჰქვია ახლა ამას „სუფთა წერა“?! ბატონო პროფესორო, თენგივ ვერულავას მივმართავ, ბავშვობას იხსენებთ? რაგვარი „კომენტარი“ შეიძლება გააკეთო ყოველზე ამის შემდეგ?!

მევე „ამბავს“ სხვებიც წარმატებით გადაინერენ და ასე... კომენტარებიც მოჰყვება, ალტაცებული...

შემდეგი „ნიმუში“:

წიგნის გამოფენაზე ვიყიდი წიგნს: „ქართული გენი უცხოტომელთა სამსახურში. 100 რჩეული ბიოგრაფია“, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2011 წელი. წიგნის გამომცემელი: ზ. ქუთათელაძე, რედაქტორი — ნიკოლოზ მესხიშვილი, მასალები მოიძია და შეკრიბა ლევან გურიელიძემ. ანოტაციაში ვკითხულობთ, რომ „ეს წიგნი — სხვათა სამსახურში მოპოვებული სახელ-ღიდეების მქონე ქართველების ერთად თავმოყრის პირველი ცდაა და მსგავს თემატიკაზე დაბეჭდილი პირველი ნაშრომია საქართველოში“.

ნამდვილად პირველია — ასე უსისტიემოდ, ქრონოლოგიისა და მოღვაწეობის სფეროების გაუთვალისწინებლად, სხვა არ მეგულება. არ ვიცი, რა კრიტერიუმებით მოხვდნენ ერთ წიგნში ჯორჯ ბალანჩინი და ლავრენტი ბერია, ნიკო ბაგრატიონი (ბური) ან შამილი, ჯორჯ კობი და მერაბ მამარდაშვილი, სერგო ორჯონიკიძე და გიორგი პაპაშვილი... სიმართლე გითხრათ, ამ უკანასკნელის გამო შევიძინე ეს წიგნი. რასაკვირველია, განსაკუთრებით მაინტერესებს ყოველი ახალი ცნობა, რომელიც იმ შემოქმედზე გამოქვეყნდება, რომელზეც ვმუშაობ. რაა ახალი, უცნობი...

წინათქმაში ვკითხულობთ: „ვინ იცის, რამდენი ქართველის სიცოცხლე შეინირა სხვათა ქვეყნებისათვის გამიზნულმა თუ გაუცნობიერებელმა სამსახურმა და თავდადება! ქართველებს დედამიწის ოთხივე კუთხივე აქვთ გატანილი თავიანთი ღირსეული თუ უღირსი სახელი, მაგრამ ეს სახელები, თავისი ღირსებითაც და უღირსობითაც ჩვენია და მათი სიავკარგე ჩვენივე ტვირთად უნდა ვზიდოთ.“ (?)

როგორც იტყვიან, პირდაპირ პაპაშვილზე გადავშალე. სერგო ორჯონიკიძესა და პეტრე პირველის თავებს შორის მოქცეულია თავი: „გიორგი პაპაშვილი — მწერალი და მოქანდაკე.“ ამ გარემოცვაში „ცოტა“ გასაკვირი კია, სხვა რომ არაფერი თქვა, მაგრამ შემდგენლებს ასე გადაუწყვეტიათ...

**ვკითხულობთ:**

„გიორგი პაპაშვილი 1920 წლიდან ცხოვრობდა და მოღვაწეობდა აშშ-ში. განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად მის მეუღლესთან თანაავტორობით დაწერილ წიგნს „Anything Can Happen“ (გამოქვეყნდა 1945 წელს, ხოლო ქართულად თბილისში, 1965 წელს, სათაურით „ქვეყანა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს“), რომელიც იქცა ბესტსელერად და რომლის 1,5 მილიონზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა მთელ მსოფლიოში.“

**თარიღები არასწორია — 1920 წლიდან არაა შტატებში და ქართულადაც 1966 წელს გამოიცა. თუმცა სხვა ფაქტს მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება; კერძოდ, გასაგებია: „გამოქვეყნდა 1945 წელს“, გაუგებარია შემდეგი აზრები, ალოგიკურიც:**

„ყველაფერი 1944 წლის ოქტომბერში დაიწყო, როცა ამერიკის ორმა უდიდესმა გამომცემლობამ ამერიკელ მკითხველს შესთავაზა სრულიად ახლებური წიგნი, რომელიც მაღალი თაროებიდან თვალის დახამხამებაში ქრებოდა. იმავე წლის ნოემბერში იგივე განმეორდა. 1945 წელს ეს რომანი იანვრის თვეში 4-ჯერ გამოიცა.“

**ვერ გავიგე! წინა აზრებში არ წერდით, „გამოქვეყნდა 1945 წელს“? მერე რისი ჩამოთვლა წამოიწყეთ? ფაქტია, პირველი აზრები აშკარად ეწინააღმდეგება შემდგომ გამოთქმულს. ორი სხვადასხვა წყაროთი ხომ არ სარგებლობდით? ერთი ნამდვილად ვიცი! მკითხველს ეგებ გაახსენდა რამდენიმე წლის წინათ ამავე ჟურნალში დაბეჭდილი წერილი — „ჩვენი მწერლობა“ №11 (89), მაისი 2009 „ამერიკული ბესტსელერის ქართველი ავტორი“. „მონონება“ საკმარისია — მაშინვე აღმოჩნდება სხვის წიგნში, რაც მთავარია, სხვისი გვართი. ჩემს სტატიაში ვკითხულობთ:**

**„Harper & Brothers — „ჯიბით სატარებელი“ მცირეფორმიანი წიგნის მრავალტირაჟიანი გამომცემლობა და Harper & Row — ე.წ. მაგარყდიანი წიგნების ცნობილი გამომცემელი კიდევ ერთხელ მოექცნენ ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში, როცა სრულიად ახალი წიგნი შესთავაზეს მკითხველს. პირველად ეს 1944 წლის ოქტომბერში მოხდა, რამდენიმე კვირის შემდეგ, ნოემბერში იგივე განმეორდა. 1945 წელი ყველაზე უჩვეულო და „უხვი“ გამოდგა: მხოლოდ იანვარში ოთხჯერ გამოიცა; მაღაზიების თაროებიდან „თვალის დახამხამებაში ქრებოდა წიგნი“, წიგნი, რომელიც ასე იყო დასათაურებული: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. გიორგი და ჰელენ პაპაშვილების რომანი ერთბაშად აღმოჩნდა საყოველთაოდ აღიარებული და ამასთან, ძალიან პოპულარულიც... „უმაგალითო მოვლენა“ — დაინერა კიდევ, რაც 600 000 ცალი წიგნის გაყიდვას მოჰყვა. ფაქტი იყო, წიგნი ბესტსელერად იქცა!“**

**ზემოხსენებულ წიგნში გრძელდება: „ნანარმოები ერთბაშად აღმოჩნდა აღიარებული. გიორგი პაპაშვილის თითქმის ნახევარ მილიონზე მეტი წიგნის გაყიდვა სწორედ ამგვარად შეფასდა: „უმაგალითო მოვლენა“.**

**რასაკვირველია, გაუმართლებელია, მაგრამ ზოგჯერ ხდება გარკვეული „ფრაგმენტების“ გადანერა წყაროს მითითების გარეშე. ხანდახან ისიც შესაძლოა, გამონათქვამი დაემთხვეს, გასაგებია; მაგრამ როცა მთელი შენი კვლევის შედეგის სიტყვა-სიტყვით გადანერა ხდება, მაშინ როგორაა?**

**ჩემი წერილიდან: „საქართველო, თბილისი, კობიანთ-კარი, კახეთი, ხევსურეთი, გუდაური... ისე ბუნებრივად ახსენებს, რომ არ რჩება უხერხულობის განცდა, იცის თუ არა ამერიკელმა მკითხველმა, რომელ გეოგრაფიულ სივრცეზე ესაუბრებიან?! იხსენებს ღიმილით, იხსენებს ღირსების სრული შეგრძნებით, იხსენებს ჩვეულებრივადაც, მაგრამ თითქმის არასოდეს ტკივილით, არადა, ემიგრან-**

**ტი მწერლისთვის ეს სრულიად ნაცნობი ლიტერატურული მეთოდი იქნებოდა.“**

**ამონარიდი წიგნიდან (ამონარიდი მთლად ზუსტი სიტყვა არაა): „ნანარმოებში მწერალი საუბრობს საქართველოზე, თბილისზე, კობიანთკარზე, ხევსურეთზე. ისე ბუნებრივად იხსენებს ამ ყველაფერს, რომ უხერხულობის განცდა არ რჩება, იცის თუ არა ამერიკელმა მკითხველმა ეს ყველაფერი.“**

**იცით რა მაინტერესებს: როგორ ხდება, რომ 2011 წელს დაბეჭდილი მოსაზრებები ზუსტად ემთხვევა 2009 წელს შენს მიერ გამოთქმულ და, რაც მთავარია, უზარმაზარი მასალის გაცნობის და კვლევის შემდეგ მიღებულ დასკვნებს: თარიღების დადგენა, გამოცემების რაოდენობა... ემოცია შესაძლოა დაემთხვას ემოციას, რომელიმე კვლევის შედეგზე ერთმანეთს, მაგრამ ასე სიტყვა-სიტყვით „დამთხვევა“ სუფთა წერის საკონტროლოს ხომ არ ჰგავს? კიდევ ერთი, ძალიან თვალსაჩინო მაგალითი და ამ წიგნზე აღარ გავაგრძელებ.**

**წიგნში: „რომანი ითარგმნა 15 ევროპულ ენაზე. აგრეთვე იაპონურად და ჩინურადაც. პაპაშვილის რომანი საგანგებოდ ითარგმნა ურდუს ენაზეც. საუკუნის 50-იან წლებში ურდუ გავრცელებული ენა იყო პაკისტანში, ბანგლადეშში, შრი-ლანკაში, არაბეთის ქვეყნების უმეტესობებში და ინდოეთის მოსახლეობის დიდ ნაწილში. მასშტაბები უდავოდ შთამბეჭდავია.“**

**ბოდიშს კი ვიხდი, მაგრამ მეორედ უნდა წაგაკითხოთ, ამჯერად ჩემი წერილიდან:**

**„ნანარმოები არაერთ ენაზე ითარგმნა და შესაბამისად, გამოიცა კიდევ, დაახლოებით თხუთმეტ — ფრანგულ, გერმანულ და სხვა ევროპულ ენებზე; იაპონურ და ჩინურ ენაზეც (საინტერესოა, ამ უზარმაზარ ქვეყანაში რომანი რა რაოდენობის ტირაჟით დაიბეჭდა); არსებობს თარგმანი „ურდუს ჩათვლით“, — ვკითხულობთ ერთი უცხოელი ლიტერატორის სტატიაში ( ურდუ სამხრეთ აზიაში გავრცელებული ენაა — ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა: პაკისტანი, ბანგლადეში, შრილანკა, ნაწილობრივ ინდოეთი და არაბეთის ქვეყნების მოსახლეობის უმეტესობას შეუძლია გაიგოს ურდუ). იმხანად წიგნი თითქმის მილიონნახევარმა მკითხველმა წაიკითხა... მასშტაბები უდავოდ, ძალიან შთამბეჭდავია!“**

**რა უჭკია იმას, როცა მხოლოდ შთაბეჭდილება კი არ ემთხვევა, არამედ ქვეყნების დასახელება-ჩამონათვალს კი?**

**ამჯერად ბოდიში თქვენ არ უნდა მოიხადოთ?! რასაკვირველია, ყოველი ახალი ცნობით, წერილით, წიგნით უნდა ისარგებლოს ადამიანი — დაეთანხმოს ან არა, საზოგადოებრივი აზრი, მეცნიერება სხვაგვარად ვერ განვითარდება, მაგრამ საიდან „სარგებლობთ,“ ავტორის და ნაშრომის დასახელების გარეშე გადანერა და მერე წიგნად გამოცემა, როგორ ფიქრობთ, კანონიერი საქციელია?! თან წიგნს დართული აქვს საავტორო უფლებების დაცულობის ნიშანი (ლათინური ასო C წრეწირში) და ასევე, განსაკუთრებული საავტორო უფლების მფლობელის სახელი: ზ. ქუთათელაძე. რა გამოდის — ავტორიც თქვენ ყოფილხართ და ციტირების შემთხვევაშიც თქვენი წიგნი უნდა მიუთითონ? იცით ალბათ, ამგვარი საქციელი სამოქალაქო სამართლის კანონით — დასჯადია. ბოლო გვერდზე რაკილა მითითებულია: „მასალები მოიძია და შეკრიბა ლევან გურიელიძემ“ — იქვე უნდა გაკეთებულიყო ავტორთა და მათ ნაშრომთა ჩამონათვალი. არავითარი პრობლემა აღარ შეიქმნებოდა. ასე არაა?! თუ კანონი შეჩერდა?!**

**მე ის შემთხვევაც უნდა მოვიტანო, როცა დამოკიდებულება არანაირად არ ემთხვევა. ეს არანაკლებ საინტე-**

რესოა. ეს გახლავთ ასევე, ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნებული სტატია: ნათია პაპიძე „ქართველი „ამერიკელები“. რამდენიმე ფრაგმენტი:

გიორგი პაპაშვილი — (1898-1978) — ემიგრაციის შემდეგ 1920 წელს იქორწინა ამერიკელ ქალზე ჰელენ უაითზე.

განვმარტავ: 1920 წელს გიორგი პაპაშვილი ჯერ კიდევ საქართველოშია. მხოლოდ 30-იან წლებში ბერკლიში, გააცნეს მეგობრებმა ჰელენ უაითი.

მორიგი:

გიორგი პაპაშვილის სახელს უნდა დავუკავშიროთ ქანდაკების სფეროც. მას ეკუთვნის რამდენიმე ძალიან ლამაზი ნამუშევარი, მათ შორის „ქართველი ხალხური სიმღერების მომღერალი“, ეს ნაშრომი სხვა მოქანდაკეების ნამუშევრებთან ერთად აღბეჭდილ იქნა დოკუმენტურ ფილმში „სილამაზე ქვაში“.

ავტორი წერს იმაზე, რაზედაც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. გიორგი პაპაშვილის გვარ-სახელი შეტანილი იყო ისეთ სერიოზულ გამოცემაში, როგორცაა: *Who's Who in American Arts*. მისი ცნობილი გამოყენებები: პენსილვანიის სახვითი ხელოვნების აკადემია, ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმი, რედინგის სახელმწიფო მუზეუმი და ხელოვნების გალერეა, არაერთი უნივერსიტეტი (ლიჰაის...), ვუდმორის გალერეა. მოქანდაკის გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე (1971) უილიამ პენის მემორიალურ მუზეუმს რეტროსპექტულ ჩვენებაზე გიორგი პაპაშვილის 60 ნამუშევარი გაუტანია. ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილს მხოლოდ ქვაში 600-ზე მეტი ნამუშევარი აქვს და ისინი შეერთებული შტატების არაერთ სახელმწიფო მუზეუმსა და ხელოვნების გალერეაშია დაცული („რამდენიმე ლამაზი ნამუშევარი“) იმასაც დაძვინ, რომ იგი მუშაობდა ხეზეც. რაც შეეხება დოკუმენტურ ფილმს, რომელიც თვალთ არ უნახავს, უხერხულია (სხვაგვარადაც შეიძლება თქმა) ასეთი ტყუილის ტირაჟირება. ფილმი მხოლოდ ქართული წარმომავლობის ამერიკელ მოქანდაკეზეა და სხვა არავისზე! საიდან მოიტანეთ, რომ ფილმში სხვა მოქანდაკეებიც არიან საკუთარ ნამუშევრებთან ერთად?!

მკითხველმა შეიძლება იფიქროს, რამდენი ამგვარი „ფსევდო“, არასწორი წერილი დაიბეჭდება, ყველას ხომ არ გამოვხებამურებითო. მართალი ბრძანდებით, ეს შეუძლებელია, მაგრამ როცა ვრცელდება არასწორი ინფორმაცია, მას კითხულობენ, ენდობიან, როგორც მართალს. არაიშვიათად, ციტირებენ (მიიჩნევენ, რომ სწორია), სარგებლობენ, მერე რაღაცეებს ვერ აკავშირებენ და ჩიხშიც ექცევიან... და არა მხოლოდ ახალბედა მკვლევარები შედიან შეცდომაში... მით უფრო, ახლა ემიგრაციის თემა ძალიან აქტუალური და, ვიტყვოდი, პოპულარულიც გახდა. ეს უკანასკნელი კი ზერელობის დიდ ასპარეზს ქმნის. მათ გვერდით არაერთი მკვლევარის მიერ იწერება საინტერესო წერილები, იბეჭდება გამოკვლევები...

გიორგი მაჩაბელზე — ივანე მაჩაბლის ძმისწულზე, შეერთებულ შტატებში პარფიუმერიის ფუქიმდებელზე — არაერთხელ ითქვა, ნიგნები დაინერა (გურამ შარაძის „უცხოეთის ცის ქვეშ“, რუსუდან დაუშვილის „ქართველი მრეწველები და გამოგონებლები ამერიკაში“ და ა.შ.) და ზემოხსენებულ წერილში წაიკითხავთ:

პრინცი არჩილ გურიელი-ჭყონია (1895-1955) აშშ-ში 1937 წელს ჩავიდა მეუღლესთან მადამ ჰელენა რუბენშტეინთან (1882-1965) (კოსმეტიკის დეოლოგად წოდებული) ერთად. ისინი ძალიან მალე წარმატებულ ბიზნეს-წყვილად იქცნენ. მათ გახსნეს „გურიელის სააფთიაქო“ ორი ძირითადი ქალთა და მამაკაცთა კოსმეტიკური ხაზით. პრინცმა ასევე დაარსა „პრინცი მაჩაბლის“ — „Prince Machiabelli“ ხაზი, სადაც რამდენიმე პოპულარული პროდუქტი შედიოდა — „Cachet“-

1970, „Chimere“-1980 და ა.შ ამ პროდუქტებს არჩილის გარდაცვალების შემდეგაც არ დაუკარგავთ პოპულარობა.

რომელმა პრინცმა დააარსა „პრინცი მაჩაბლის“ ხაზი — პრინცმა ჭყონიამ? და საკუთარ დაარსებულს სხვისი გვარი მიანიჭა — მაჩაბელი? ამ ადამიანებს (ცოლ-ქმარს) თავისი დამსახურება აქვთ, მაგრამ ეს „სხვა“ ისტორიაა... უნახავი ფილმები, უცნობი ბიოგრაფიები... აქ კომენტარს ვერანაირად ვერ გააკეთებ!

„საჯარო გაცნობა — ნებისმიერი მოქმედება (გამოქვეყნების გარდა), რომლის შედეგადაც უშუალოდ ან ტექნიკური საშუალებით ნაწარმოები, შესრულება, ფონოგრამა, ვიდეოგრამა, მაუნსკებლობის ორგანიზაციის გადაცემა ან მონაცემთა ბაზა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახდა; (03.06.2005 1585)“ — ესეც ერთი მუხლია.

ისევ ჯორჯ პაპაშვილს დავუბრუნდები. მასთან დაკავშირებით არაერთი რადიო თუ სატელევიზიო გადაცემა მომზადდა — მანამდეც და ჩემი ამერიკაში სამეცნიერო მივლინების შემდეგაც. ქართული საზოგადოების ნაწილს შესაძლებლობა ჰქონდა, დოკუმენტური ფილმიც ენახა საჯარო ლექციებზე (მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში...) დაინტერესდა „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციაც. მომზადდა სიუჟეტი, მაგრამ ის უხერხული (თუ არ ვიცი, როგორ ვთქვა) „დამთხვევა“ აქაც განმეორდა. ჩემი საუბრიდან ნაწილი „დარჩა“ როგორც „ჩემი“ მოსაზრება, ნაწილი — ნამყვანმა სიტყვა-სიტყვით თავად გაიმეორა, ოღონდ როგორც მისი მოსაზრება. არადა, ისეთი, რომელსაც საარქივო ფუნქცია და დატვირთვა ჰქონდა (გადაცემა საზოგადოებრივი რადიოს 1 არხზე გავიდა 20.00სთ. 6.IX 2011). ძალიან ფრთხილად მივანიშნე. კი ბატონო, გაითვალისწინა ნამდვილად! სამაგიეროდ, პაპაშვილზე მომზადებულ გადაცემაში („გაამერიკელებული ფიროსმანი“) საერთოდ არ მახსენა. ამ სიუჟეტს, რომელიც ინტერნეტშიც დევს, პატივისცემის მიუხედავად, პირობითად, „ანტიპაპაშვილს“ დავარქმევდი; მოგახსენებთ, რატომ:

სიუჟეტი იწყება სიტყვებით:

„დაახლოებით 50 წლის წინ ამერიკაში ერთმა ქართველმა ემიგრანტმა მსოფლიო ლიტერატურასა და ხელოვნებაში მნიშვნელოვანი გარდატეხა მოახდინა“.

ნამეტანია! მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიაო, რომ მოგვესმინა, ალბათ, ბევრად სწორი იქნებოდა. შეფასებებში როგორც კი ოდნავ მაინც დაარღვევ კრიტიკიუმს — ანტი ქება გამოდის. რას ნიშნავს მსოფლიო ლიტერატურასა და ხელოვნებაში გარდატეხის მოხდენა? მსმენელი დაფიქრდება, XX საუკუნეში ვის შეეძლო ამხელა როლი ეთამაშა და თან ხელოვნების ორ დარგში...

ამგვარ „რეგისტრში“ გაგრძელებული კომენტარის გამოა „ანტიპაპაშვილი“:

„დუშეთის რაიონის სოფელ კობაიანთკარში ფეხადგმულმა გიორგი პაპაშვილმა საკუთარი შემოქმედებით ახალ სააზროვნო ესთეტიკას ჩაუყარა საფუძველი“.

„რუსუდან წერეთელი კარგი ჟურნალისტიკა...“ ამაზე მე თავად დანერვილიც მაქვს. ვგულისხმობდი იმ საქციელს, როცა ის აქტიურად ჩაერთო იმ დოკუმენტური ფილმის მოძიების საქმეში, რომლის ადგილსამყოფელიც არაერთი დოკუმენტის გაცნობის შემდეგ მოვიძიე, მაგრამ ვერ მოვიპოვე. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა „ამერიკის ხმის“ ქართულ ბიუროს, ისინი ჩემს მიერ მითითებულ ადრესატს დაუკავშირდნენ... მაგრამ ამგვარი გადაჭარბება აზიანებს მწერლის გაცნობის და მისი სწორედაც პოპულარიზაციის საქმეს. მკითხველი (ან მაცურებელი) მერე იმ წარმატებასაც არ დაიჯერებს, რაც რეალურად მოხდა. ამერიკულ მწერლობაში ახალი სააზროვნო ესთეტიკა ედგარ ალან პომ, უოლტ უიტმანმა,

ო'ვენრიმ, კიდევ მხოლოდ რამდენიმე მოახერხა. „გარდატეხა ხელოვნებაში“, „ახალი სააზროვნო ესთეტიკა“... — და ამგვარ „შეფასებებს“ უკვე მოჰყვა ჩემი მეგობარი არაერთი პროფესიონალის ირონიული, ღიმილიანი ფრაზაც. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ამგვარი მოუზომავი წინადადებები მხოლოდ აზიანებს ქართველი ემიგრანტის სახელსა და ღვაწლს, რაც მთავარია, მისი მართლაც და ღირსეულად „დაბრუნების“ საქმეს.

ერთი თემა, რომელიც ვფიქრობ, ფრთხილი და ანგა-რიშგასაწევია. სიუჟეტში ვისმენთ და ვუყურებთ:

„ეს გიორგი პაპაშვილის სახელოსნოა, რომელიც რამდენიმე წლის წინ ხანძარმა გაანადგურა. ასევე, სავალალო მდგომარეობაშია სახლი და კარ-მიდამო. მიუხედავად დიდი სურვილისა, მასზე ზრუნვა მოსახლეობას ეკრძალებოდა, რადგან ქონება უკვე კერძო მფლობელობაშია.“

**როგორ იტყვი — ყოველთვის გადამწყვეტია!**

პაპაშვილის სახლ-კარს დღეს სხვა მფლობელი ჰყავს; ეს კერძო საკუთრებაა, სადაც ბუნებრივია, სხვას არანაირი უფლება არ აქვს. ასეთი ინფორმაციის გავრცელება კი არ შეიძლება, არაკორექტულია. ის, რაც მე პირადად ვნახე და თქვენ გაგიზიარეთ, სრულიად განსხვავებულია. უნდა გავიმეორო: ამ სახლს ძალიან ჭკვიანი მეპატრონე ჰყავს: მას არ შეუცვლია არაფერი. სახლი ზუსტად ისეთია, როგორც მე საარქივო ფოტოებიდან ვიცი. ერთი დარბაზი კი არაა გამოცვლილი. ხელუხლებელია დამწვარი სახელოსნოც კი. სხვა შემთხვევაში, ნებისმიერი ახალმოსახლე „გაასუფთავებდა“ ნაცხოვრებ და მითუმეტეს, დამწვარი ტერიტორიას და ეს იქნებოდა სრულიად ბუნებრივი! აქ ხელი არ უხლბათ თვით შელახული ნივთებისთვისაც კი... და დგას მწერლისეული მემორიალური ნივთები: სკამები, მოქანდაკის სამუშაო იარაღები, სავარძელი, დამწვარი კარადა... დაზიანებული, დამტვერილი, მაგრამ მაინც დგას... მან (ახალმა მეპატრონემ) მისი მნიშვნელობა კარგად იცის და ამიტომ მადლობა მას! რატომ ვუკარგავთ ამას; ხელოვნურად ნუ გავალიზიანებთ! თუ სიუჟეტს „სჭირდება“ დრამატიზაცია? არადა, ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილის ცხოვრებაში ამგვარი ბევრი ფაქტია და მისი მოხმობა უფრო სწორი და ინფორმაციულად გამართლებული იქნებოდა (თუკი იცით, რა თქმა უნდა).

რასაკვირველია, არ ვაპირებ, ვინმეს წერა ანდა გადაღება ავუკრძალო, მაგრამ ხაზგასმით მინდა, ზოგიერთის გასაგონად ვთქვა: წერეთ საინტერესოდ და მეც სიამოვნებით წაკითხავ თქვენს ნააზრევს; თუკი ჩემი ნაფიქრის გამოყენებას დააპირებთ, ჩასვით ბრჭყალებში და ავტორის გვარი მიანერეთ; თუ რაიმეს გადაღებას დააპირებთ, ძველ, სხვა გადაცემისთვის ჩანერილ კადრებს ახალი მიზნებისათვის ნუ გამოიყენებთ. ისინი იმ კონკრეტული გადაცემისთვისაა ჩანერილი და არა „როცა დაგჭირდებათ, იმ დროისთვისაც.“ ვიცი, რომ პაპაშვილზე გადაცემა თუ ფილმი მზადდება (წერეთელს მივმართავ!); მე კატეგორიულად არ გაძლევთ ამის უფლებას: არც ჩემი მოსაზრებების და არც ძველი ინტერვიუების გამოყენების. არ ვიცი, თქვენეული კომენტარების როგორ კონტექსტში მოხვდება და ყალბი დიდების აურზაურში (რომელიც არც პაპაშვილს დასჭირებია ოდესმე, ამას მისი ცხოვრების გზა მონშობს) ჩემდაუნებურად რომ არ აღმოვჩნდე, ამიტომაც გიკრძალებათ! ამ ბოლო წინადადებას კი სავტორო უფლებათა ასოციაციის წევრების ნასაკითხად ვამბობ. მოგმართავთ პატივისცემით და იმის სრული გათვალისწინებით, რომ იმ თემებს, რაც თქვენს კომპეტენციაშია და გევალებათ, ყურადღებით მოეკიდებით.

სუფთა წერა დასრულებულია!...

ნიშნებს, ხმამაღლა გამოცხადების გარეშე, თავად მკითხველი დაგინერთ.

იოსებ ჭუმბურიძე

# ჩანაწერი

ლაღარიას „ზნეობანი“

გაზეთ „Weekend“-ის 2013 წლის 29 მარტი-4 აპრილის ნომერში **ნოდარ ლაღარია** წერს (სტილი დაცულია — ავტ.): „რამდენიმე დღის წინ ინტერვიუს მიცემა მომიწია. ინტერვიუ კვლევითის სჭირდებოდათ, კვლევას კი რომელიმე ბრიტანული უნივერსიტეტის სტუდენტი აწარმოებდა. ერთი კითხვა ასეთი იყო: წინა ხელისუფლების დროს პოლიტიკური მოლაპარაკებები და შერიგებები რატომ ხდებოდა რომელიმე ტაძარში ან საპატრიარქოში?“.

სხვათა შორის ზუსტად არ მახსოვს, რა ვუპასუხე — რაღაც ვთქვი შუასაუკუნეობრივი ტრადიციის შესახებ, მაგრამ ახლა ვეღარ ჩამოვაცალიებ. ჰოდა, მით უმეტეს მაინტერესებს, რატომ ხდებოდა ასე?“.

ამ სტრიქონების ნაკითხვის შემდეგ ერთი კითხვა გამიჩნდა: რა ჰქვია იმას, კაცს რამდენიმე დღის წინათ გაცემული პასუხი რომ აღარ ახსოვს და ახლა მით უმეტეს აინტერესებს?

გგონიათ, მართლა არ ახსოვს?

ამ კითხვის პასუხი ახსოვს კი არა, ლაღარიამ ისიც კი იცის, რისთვის დადიოდნენ ტაძარში უგულავა, ბოკერია, თოფურიძე, მერაბიშვილი...

უბრალოდ, ასე სჭირდება — ვითომ არ ახსოვს...

ზემოხსენებულ გაზეთში ლაღარიას საკუთარი გვერდი და რუბრიკა აქვს — „პრესომბუდსმენი“. „ომბუდსმენი“ ჰქვია, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ვინმეს კი არ იცავს, პირიქით, თავს ესხმის.

იმდღევანდელი აბდაუბდათი **ლევან ვასაძე** თავდასხმას შეეცადა. საბაბად გამოიყენა გაზეთ „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებული ინტერვიუ, სადაც ცნობილი ბიზნესმენი ბევრ საჭირობოროტო საკითხზე მსჯელობდა. ვრცელი დიალოგიდან ლაღარიას ყურადღება მხოლოდ ერთ საკითხს მიუქცევია და სწორედ მასზე აუშენებია ჩვეული აბსურდული მსჯელობა მდაბიობასა და მდაბიურ უზნეობაზე. ეს უკანასკნელი თურმე უზნეობის დეფიციტს კი არა, მის ერთგვარ „სიჭარბეს“ ნიშნავს.

ლაღარია ამკარად შეუშფოთებია იმ ფაქტს, რომ, მისი აზრით, ექსცენტრიული პერსონაჟი ბოლო დროს ძალიან პოპულარული გახდა.

ექსცენტრიული პერსონაჟიო, — ლაღარია ამბობს ლევან ვასაძეზე (?!).

სწორედ ამაზე იტყვიან, ჩემი შენ გითხარო.

ამ ანდაზის მეორე ნაწილი ყველასათვის ცნობილია, მაგრამ, საბედნიეროდ, ლევან ვასაძე ზედმეტად ჭკვიანია იმისათვის, ასეთი გამოხდომები გულთან ახლოს რომ მიიტანოს.

ექსცენტრიული რომ იყოს, ლაღარია თავს რატომ დაესხმებოდა. ჭუმბურიძე ქართველი და მართლმადიდებელი რომ არის, იმიტომაც ერჩის.

რაც შეეხება „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს, ის მართლაც არაერთ საყურადღებო მოსაზრებას შეიცავს. ერთგან ლევან ვასაძე ამბობს: „ისეთი განცდა მქონდა, რომ სახელისუფლებო პრესა მძალეობდა მეთქვა: „დედას გეფიცებით, პოლიტიკაში არ წავალ-მეთქი“.

ამ ინტერვიუს ნაკითხვის შემდეგ კი სურვილი გიჩნდება, ლევან ვასაძეს უთხრა: „დედას გაფიცებ, ნადი პოლიტიკაში“.



**რამდენ ხანს თუ როგორ?**

ერთ-ერთ ინტერვიუში რეზო თაბუკაშვილმა მითხრა: „მთავარი ის კი არ არის, რამდენ ხანს იცხოვრებს ადამიანი, არამედ ის, თუ როგორ იცხოვრებს“.

ეს ნათქვამი გამახსენა ახლახან გამოსულმა (გამომცემლობა „ინტელექტი“) ვახტანგ ჭელიძის ჩანაწერებმა („ტიკბილ-მწარე ამბები“), სადაც ვკითხულობთ:

„ადრევე იყო ხმა დარხეული — ნიკას (იგულისხმება აგიაშვილი — ავტ.) რამდენიმე კაცთან ეთქვა — **ირაკლი აბაშიძემ** მთხოვა, მოგონება დანერე, თითქოს მე და **ლადო ასათიანი** შევერიგდით და მერე აღარავითარი დავა აღარ გვექონიაო. ნიკა თითქოს ჯიუტობდა, მაგისტანა სიყალბეს ვერ ჩავიდნო, მაგრამ ისე ჰყავდა მონუსხული ირაკლი აბაშიძეს, რომ მაინც დაუნერია. ოღონდ ეშმაკობა უხმარია — დაუნერია ძველი ამბავი, იმდროინდელი, როცა ირაკლი აბაშიძე „ჩვენი თაობის“ რედაქტორი იყო და ლადოც, როგორც „ლიტერატურული საქართველოს“ 22. I. 88 წ. დაბეჭდილი ლექსიდან ჩანს, ჯერ ისევე ლაღია; მისი დევნა მერე იწყება, როცა ირაკლი აბაშიძე მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ დანიშნეს, როცა უკვე ბუზს აღარ იფრენდა და ახლა თავაძესთან (მამინდელი ცეკას მდივანი) ერთად, რასაც უნდოდა, იმას აკეთებდა. მერე დაამუშავა საშინლად მწერალთა კონფერენციაზე, მერე დაამუშავებინა ცეკას საანგარიშო მოხსენებაში...“

ეს კი, ეს „მოგონება“ **ნიკა აგიაშვილისა**, რომელიც ახლა დაბეჭდა გაზეთში, ძველისძველ ამბებს ეხება. მაშინ ი. აბაშიძეს დიდი გავლენა არ ჰქონია, მაშინ მხოლოდ „ჩვენი თაობის“ რედაქტორი იყო და იქ უნიჭობას ბეჭდავდა, ლადო ასათიანს კი ლექსებს არ უბეჭდავდა“.

**პოეტი და მინისტრები**

წინა მინისტრის კაბინეტში იმდენად ხშირად ხედავდნენ, რომ ხუმრობდნენ, უშტატო მრჩეველიაო.

წიგნი გამოუცა. პრეზენტაციაც მოუწყო...  
ახლანდელ მინისტრს ეუბნება, წიგნი გამომიცა მინისტრმა, რომელსაც არ ვიცნობდით...  
ანუ — შენ მითუმეტეს უნდა გამომიცეო...  
მომდევნო მინისტრს ეტყვის, რომ ამასაც არ იცნობდა...

**პლაგიატი**

1. ამონარიდი სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატიდან (თბილისი, 2006 წელი):

„ნაშრომში პირველად არის შესწავლილი, თუ როგორ აისახა ქართულ პრესაში „ვარდების რევოლუცია“ და მისი ორი წლის მონაპოვარი, **რამდენად შეცვალა ამ მოვლენამ პრესის საარსებო სივრცე, რამდენად განსაზღვრა პერიოდულ გამოცემათა ბედი“**.

2. ამონარიდი აღმანახ „კრიტიკის“ ერთ-ერთი პუბლიკაციიდან (თბილისი, 2007 წელი):

„მეტად საინტერესოა ვარდების რევოლუციისა და პრესის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, თუ რა გავლენა მოახდინა აღნიშნულმა მოვლენამ ქართულ ჟურნალისტიკაზე, **როგორ შეცვალა პრესის საარსებო სივრცე, რამდენად განსაზღვრა პერიოდულ გამოცემათა ბედი“**.

სხვათა შორის, მეორე ამონარიდის ავტორი (მ. შამილიშვილი) პირველი ამონარიდის ავტორის (დისერტანტის — ი. ჭუმბურიძის) ოფიციალური ოპონენტი იყო (!?)...

**„მომიტავოს ჩაგმა თბილისმა“...**

„ცოდვა თუ მაქვს ჩადენილი რამე, მომიტევოს ჩემმა თბილისმა...“ — ამ სიმღერას არაერთი პროფესიონალი ასრულებს, მაგრამ არავის უხდება ისე, როგორც არაპროფესიონალ შემსრულებელს — თბილისის ყოფილ მერს ნიკო ლევიშვილს.

ნოდარ დუმბაძე გაბასხენდება...



იოსებ ჭუმბურიძე

**„ვრამია“ და „კურიერი“**

კომუნისტების ეპოქაში ასე ხუმრობდნენ: თუ გინდა იცოდე, რა ხდება საბჭოთა კავშირში, უნდა უყურო „ვრამიას“ და ყველაფერი შებრუნებულად გაიგო.

დღეს: თუ გსურს გაიგო, რა ხდება საქართველოში, იმავე პრინციპით უნდა უყურო „კურიერს“...

**„ვაიმე!“**

ჩუბინაშვილის ქუჩაზე მიმავალს, ილიას სახლ-მუზეუმთან ორი ქალბატონი მაჩერებს. უფრო ახალგაზრდა მომართავს:

— მაპატიეთ, იელოვას მონუმენტის ოფისისკენ სწორად მივდივართ?

— სწორი ის იქნებოდა, იქ რომ არ მიდიოდეთ!

ჩემი პირდაპირობა ორივეზე იმოქმედებს და ერთდროულად აღმოხდებათ: „ვაიმე!“

ეს „ვაიმეც“ კი მაიმედებს...

**სამწუხარო აუცილებლობა**

ასეთი თბილი და კეთილი რომ ხარ, „ჩანაწერები“ ასე მკვახე რატომ გამოგდის. ვიცი, რომ ბევრი ვინმე გიყვარს, ბევრი რამ მოგწონს. იმათზეც დაწერე. — ჩვეული გულახდილობითა და სიყვარულით მეუბნება **ნინო დეკანოიძე**.

მე „თავს ვიმართლებ“: განა ცოტას მიფვერებვიარ იმავე „ჩანაწერებით“? მაგალითად, ზურაბ ნიჟარაძეს, ვახტანგ დავითაიას, ჯანსუღ ჩარკვიანს, რობერტ სტურუას, თემურ ჩხეიძეს, მაკა ჯოხაძეს, ანა გელაშვილს, ლევან ბრეგაძეს, გურამ პეტრიაშვილს... უამრავს, ანუ ყველას, ვინც მოსაფერებელია.

ბოლოს ნინოს მაინც პირობას ვაძლევ, რომ ახალ „ჩანაწერებში“ უმეტეს ადგილს ქებას დავუთმობ.

სამწუხაროდ, დანაპირებს ვერ ვასრულებ. როგორც ხედავთ, ამჯერად მხოლოდ მას ვეფერები — ნამდვილად ღირსეულ მანდილოსანს — კარგი ოჯახის დიასახლისს, კარგი შვილების (ბიჭების!) გამზრდელს, კარგ ჟურნალისტს, ჭკუა-ც რომ უჭრის და კალამიც.

კრიტიკა სამწუხარო აუცილებლობაა.

ნინოს რჩევის გათვალისწინებას კი სამომავლოდ მაინც შევეცდები.

ეკა ბუჯიაშვილი

# ნაბეზა ნაბეზის შედეგ

„...გადააბიჯეთ მკვდრებს გაბედულად და იმით, ვისაც დაინწყებენ!“ — ეტრუსკული სიმღერის ეს ნაწყვეტი ნამძღვარებია ეპიგრაფად კობა ცხაკაიას რომანს, სულაც წიგნის სათაურად გამოუტანია ავტორს, რომელსაც საზოგადოება იცნობს როგორც რომანისტს, დრამატურგს, რეჟისორს, მსახიობს, პუბლიცისტსა და ლექტორს. და ყველა ამპლუაში და ყველა ასპექტით საგულისხმო და საინტერესოა მისი შემოქმედება.

ჩვენ ვცხოვრობთ რეალობაში, სადაც ბევრი რამ არის აჭრილი და გვინდა, რომ ყველაფერი დავალაგოთ, დავანყოთ, თავი ის ადვილი მიუწინაო... რაც გაცილებით ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა.

კობა ცხაკაიაც, ჩვენი თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო პროზაიკოსი და დრამატურგი, ნაკლებადაა წარმოჩენილი და აღიარებული, არადა მისი რომანები და პიესები იძლევა ძალიან კარგ საშუალებას მსჯელობისა და გააზრებისათვის.

მის შემოქმედებაში — და ამ ბოლო რომანშიც — მძაფრადაა ასახული ბოლო ოცნლეულის აბურდული რეალობა, რომელში გარკვევაც სურს ავტორს და ამ გზაზე სანდო მეგზურადაც მიუძღვება მკითხველს, — ასე წარუდგინა როსტომ ჩხეიძემ შეკრებილებს ავტორი რომანისა „გადააბიჯეთ მკვდრებს გაბედულად“, რომლის განხილვაც ყურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში გაიმართა.

წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ნაწარმოები დოკუმენტურ მასალაზეა აგებული და ავტორი ბოდიშს უხდის მკითხველს, ერთი შეხედვით, გაბნეული და კალეიდოსკოპური თხრობისათვის... ასევე განმარტავს, რომ თხრობის ასეთ უჩვეულო მანერას მიმართავს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს „ს.ს. №1!!!!“ საქმის ზუსტი წყობა იმ სახით, რომლითაც ეს ოთხასფურცლიანი დოკუმენტი აღმოჩნდა მის ხელთ, და რეალურ ისტორიასთან სრული იდენტიფიკაციის თავიდან ასარიდებლად ნაწარმოებში შეტანილია მცირედი ცვლილებანი.

წინასიტყვაობითვე წიგნი მკითხველს იმ რეალობაში შეუძღვება, ამ ოციოდე წლის წინათ ჩვენი ყოველდღიურობა რომ გახლდათ და ეს ჩვენს თაობას არამარტო ახსოვს, არამედ ღია ჭრილობადაც შემორჩა. ამიტომაც სწორედ ამით დაიწყებს რომანის შეფასებას მომხსენებელი ნინო ვახანია, როგორც ყოველთვის, კარგად მიგნებული საინტერესო აქცენტებით რომ გახსნის თხზულების საგულისხმო შრეებს.

აი, ზოგიერთი ამონარიდიც ამ მოხსენებიდან:

— ნაწარმოებში ნაჩვენებია გათიშული, გაყოფილი, დარღვეული საქართველო. ომი თბილისში, შუა რუსთაველზე, მერე — აფხაზეთში, სამეგრელოს რბევა-ანოკება... მიუხედავად იმისა, რომ ამ ჩვენი უახლესი ისტორიის ამსახველი არაერთი მხატვრული ნაწარმოები შეიქმნა უკვე, არც მწერლისთვის და არც მკითხველისთვის თემას სადღეისო მნიშვნელობა არ დაუკარგავს. იმდენად მძაფრი და დრამატული გახლდათ ის ჟამი, ის ხანა, რომ მისი შესწავლა და კვლავ და კვლავ წარმოსახვა სხვადასხვა რაკურსით, განსხვავებულ ჭრილობაში არამარტო შესაძლებელი, არამედ სასურველიცაა. ამ წიგნის ერთი უპირველესი ღირსება ისაა, რომ მასში ვაძმოცემულია, ნათქვამია სიმართლე (მხატვრულიც და ყოფითიც), რომელსაც ასე ელის კავშირგაბმელი.

ქალბატონი ნინოს თქმით, მკვდრებზე გადაბიჯება, მკვდრების დავინწყება წარსულის დავინწყებაა. წიგნის ყდაზე გამოსახული პირიც ამას უნდა ნიშნავდეს: არ ვლაპარაკობთ, არ ვიხსენებთ... ან: სიმართლის თქმა შეუძლებელია — მარტო იმიტომ კი არა, რომ ამის გამო დავისჯებით, იმიტომაც (უფრო იმიტომ), რომ არ ვიცით, რომელია, სად არის, ვისკენაა, რაა სიმართლე, და დასძენს, რომ მკვდრების დავინწყება იქნებ კიდევც სურ-

დეს ადამიანს, მაგრამ წარსული თვითონ არ გვანებებს თავს. ცხოვრების კანონზომიერება თავის თავში შეიცავს წარსულის გადავინწყების ფატალურ შეუძლებლობას. მომხდარი წარუშლელ კვალს ტოვებს ადამიანთა გონებაზე, ფსიქიკაზე, ცნობიერსა თუ ქვეცნობიერზე... და ერთგვარად განსაზღვრავს მომავალს. ახლო წარსულის ყოველდღიურობა — ნარკოტიკები, მკვლელობა, ძარცვა, ადამიანთა გატაცება, დანაშაულებრივი დაჯგუფებანი, მათთან შეკრული ან დაპირისპირებული, მაგრამ არანაკლებ დანაშაულებრივი პოლიცია... საბედნიეროდ, დღეს უკვე ჩავლილია, თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ უკვალოდ.

— მწერლისთვის ნიშანდობლივია მსუბუქი იუმორი. ვთქვათ, ასეთი: ჰალსტუხი მხოლოდ მას ეკეთა და მონა-ლიზასავით ილიმებოდა. გვხვდება ე.წ. მეტყველი იუმორი, რომელსაც ავტორი მიზანმიმართულად იყენებს. უწინგურ პოლიციელს სრულყოფილად ახასიათებს თავისივე შეკითხვა: ახლობელი გყავს სეპარატისტებთან ომში დაკარგული — სანჩო თუ პანსა?

რომანში ნაჩვენებია, რომ იარაღზე, ძალადობაზე დაფუძნებული ყოფა მძიმე დაღს ასვამს ადამიანთა ცხოვრებას. ვინაც იარაღი აქვს, სიმართლევ და სიმდიდრეც იმისია. იარაღად იგულისხმება თანამდებობაც, კაბინეტიც, გავლენიან პირთა ნაცნობობაც, საერთოდ ძალა, ნებისმიერი ძალაუფლება, გამოვლენილი სხვადასხვა ფორმით. „იარაღის სიმძიმე არამარტო ადამიანის მიხრა-მოხრაზე ტოვებს კვალს, არამედ სახეზეც“, — ამბობს ავტორი და გულისხმობს, ცხადია, ფსიქიკის, სულიერი წყობის, მენტალიტეტის ცვლილებას. იარაღით მოპოვებული და იარაღზე დაფუძნებული ავტორიტეტი მთლიანად გამორიცხავს პიროვნების ღირსებას, შლის და ანადგურებს ინდივიდუალობას — ადამიანი, მისი ძალა, წონა, ფასი... უთანაბრდება იმ იარაღს, რომელსაც ატარებს.

არეულ, აბურდულ, ამოყირავებულ სამყაროში განათლება, ცოდნა, ჭკუა უსინდისობას, ბოროტებას, ძარცვა-გლეჯას... ემსახურება. ძნელი კი არა, შეუძლებელი ხდება სულიერი სისუფთავის, სიფაქიზის დაცვა, შენარჩუნება, გადარჩენა.

არაფერი წმინდა, ხელშეუხებელი, ამაღლებული არ არსებობს სულიერ საზრდოს მოკლებული ადამიანებისთვის. მათ არ იციან, რა არის თანადგომა, სვეისთვის სიკეთის ქმნა, სხვისი სადარდელის გაზიარება...

თხრობაში ძალიან ფაქიზად შემოდის აფხაზეთის ომის თემა. იმ ომის დროს, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე მსგავს შემთხვევებში, თაობები გაქრნენ უკვალოდ. ოცი წლის წინანდელი ტრაგედია თითქოს უკვე გადავიტანეთ. თუმცა მაინც საკითხავია: გადავიტანეთ კი?

„სიმართლე წარსულშია და არა რომელიმეს მხარეს“, — ასეთია ერთი პერსონაჟის (და მგონი ავტორისაც) პოზიცია.

„მხოლოდ ის ვიცი, რომ უკვე ლამის ნახევარი საუკუნის ვხდები და არაფერი მიკეთებია გარდა იმისა, რომ ვიბრძოდი რაიმეს დაკეთების საშუალება რომ მიქონოდა“, — ეს ის ფრაზაა, რომელიც სახიერად აირეკლავს ტრაგიკული ყოფის მთელ სიმძიმეს.

ჩვენ კი, მკითხველებს, არ გვასვენებს კითხვა: გადავაბიჯოთ მკვდრებს გაბედულად?

\*\*\*

— რომანში ასახული სამყარო დეკონსტრუირებულია, ცენტრი მოშლილია, არ არსებობს დემიურგი, უღმერთო სამყაროში ადამიანები საყრდენისა და სიყვარულის გარეშე არიან დარჩენილი.

ნარკომანიის თემას მოსდევს აფხაზეთის ომის თემა, ომი, როგორც თვითრეალიზაციის ერთადერთი ასპარეზი, რადგან სხვა არ არსებობს...

ომს უკავშირდება რომანის დილემათაგან უმთავრესიც: ღირს ბრძოლა სამართლისა და სამართლიანობისათვის, როცა ეს ბრძოლა თავიდანვე განწირულია დამარცხებისათვის და მხოლოდ იარაღი ხარ ვილაცის ხელში...

კობა ცხაკაიას პერსონაჟები ნამდვილობითა და თვითმყოფადობით გამოირჩევიან. ისეთი შეგრძნება გრძობა, რომ მწერალმა ისინი რეალური ცხოვრებიდან წიგნში ჩაასახლა, — ასე ფიქრობს მარინე ტურავა, რომანის მხატვრულ ენაზეც რომ ისაუბრებს და აღნიშნავს, რომ თემატიკიდან გამომდინარე, ის არ არის ლიტერატურული, აკადემიური — პერსონაჟები ჟარგონზე საუბრობენ, რომლის ლექსიკურ მარაგსაც ასე გულმოდგინედ აგროვებს ლექსიკონა-ნოდარა.

სწორედ ამ საგულისხმო პერსონაჟის — ლექსიკონა-ნოდარას გამო იტყვის როსტომ ჩხეიძე, რომ ერთგვარი პაროდიაა, ავტორი პერსონაჟს ლექსიკონს რომ ადგენინებს, პაროდია დროისა, რომელსაც ასე ძალიან მოეძალა ჟარგონი და გარკვეული ხნის შემდეგ ეს ყველაფერი შეიძლება სულაც დაიკარგოს. რომანის მოსამზადებელი სამუშაოებისას ლევან ბრეგაძის წიგნი „ქართული ჟარგონის ლექსიკონი“ ჯერ გამოცემული არ იყო, მაგრამ რომანის გამოქვეყნებამდე მომზადდებოდა კიდევ და ბატონ როსტომს ხელნაწერის კითხვისას კობა ცხაკაიასთვის თავისი აზრიც გაუზიარებია:

— კარგი იქნება, წიგნში ამ ამბავმაც გაიეღვოს — ლექსიკონა-ნოდარა ადგენს ჟარგონის ლექსიკონს და ამასობაში იგებს, რომ ლევან ბრეგაძეს უკვე უზრუნია ამაზე, და ადარებს ერთმანეთს. განმარტებანი თითოეულ მათგანში განსხვავებულია, ზოგიერთი სიტყვა არც არის შეტანილი „ქართული ჟარგონის“ ლექსიკონში და საინტერესო იქნებოდა, პატარა კვლევაც შესულიყო რომანში ამ თვალსაზრისით, მითუმეტეს, რომ თანამედროვე რომანი ასეთ აღნაგობას იტანს.

ბატონი კობა მაშინ დათანხმდება კიდევ: ასეც ვიზამო, მაგრამ მოხდა ისე, რომ გაჭიანურდა ამ წიგნის გამოცემა, და რომ არა გამოცემლობა „საუნჯე“, შეიძლება ჯერ კიდევ ვერ მოეხა თავი ავტორს წიგნის სამზეოზე გამოსატანად. ამიტომ გამოცემლობის შემოთავაზებისას აჩქარდა და ამ თვალთ ველარც მოასწრო გადაეხედა რომანისათვის.

„საუნჯე“ კი, ბატონი როსტომის თქმით, ბოლო დროს ზედიზედ გამოსცა მრავალმხრივ საინტერესო, ოღონდ „წამგებიანად“ შერაცხილი წიგნები, რომელთა მომზადებაზეც სხვა გამომცემლობანი თავს იკავებდნენ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და სამადლობლოელო საქმეა.

ამ მადლიერებას შეუერთდა ზურაბ კანდელაკიც, შემდეგ კი შეაფასა რომანი, სადაც, მისი თქმით, ავტორი წარმოჩინდება როგორც კინორეჟისორი, და თუ ოდესმე ამ სცენარით გადაიღებენ ფილმს, სწორედ თვითონ უნდა გადაიღოს. ეს არის კინოენით დაწერილი მხატვრული ნაწარმოები, მონაცვლეობა კადრებისა, თავისი სახასიათო პერსონაჟებით.

— პირველი, რაც კობა ცხაკაიასი წავიკითხე, იყო პიესა „გრძობა“, რომელიც ძალიან მომეწონა და ლევან ლორთქიფანიძემ დადგა კიდევ რადიოში. მერე დაიწყო ჩვენი ურთიერთთანამშრომლობა, როგორც ავტორთან და რეჟისორთან. მან დადგა არაერთი პიესა, თავისიც, სხვისაც, მათ შორის, როსტომ ჩხეიძის დეტექტიური ცდაც „ეკლიანი და პატარა გზა“.

ამ რომანის პერსონაჟები კი, ჩვენდა საუბედუროდ, წარსულში არ დარჩენილან, დღესაც არსებობენ და დღესაც შეუძლიათ გადააბიჯონ მკვდრებს გაბედულად, ცოცხლებსაც გადააბიჯონ... და ასე რომ არ მოხდეს, სწორედ ამიტომ დაწერილი ეს რომანი.

რომანი, სადაც ნონა კუპრეიშვილის თქმით, „ბოვეიკ-თათვის“ შესაფერისი დიდი ხმაური დგას.



კობა ცხაკაია

— ისმის სროლის, ჭურჭლისა თუ დიდი ვიტრინების ლენვის, ვნებიანი ქმინვისა თუ სიკვდილისწინა ხროტინის ხმა. ამასთან არის ერთი უნაზესი მელოდიის ლაიტმოტივური ხაზიც, რომელიც დროდადრო იჭრება ამ დგანდგარში და ყველას გარკვეულ სიმშვიდეს გვანიჭებს. ესაა გოჩა-სანოსა და თინიკოს ურთიერთობის, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, სიყვარული, რომელსაც ავტორიც დიდი სიფრთხილით ეპყრობა. იგი, ფაქტობრივად, არამარტო ამ კონკრეტული ოჯახის, არამედ მთელი ამ საბედისწეროდ არეულ-დარეული ქვეყნის პერსპექტივის ამსახველი გზაა, რომელიც შესაძლებელს ხდის იმ საკმაოდ არაორაზროვან საუბარს, რომელიც ინტერნატის ყოფილ მონაწივე სანოსა და მის უცნაურ მასწავლებელს, ბერმუხას, შორის იმართება. სწორედ მათ შორის ითქმება რალაც ძალზე მნიშვნელოვანი, რომელსაც ავტორი ძალდაუტანებლად, თითქმის სხვათა შორის გვანგედის. აზრზე მოვიდეთ და ერთად დავდგეთო — დანარჩენი კი — სანკობი, ოქრო, შავი, ლექსიკონა, „ნატვრების სახინკლე“, „მზის ზანზალაკები“ თუ უცნობი მოხუცი — დასაძლევია და დასაფიქრებელიც, როგორც კომპარული სიზმარი. ეს უკვე გზავნილია, რომელსაც მე, როგორც მკითხველი, ვლელულობ, კობა ცხაკაიას ამ რომანს კი შემდგარს ვუნოდებ.

\*\*\*

...ჰეროდოტე კი თავის დარდს აენ-რიალებინა — მშვიდობისას შვილები რომ მარხავენ მამებს და ომში კი მამები — შვილებს.

და XXI საუკუნის ქართველი მწერალი თავისი რომანით ათასწლეულთა მიღმა რომ შეეხმინება ბერძენ ისტორიკოსს, მათა ჯალიაშვილი ამ თხზულებაზე საუბრისას საკუთარ გამოსვლას ჰეროდოტეს სიტყვებით დაიწყო და ამავე ფორმულაში მოაქცევს იმ ტკივილსაც, კობა ცხაკაიას რომანს რომ გასდევს და 90-იანი წლების ტრაგიზმი სიმბოლოვდება.

მისი თქმით, რომანის მთავარი გმირი თავისიანებისგან თუ უცხოთაგან გვემული, დამცირებული და შეურაცხყოფილი საქართველოა. მეოცე საუკუნის 90-იანი წლების დრამატული ისტორია შემოგვეფეთება თავისი ბნედიანი თვალებით და ჩვენც ავგიმდგრევს სულს, გულსა და გონებას, რათა კიდევ ერთხელ დაგვაფიქროს მარადიულ გამოცანაზე: ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, სად ვართ და საით მივდივართ.

— ეს ქაოტური ეპოქა, თითქოს ეპილეფსიური კრუნჩხვებისგან გათანგული, განსხვავებული სტილითა და მანერით წარმოჩინდა ქართულ ლიტერატურაში, მათ შორის, განსაკუთრებით აღსანიშნავია ოთარ ჩხეიძის რომანები: „არტისტული გადატრიალება“, „თეთრი დათვი“ და „ბერმუდის სამკუთხედი“, ოთარ ჭილაძის „აველუმი“ და „გოდორი“, ჯემალ ქარჩხაძის „განზომილება“ და სხვა.

კობა ცხაკაია ცდილობს და ახერხებს კიდევაც დარღვეული დროის დახატვას და ამ კონტექსტში ადამიანთა ტრაგიკული ბედის წარმოჩენას. სხვადასხვა სოციალური ფენის, ინტელექტის, მისწრაფების პერსონაჟები სწორედ დარღვეულ დროში ავლენენ თავიანთ დემონურსა თუ ანგელოზურ ბუნებას. ეს ადამიანები ერთმანეთს უპირისპირდებიან სამშობლოს სახელით. ერთნი ზვიადისტები არიან, მეორენი — პუტჩისტები. რომანში ასახულ დროსა და გზასაცდენილი, ორად გახლეჩილი ქართველობის სატკივარს მანანა გაბაშვილი ისტორიული რაკურსიდან განიხილავს და მისთვის ჩვეული საინტერესო მსჯელობით განაზოგადებს 90-იანი წლების საქართველოში მიმდინარე მოვლენებს:

— ეს იყო დრო მართვადი საქართველოსი, როცა გააქტიურდა კრიმინალური სამყარო და წინა პლანზე წამოიწია გარკვეული კატეგორიის ადამიანთა ინტერესებმა, რომლებიც დიდ, მნიშვნელოვან, ტრადიციულ ინტერესებს უპირისპირდებოდნენ და ეს დრომ კიდევ უფრო ნათლად გვიჩვენა...

90-იანი წლების მოვლენების ანალიზი ძალიან მნიშვნელოვანია არამარტო ჩვენი ქვეყნისთვის, არა მხოლოდ კავკასიის რეგიონისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც.

ჯოჰარ დუდაევისა და ზვიად გამსახურდიას მკვლელობას — ამ ორი ლიდერისა, რომლებიც აწინასწორებდნენ ტრადიციული ქრისტიანული და ისლამური სამყაროს ურთიერთობებს კავკასიაში — მოჰყვა რადიკალური ისლამის გაძლიერება და მივიღეთ ის, რომ ახლო აღმოსავლეთის გვერდით უცებ კავკასიაც აღმოჩნდა ტერორისტულ პროცესებში. და დღევანდელი ვითარების იმ მიზეზთა შორის, მთელ მსოფლიოს შიშის ქვეშ რომ ამყოფებს, ჩვენი რეგიონიც არის. ეს ყველაფერი კი სწორედ იმ წლების არასწორი პოლიტიკური ანალიზის შედეგია.

ჩვენ უნდა გავმიჯნოთ სიმართლე იმ სიცრუისგან, რომლის მიღმაც დგას არაჯანსაღი ინტერესები.

დრომ გვიჩვენა ეს — არა მხოლოდ საქართველოს, საერთაშორისო პოლიტიკის მაგალითზეც.

**პაატა ჩიქოვანი** კი რომანში ასახული მოვლენების მიზეზს უფრო შორიდან — 1801 წლიდან წამოწევს და აღნიშნავს, რომ კარგი იქნებოდა ჩვენს ლიტერატურაში უფრო მკვეთრად ასახულიყო სამხედრო ისტორია, ომის ისტორია, ომისა, რომლისთვისაც მზად არ აღმოგჩნდით და შედეგი გახლდათ იმ პოლიტიკისა, თავს რომ მოგვახვიეს:

— ჩვენ ვიყავით ანთებული გულები.  
კარგი ბიჭები... ალალები... თავგანწირულები...  
მაგრამ... ომისთვის მზად არ აღმოგჩნდით.

\*\*\*

**— ბატონო კობა, როგორ მოხვედით მწერლობაში?**

— პირველად „ცისკარში“ დაიბეჭდა ჩემი პატარა მოთხრობა — შემდეგ კიდევ რამდენიმეც — 1997 წელს. მერე კი უკვე პიესებიც გამოვაქვეყნე.

მახსოვს, ბატონმა როსტომმა მიაქცია ყურადღება ჩემს ერთ-ერთ პიესას „ნათხოვარი იმედები“ და გადაცემა „ალიონში“ ისაუბრა მის შესახებ. როსტომს პირადად არ ვიცნობდი. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მივაკითხე და გავეცანი. მას შემდეგ დაიწყო ჩემი ურთიერთობები ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებასთან, რამაც ბევრი რამ მომცა. აქვე გავიცანი ზურაბ კანდელაკიც, ვინც შემდეგ ჩემს პედაგოგად იქცა რეჟისურაში. ბატონ როსტომთან საუბრებმა, მისმა რჩევებმა, მიმართულებებმა ლიტერატურაში ბევრნილად განსაზღვრა ჩემი შემდგომი გზა.

სხვათა შორის, უფრო ადრეც — 1991 წელსაც მაქვს გამოქვეყნებული ნაწარმოები — „ვეგიკ“-ში რომ აბარებ, უნდა დაწერო თხზულება, წინასწარ მოცემულ ოთხ სიტყვაზე კინომოთხრობა უნდა ააგო. ახლაც მახსოვს ეს სიტყვები: პური, მზე, ვაშლი და ღიმილი.

ის თხზულება სტუდენტურ გაზეთში დამიბეჭდეს.

„ვეგიკ“-ში 1990-95 წლებში ვსწავლობდი, მანამდე აქ სამსახიობო ფაკულტეტი დავამთავრე და დრამატურგიას ვსწავლობდი ვოვა სინარულითესთან. ძალიან ბევრ საინტერესო ადამიანთან მომიწია ურთიერთობა. მათ შორის იყო დრამატურგიის პედაგოგი **ოსივ ვაისფელი**, კარგი გავებით დინოზავრი თავის სფეროში. სწორედ მასთან ურთიერთობისას შევიტყვე იმ ეტრუსკული სიმღერის შესახებ, რომელიც ჩამრჩა ცნობიერებაში, იტრიალა, იტრიალა და...

თბილისში ომის დროს ჩამოვედი.

რუსთაველზე ვნახე მხედრიონელი ბიჭები, რომლებსაც დმანისის თეატრის დაარსების ხანიდან ვიცნობდი და თავის დროზე ეღუარდ შევარდნაძეს უპირისპირდებოდნენ. ვკითხე: აქ რა გინდათ, ამ მხარეს რატომ დგახართ-მეთქი? მაგრამ...

ომში პასუხები არ არსებობს და, შესაბამისად, იქ კითხვებსაც არავინ სვამს.

ომი ადამიანად ყოფნის საშუალებას არ გაძლევს.

ამიტომ იმ მეზობლებსაც ნუ დავადანაშაულებთ ასე ხელალებით. დამნაშავენი ისინი არიან, ვინც ეს ადამიანები ერთმანეთს დაუპირისპირა.

**— სად უფრო კარგად გრძნობთ თავს — კინოში თუ მწერლობაში?**

— საქართველოში... საერთოდ ასე ხდება — რასაც აკეთებ, პირველ რიგში საკუთარი ტკივილის მოსაშუშებლად, საკუთარი კითხვებისათვის პასუხების მოსაძებნად. კინოში ეს ცოტა ძნელია, რადგან საბოლოო ნაყოფამდე რომ მიხვიდე, ძალიან ბევრი ეტაპი გაქვს გასავლელი — ფსიქოლოგიურიც, მატერიალურიც... — ვიდრე თითქოს მწერლობაში, მაგრამ მწერლობაში შენს თავთან მარტო რჩები და უფრო მეტი ბარიერის გავლა გიხდება. ორივე გჭირდება, თუმცა მწერლობამ ძალიან ბევრი რამ მომცა — განსაკუთრებით ის, რომ დავინყე ფიქრი და ანალიზი, თუ ვინ ვარ, რატომ ვარ, რისი გაკეთება მიწოდდა. ასე მგონია, მწერლობით ჩემთვის უფრო მეტი რამ გავაკეთე, ვიდრე სხვებისათვის, და თუ მკითხველამდეც შევძელი რამე მიმეტანა, ბედნიერი ადამიანი ვიქნები.

**— რომელ კინორეჟისორს გამოაჩვენებთ?**

— მიხეილ კობახიძე, ოთარ იოსელიანი, თენგიზ აბულაძე, ბუბა ხოტივარი, ადრინდელი კინემატოგრაფია...

**— თუ გაქვთ რომელიმე მწერლის გავლენა? და საერთოდ, საყვარელი მწერლები თუ გყავთ?**

— იყო დრო, როცა ძალიან მინდოდა, გამოაჩენული სტილი, წერის ჩემული მანერა მქონდა. ოდესმე თუ გამომივა, არ ვიცი. სიყვარულით კი ბევრი მწერალი მიყვარს. ამაზე დაუსრულებლად შეიძლება ვილაპარაკოთ. შესაძლოა ნაწარმოები მოგეწონოს, მაგრამ სათანადო ზემოქმედება შენზე მხოლოდ წლების შემდეგ მოახდინოს.

ქართულ ლიტერატურაში მე გამოვეყოფდი ოთარ ჩხეიძეს, რეზო ინანიშვილს, ბასილ მელიქიშვილს...

**— თუმცა სრულიად სხვადასხვა სტილისტიკაა...**

— დიახ. თუ ბასილ მელიქიშვილს სახასიათებს მოსროლილი ფრაზები, ოთარ ჩხეიძესთან არის უწყვეტი ძაფი, რომელსაც მიჰყვები, მიჰყვები, ვერ ჩერდები, და ბოლოში რომ გადაიხარ, აღმოაჩენ, რომ მწვერვალზე დგახარ.

იცით... ათი წლის წინათ უფრო შემდეგ გამოემერჩია საყვარელი მწერალი, მერე, თანდათანობით, დამოკიდებულებაც შემეცვალა, ისევე როგორც კინოს სფეროში. მაგალითად, იყო დრო, როცა ძალიან მიყვარდა მარტო ბერგმანი, მარტო ანტონიონი... მერე, როცა უკვე ბევრი რამ იცი და შედარების საშუალება გაქვს, იმასაც ხვდები, რომ ერთი რომელიმე ხელოვანი ცალკე არ არსებობს — იგი ყველასთან ერთად მოდის და ისინი ხშირად ერთმანეთს განსაზღვრავენ.

**— ისევ რომ ატყდეს „აკაესების“ ჭახაჭუხი, რა პოზიციას დაიკავებდით?**

— მიფიქრია ამაზე, მაგრამ პასუხი არ მაქვს.

ასე მგონია, ფაქტის წინაშე რომ დადგები, მაშინ უნდა იყო მართალი. თანაც ეს ბრძოლა მარტო ჩვენი შვილების მხრებზე არ უნდა გადავიდეს — არ შეიძლება, პირველ, მეორე თუ მესამე პირთა შვილები შევიცარიანო სახელობდნენ და ჩვენი შვილები სანგარში იხსდნენ. აფხაზეთის ომი რომ წავაგეთ, ის კი არ არის ტრაგედია, წაგების მერე რომ წავაგეთ და ყოველწელიწადს რომ ვაგებთ, ეს არის ჩვენი უბედურება.

**— რაზე მუშაობთ ამჟამად?**

— ახლა ჩემს ცხოვრებაში ის ეტაპია, როცა შემოქმედებითი ზღარბის პოზიციაში ვარ, ჩაფიქრებული მაქვს რამდენიმე რამ, რისი გაკეთებაც მინდა.

ჯერ კი ემოციებსა და ძალებს ვაგროვებ, განწყობილებას ვიქმნი და ვემზადები, რომ დავჯდე და ამ ყველაფერს თავი მოვაბა.

გია ხოფერია

# ვარლამ შალამოვი — კოლიმგრაფი

ვარლამ შალამოვის სახელი დღეს საყოველთაოდაა ცნობილი. ალიარებული სიცოცხლეშიც იყო, თუმცა ნაკლებად უწყობდა, უცხოეთსა თუ მშობლიურ რუსეთში რას ფიქრობდნენ მასზე. ცნობილობა თუ ცნობადობა შესაძლებელია საზოგადოების ვიწრო წრის იქით არ გადიოდეს და ადრე თუ არავე გიცნობდა, როგორც მწერალს, როგორც მოაზროვნეს, დაგიდგეს ჟამი, პროფესიონალი მკითხველები, ლიტერატორები, სენსაციათა მაძიებლები თუნდაც რამდენიმე ქვეყანაში, შენზე ინერდენტ პირველად. რა სჯობია ამას, უკეთესი რა უნდა ინატრო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, შენი მზე სრულყოფილად რომაა ამოსული.

ვარლამ შალამოვის „საყოველთაობაც“, ჩემი აზრით, ჯერჯერობით გაცილებული არაა „მაძებარი“ მკითხველის კატეგორიას, თუმცა მისი მხატვრული შემოქმედება წიგნებს, ცალკეულ კრებულებს თავი რომ დავანებოთ, წიგნის მალაზიებსა და ბიბლიოთეკებში რომ არ ვირბინოთ, ინტერნეტით იოლად მისაწვდომია. ეს ძალიან კარგია. თუმცა უკეთესია, მშობლიურ ენაზე თუ მოგეპოვება ამ მართლაც ჩინებული მწერლის მოთხრობების, ლექსებისა და ესეების თარგმანი, თანაც ისეთი, თამაზ ნატროშვილმა რომ შემოგვთავაზა რამდენიმე წლის წინათ, ჯერ მხოლოდ რამდენიმე მოთხრობის სახით, მაგრამ, იმედია, სხვა ჟანრის არაერთი მაღალპროფესიონალური თარგმანიც შემოგვმატება უახლოეს მომავალში.

მხატვრული ნაწარმოებები ერთია და, უფრო ნელგამართულები რომ ვყოფილიყავით და ვარლამ შალამოვის სახელთან პირნათელი წარმდგარიყავით, სულ ახლახან მოგვევლინა ელგუჯა თავბერიძის საკმაოდ ვრცელი ნარკვევი თუ მონოგრაფია — „კოლიმგრაფი“, რომლითაც, როსტომ ჩხეიძის მართებული მინიშნებით, საფუძველი ჩაეყარა ქართული გულაგიანას მეცნიერულ შესწავლასა და საკუთრივ ვარლამ შალამოვის, როგორც მოქალაქის, პიროვნებისა და დიდი მწერლის მხატვრული ნააზრების შესწავლა-გამოკვლევას.

ამასთანავე — მონდომებასა თუ ნაბიძგებას — იმ მართლაც საჭირო „საყოველთაობისათვის“, რასაც ჭეშმარიტად იმსახურებს ვარლამ შალამოვი, დიდი ასობით დასაწერი სახელი და გვარი, ზნეობრივი პრინციპულობის, მართლად ცხოვრებისა და თავისუფლებისათვის დაუღალავად მებრძოლი. ამ მწერლის განვლილ გზას, უფრო სიზუსტით, მის მხატვრულ შედეგებს განსაკუთრებით ახალფეხადგმული ახალგაზრდობა უნდა მიეტანოს, გააცნობიეროს, გაიაზროს, რისთვის ღირს ამქვეყნად მოსვლა, რისთვის უნდა დაიხარჯოს ადამიანის ენერჯია. ღმერთმა ყველას აცილოს ვარლამ შალამოვის ნამებულ გზაზე სიარული, მაგრამ ის მაინც რომ ვიცოდეთ კარგად, რანაირი ჯოჯოხეთური მექანიზმები, სატანური მეთოდები დანერგეს საბჭოთა ჯალათებმა, რანაირად ამოძიკვეს მილიონობით ადამიანიდან ზნეობა და საკუთარი თავის თვითმართვის ინსტინქტები, ჯეროვნად ამგვარ უკუღმართობაში განაფულ ფაშისტებსაც რომ გადაუსწრეს თუ ფაშისტებმა ამათგან ისწავლეს გაცხოველება, საჭიროა ღრმად და გულდასმით ნავიკითხოთ შალამოვის პერსონაჟები.



თუ როგორ იკითხებიან ისინი, თუ როგორ შეიძლება მათ გონებაში დაღეკილი მწარე ფიქრების გაშიფრვა, მივაკითხოთ „კოლიმგრაფს“ და არაერთ პასუხს მივიღებთ საგულისხმოს, საყურადღებოს.

მანამდე კი კოლიმის, როგორც ადამიანთა სასაკლავოს ხანგრძლივი და არნახულად საშინელი სურათის გადათვალიერება მოგვინებს. ზოგიერთ ამბავს მისი ისტორიიდანაც შეგვახსენებს წიგნის ავტორი. ბერზინის, კოლიმაზე პირველხელმძღვანელის სასიათსაც ჩანდება, თურმე „ფუფუნებაში“ რომ ამყოფებდა პატიმრებს, მაგრამ მთავარ ძარღვს, წიგნის მთავარ მაგისტრალს ერთი წუთითაც არ აცდება და ყოველ ახალ გვერდზე გადასვლა-დანაწარმებისას უფრო და უფრო გიმძაფრდება შიში თუ ზიზღი, ელექტრონული შოკის მაგვარი ტკივილი, სარკიდან გამომტყირალ თავისივე სახეს წვერის მპარსავი კაცი ეჭვით რომ უყურებს — ჩამშვები ჰგონია. თურმე შეიძლებოდა (ახლა უფრო გაუმჯობესებული და დახვეწილი იქნება ამგვარი მეთოდები!) ასეთი აზროვნება ჩამოუყალიბო ადამიანს, ეს კიდევ რაა, საერთოდ გადააჩვიო აზროვნებას, საერთოდ მოსპო მასში სიცოცხლის არსი, გაარობოტო. ეს იყო იმ სახელმწიფოს იდეოლოგია, უფრო სწორად, ერთხაზოვანი იდეოლოგიის პრინციპი, ერთი კაცის მიერ გამოწერილი რეცეპტი, დიქტატორის უკიდევანო ძალაუფლების ნაყოფი.

ელგუჯა თავბერიძე ამ საკითხებს რომ ეხება, ძალაუფლებურად, შალამოვისა და მისი თანამედროვეების ჯოჯოხეთურ, ენიტალუნერელ ხვედრთან ერთად, არა მხოლოდ საბჭოთა იმპერიის ლაგერული ყოფა, გაუგონარი ცინიზმი და შხამთა ნთხევა, საერთოდ, ამგვარი სამწუხარო რეალობების, უფრო შორეული წარსული და, თუ გნებავთ, ჩვენს მიერ შესწრებული მისდაგვარობანი გვიღრღნიან გონებას, ძალმომრეობისა და დათრგუნვის მანქანები ერთდროულად დაგვაცხრება. მერე რა, რომ ეს უკვე ისტორიაა, ჩავვლილი სიმწარეა, მისი ვირუსი არავის გაუნადგურებია, ისევ ბოზოქრობს სახელმწიფოსეულ მექანიზმებში, ისევ და ისევ იმუქრება. აქეთკენაც მივყავართ „კოლიმგრაფს“. ამიტომ არაა ის მხოლოდ ვარლამ შალამოვის „საკუთრება“. ამიტომ იზრდება წიგნის სივრცითი ზეგავლენა და არ რჩება ერთ წერტილზე, დროის ერთ პატარა მონაკვეთზე მიყინულ ფაქტად.

ვარლამ შალამოვი ძლიერი სულიერი და ფიზიკური აღნაგობის კაცი ყოფილა. ვერანაირად მოუშორებელ მტერსაც შეიძლება რომ არ უსურვო, ისეთ სამყაროში ხვდება. გენიოსია ეს ადამიანი თავისი ფიქრსანვდომით, წარამარა ებადება ათასობით სხვისთვის საჭირო და სასარგებლო აზრები, იდეები, და რომ ვერ ჩაუნერია ერთი სტრიქონიც კი გაფაციცებული ზედამხედველობის გამო, საკუთარ მეხსიერებას ენდობა. ერთი კაცის მეხსიერება ამ ერთის, ამ განსაკუთრებულის განსაკუთრებულობას არ კმარა, არაა მისი აუზი იმხელა, ჩაიტიოს ყველაფერი ეს. მაინც ენდობა, მაგრამ უმეტესობა იმ აზრებიდან ვერსად პოულობენ ადგილს და ისევე ილუპებიან, როგორც კოლიმის უამრავი მსხვერპლი. „კოლიმგრაფის“ კითხვისას სავსებით მოსალოდნელია იფიქრო, რომ იმ ყველაზე „სახელოვან“ გულაგურ დეპარტამენტში, ტუსაღებად უმეტეს შემთხვევაში ადამიანები კი არ იყვნენ, არამედ მათი აზროვნება. აზროვნების, სხვაგვარად, ინდივიდუალურად, საკუთრად შენი რომაა ისეთ შეხედულებათა განვლებისა და ამოძიკვის ხელოვნური ზონა გახლდათ კოლიმა და არა მხოლოდ ის.

ჩვენ სადღეისოდ გადარჩენილ ვარლამ შალამოვს ვკითხვლობთ. ვინ იცის, იქ, კოლიმურ ღრანტებში კიდევ რამდენი შალამოვია დაცეხულ-დასამარებული?! რაც გვაქვს, რაც შემოგვრჩა, ამითაცაა უძლიერესი და ერთად რა იქნებოდა! თუმცა ყო-

ველთვის არც ასეა საქმე. დიდი მწერლობა ფუფუნებაში არ იბადება, სასათბურე სივრციდან რაც უნდა მრავლისმეტყველი ტანჯულის თვალებით გადმოხედო, ვერ დამალავ, ფეხები თბილ ნყალში თუ გინყვია. ვარლამ შალამოვი შემთხვევით გადარჩა, შემთხვევით, ალაღებდნენ, რომ იტყვიან, გაიტანა უღელი ბოლომდე, ფაქტობრივად იგი მოთავსებული მსხვერპლი იყო. ამ მსხვერპლმა განგების ნებით შეინარჩუნა სიცოცხლე, მასში სიტყვა გადარჩა, თვითონ გადაარჩინა ის სიტყვები, კრუხივით რომ აჯდა მანამდე, ვიდრე „კოლიმურ მოთხრობებზე“ სხვა მოთხრობებზე, წერილებზე აქცევდა. ეს სასწაულად გადარჩენილი კაცი, თავისუფალი, მაგრამ სამუდამოდ დანივადებული, შედეგებს ჰქმნის, მართლაც წერს მართლად, ყველაზე უკეთ მის ობიექტებს აქვს შენარჩუნებული კოლიმური ცხოვრების სიზუსტე, თვითონვე გადაუარა სიკვდილის მუხლუხობებზე, არ სჭირდება კონსულტანტი წერის დროს, მთავარია ამოასუფთავოს, გამოლიოს შერჩენილი მესხიერება, მოასწროს...

ჩვენ გვჯერა შალამოვისა. „კოლიმგრაფის“ ავტორისაც გვჯერა. ელგუჯა თავბერიძემ შეძლო შალამოვის პორტრეტის დახატვა. ეს პორტრეტი ლიტერატურულიცაა და ჩვეულებრივ-ადამიანურიც. კოლიმურ მოთხრობათა ზოგიერთი ამონარიდი, რამდენადაც ვიცით, ქართულად არაა თარგმნილი, მაგრამ საჭირო იყო მათი მოხმობა ჩანაფიქრის უკეთ წარმოჩენისათვის. ესეც მშვენივრად გამოვიდა. ხოლო რაც შეეხება ანალიზს, დაკვირვებას შალამოვის მოთხრობებზე, უბრალო სარეცენზიო სიტყვითაც რომ ვთქვა, ელგუჯა თავბერიძის განსჯა და დასკვნები სავესტით მიესადაგება თავიდანვე სწორად დასახულ ამოცანასა თუ მიზანს.

„კოლიმგრაფი“ დიდ ინტერესს იწვევს შალამოვისა და სოლუჟენიციანის ურთიერთობის საკითხი. დიდი ომი არ ატეხილა, მაგრამ მაინც ომი ჰქვია მათ დაპირისპირებას. ერთ მხარეს შალამოვია -სინამდვილის წერტილ-წერტილ გამზომველი არშინით, უნებლიეთ წამოცდენილ გადაცდომასაც ძმარად რომ წამოგადენს ცხვირიდან და, მეორე მხარეს, სახელიან მწერლობიანად მსოფლიოდ ქცეული სოლუჟენიციანი, უკვე დიდად გამოცდილი ოსტატი, ჯოჯოხეთის ფრთებს გვარინანდ რომ ჰყავდა დასისხლიანებული, მაგრამ არც მთლად დახვეწილი დისიდენტი, არც მთლად მისიკვდილებული იმ ჯოჯოხეთური ფრთებისგან და, რაც უცებ იყნოსა შალამოვმა, თურმე არც ისე დიდი ოსტატი, როგორადაც წარმოაჩენდნენ, როგორადაც არწმუნებდნენ ქვეყნიერებას. ერთმა შალამოვმა შეძლო სოლუჟენიციანის გაშიშვლება, არ გამოდგა მისი სამოსი ნამდვილი ქსოვილისგან შეკერილი. ერთი აიქნა ხელი შალამოვმა და თეთრს თეთრის ადგილი მიუჩინა, შავს — შავის, და საერთოდ ყველა ფერი შესაბამის ჩარჩოში ჩასვა...

გატეხილმა თუ გამჟღავნებულმა სოლუჟენიციანმა, ეტყობა, ბევრი ფიქრი მერე ფარ-ხმალი დაყარა და შალამოვს „მეგობრობას“ სთავაზობს — ერთად დაენერათ კომუნისტური გულაგის ლიტერატურული მატანე, მაგრამ შალამოვი კერძო უფრო მაგარია და უმაღლ მიხვდა, საკუთარი ტყავის გადარჩენისთვის რატომ დაიხია უკან სოლუჟენიციანმა. „კოლიმგრაფი“ მხოლოდ ზოგიერთი რამაა მოთხრობილი ამ მწერალთა ურთიერთობების შესახებ. „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“ მოიშველია ელგუჯა თავბერიძემ, მოთხრობა, რომელიც სოლუჟენიციანის სხვა თხზულებებთან შედარებით შალამოვს ასე თუ ისე მოსწონდა, მაგრამ ბევრი რამ იმ მოთხრობაშიც მკაცრად მონიშნა, მისთვის მიუღებელი, არამართალი და ყალბი რომ იყო და სხვების მიმართ უფრო მეტ დაუწოდებლობას არ გამოიჩენდა! ამასთანავე წიგნის ავტორმა ისეთი ინფორმაციებიც შემოგვამატა, სოლუჟენიციანის დისიდენტობას რომ აქარწყლებს, ძალიან საეჭვოს ხდის. ვინ რას გამოაპარებდა შალამოვს! მან კარგად იცოდა, დახურული კოლიმიდან ღია კოლიმაში რომ გადმოინაცვლა და თუნდაც „შენიღბული“ სოლუჟენიციანი მას ვერც მოხიბლავდა და ვერც გააცურებდა.

კოლიმის გრაფი კოლიმის აღმსუსხველი იგივე ყველაზე დიდი კოლიმელი, ყველაზე გამძლე ყოვლისმნახველი, ათასობით ადამიანის თვალებისა და გონების ნაირფეროვნების დამახსოვრებელი, ერთი შეხედვით სადად, არაპარფიუმერულად

ლად წერს, მაგრამ ეს სისადავე ძლიერმეტყველია, ძლიერზემოქმედი, დამთრგუნავი. ელგუჯა თავბერიძის ნაამბობიდან ბევრი მაგალითის მოხმობა შეიძლება ვარლამ შალამოვის მოთხრობებზე, სადაც ზუსტი, გამოცდილი მკვლევარის რანგის შეფასებანია გაკეთებული. აი, ორიოდ:

„ვარლამ შალამოვის კოლიმური ამბები ხშირად იმდენად შემამოფოთებელი და არაადამიანურია, რომ მხატვრულ ანალიზსაც ნაკლებად საჭიროებს. ნაიკითხავ და დათრგუნავს, შეგძრავს, მაგრამ ამ შეკრთომის მიღმა უნდა დავინახოთ ის მხატვრული საშუალებანი, რომლითაც მწერალი ცდილობდა დაეხატა საბჭოთა ლაგერი, ეჩვენებინა ის საშინელებანი, რომელიც იქ ხდებოდა. კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, ამბების უმეტესობა ავტობიოგრაფიულია, გამონაგონი მცირე, უფრო სწორად, სულაც არაა. მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ნორმალური ადამიანის გონებაში არ შეიძლება გაჩენილიყო ისეთი რამ, რაც იქ ხდებოდა. ამიტომ არაფრის გამოგონება აღარ იყო საჭირო — საბჭოთა ბელადებმა შექმნეს ახალი ჯოჯოხეთი, რომლის უტყუარი აღმწერი იყო ვარლამ შალამოვი“.

სახელმწიფო ყოველნაირად ცდილობდა მიეჩქმალა კოლიმაზე მომხდარი ამბები ან სულაც ლეგენდის ბურუსში გაეხვია, ერთს ერთი ეთქვა, მეორეს მეორე და ა.შ. სიმართლე არავის ცოდნოდა. შალამოვს დოკუმენტის სისწორეშიც შეჭქონდა ეჭვი, უფრო სწორად, საბჭოთა ეპოქაში დოკუმენტს დოკუმენტის ფუნქცია დაკარგოდა — პარტიული ბელადების — ბუხარინისა და რიკოვის ნათესავებს ოცდაჩვიდმეტიდან ორმოცდახუთ წლამდე აძლევდნენ ცნობებს, ვითომ ისინი ცოცხლები იყვნენ. სინამდვილეში ოცდაათწამეტი წლის მერე არცერთი აღარ იყო ამქვეყნად.

რა გამოდის? დოკუმენტის მიხედვით ცოცხლები, სინამდვილეში — პირიქით, კაი ხნის წინათ გადასახლებულნი იმერში.

კოლიმადან გაქცევა თითქმის შეუძლებელი იყო. მაინც გარბოდნენ. ბლატარების გარდა, ვისაც კი შეეძლო თავისუფლებაზე ფიქრი, ყველა გარბოდა, შორს ვერ მიდიოდნენ, ბუნების სიმკაცრეს, ბუნების ხაფანგს ვერ უსხლტებოდნენ, მაგრამ იმდენად დიდი იყო ცდუნება თავისუფლების მოპოვებისა, წინასწარ ცნობილი, თუნდაც გადაულახავი ბარიერებიც ჩანაფიქრზე ხელს ვერ ალებინებდათ. „კოლიმგრაფი“ საკმაოდ ჩახავედებს ამ გაქცევების სამზარეულოში მკითხველს და კიდევ უფრო დაძაბავს მის ნერვებს... ერთი, პავლე კრივოშევი, მაინც „გასულა გაღმა“ (მოთხრობა „მწვანე პროკურორი“). უნიჭიერესი კაცია ეს თალღითი კრივოშევი, ფანტაზიაც ძლიერი აქვს და მისი გარეაღურებაც რომ შეუძლია, ესეც გასაკვირველია, თუმცა მასში ვაჟკაცობის ელემენტებიცაა, კოლიმასთან შებრძოლება არაა ხელწამოსაკრავი საქმე, არც ის, გამუდმებულ ძებნაში მყოფმა, ცოლის სიყვარული არ დაივიწყოს და სახელმწიფოსთვის სამხილის მიცემის რისკით დაამყაროს მასთან კონტაქტი, თუნდაც ცალმხრივი, ფულით დაეხმარო, გადაარჩინო. ამან დალუპა კრივოშევი. კი იყო ძალიან ფრთხილი, მაგრამ ენკავედეს ბიჭებიც მაგარი მაძებრები იყვნენ და უკვე კარგა ხნით თავისუფალ კოლიმელს მიწვდნენ. ისეც გაუყენეს ძველ გზას, საიდანაც წამოვიდა, ისეც იქ მოაყურეს... „სახელოვან“ კაცად მაინც დარჩა კრივოშევი. არსებითად მან გაიმარჯვა, შეუძლებელი შეძლო, გადალახა კოლიმაცა და მასზე მიჯაჭვული ანდამატური სივრცეც და ალბათ ბარეორს უფრო მოაწყურვილა ახალი ნახაზის შედგენა — ნიჭიერად სასულიყო თავისუფლებისკენ.

კიდევ ერთ „კარგ“ გაქცევაზეა „კოლიმგრაფი“ საუბარი. „მაიორ პუგაჩოვის უკანასკნელი ბრძოლა“ გასხენებული. ამ მოთხრობაზე საინტერესოდ საუბრობს წიგნის ავტორი და მკითხველი ამაში თვითონაც დარწმუნდება, ოღონდ მთავარი არსი ამ თხრობისა არ უნდა გაგვექცეს ხელიდან — „გაქცევა სიკვდილს ნიშნავდა, მაინც გარბოდნენ“. „მაიორ პუგაჩოვის უკანასკნელი ბრძოლა“ ფილმადაცაა გადაღებული. ამბობენ, თითქოს შალამოვისეული ხელწერა ნაკლებად იგრძნობა ამ ფილმში, რაც სამწუხაროა, მაგრამ ვისაც ეს მძაფრსიუჟეტი-



ნი სერია აქვს ნანახი, დამერწმუნება, რომ გულაგის სუსხი მასშიც საკმაოდ იგრძნობა.

ვეთანხმებით ელგუჯა თავბერიძეს, რომ „შალამოვი საბჭოთა კონცლაგერულ უბედურებათა მართალ და მხატვრულად ყველაზე სრულყოფილ აღმწერად შემორჩა კაცობრიობას“. ისიც მართალია — „ვარლამ შალამოვის კოლიმიადა ვრცელია და ამოუწურავი. ათასი თემა და მოტივი ამოტივტივდება მკითხველის თვალწინ, რომელთა დეტალური განსჯა-განჩხრეკა მომავლის საქმეა, ოღონდ საშური საქმე“.

ლევან ბრეგაძე

„პით ნუშის გული...“\*

(პერსიფლაჯიანი ნოველა)

აკაკი ხინთიბიძის მონოგრაფიაში „ი. გრიშაშვილის პოეზია“ ვკითხულობთ: „ბგერითი აგებულების მიხედვით ი. გრიშაშვილი უფრო მეტად ზუსტ რითმებს იყენებს (...). ზუსტი რითმების გვერდით ი. გრიშაშვილი საპატიო ადგილს უთმობს არაზუსტ რითმებსაც“.

ერთსტროფიან ლექსში, რომლის სათაურია „ვუძღვნი ნელის“ იოსებ გრიშაშვილი ამბობს:

განა ეს ლექსი ნაჩქარევ ლექსს ჰგავს?  
მე არ მჩვევია ლექსი უცები.  
ლექსიც შრომაა და მის ნახნავას  
დიდხანს და დიდხანს ვეკეკლუცები!

აქ თითქოს საგანგებოდ არის წარმოდგენილი რითმათა ორივე ეს სახეობა, რითმების ორი თაობა: იდენტური (ზუსტი) რითმა (უცები : ვეკეკლუცები), რომელიც გაბატონებული იყო კლასიკურ პოეზიაში, და თანამედროვე არაიდენტური (არაზუსტი) დისონანსური რითმა (გავს : ნახნავას), სადაც დისონანს არათანაბარმასხვილიანობაც ქმნის და ბგერათა გადაადგილებაც. თანაც აქ ისეთი იდენტური რითმა გვაქვს, რომლის ერთი კომპონენტი მთლიანად, უნაშთოდ, შეიცავს მეორეს. ამ სახის რითმას შეცუულ ანუ შეთავსებულ რითმას უწოდებენ, მაგრამ მას შეიძლება გრიშაშვილურიც ვუნდოდოთ, ისე ხშირად გვხვდება ის მის ლექსებში. მაგალითად, ლექსში „გლარჯის მილი“ გამოყენებული ხუთი სარითმოდ ნევილიდან ოთხი ასეთია – აბოლო : ბოლო; ჩაღვრემილი : მილი; დაყოვნებით : ვნებით; ყიჟინსა : უინსა.

წავიკითხოთ რკალური გარითმვის წესით შესრულებული სტროფი ლექსისა „ერთ გვირგვინოსანს“, რომლის ორივე სარითმოდ ნევილი შეთავსებულია, თანაც ამჯერად ორივე სამმარცვლიანი რითმაა, მაშინ როცა წინა მაგალითში ოთხივე რითმა ორმარცვლიანი იყო:

და თუ სადმე მესმოდა რამ ახალი ამბავი –  
განა თავდაპირველად მე შენ არ გიმჟღავნებდი?  
განა მე არ ვიყავი, შეგხედე და ავნებდი,  
განა შენ არ გაკუთვნე ლექსი დაუსტამბავი?

აი კიდევ სამმარცვლიანი შეთავსებული რითმებით შესრულებული სტრიქონები ლექსიდან „ქორწილი ჩვენს უბანში“:

ანათე ჩქარა შუშხუნები და მაშხალები.  
გაშალეთ სუფრა, გადმოჰფინეთ ბანზე ხალები.  
უთხარით ლოთებს, რომ აკურთხა მღვდელმა ალავი,  
რომ სიძეს მისცეს ფალუსტაკი დაუხალავი.

\* ფრაგმენტი ნაშრომისა „გრიშაშვილის რითმა“.

ეს სიტყვები, ეს წინადადებები წიგნის ავტორის ლოგიკურად ნაფიქრისა და ნაწერის შედეგია. შალამოვის თარგმანა ენობრივი თვალსაზრისითაც ძნელია (მიუხედავად ამისა თამაზ ნატროშვილი ბრწყინვალე მთარგმნელია) და მერე ამ ნათარგმნის „დახურდავებითაც“, გააზრება-გაანალიზებითაც, მწერლის სულში ჩაძრომითაც. მაშინ მივიკარებს ის სული, თუ შენი ფიქრი „მართლად ვალს“. ელგუჯა თავბერიძეს ნამდვილად აქვს ასეთი ფიქრიცა და გულიც, რაც მის არაერთ დანერილსა თუ ბიოგრაფიულ რომანში ადრეც გამჟღავნებულა.

.....  
თუ დღეს არავინ არ გადიქცა ჩემებრ ქორწილად –  
მას აზამბარი მივუსაჯოთ კიდევ ორწილად...

.....  
ღვინო და ზურნა! სხვა დღეს ნეფეს არა უნდა რა!  
ბანზე: ხან თარფი, ხან შაბაში, ხან უზუნდარა,  
ქვეშ კი მწვადისთვის აშიშინდა ცეცხლის მაყალი.  
გათენდა! მისწყდა ჟრიაბული, აყალმაყალი.

ასეთი რითმა „მატრი-  
ოშკას“ გვაგონებს, მით უფრო მაშინ, როცა ორზე მეტი სიტყვა ერთიმეხა ერთმანეთს ამ პრინციპით, რისი ორი ნიმუში მოიპოვება ცნობილ ლექსში „ტრიოლეტები შეითანბარში“ – მეორე სტროფში: ყალამქარი : ამქარი : ქარი, და მესამეში: თეიმურაზი : მურაზი : რაზი.  
რაც შეეხება დისონანსურ რითმას, რომელიც „არაზუსტი რითმის უკიდურესი და ყველაზე უფრო დისჰარმონიული სახეა“ (ა. ხინთიბიძე), იგი მართლაც



იოსებ გრიშაშვილი

ისე ხშირი არ არის გრიშაშვილის შემოქმედებაში, როგორც იდენტური (ზუსტი) რითმა, მაგრამ პოეტი კარგად გრძნობს მის მნიშვნელობას რითმის თანამედროვე ესთეტიკაში. მას აქვს ორი თავიდან ბოლომდე დისონანსურ რითმებზე აგებული ლექსი, მაგრამ ისინი ექსპერიმენტული ხასიათისაა. ერთი მათგანის სათაურია „ძველი ბალადა“ (1926 წ.), სათაურის ქვეშ არის მინანური „დისონანსები“. გავიხსენოთ რამდენიმე რითმა იქიდან: გამოვართვით: ორთავენი; ნიამორებს : ნამეორები; მივაგენ : ბაგენი; ნულარ : ანადულარი; სპილენძი : მასპინძლებს.

იოსებ გრიშაშვილის მრავალ ლექსში შეიძლება შეგვხვდეს დასამახსოვრებელი დისონანსური რითმა (კოტე მაყაშვილის მოსაგონარ ლექსში, მაგალითად: ნალკოტი : კოტე; სხვა ლექსებიდან: ამხანად : ამხანავად; დავრჩი სახტად : ანჩისხატთან; იუკადრისე : ადრესი; სალომე : ძალუმი; ბარათაშვილი : პანაშვიდი; ვანქთან : გირვანქა.

(სხვათა შორის, დისონანსური რითმა უფრო დახვეწილ პოეტურ სმენას მოითხოვს, ვიდრე იდენტური, რის გამოც დისონანსათა შორის უფრო მეტია „საავტორო“ რითმა, ვიდრე იდენტურ რითმათა შორის. გავიხსენოთ საუკუნის რითმად აღიარებული: სილაში ვარდი : სილაჟვარდელ გალაკტიონისა).

აკაკი ხინთიბიძე იგონებს: „იოსებ გრიშაშვილთან ერთ-ერთი კერძო საუბრის დროს, როცა პოეტი თავის ახალგამოსულ ერთტომეულს ფურცლავდა, მან ყურადღება შეაჩერა ლექსზე „მეისტორიევე, წიგნი დახურე“ და საგანგებოდ გამოჰყო რითმა: ეხლა – სახელი. მე, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული დავრჩი. უნდა გამოვტყდე, რომ ამ ლექსის ჰარმონიულ რითმათა მწყობრში ბგერათა ასეთი მიახლოებითი თანხმობა რითმად არ მქონ-

და გააზრებული და ლექსის ეს ადგილი გაურითმავად დატოვებული მეგონა. ვიგრძენი, რომ „გენაცვალეს“ ავტორს გაცნობიერებული ჰქონდა პოეტური ხელოვნების რთული სამყარო.

იდენტური (ზუსტი) და დისონანსური (არაზუსტი, არაიდენტური) რითმის არსებობა, ერთი მხრივ, და მოსაზღვრე (ანუ პარალელური) და ჯვარედინი გართიმვის შესაძლებლობა, მეორე მხრივ, ერთი მხრივ ვერსიფიკაციული ტრიუქის ჩატარების საშუალებას იძლევა. 1920 წელს დაწერილ ლექსში, რომელსაც სათაურად „1914 წელი“ უზის, იოსებ გრიშაშვილი ნაღვლიანად ჰყვება ყოფილ სატროფოსთან წარსული ჰარმონიული და იმჟამინდელი დისჰარმონიული ურთიერთობის შესახებ. სულთა ადრინდელი თანხმობა უკეთურთა ძალისხმევით უთანხმოებაში გადაზრდილა: „მაგრამ გაგვითმა ხმამ ერისამ... თვალი მდევარი არ შორდებოდა ჩვენს სიყვარულს, ჩემს ამტან ვნებას. დამშორდი! და ეს დაშორება შეუჩვევარი მსურს დავაბრალო ჩვენს სულელურ ამპარტავნებას!...“

და აი ამ ლექსში ვკითხულობთ:

**როს მჟავე წყალთან მკვდარი შაშვი ვნახეთ ეულად...  
როს მზის ხორბლებით სავსე იყო ტყე მწვანეული...**

წავიკითხავთ ან მოვისმენთ ამ ორ სტრიქონს და... რას ვიფიქრებთ? ბუნებრივია, ვიფიქრებთ, რომ საქმე გვაქვს მოსაზღვრე ანუ პარალელური გართიმვის წესით შესრულებულ და მხედველობით დისონანსური რითმით (ეულად : მწვანეული) შეკავშირებულ ორსტრიქონედთან, იმის მსგავსთან, როგორც გვაქვს ზემოთ ნახსენებ ლექსში „ძველი ზღადა“:

**„წამორები? ოხ, ნულარ, ნულარ...“ –  
და მოგწყდა ცრემლი აუდულარი.**

განვავგრძობთ კითხვა:

**ორნი ვიყავით! მაგრამ ისე ერთსახეულად,  
ვით ნუშის გული ერთ ნაჭუჭში გამომწყვდეული.**

მესამე და მეოთხე სტრიქონებიც ზუსტად იმავე წესით არის შეკავშირებული, როგორც წინა ორი – აქაც მოსაზღვრე გართიმვა და დისონანსური რითმა გვაქვს (ერთსახეულად : გამომწყვდეული), მაგრამ სტროფის მთლიანად ნაკითხვის შემდეგ აღმოჩნდება, რომ მოსაზღვრე დისონანსური რითმების გარდა ამ სტროფის სტრიქონები უზუსტესი ჯვარედინი დაქტილური რითმებითაც უკავშირდებიან ერთმანეთს, რომელთაგან ერთი სართიმო წყვილი შეთავსებულიც არის, „მატრიოშკა“ (ეულად : ერთსახეულად). ანუ სტრიქონები ორ-ორჯერ არის გართიმული: ჯერ მოსაზღვრედ და დისონანსური რითმით, შემდეგ ჯვარედინად და იდენტური რითმით (ამიტომ ამ მოვლენას შეიძლება ორჯერადი გართიმვის ხერხი ეწოდოს), რაც არაჩვეულებრივ მუსიკალურ ეფექტს ქმნის:

**როს მჟავე წყალთან მკვდარი შაშვი ვნახეთ ეულად...  
როს მზის ხორბლებით სავსე იყო ტყე მწვანეული...  
ორნი ვიყავით! მაგრამ ისე ერთსახეულად,  
ვით ნუშის გული ერთ ნაჭუჭში გამომწყვდეული.**

ამ სტროფს ვერც მოდური დისონანსური რითმის მოყვარული დასდებს წუნს და ვერც ტრადიციული იდენტური რითმის დამფასებელი – ორივე მათგანის გემოვნება გათვალისწინებულია!

რაც მთავარია, იდენტურ და დისონანსურ რითმათა ეს უჩვეულო სიმბოზი ჩინებულად ეკორესპონდირება ქალ-ვაჟს შორის ადრინდელ ჰარმონიულ და იმჟამინდელ დისჰარმონიულ ურთიერთობას, უფრო ზუსტად – ადრინდელი ჰარმონიული და იმჟამინდელი დისჰარმონიული ურთიერთობების ერთობლივ განცდას – ტკბილ-მწარე განცდას.

როსტომ ჩხეიძე

# ისევ ოთხვახათობით

თავი VI

## შხვედრათა მისტერია

ოთარ ჩხეიძის სემინარების პირველი დღე ქეთევან შენგელიას ქარიანი ამინდით დაამახსოვრებოდა და ყოველთვის, როდესაც შემოდგომის ქარი ამოქროლდებოდა და ფოთლებსაც აიყოლიებდა კვალდაკვალ, თვალწინ ამოვსახებოდა მწერლის ფიქრიანი გარეგნობაც და წყნარი საუბარიც.

მიჰქრიან ფოთლები?

ფოთლებიც მიჰქრიან და მიჰქრის წუთისოფელიც.

და მწერლის სიტყვებისა არ იყოს:

— ამათაც ეჩქარებათ. ვინ ვის გაუსწრებს: წუთისოფელიც კაცთა თუ კაცნი — წუთისოფელსა: ვინ ვისა, ვინ ვისა!

და თვალწინ რომ ცოცხლდებოდა მისი „სამწერლო ეპოქის“ ორომტრიალიც, მოვლენებიან-პერსონაჟებიანად, ისე დახატულს, რომ არც აღარასოდეს წაიშლებოდა და არც აღარასოდეს გახუნდებოდა, მკითხველი იგრძნობდა, იგრძნობდა კი არა, დაბეჯითებით ეცოდინებოდა, რომ მათაც ეჩქარებოდათ, პერსონაჟებსაც და პროტოტიპებსაც.

და ქარსაყოლილ ფიქრში გაივლებოდა ის აღიარებული მოსაზრებაც, რომ: ნამდვილი მწერლობა ყველაზე დიდი ისტორიაა, — ოღონდ ეს შეხედულება ამჯერად ქეთევან შენგელიას პირად გამოცდილებადაც ქცეულიყო, რაკილა ასერიგად შეეცნო და განეცადა ოთარ ჩხეიძის მხატვრული სამყარო — კიდევ ერთი დადასტურება ნამდვილი მწერლის ხელოვნებისა, და ისტორიის ჭეშმარიტი საზრისის შემომნახველიც.

ქარი მიაქროლდება ფოთლებს.

სამაგიეროდ, მოგონებებს მოაქროლდება.

და ქეთევან შენგელია ახალა დაფიქრებულყოფილ, თუ რამდენი საქმე ჰქონია, რამდენი ტკივილი და საზრუნავი მათ დიდ მასწავლებელს, მაგრამ ისე ექცეოდათ, თითქოს მათ გარდა სხვა არც არაფერი იყო მნიშვნელოვანი.

— ამხელა მწერალი 20 წლის გოგო-ბიჭების ნაწერებს ისე ყურადღებით ისმენდა, თითქოს ის დღე ყველაზე მთავარი იყო ჩვენსა და მის ცხოვრებაში; ამით მიგვანიშნებდა, მწერლობა სერიოზული და დიადი საქმე რომ იყო, დასაფიქრებელი, სააზროვნო და საშრომი.

აგერ ერთ-ერთ სემინარზე ჟანა ოთხვანმა საკუთარი ლექსები უნდა წაიკითხოს და ლექტორი ქეთევანსა და წინო ჩხიკვიშვილს მიმართავდა: აბა, ახლა ყურადღებით მოვისმინოთ და მერე თქვენი აზრი მაინტერესებს, რას იტყვით. ის კი არ მაინტერესებს, რა მოგონთ და რა არ მოგონთ; უნდა ამიხსნათ, რატომ მოგონთ ან რატომ არ მოგონთო.

უეცრად კარი უნდა შემოღებულყოფილ და უცნობი ქალი დაუკითხავად შემოჭრილიყო სემინარზე, წინ და უკან ეარა უთავბოლოდ და რალაც ეძებნა. ოთარ ჩხეიძე ყურადღებას არ მიაქცევდა და ლექსების კითხვას მოუსმენდა. სტუდენტებიც იძულებულნი იქნებოდნენ, რომ ყურადღება არ მოედუნებინათ. ქალი გავიდოდა, მაგრამ ცოტა ხანში ისე მობრუნდებოდა და, ცხადია, მოუბოდიშებლად.

სტუდენტი განავგრძობდა კითხვას.

ლექტორი — ყურადღებით მოსმენას.

ქალი ახლა ოთარ ჩხეიძეს მიმართავდა: აქ ქალბატონ ვიოლეტას საქალაღე უნდა დაეტოვებინა და ხომ არ გინახავთ?

\* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ № 9, 10, 11

ის უარს მიუცხადებდა.

ქალი ახლა მაგიდის უჯრაში დაინყებდა ფოთიას, ისე, რომ ლექტორი იძულებული გახდებოდა წამომდგარიყო და განზე გამდგარიყო.

როდის-როდის დაეხსნებოდათ უკმაყოფილო ბურტყუნ-ბურტყუნით, თითქოს ამათი ბრალი ყოფილიყო რაიმე.

მაშინდელი საუნივერსიტეტო ცხოვრებისათვის ნიშანდობლივი სურათი.

ოთარ ჩხეიძე მოერიდებოდა ქალს და მხოლოდ ამას იტყოდა შუბლშეჭმუნხილი და გუნებაწამხდარი:

— შეიძლება ლექსების კითხვა ასე შეაწყვეტინო ადამიანს?

და ქეთევან შენგელია დასძენს: ჯერ უმნიშვარი ავტორების ნაწერსაც საოცარი გულისყურით რომ ეკიდებოდა, ამიტომაც გაიოცა ასე შეწყვეტილი მეცადინეობა და მიგვახვედრა, რომ აუცილებელი იყო გვცოდნოდა ამ საქმის ღირებულება.

და მოგვიანებით იმასაც უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ ამით მწერალი თავისი სამშობლოს მომავალს ეფერებოდა და ესათუთებოდა, ყველა სტუდენტს საკუთარ შვილად მიიჩნევდა, რადგანაც ისინი, ყველანი საქართველოს შვილები იყვნენ.

— მას მარტო მწერლური კი არა, ადამიანური ღვანღიც აქვს განეული ქვეყნის წინაშე და ისე, რომ არაფერი არ ეზედმეტებოდა, არ ეზარებოდა.

წამოშლილი მოგონებანი ამოუჩნდა ნოდარ წულეისკირის სახესაც, კიდევ ერთი მწერლისა, ამ სემინარებიდან რომ მოაგონდებოდა, როგორც კიდევ ერთი სინათლე, ხანგრძლივად რომ გამოჰყვებოდა მის გზასავალს და ფარული შუქით გაუნათებდა.

ცოტა იყო ორი პიროვნების მიერ საგზაოდ გამოტანებული სინათლე?

ბევრს ერთიც არა ღირსებოდა, ისე გამოიხურავდნენ უმაღლესი სასწავლებლის კარს.

ოთარ ჩხეიძის სიტყვებიდან კი, ბევრი რამ რომ ამოეტიფრა გულზე, ამჯერად იმ ფრაზას გაახსენებდა მკითხველს, როგორც შეგონებას:

— მწერალი მხატვარია პირველყოფილსა, ოღონდ მემატინეცაა ეპოქისა იმავე დროსა...

ქარი მიაქროლებდა ფოთლებს. სამაგიეროდ აკი მოგონებებს მოაქროლებდა.

მონატრებაც მოჰქონდა ქარს, და სევდაც უდარდელი სტუდენტობის წლებზე...

და როდის-როდის ჩადგებოდა ქარიც.

და თუ წამოშლილი სურათებიც მიმოიფანტებოდა და მიბურუსდებოდა, კვლავ ხომ დადგებოდა შემოდგომის ქარიანი ამინდი, რათა კვლავ დაეტრიალებინა მონატრებისა და მოგონებათა მძაფრი შეგრძნება ოთარ ჩხეიძის ნასტუდენტარის სულში.

დატრიალდებოდა ის, რასაც მაია ჯალიაშვილი შეხვედრის თავბრუდამხვევ მისტერიად მოიხსენიებდა.

ნელ-ნელა რომ მიემატებოდა ფურცლები მისი ცხოვრების წიგნს, ერთდროულად მძიმესაც და მსუბუქსაც, და ათასგვარი ბილიკითაც დაქსელილს, იქ ერთ ბილიკზე ოთარ ჩხეიძესაც უნდა გადაწყვიტოდა. საღამო იქნებოდა მთვარიანი, მისი სხივებიც ბილიკებად გაიშლებოდა და მისთვის ასერიგად ძვირფასი მწერალი და მოძღვარი ერთ ბილიკს გაუყვებოდა და ღრუბლებში გაუჩინარდებოდა, ეს კი, სინანულმოორული, დაინახავდა, თუ როგორ შეიცვლიდა ღრუბელი ფორმას და... წიგნად გადაიქცეოდა.

კიდევ კარგი, მესხიერების დაბურულ ტყეში მიმოფანტული ბილიკები ჯადოსნური აფეთქებებით რომ განათდება ხოლმე, აფეთქებებით, რომელთაც ყველა ადამიანს მოუ-

ლენს დროდადრო უფალი, განსაკუთრებით კი მათ, ვინც სულიერი გზებით მიუყვება წუთისოფლის გზაშარას და ინარჩუნებს ძაფებს ლანდებადქცეულ პიროვნებებთანაც.

ასე დასახლებულიყო ლანდებით ოთარ ჩხეიძის ფიქრიც და მხატვრული წარმოსახვაც.

ახლა თვითონაც შერეოდა ლანდებს და იქიდან დაედასტურებინა კიდევ ერთხელ ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანი ხშირად სრულიად ვერ ამჩნევს ცხვირწინ არსებულ საუნჯეს და მანცდამანც ცხრა მთის გადაღმა ეგულება საუკეთესოც და ღირებულიც.

და მაია ჯალიაშვილი, მესხიერების ბილიკებს თვალმინდევნებული, გონების მზერით აღიდგენდა, თუ როგორ შემოსულიყო მათ სტუდენტურ სამყაროში გამოჩენილი მწერალი, როგორც შორეული ახლობელი, და სხვანაირად დაენახებინა ყმანვილებისათვის საკუთარი პიროვნებანიც, მშობლიური ენაც და სამშობლოც.

— შემოდგომას ჰგავდა, რომელსაც თვლებში მოუჩანდა ანცი გაზაფხულისა თუ მცხუნვარე ზაფხულის ხსოვნა. მის მზერაში მომავალ ზამთარსაც შეიგრძნობდით, დათოვლილი მწვერვალების მოელვარე სითეთრეს.

ხორცშესხმულ თავმდაბლობას გაუიგივებდა საუნივერსიტეტო ყოფიდან სრულიად ამოვარდნილ ამ მწერალსა და ლექტორს სტუდენტი.

დიდი ადამიანისათვის ნიშანდობლივი მისი ბავშვური მოკრძალებაც არ გამოეპარებოდა.

მისი სტილური მანერა კი თან ეუცხოებოდა და თან იზიდავდა.

— მისი თხრობის საოცარი რიტმი მაჯადობდა, ეს სულ განსხვავდებოდა იმისგან, რასაც იმხანად ვკითხულობდი, ვკითხულობდი კი არა, ვნთქავდი ქართულსა თუ უცხოურ ლიტერატურას. წიგნებიდან უთვალავ მდინარედ ჩადინებოდა ჩემს გონებაში ათასნაირი ნაკადი თხრობისა, ერთმანეთს ერეოდა. ოთარ ჩხეიძე არავის ერეოდა, რაღაც განცალკევებულად მიედინებოდა, ცოცხლად და წყნარად, ჩახჩახა ფერებითა და ჩუმი, გრილი სურნელებით.

ჩახჩახა ფერები, ჩუმი, გრილი სურნელებაო...

ოთარ ჩხეიძე სწორედ ამას ესწრაფოდა თავისი სტილური მანერით — განეცდევინებინა მკითხველისათვის აბიზინებულ, აყვავებულ ველ-მინდორთა სიხასხასე და სურნელება, მისი ათასფერადოვნება, და მაია ჯალიაშვილი ჯერ ინტელიციურად უფრო წვდებოდა ამ მანერისაგან მოგვილ უჩვეულ შეგრძნებებს, ვიდრე თანდათან ბოლომდე შეიცნობდა ამ სტილის ბუნებასაც და ნიუანსობრივ თავისებურებებსაც და ანალიტიკურადაც გაიაზრებდა მის მხატვრულ დანიშნულებას.

და ამ სტილურ მანერაში განივთებულ ველ-მინდორთა სურნელებასაც კიდევ უფრო მძაფრად შეიგრძნობდა და ყვავილთა თავზე მოტრიალვ ფუტკართა ბზუილის ფარული მელოდიკაც უფრო საცნაური შეიქნებოდა მისთვის.

თუ თქმა იყო, ისევ მეტაფორულად ერჩივნა საკუთარ სტილზე ორიოდ სიტყვის თქმა მწერალს.

და პოეტსა და ლიტერატურის მკვლევარსაც მეტაფორების მოშველიება ემჯობინებინა ამ სტილის უმთავრეს თავისებურებათა აღნიშვნისას.

ოთარ ჩხეიძის გარეგნობა როგორი მოეჩვენებოდა იმ პირველი შეხედვით?

რაღაც ასკეტური. თუმც არ გამორჩებოდა მის თვალეში გამომკრთალი ნაპერწკლებიც, უცხოობას რომ არღვევდა და ახალგაზრდებსაც სითამამეს სძენდა მასთან ურთიერთობისას.



ქეთევან შენგელია

პირველ შეხვედრაზევე დაავალბდათ, ჩანახატი დაენერათ... დაფის შესახებ.

ამათ ამგვარი დავალება ძალიან ემარტივებოდათ და აიმიზებოდნენ, ეს უბადრუკი საგანი, ზედ ოკრობოკროდ ნანერი გაცვეთილი სიტყვებით, რა საფიქრალ-წარმოსადგენია, ვითომ რა რელიგიურ-ფილოსოფიური კონტექსტი შეიძლება მივუსადაგოთ, ისე კი რაიმეს დაწერას რა აზრი აქვსო!..

მაგრამ მომდევნო ოთხშაბათს ყველა თავთავის ნაწერს რომ მიიტანდა სემინარზე, ის ვითომდა უბადრუკი დაფა... უეცრად ენას ამოიდგამდა და თვალდათვალ გაცოცხლებოდა, რადგანაც თვითუფს განსხვავებული და უჩვეულო ამბავი შეეთხზა და ყველასთან იგრძნობოდა წარმოსახვის სილაღეც და უკიდვანობაც.

ოთარ ჩხეიძეს ასე მიენიშნებინა მათთვის, რომ ზღაპრული, მაგიური, მშვენიერი... აქვე იყო, ჩვეულებრივ საგნებში შეყუყუული, გნებავთ დატყვევებულიც, და ადამიანთა მზერას, ფიქრს ელოდა, რათა ჩამოეხსნა ყოფითობის საბურველი და სხვა სიცოცხლე შეეძინა.

— ჩვენ ვიგრძენით, რომ ღირებულნი ვავხდით, ჩვენი ნაწერები ადამიანებსა და უსულს სამყაროს შორის უფრო ცოცხალ შუამავლად უნდა ქცეულიყვნენ, ჩვენ უნდა გავგეთავისუფლებინა საგნები იმ ჯადოსაგან, რომელსაც ხილული სამყარო ახვევდათ.

თვითონ ეს ჩვეულებრივი სემინარებიც თანდათან ჯადოსნური სულით განიმსჭვალებოდა სტუდენტების თვალში და... რიტუალის დანიშნულებასაც შეითავსებდა.

სანიმუშოდ მაინც რას დაუსახავდათ? აგერ თუნდაც გიდე მოპასანის მოთხრობას „ფუნთუშა“ — სანიმუშოს ხასიათის ხატვითაც და თხრობის სტილითაც. ჯერ ამბავს მოუყვებოდათ და ეტყობოდა: აბა, თქვენ როგორ დაასრულებთ.

— ასე გვმუხტავდა შემოქმედებითი ენერგიით, ასე გვასწავლიდა და გვწვრთნიდა.

მეგობრებთან ერთად მასთან შინ სტუმრობაც ხშირად წამოჰგონებია და ის ძვირფასი სახსოვარიც — ახალგამოცემული რომანი „მთაგრეხილი“ მწერლის ავტოგრაფით.

ამასობაში კი მათი მცირე ჯგუფი ზღაპრული სისწრაფით უნდა გაზრდილიყო — ნელ-ნელა შემომატებოდნენ სხვა კურსელებიც და სხვა ინსტიტუტელებიც და ოთარ ჩხეიძის სემინარები ახალგაზრდა შემოქმედთა საყვარელ საღამოებად გადაქცეულიყო.

ყოველთვის ასე ხდება, როდესაც ადამიანს შესწევს უნარი, უშურველად გასცეს სიტობო, სიყვარული და ყურადღება. და მაია ჯალიაშვილი ამ გარემოებას რომ ჩაუკვირდებოდა, გონების თვალთ დანახავდა თავისებურად სიმბოლურ ხატს, თუ როგორ ადიოდა ოთარ ჩხეიძე უნივერსიტეტის აღმართზე.

— ასე ტაძარში მიდის ადამიანი.

...რა უცნაურად გადანათდება და ბილიკებითაც დაიქსელებს ხოლმე მესხიერების დაბურული ტევრი.

და კარუსელივით დატრიალდება შეხვედრათა თავბრუსდამხვევი მისტერია.

\* \* \*

მაია ჯალიაშვილის ჩანახატში ისიცაა გახსენებული, თუ როგორ სთხოვდნენ მწერალს დახმარებას — რა დაენერათ საკურსო თემად. ნუხდნენ სტუდენტები: თემები აღარ არის, ყველაფერი დაწერილიაო. თვითონ მაიას ფროიდი აინტერესებდა, მიხეილ ჯავახიშვილი და ზიგმუნდ ფროიდი — ნეტა წერდა ჯავახიშვილი ფროიდის გავლენით?.. ოთარ ჩხეიძე აუხსნიდათ: შეიძლება მწერალს გავონილიც არა ჰქონდეს ფროიდის გვარი, მაგრამ მის ნაწერებში დანახონ იმისი კვალიო.

რა თემა ავირჩიოთ? — არ მოეშვებოდა ერთი სტუდენტთაგანი და თვითონვე დასძენდა ნუხილით, — სადღაა თემები.

ლექტორი გაიღიმებდა და ერთი პროფესორის ნათქვამს გაიხსენებდა, ასტრონომიით დაინტერესებულ ახალგაზრდებს რომ ურჩევდა: აიხედეთ ზეცაში, ხომ ხედავთ ვარსკვლავებს, თემებიც იქაა, უამრავი და დაუთვლელი, მთავარია დანახვა შეგეძლოთო.

ის, რაც ჩანახატში ორიოდ სტრიქონად ჩაიწერებოდა, ოთარ ჩხეიძისათვის ნოველის სიუჟეტური ქარგა აღმოჩნდებოდა და კიდევ შეიქმნებოდა ამ ქარგაზე ერთ-ერთი ნიმუში „ჩემი სოფლის ეტიუდებისა“: „პროზის სემინარი“.

მანამდე შინ არაერთხელ მოუყოლია ეს ამბავი, მაგრამ სწორედ ამ სემინარისას ნაამბობი უბიძგებდა სიუჟეტური მარცვლი საგულისხმო თხრობად გაეშალა — ყოფით რეალისტურ სურათებს წარმოსახვაც მიემატებოდა და თავისებურ სამოდერნო ნოველადაც კი გარდაისახებოდა.

თხრობა იმით იწყება, რომ ლექტორი ზარის დარეკვამდე შედის აუდიტორიაში. არც სტუდენტები იგვიანებენ. ზარის შემდეგ შემოლაგდებიან და ლექტორი მაშინვე შეატყობთ ხოლმე, ახალი ნაწარმოები მოუტანიათ თუ არა. თუ მოუტანიათ, თამამად არიან, თუ არადა, მორცხვად იღიმებიან ან თვალს არიდებენ. ახლაც ასეა, იმ ორ ყმანვილს არ მოუტანია ახალი თხზულება, თუმცა დამორცხვებისა არაფერი ეტყობათ და სახე უფრო ცივად აღენიათ. ლექტორი ფსიქოლოგის მზერით მიხვდება, რომ დავალებას გულმარხინად კი არ მოკიდებინა, არამედ უწერიათ, უწერიათ, უწერიათ რაც შეეძლოთ და... გამოლევიათ სანერი. ერთბაშად ამოწურულან.

ლექტორი არაფერს ეტყვით და თვითონ იწყებს საუბარს თემაზე: „შემოქმედი და შემოქმედებითი განწყობა“. ამასობაში წამოდგება იმ ორი ყმანვილიდან ერთი და ბოდის მოხდით განუცხადებს: თუ როგორ უნდა ვწეროთ, უკვე ვისწავლეთ. ვიცით, როგორ დავიწყეთ, როგორ მოვყვეთ, როგორ დავამთავროთ. მაგრამ რა დავიწყეთ, რა მოვყვეთ, რა დავამთავროთ?.. რა დავწეროთ, ეს არ ვიცითო.

ცხოვრებაო, — შეახსენებდათ ერთ-ერთი ქალიშვილი, ლექტორს გამოესარჩლებოდა, რადგანაც მიხვდებოდა, შეფარული საყვადური რომ გაისმოდა ვაჟის ნათქვამში.

ცხოვრება ვრცელია, უსაზღვროა. ყველა ყველაფერს ვერ განვდება, ვერც ვერავინ განვდება ყველაფერსა. მითუმეტეს ჩვენა. ჩვენ უნდა მიგვითითონ, მიგვასწავლონ, ესეც უნდა მიგვასწავლონ, უნდა გვასწავლონ, როგორც წერის ხელოვნებას გვასწავლიანო, — არ დათმობდა ვაჟი.

ეს როგორ? — იკითხავდა ლექტორი, — თემები უნდა დავირიგოთ?

დიახ, — მყისვე მიადევნებდა ვაჟი.

და ლექტორი რომ დაიწყებდა: ჩვენ მაშინ ზღვისპირას ვისხედითო, — გაიკვირებდნენ, ეს სადაური რა პასუხიაო.

მაგრამ ლექტორი თავისას გააგრძელებდა, რომ ზეცა გაჭექილიყო ვარსკვლავებით, თითქოს ზღვაშიც რომ ვარსკვლავები ეყარა.

თანამეინახე ზეცას ასცქეროდა — ასტრონომი გახლდათ და ამ კურსს კითხულობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო მთხრობელი — ახალგაზრდა და მეტად პერსპექტიული მწერლად შერაცხილი ოთარ ჩხეიძე, ამავე ინსტიტუტში დასავლური ლიტერატურის კურსს რომ უძღვებოდა — ზეცასაც ასცქეროდა, ზღვასაც გასცქეროდა, მინასაც და ხალხსაც, რისი დანახვაც კი შეიძლებოდა ლამპიონების ქვეშ.

და თანამეინახე უამბობდა, რომ ასპირანტურაში აქ ჩაება-რებინა, მერე კი პულკოვოში გაემწესებინათ რამდენიმე ხნით, ერთი ძველი პროფესორისათვის მიებარებინათ. მაშინ ხომ ასე უნოდებდნენ, უცხოეთში ვინც განსწავლულიყო და ერთხანს არც ენდობდნენ. ისინიც არავის ენდობოდნენ გარშემო და ეს პროფესორიც ამ ქართველ ასპირანტს არ უყურებდა მაინცდამაინც კეთილი თვალთ. არც არაფერს ეკითხებოდა, არც არაფერს ავალბებდა, ეს თავისით მიიკვლევდა გზას და რასაც ყურს მოკრავდა, ხან ამას აპყვებოდა და ხან იმას, ერთი სიტყვით, ედებოდა ლობე-ყორეს.

ერთხელაც შებედავდა პროფესორს, ეგება თემა დამისახოთო. ეუბნებოდნენ: თავი აურაცხელი პრობლემებით აქვს გამოტენილიო, თემები, საკითხები არაფერია მაგისთვის, შეუძლია, რომ ისე დაფანტოს, აღარც ახსოვდესო.

რაო, თემა? — ის ჩაიცინებდა, მერე ხელს ჩაავლებდა, აივანზე გაიტაცებდა და ორივე ხელს გაშლიდა:

— აი, თემა!..

და აუხსნიდა: ამას უყურე, მე ნუკი შემომცქერით, მე რომ თემა მქონდეს, მევე ვერ მოვუვლი?!. შენზე უკეთესად ვერ დავეწერ?!. შენზე მეტ მომხრეს ვერ ვიშოვნი?!. შენზე უფრო მეტად ვერ გავახმაურებ?!. რატომ გავიმეტებ შენთვისა?!. რატომ?!. რატომ?!. არ გიფიქრია?!. თუ არ გიფიქრია და ნურც იფიქრებ, ნურც მომციებისხარ, ცას მიაცივდი, ზეცას მიაცივდი, თემები იქაა, ყრია, ყრია, თვალი მიაყოლე და ჭკუ-აც მიაყოლე, არ მოაშორო, სული ამოირთვი და ეგებ მალევე გამონათოს შენმა ვარსკვლავმა! ეგებ არც არასოდეს!.. მაინც იქ დასახლდი, იქ ამოირთვი სული. მე უკვე ამოვირთვი სული, ჩემგან აღარაფერი აღარ გამოდნება, ტყუილად შემომცქერი. მიაცივდი და ეგებ რაიმე მახარობდეს!..

ესეც მიაცივდებოდა ზეცას.

იქ დასახლდებოდა და ეგაა.

და მართლაც ახარებდა.

ბედი გაუღიმებდა ამდენი ჭაპანწყვეტის შემდგომ და ნაანყდებოდა უცნობ ვარსკვლავს.

ახალ-ახალი ვარსკვლავების აღმოჩენაც ენება.

და ახლა შესჩიოდა მთხრობელს: ლექციების კითხვით ქანცი მაქვს მიწყვეტილი, და ასეთი ღამეები დნება, ბედი მე დამეძებს და მე ვემალეები, რა ღამეებია!.. რა დროს ლექციებია, რა დროს წიგნებიაო...

შენი საქმე მაინც სხვა არისო, — დასძენდა, — ჩემი სხვა არის, შენ ასეთი ღამე ვერც შეგძრავს ჩემსავით, მე არ შემიძლია, რომ მშვიდად ვუცქირო, წერტილი არ არის, რომ არა ციმციმებდეს, წერტილი არ არისო.

ასევეა ზეცაცა პოეზიისაო, — ეს მიუგებდა, — ჩახედე აბა რუსთველის ვარსკვლავებსაც, ეგებ ბედმა იქაც გაგიღიმოს, რახან გწყალობს, არც მიგატოვებსო.

ის მართლაც ჩახედავდა „ვეფხისტყაოსანს“ ასტრონომის თვალთ და...

მაგრამ ეს უკვე სხვა ამბავი გახლდათ, ეს სიუჟეტი კი აქ მთავრდებოდა, ოთარ ჩხეიძე რომ შეაგონებდა ყმანვილებს:

— თემები ჯიბეში არავის არ უწყვია, არც პორტფელში არავის არ უწყვია თემები. თემები იქაა, სიუჟეტები იქაა, სახეები იქაა, იქა, ცხოვრებაშია, იქაა, იქაა, იქაა ჰყრია, აგროვია, ახროვია, ქვას რო ფეხი ნაჰკრათ, ნოველაა, ნოველა ნამოხტება, მოთხრობა ნამოხტება, რომანი ნამოხტება; ყოველი ადამიანი მოთხრობაა, ყოველი, თითოეული, განსაკუთრებული და თავისებური მოთხრობაა, თქვენ ოღონდ კარგად მომართეთ ტელესკოპები თქვენი გონებისა, ოღონდ მომართეთ და კარგად მომართეთ, მეტი არაფერი გინდათ. მეტი არაფერი. არცთუ შორეული დაკვირვებანი გჭირდებათ, — არა, არა!.. აი თუნდა აჰა, — თვითეული თქვენგანი ნოველაა, ერთად რომ შეიძლება რომანიც გამოვიდეს.

— რომანი მაინც არა!.. — ამას წინა მერხის განაპირას მჯდარი გოგონა იტყოდა, მობურული თუ სევდიანი თვალით რომ მიაჩერდებოდა ლექტორს.

— რატომ? — ჩაეკითხებოდა ოთარ ჩხეიძე.

— აქ ჰო არავის არავინ არ უყვარს?!.

და გაიცინებდა ოთარ ჩხეიძე:

— და რომანიც ჰო სწორედ იქ არის, სადაც არავის არავინ არ უყვარს.

— პარადოქსია!.. — ამოიძახებდა ორივე ვაჟი ერთდროულად. მაგრამ ოთარ ჩხეიძე:

— აქსიომა გახლავთ, თუ არ განვაცხადებ, რო ჭეშმარიტებაა: ჯაჭვივით ასხმულა სიძულვილი, ბოლოებიც შეხლართულა სიძულვილითა. ასეა და ნურც დამიჯერებთ ასე სახელდახელოდა, ნურც მე დამიჯერებთ, ნურც ნურავის ნუ დაუჯერებთ: თქვენვე დაფიქრდით, თქვენვე დააკვირდით... ასხმულა, ასხმულა ჯაჭვივითა, ყველას ყველა... გავიმეორო?.. რა საჭიროა!.. თუმცა რაო, გავიმეორებ: ასხმულა სიძულვილი, სიძულვილზე ასხმულა... გა-



ლია რუსიაშვილი და მაია ჯალიაშვილი

მოერევა ორი უცნაური, ამას დაუკვირდით, გამოერევა ორი უცნაური და აირევა ყველაფერი და რომანიც ეს გახლავთ. აბა დამისახელეთ სხვაგვარი რომანი, დამისახელეთ.

ერთმანეთს შეაჩერდებოდნენ გოგო-ბიჭები, მერე ყველა ლექტორს მიაჩერდებოდა, მერე ჭერსა. დალაქავებულებო, აჭიჭყნილებო ჭერი, მაგრამ წარმოსახვა თუ ეყოფოდით, შესაძლოა, რომ ვარსკვლავთა გუნდებიც წარმოედგინათ... ოღონდ თუ ეყოფოდით.

ისინი ჭერს მისჩერებოდნენ.

ლექტორი... ელოდებოდათ.

...და იტრიალებდა, კარუსელივით იტრიალებდა შეხვედრათა თავბრუდამხვევი მისტერია.

\*\*\*

წინო ჩხიკვიშვილის სტატიებში კი იმ დღეების სსოვნას ერთხელ აქამდეც გაველვა, ეს მაშინ, როდესაც ჟურნალ „კლდეკარის“ უკანასკნელი ნომრისათვის (ის აღმორჩნდებოდა 2000 წელს გამოცემული მე-19 ნიგნი) გამოსათხოვარ წერილს შეადგენდა და გორის ამ სალიტერატურო გამოცემას ისეთი გულისტკივილით გამოემშვი-

დობებოდა, როგორც ახლობელ მეგობარს. ის მაღლი დღესაც მაძლიერებსო, — ამ შეგრძნებას სულაც სათაურად გაიტანდა და... ახლა კი ნამდვილად დაემშვიდობებოდა ახალგაზრდობას.

„კლდეკარი“ ხომ „ლიახვის“ მექვიდრე გახლდათ — მისი დანყებული საქმის გამგრძელებელი, აღმანახისა, რომელიც დიდი ჭაპანწყვეტით, ოთარ ჩხეიძის ნებისყოფის ხარჯზე გამოიცემოდა დროდადრო და 80-იანი წლების მეორე ნახევარში მის ფურცლებზე „ნაკადულის“ რუბრიკით ის ახალბედა მწერლებიც უნდა გამოჩენილიყვნენ, უნივერსიტეტის მხატვრული შემოქმედების სპეციალობის სტუდენტები, გამორჩეული გულმოდგინებით რომ ელოდებოდნენ ოთარ ჩხეიძის სემინარებს და ფარულად ყველა ერთ რამეზე ოცნებობდა, ლექტორს ეთქვა: ეს მოთხრობა, ეს ლექსი იქნებ როგორმე გადაბეჭდოთ და მომანოდოთ!

— აი, ეს უკვე გამარჯვებას ნიშნავდა (ამას ყველაზე ხშირად ბუჟა ჩუბინიძეს ეუბნებოდა ხოლმე და ცოტა არ იყოს, მგონი, გვშურდა კიდევ მისი)...

ეს პირველი ლიტერატურული ცდები აღმანახ „ლიახვის“ ფურცლებზე უნდა გამომზეურებულებო, თანაც ისე, უბრალოდ კი არა, როგორც „ნამდვილ მწერლებს“ შეშვენით, ჰონორარიც უნდა მიეღოთ.

— პირადად მე დღემდე ვინახავ იმ გაყვითლებულ მუყაოს პატარა ბლანკს, რომლის მეშვეობითაც ფოსტით ასეთ სოლიდურ ჰონორარს ვიღებდი, ახლაც რომ მოენატრება ბევრ ავტორს...

ასე გადაიქცეოდა „ლიახვი“ თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტების ჟურნალად — საყვარელ და ძვირფას გამოცემად, რომელიც „პირველი სხივისა“ და „ნობათის“ მაგივრობასაც უწევდათ და უფრო მეტადაც ესათუებოდათ.

ალმანახის ორ ნიგში მოხვედებოდა მათი ნაწერები: 1986 და 1988 წლის გამოცემებისა.

ნინო ჩხიკვიშვილის ერთი მოთხრობა დაიბეჭდებოდა მათთვის იმ პირველ ნომერში: „სიზმრად ჩანერილი დღეურებიდან“, ლია ყატაშვილისაც („ქორმა წინილა წაილო“) და ნატო ლონდარძისაც („მეტი არაფერი მინდა“) თითო-თითო, მერაბ ამალობელისა — ოთხი („ტოტზე კიდია ხმელი ბელურა“, „მეათე“, „გამოუძინებელი კაცის ამბავი“ და „თებერვალი“), ნიკოლოზ ჩუბინიძისა კი — ექვსი („თოვლში ლამაზი ყოფილა სვეტიცხოველი“, „ზამთარში დაბნეული სიყვარული“, „ძალღები“, „თოვლიც სიხარულით მოვა“, „როცა სიყვარული გენატრება“ და „სამემოდგომოდ აკაციაც ყვითლდება“). ამ ექვსიდან, ლირიკული ჩანახატებიდან, ყმაწვილურ წრფელ განცდებზე რომ აგებულა, არცერთი არ იყო გასამეტებელი და კარგი იქნებოდა, ყველა ეს ნიმუში ნიკოლოზ ჩუბინიძეს, თავისი მეორე დებიუტის შემდგომ, „უგემურ საკითხავში“ შეეტანა... თუმც აკი ლამის საერთოდ გაიმეტა ის პირველი დებიუტი...

ლექსები ჯუანშერ ტიკარაძის, ლია რუსიაშვილის და მაია ჯალიაშვილისა გამოქვეყნდებოდა.

მაია ჯალიაშვილს განსაკუთრებით მოუწონებდა ერთ ლექსს და ის ლირიკული ჩანახატი ავტორისათვის დარჩებოდა უსაყვარლეს ლექსად, თუმც მხატვრული თვალსაზრისით მოგვიანებით უკეთეს ლექსთა მთელ წყებასაც შექმნიდა:

ამ ახალგაზრდებიდან ალმანახის 1988 წლის გამოცემაში კვლავ გამოჩნდებოდნენ ლია ყატაშვილი („გვიანი თაფლობისთვე“) და ნინო ჩხიკვიშვილი („მილოცვა“) მოთხრობებით და ლია რუსიაშვილი და მაია ჯალიაშვილი — ლექსებით, დებიუტი კი აღმოჩნდებოდა გელა დუმბაძისა (ნოველა „სურათი და ჭიქა“) და სოსო ნადირაძისათვის — იგი პოეტად წარმოგებოდა.

**ჩუმად  
მოდინ ქალწულები ფრთხილი  
ნაბიჯით,  
ახლა იდუმალ ტახტრევანებს  
ჩამოქსოვს მთვარე,  
და ციმციმ, ციმციმ წავლენ ქალწულები  
მრუმე ლამეში  
და იმ შორეულ  
ნათლის სვეტებს შერევიან.**

\*\*\*

მოგვიანებით სევარიონ ნადირაძე ოთარ ჩხეიძის წიგნს სენაკს შეადარებდა, სადაც თვითონ პოეტს ცოდვები უნდა მოენანიებინა.

ოდესღაც ტარიელ ჭანტურიას გაუჩნდებოდა სენაკის ასოციაცია ოთარ ჩხეიძის პიროვნებაზე დაფიქრებისას, ოღონდ სტატიაში „ტრაგიკული ონომასტიკონი“ სენაკთან იგი ყელქცეულს გააიგივებდა, სადაც მწერალი ბერივით დაყუდებული წარმოუდგებოდა.

ახლა ეს სახე-სიმბოლო ლირიკულ სტრიქონებშიც გადმოსულიყო.

სენაკი სენაკად და სევარიონ ნადირაძე ოთარ ჩხეიძის წიგნებს ყოველი მხრიდან რომ შეხედავდა, მთის ვაზთანაც იპოვინდა საერთოს, სამშობლოს გზებზე მოძრიალესთან, და ბელელთანაც, სადაც დამძეული სულები პურით დაპურდებოდნენ.

მტერი ყოველთვის ვერაგად რჩებოდა.

ტირანი — ტირანად.

და კიდევ კარგი, რომ ნამდვილ მწერლობას არ ეწერა გაქრობა, რაოდენ მძიმე, გაუსაძლისი ყოფაც უნდა დამდგარიყო. და სენაკივით მოიცავდა საკუთარ თავში ქვეყნის ცოდვამადლს სულიერების მოსაფრთხილებლად და გადასარჩენად.

\*\*\*

ხელი მეცმადუნება, მიმოვიხილო ეს პოეტური და ბელეტრისტული ცდები, ამასთან, მოვხაზო ამ კოლორიტულ პიროვნებათა სილუეტები, მაგრამ თხრობის ძაფი ვაითუ ხელიდან გამისხლტეს... ამიტომაც ვიკმაროთ ოთარ ჩხეიძის ესეი „პირველი და უკანასკნელი ნიგნი“ („ლიტერატურული საქართველო“, 1995, 21 ივლისი) მისი ცნობილი „პატარა ნიგნების“ ციკლიდან — გამოწაკლისი შემთხვევა, როდესაც იგი თავის ნასტუდენტარს გამოეხმაურებოდა მხატვრული შემოქმედების ჯგუფიდან: ლია რუსიაშვილს. პირველი და უკანასკნელი ნიგნი...

ეგებ არც ყოფილიყო უკანასკნელი („ცხოვრება რო უფრო რთულია და უფრო გაუთვალისწინებელი, ვიდრე ადამიანს წარმოუდგენია წინასწარ“) ეს სადებიუტო პოეტური კრებული „წარვედ სახიდ შენდა“, მაგრამ პოეტი ასე აცხადებდა და მართლაც ისე გამოდიოდა, რომ ერთბაშად აღმოთქვა სათქმელი თვისი, მიესალმა და კიდევ გამოეთხოვა პოეზიას.

მცირე კრებულში ჩატეულიყო სათქმელი.

და ოთარ ჩხეიძე ირწმუნებოდა, ჩემთვის პოეტი ანთუ ლირიკა პატარა ნიგნია, ბევრიც რომ წეროს, მაინც ერთი პატარა ნიგნია: — სხვა დანარჩენი ვარიაციებია, ზოგიერთათვის აღარც ვარიაციებია. ძალადობაა თითქოსაო, სასჯელია, საკუთარ თავს რო მიუსჯის ადამიანი...

ლია რუსიაშვილი არც ფიქრობდა რაიმ სამსალაზე, არც სასჯელზე, არც აქაურ თუ იქაურ ჯოჯოხეთზე, მისთვის ერთად მოყრილიყო ყველა და ყველაფერი, ცა და დედამიწაც გაერთიანებულიყო, მხოლოდ მზე გამდგარიყო განზე. პოეტს არც არაფერი უკვირდა, არც აშინებდა, არც ნალველი იპყრობდა და შეეძლო ისიც ეთქვა: დროის წინარე არარაიდან არ მასსოვს, რატომ გამოვიპარე.

ოთარ ჩხეიძე საგანგებოდ მიაქცევდა ყურადღებას ამ სტრიქონს, ისევე, როგორც სხვა არაერთ სტრიქონსა და პასაჟსაც მოიხმობდა ლია რუსიაშვილის პოეტური ძალისა და თვითმყოფადობის ნათელსაყოფად, ამას და ამის მსგავსთ: წარსულს ტყუილად ეთამაშები, განწყვეტილია დროის სპირალი. აღარც მზეები, აღარც ვარდები და აღარც ვინმე დასატირალიო.

— ყოფითი გარემო თითქოს მიმქრალიაო, — თავის დაკვირვებებს უზიარებდა მკითხველს მწერალი, თანდათან ღრმა განზოგადების მონმეც რომ უნდა გაეხადა, — ის აქ მხოლოდ შთაბეჭდილებანია, გარდასახული, გარდაქმნილი, გადატანილი, განცდათა სამყაროში მწარე ტრაგიზმამდე რო ველარ აღწევს და ინთქმება მსუბუქ ირონიაში. სატირაც უცხოა, ტრაგიზმიც რო უცხოა, სიკვდილიც ადვილია: რახან რო არის, უნდა იყოს, რაც რო არის უფლებაცა აქვს, უფლება თუ აქვს, უარჰყოფა უხერხულია. მაინც შვილია ყოფიერებისა და მაინც იელვებს სახეები ამასოფლისანი, წუთისოფლისანი და სახეები: საათი — ანუ დროი ისევა, კარეტა, ეტლები, — ქროლვას რო მიეცეს, ზარები, ფლეიტა, ჩანგი, ჩონგური, ხმას თუ რაც გამოსცემს, რო მიანვდინოს ხმანი მიწიერი, ვარდნი, იანი, ყვავილნი სხვანი ფერად-ფერადნი, ფერებადაც რო ზევით ავიდეს, — მიწიდან ზეცადა, ყოფიერებაი რალა თქმა უნდა.

ამ პოეტურ განცდებში, ამ ანარეკლში ცვალებადი წუთისოფლისა ზოგჯერ რითმაც შეიძლება ჩავარდნილიყო ან გაუზრალეობულიყო, ხოლო რიტმს ეს არასოდეს ემართებოდა: ექსპრესიულ რიტმს, ამაღლებულს, გაქანებულს, მძაფრს.

— ამისთვის — ექსპრესიისათვის, შეუძლიან რო დასთმოს ყველაფერი, ანთუ დათმობითაც რო არ დაუთმია ბევრი არაფერი, არა, არა, არ დაუთმია: ის ზოგიერთი რითმა, გამარტივებული, იქ, იმ ადგილას ისეა საჭირო სწორედაც რო ექსპრესიისათვისა, რიტმი მძლავრობს, რიტმი გუგუნებს.

ჯვარედინი რითმით გაეწყო ლექსი, შვიდმარცვლიანი და ათმარცვლიანი საზომები მოემარჯვებინა, და თუ შვიდმარცვლიანი ლექსივითაც დატეხილიყო, ათმარცვლიანი გრაფიკულად პროზასავით დაელაგებინა:



— კალამი რო ველარ მონინაცვლებს ადგილსა, რო არ განყედეს, რო არ შენეღდესო. და მიედინება და მიედინება, მიდის, მიღელავს ქარსაყოლილი სიტყვათა ნაკადი, ნაკადი მძაფრი განწყობილებისა.

კრებულს ერთ ღრმა ამოსუნთქვას შეადარებდა მწერალი. ესეის ფინალურ ნაწილში წინა წლის „ქალთა გაზეთს“ დაიმონებდა: იქიდან შევიტყე, მეექვსე შვილი შესძენია პოეტქალს, თანაც ისე თანმიყოლებით, ერთი რომ ნაიქცეს, მეორე ფეხზე ვერ წამოაყენებსო.

ამის გაგონებისას მკითხველს შესაძლოა დასცდენოდა: ლექსებისათვის სადღა სცხელოა.

მაგრამ არა, ეს არ გახლდათ მთავარი მიზეზი, და ამ მთავარს კი ოთარ ჩხეიძე გაამჟღავნებდა: ქალბატონი ლია დარწმუნებულია, რომ პოეზია, ხელოვნება ღვთივკურთხეული არ არის და ადამიანი ისევე უნდა ერიდოს პოეზიას, როგორც სხვა ცთუნებებს. და თუ მაინც შეცდა, მერე უნდა მოინანიოს, ეგებ მთელი ცხოვრებაც შეაღიოს ამის მოწინააღმდეგე.

თავის მხრივ მწერალი შეახსენებდა, რომ არსებობდა ფსალმუნები, საგალობლები, ჰიმნები — სადიდებელნი ღვთისა, და თქმულნი ღვთის კაცთა, მოციქულთა სწორთა.

მაგრამ თავისი პასუხი მოეძევაბოდა პოეტ ქალსაც: ის ღვთის სიტყვაა და არა პოეზია, ის ღვთის სიტყვაა — რჩეულთა პირით აღმოთქმული, ღვთისაგან რჩეულთა: ეს იმან იცის, ვინ აირჩიოს და რა ათქმევინოსო.

და ეს პასუხი შესაძლოა საკმაოდ მკვეთრადაც გამოეთქვა.

არადა, მწერალს არაფრისიდეებით არა სურდა გაეზიარებინა ახალგაზრდა ქალის ეს განდგომა პოეზიისაგან, ესეის დასაწყისშიც ამას ამბობდა და დასასრულსაც ამასვე გაიმეორებდა: ვინ უწყის თუ რას გვიქადის წუთისოფელი, ანთუ რას გვაუწყებს ზეგარდმო ძახილიო.

ჯერ კი ეს გახლდათ — პირველიც და უკანასკნელიც — წიგნი მისი.

პოეზია, ხელოვნება არ არის ღვთივკურთხეულიო... მაშ ფსალმუნები, მაშ ჰიმნებიო?..

ის ღვთის სიტყვაა და არა პოეზიაო...

ესეის ფურცლებზე გადასულიყო ანარეკლი იმ ერთგვარი დისკუსიისა, რომელიც ოთარ ჩხეიძეს მოუხდებოდა თავის ამ მოწინააღმდეგესთან, მისი კიდევ ორი ნასტუდენტარის თანხლებით რომ ეწვეოდა შინ — ლია ყატაშვილსა და მაია ჯალიაშვილთან ერთად; ეს კი მოხდებოდა 1988 წლის 15 ნოემბერს და ეს სტუმრობა ოთარ ჩხეიძის ავტობიოგრაფიულ რომანშიც რომ გაიეღვებდა, ზოგადი განწყობილება მათი საუბრის ამ მონაკვეთისა ასე შემოგვრჩებოდა, უეცრად რომ წამოიჭრებოდა თემა: ღვთაებრივია თუ არა პოეზია რელიგიის თვალსაზრისითაო.

— და მე ვუსხნი და მავინყდება, რო ესენი ჩემი სტუმრები არიან, და ისევე აუდიტორიაში მგონია ჩემი თავი და ვინ უწყის ისევე შევცდე, ისევე დაეუბრუნდე უნივერსიტეტსა... მაგრამ არა, აღარც დრო მაქვს, აღარც ხალისი და აღარც იმათი დანახვა შემიძლიან... საცოდავი სტუდენტები, რა კარგები არიან და რა მახინჯი პროფესურა ჰყავთ... ღმერთო ჩემო!.. რას იზამ: კმაროდა სამოცდაათი წელიწადი, ასე რო დაემახინჯებინა ხალხი, კმაროდა და მეტიც მოუვიდა, გამოსწორებასაც თუ ეყოფა სამოცდაათი?..

ისიც საგულისხმოაო, — დასძენს. აღარ აპირებდა კვლავ მიბრუნებოდა ამ ამბებს და სწორედ ამიტომ ჩაუკვირდებოდა იმ გარემოებასაც: ის სამი პოეტი ორიოდ შემთხვევის გარდა აღარც გაპკარებოდა იქაურობას, ოღონდ რადიოსა და ტელევი-

ზიაში ცხადდებოდა და ცხადდებოდა: ჩამოყალიბდა მხატვრულ-ლიტერატურული შემოქმედებითი განყოფილება უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტთან, სადაც წარმატებით მუშაობენ პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, პოეტები შოთა ნიშინიანიძე და ჯანსუღ ჩარკვიანი... (ცხადდებოდა, ცხადდებოდა...)

— მე ხუთი წელიწადი მაინც დავჰყავი, იმათი ორი-სამი შემთხვევა ასე გაზვიადდა, ჩემი ისე იმგვარადა...

სხვა დასკვნას არც მოადევნებდა, გარდა ამ სიტყვის განმეორებისა: საგულისხმოა, საგულისხმოო...

ნასტუდენტები რომ სწვოდნენ, საუბარს ამით დაიწყებდნენ: რატომ დაანებეთ თავი უნივერსიტეტს, თქვენ სტუდენტებს სჭირდებითო.

— სტუდენტებს შეიძლება ვჭირდები, — ეს მიუგებდათ, — მაგრამ ისეთი პროფესურა ჰყავთ, იმათთან გაუსაძლისია.

დაეთანხმებოდნენ: ჩვენც გავგანამესო.

და უამბობდნენ, პროზის სემინარის ჩანაცვლების შემდგომ პოეზიის სემინარით ჯერ ჯანსუღ ჩარკვიანი რომ გამოჩნდებოდა, მაგრამ ორიოდ ლექციის მერე შემოთვლიდა, დრო აღარ მაქვსო. შემდგომ შოთა ნიშინიანიძე გაუღეკტორდებოდათ, მაგრამ მისი ლექტორობა ის იქნებოდა, რომ თან სოსო სიგუას მოიყვანდა, თვითონ დაჯდებოდა პირველ მერხზე, სოსო კათედრაზე ავიდოდა და საუბრობდა შოთა ნიშინიანიძის შემოქმედებაზე, აქებდა მის ლექსებს და ისიც ბრძნულად უქნევდა თავს. მერე ისიც შემოთვლიდა, დრო არა მაქვსო. ერთ მშვენიერ დღესაც გამოუცხადებდნენ: ირაკლი აბაშიძე ივლის თქვენთანაო. საგანგებოდ მოამზადებდნენ, ალოდინებდნენ, ალოდინებდნენ, გაცდებოდა კვირები, მანამდეც ხომ ცდებოდა... ეახლებოდათ, როგორც იქნებოდა. ილაპარაკებდა რალაც ისეთს, საგანს რომ არ შეეხებოდა. ვითომ იხუმრებდა, თან თავს შეიქებდა. პოეტობის სწავლა არ შეიძლებაო, ამასაც ეტყობოდათ, ოღონდ იმის დასადასტურებლად: პოეტი მე ვარ და

თქვენი დღენი იამაყებთ, ასე ახლოს რომ შემხვდით, ასე ახლოს რომ მოვედი თქვენთანო. მალე სათქმელი გამოეღეოდა და იმას-ლა იკითხავდა: აქამდე ვინ გასწავლიდათ? ეტყოდნენ: ბატონი ოთარიო. იმას... მაშინვე ცეცხლი წაუკიდებოდა და ისეთ რალცას იტყოდა, ისეთ რამეს იკადრებდა, სტუდენტებს რომ ვერ წარმოედგინათ და ახლა ველარც გაიმეორებდნენ. ეგაა, იწყებდნენ და სთხოვდნენ: ნუ ილაპარაკებთ ბატონ ოთარზე ასეო. უარესად გაბრაზდებოდა და გავარდებოდა აუდიტორიიდან. მალე დეკანი შემოიჭრებოდა და ახლა ის დააყრიდათ ცეცხლს: როგორ თუ შეურაცხყავით ირაკლი აბაშიძე, თქვენ იცით, ის რა პოეტიო? მიუგებდნენ: ვიცით, რა პოეტიცაა, ოღონდ შეურაცხყოფა არ მიგვიყენებია, ეს ცილისწამებააო. დეკანი უარესად გაბრაზდებოდა და ისეთ სიტყვებს დააფრქვევდათ, მართლაც შეურაცხყოფელს. მერე კათედრის გამგეც შეეჭრებოდათ. და მერე სულ ამ ჯგუფზე იქნებოდა ლაპარაკი, აითვალწუნებდნენ და ცუდის მაგალითად ყოველთვის მათ დასახელებდნენ, და ეს იქამდე, რომ კინაღამ დიპლომებსაც აღარ მისცემდნენ.

— ვერ აგინერთ თუ როგორ იქცეოდა კათედრის გამგე და ზოგიერთი წევრიცა ჩვენი დიპლომების დაცვის დროს. ჩვენც გავებრაზდით და ერთი უსიამოვნება შეიქმნა. ისევე თავმჯდომარემ გვისწა, ნიშნები მაინც დაგვინერა. თქვენ ეს არ იცოდით, მაშინ არ გვითქვამს, მაგრამ არ შეგვიძლია, ახლა მაინც არ გითხრათ.

— ასე დაწვრილებით არ ვიცოდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ავითვალწუნეს, — მასპინძელი ეტყოდათ, — თქვენს მერე სხვა შემოქმედებითი ჯგუფებიც აითვალწუნეს. ისეც ადგენდნენ ჯგუფებს, საღამოდან ან დაუსწრებლიდან ვისი გადმოყვანაც



ნინო მალალაშვილი

უნდოდათ, ტრამპლინად ამას იყენებდნენ, ან ისეთსაც ჩასვამდნენ, ლიტერატურა რომ სასაცილოდ არა ჰყოფნიდა, ალბათ ხელი რომ შეეშალა ჩემთვის, მაგრამ ყველა ისინი ცხვრებივით იქცეოდნენ ჩემთან და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩემს დავალებებსაც ასრულებდნენ: მოჰქონდათ პირველი ჩანახატები, ესკიზები, მოთხრობები... როგორც ვატივობდი, ესეც არ მოსწონდათ. ბევრი რამ არ მოსწონდათ და მე ხომ არ მოვწონდი და არა. მერე იმათაც მტრულად უცქეროდნენ. ამიტომაც დავანებე თავი.

დაგვაფინყდაო, — ჩაერთვოდნენ ნასტუდენტურები, — ვინ გაქვებო, ვინ გარბობ, ასე მოიქცეთო, გვეკითხებოდნენ, კრებებზეც, ცალ-ცალკეც გვიბარებდნენ. ჩვენ ვეკითხებოდით: როგორ ვიქცევით? იმათ პასუხი არ გააჩნდათ, ბრაზობდნენ და გვაბრაზებდნენო.

— კარგი იყო მაშინვე გეთქვათ, მაგრამ მე ხომ ვგრძნობდი და გამოვეცალე.

— ბავშვებმა რა ჰქნან?

— ხომ დადგა დრო, ხომ გაიგეს, ვინ ასწავლიან და რას ასწავლიან, შესაძლოა კიდევ უკეთესს ველოდეთ. თუმცა დიქტატურა იოლად არ დასთმობს, უმსხვერპლოდ არ დასთმობს, მაგრამ ყავილი გაუვიდა რუსეთის იმპერიასაც, უსაშველო არაფერია.

მერეა, ის თემა რომ წამოიჭრებოდა მოულოდნელად: ღვთაებრივია თუ არა პოეზია რელიგიის თვალსაზრისითა?!

აგერ ფსალმუნები, აგერ ჰიმნოგრაფია...

მაგრამ თუ ის ღვთის სიტყვაა და არა პოეზია?!

ყოფილი სტუდენტების ნაამბობში გამოიკვეთებოდა ის ზოგადი ქარგა, რაც ცოტა მოგვიანებით აკი ლია ყატაშვილის მცირე მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებას დაედებოდა საფუძვლად — უნივერსიტეტის მიმდებარე რეალობის ამრეკლავადაც რომ განზოგადდებოდა, და არა მხოლოდ ერთი კაცის ლიტერატურულ პორტრეტად გამოიკვეთებოდა... და კიდევ ერთი კაცისაც...

დიქტატურა იოლად არ დასთმობს, უმსხვერპლოდ არ დასთმობსო...

ამ დაუთმობლობას გადაჰყვებოდა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, ოღონდ ამ ჩანაწერებში ამ ტრაგედიის გახსენება იმან გამოიწვია, რომ ამ თემაზე შექმნილი ოთარ ჩხეიძის რომანის — „არტისტული გადატრიალება“ — განხილვა რომ გაიმართებოდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში და მწერლის ავტობიოგრაფიულ რომანში „დროდადრო“ იმ დღის — 1995 წლის 6 ივნისი — შთაბეჭდილებანიც შევიდოდა, კიდევ ერთხელ გამოჩნდებოდა ლია ყატაშვილის სახელიც.

ჯერ კი ინსტიტუტის სხდომათა დარბაზის კარს რომ მიეტანებოდა ოთარ ჩხეიძე, შეაჩერებდა მაღალ-მაღალი ქალიშვილი: „არტისტული გადატრიალების“ განხილვა დირექტორის კაბინეტშია გადატანილიო.

კაბინეტში იყოსო, კიდევ გაეხარებოდა:

— არც ბევრი ხალხი მინდა და არც ახირებული ხალხი, კაბინეტში მირჩევნიან, უფრო მშვიდი საუბარი შეიძლება.

გურამ ბარნოვი, იმჟამად ინსტიტუტის დირექტორი, შეწუხებული დახვდებოდა:

— ასე გვემართება — ვსხედვართ ისე, არაფერს ვაკეთებთ, უცებ ზედიზედ რაღაც დაგვატყდებოდა, აღარ ვიცით, სად რა მოვანყოთ. იქ სხვა ღონისძიება გვაქვს. აქ იყოს, რა უჭირს.

— ძალიანაც კარგი, აქა სჯობიან, — ოთარ ჩხეიძესაც აკი აქ უფრო ერჩივნა.

მერე კი მოუყვებოდა გურამ ბარნოვი, „არსენას ლექსი“ ამოიღეს სასკოლო სახელმძღვანელოდანო, და აუხსნიდა ამ პოეტურ თხზულებას.

— ვუსმენ მოთმინებითა.

მაღე ხალხიც მოიყრიდა თავს და, დირექტორი სხდომას რომ გახსნიდა, იმავე წუხილს მოჰყვებოდა; „არსენას ლექსი“ ამოიღეს სახელმძღვანელოდანო, — და დაახასიათებდა მის მხატვრულ მნიშვნელობას.

ასე გახსნიდა.

და მერე რომ შეაჯამებდა კიდევ სხდომას, „არსენას“

აღარ, ამჯერად „ვეფხისტყაოსანს“ გაიხსენებდა: ბოლო ინგლისურ თარგმანში გამოტოვებულია ის ადგილები, მამაკაცები სადაც ტირიან. ეგებ ასედაც იყო საჭირო, ეგებ — არცაო.

„არტისტული გადატრიალება“ რომ არ წაუკითხავს, ეგ არაფერი, სხდომის შინაარსიდანაც დასკვნა არაფერი გამოუტანიანო, — აღინიშნებოდა დღიურის ფურცლებზე, — არადა, სხდომა შინაარსიანი გამოდგაო.

„კარგ მოხსენებებად“ დაამახსოვრებოდა ლია ყატაშვილისა და მისი მეუღლის — სიმონ წერეთლის — გამოსვლები.

— ახლა შეუღლებულან. თავლობის თვე ბორჯომში გაუტარებიათ. იქა ვწერდითო. კარგი მოხსენებებია. ლიასი უფრო ფრთხილი. მეუღლე მისი არაფერს მორიდებია. ჩემი რომანების მნიშვნელოვანი გააზრებით არის დაწერილი. სპეციალობით ექიმი ყოფილა. ღმერთი გამიწყრეს თუ ამ ინსტიტუტის მსცოვან და თავგამოდებულ თანამშრომელთა შორის ესოდენი ლიტერატურული ერუდიცია ჰქონდეს რომელიმესა. ისინი არც ესწრებიან. ახალგაზრდობაა. მადლობა ღმერთსა გონიერი ახალგაზრდობაა. გამოსვლებიც გამოსვლებსა ჰგავს. განწყობილება სასიკეთოა. განხილვის შემდეგ მაჩერებენ ჩემთვის უცნობნი. ძალიან მოგვწონსო. მადლობას მიძღვნიან.

ლიას თავი გამოუდიაო, — ეს იმ ჩანაწერის ბოლო სტრიქონებია, — შინ გვინვევს ტკბილეულზეო.

ტკბილეული ითქმოდა და... ლაზათიანი სუფრა კი გაიმლეობდა.

ჯერ სიმონ წერეთელი ითავებდა თამადაობას.

მერე ჯონდო ბარდაველიძეს გადააბარებდა, შესანიშნავ მკვლევარსა და კეთილშობილ, გულისხმიერ პიროვნებას, მფარველად რომ მოვლინებოდა ამ ახალგაზრდებსაც.

— კარგი დღეა.

იშვიათად ყოფილა ასეთი ნასიამოვნები.

იშვიათად უთქვამს დღეზე: კარგიაო.

ქართლში კიდევ როგორ იცინა თქმა?

შეგნებული დღეო.

შეგნება არ აკლდა იმ 6 ივნისსაც — შინაარსითაც, გარეგნული იერიითაც.

არმური რომ ასდიოდა ყველაფერს?

ეს ჯერ ისედაც არაფერი, მითუმეტეს, რომ:

— ნაჭერ-ნაჭერ ღრუბლები ირევა. აცხრობს სიცხესა.

...ისე ნეტა ვის მოაფიქრდა გმირთა ცრემლთაღვრის ამომლა „ვეფხისტყაოსნის“ ინგლისურ ვერსიაში?!

### პილოზი

ოთარ ჩხეიძემ, როგორც თავმოყვარე კაცმა, პროტესტის ნიშნად რომ გამოიჯახუნა გორის ინსტიტუტის კარი, ამ ნაბიჯით მაინც ძალიან დაგვწყვიტა გული, მაგრამ თბილისის უნივერსიტეტში რომ დაიწყო მუშაობა, გამეხარდაო, — გაიხსენებდა იმ ხანას ჯემალ ინჯია მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაში „ოთარ ჩხეიძის აბრისი“, და დასძენდა:

„ძალზე ბედნიერი ვიყავი, როცა ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში თბილისელი სტუდენტისგან კითხვაზე „ლექტორის თქვენი იდეალი“, ასეთი პასუხი გავიგონე — „ჩემი იდეალია ოთარ ჩხეიძე“.

ოთარის რაღაც ძვირფასი დაკარგული მეპოვნოს.

ყოჩაღ, ახალგაზრდავ. აფერუმ შენს გოგოობას!

და ეს მარტო ერთი სტუდენტის — ნინო მაღალაშვილის — გულთქმა არ იყო“.

ჯერაც საბჭოთა ხანაა.

ჯერაც სიმკაცრე, ჯერაც ძალმომრეობა და დევნა სიმართლის, სიკეთის, კეთილშობილების.

თუმც უკვე ის დროა, ხანდახან, დემოკრატიულობის ნიღბის ასაფარებლად მართლაც რომ შეიძლება მიკროფონი არადაგვემილად შესთავაზონ ამა თუ იმ მოქალაქეს.

მანც ძალიან გაგვიკვირდებოდა ნინო მაღალაშვილის ის გამონათება ტელეეკრანზე. ტელევიზორს ვუყურებდით მთელი ოჯახი და უეცრად...

რომ არ წაშალებს მისი სიტყვები სიუჟეტის საბოლოო დამონტაჟებისას!..

გასაკვირი სწორედ ეს გახლდათ, თორემ ნინო ვის ან რას მოერიდებოდა, რასაც ფიქრობდა, იმას ამბობდა უმიკროფონოდ და მიკროფონსაც დიდ ანგარიშს არ გაუწევდა.

ისიც მხატვრული შემოქმედების იმ განყოფილების სტუდენტი გახლდათ, ასე რომ გაინაპირებდნენ და თითო საჩვენებელი შეიქნებოდნენ, როგორც მაგალითი ყოველგვარი ცუდისა უნივერსიტეტის კედლებში, რომელთაც ვერ გაეგოთ, ვის გარიდებოდნენ და ვისთვის უნდა მიეგოთ პატივი.

დბლომს კინალამ მასაც არ მისცემდნენ, როგორ თუ ოთარ ჩხეიძის პატივისმცემელი ხარო, თორემ ლექტორთა წყრომა ხომ არ მოაკლდებოდა და არა, როგორც დიდი პოეტის გამომძივებელს აუდიტორიდანაც და უნივერსიტეტიდანაც.

აინუნშიც არ ჩააგდებდა.

და მოულოდნელად ტელეჟურნალისტი რომ მიადგებოდა: ვინ არის თქვენი იდეალი? — სახეგაცისკროვნებული, თითქოს მთელი ცხოვრება ამ შეკითხვას ელოდაო, დაუყოვნებლივ შეაგებებდა: — ჩემი იდეალია ოთარ ჩხეიძე!

ნინო მაღალაშვილის ის გამონათებაო...

გარეგნულად კლაუდია კარდინალეს ამსგავსებდნენ, ხოლო ვისაც კარდინალე არ მოაგონდებოდა ეკრანზე იმ თვალისმოკერისას, ამას მანც უსათუოდ გაიფიქრებდა: ჰოლივუდის მსახიობი ხომ არ გამოგვცხადებიაო!..

თუმცა... ნეტა რომელ ჰოლივუდელ ლამაზმანს ამშვენებს ასეთი ღრმა, ასეთი წრფელი მზერა!..

\* \* \*

მგონი შევცდი, მგონი აღარ უნდა დავბრუნებოდი პედაგოგიურ ასპარეზსო, — ძალიან განიცდიდა ოთარ ჩხეიძე, როდესაც ბევრი ყოყმანის შემდეგ მანც დათანხმდებოდა, შესულიყო თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტებთან ახალგაზს-ნილი — შემოქმედებითი სპეციალობის — განყოფილებაზე.

## მეოთხე განზომილება

არ ვიცი, რატომ — მათემატიკა და პოეზია ერთად?! მათემატიკიდან წამოსული პოეზია თუ პირიქით?! თითქოს ახალი და უცხო, ნაკლებადყურმოკრული მკითხველისთვის. თუმცა ყოველთვის ასეა — ახალი, უცხო და მკითხველისთვის სწორად მიგნებული ზუსტად „ჩვენი მწერლობის“ გვერდებზე უნდა იპოვო ხოლმე. ასე იყო, როცა თქვენი ჟურნალის წლებიდან მე-7 ნომრის გვერდებზე გენადი მარგველაშვილის პოეზიას გადავანყვი. ახალს, სხვანაირს, უცხო მხრიდან მოსულ სტუმარს, თითქოს...

სხვანაირად არც გამოვიდოდა:

დღევანდელი ფიქრი ხვალისდელი დღის სანინდარია და საერთოდ, ფიქრები და აზრები განაგებს ჩვენს ყოველ მოქმედებას, გადანყვეტილებას, განწყობას, ცნობიერს... ფიქრები და აზრები ქმნიან იმ სამყაროს, რომელიც მხოლოდ ჩვენია, ჩვენეული... ჯერ ვერშესწავლილი, იდუმალი, ცოტა გაუგებარი, რადგან „ამ განზომილებაში ქანდაკებები უფრო დიდხანს „ცოცხლობენ, ვიდრე ადამიანები“...

ჩვენ გვჯერა, რომ აზროვნება უსულოებს არ შეუძლიათ, რომ ქმედითი ადამიანია მხოლოდ; რომ ჩვენში არსებობს რაღაც, რაც ვერ აიხსნება, რასაც ვერ ვერ მივწვდებით — ეს ვიციო.

არ ვიციო

რა სულის პატრონები ვართ...

რომელი თვალებით ვიციკირებით...

რა სუნი გვცემს...

რა გემოს ვგრძნობთ...

სხვაგვარად როგორ აღიქმება, რომ

სულიერები ვართ...

თვალთა ცქერა გვატკობს...

სურნელი გვაბრუნებს...

ცრემლით გვწყინს...

ლიმილით გვიხარია...

რა გული განგვაცდევინებს ყოველივეს...

უნდა შევთანხმდეთ, რომ „ყველა წიგნს თავის სუნი აქვს, როგორც ყველა ქალს და სუნამოს და შემოდგომას...“

მათემატიკოსის, გენადი მარგველაშვილის, პოეზიაც თავისებურია — გული და გონებისთვის ზუსტად გათვლილი, სწორი ფორმულით შედგენილი და მრავალუცხოებიანი განტოლების სწორად ნაპოვნი ფესვივით გამართლებული.

ყოველი სტრიქონი რომ იქ გადავისვრის, სადაც შენია რაღაც, რომელსაც მხოლოდ გრძნობ და ვერ გადმოსცემ სიტყვებით, ეს ვერთქმარომ განუხებდა და ახლა ნაპოვნი სიტყვებით გახარებულ თავისუფლად სუნთქვას რომ იწყებ...

აქ ხომ იმდენი რამაა ჯერ კიდევ გასაგები და სათქმელი. ისე-

დაც, სააქოდან საიქიოში ბილეთი „სულაც უფასოა“, ამიტომ სანამ დროა ჩვენს სამგანზომილებიან სამყაროში მეოთხე განზომილებაზეც ვიფიქროთ, ვიგრძნოთ:

**წკვიმატი ამინდი ფარდებს გადაღმა, წკვიმარტი, თვალეში შიში და სევდარდი.**

პროფესიით მათემატიკოსმა მხატვრულად გადმოგვცა პოეზიის ხიბლი, რიცხობრივი სიმრავლით ააგო რითმითა წყება, დააღაგა, გადაარჩია და შეიმეცნა.

**...იმ დროთა სიღრმიდან მოდენილ სურვილებს ვფანტავ თუ ვაგროვებ, ვერ ვხვდები, არ ვიცი... იმ მზისფერ კბოდეზე მეც მიმაცურვინე, აი რას ვნატრობ და აი რას განვიცდი...**

დაბოლოს, მეოთხე განზომილების განსაკუთრებულობა, მისი მნიშვნელობა და აუცილებლობა შეუდარებლადაა გადმოცემული მის ერთ-ერთ ლექსში, რომელსაც, ვფიქრობ, მეტი განხილვა, გაშლა და დაშლა არ სჭირდება. აქ ხომ ისედაც ნათლადაა საუბარი იმაზე, თუ რატომაა ის ჩვენთვის შეუფასებელი, ჩვენეული და არამინიერის, სასწაულის ხიბლით შემოსილი რატომაც გვიზიდავს და გვაქმნევინებს ამ კიდევ ერთ სამყაროს.

**სონეტი\*\*\*6**

**უცხო სიზმარში რეკვიემი ისმოდა სრული, თანმიმდევრობით მიიცვალენ.. იყო მსვლელობა... ჯერ ბოროტება, ანგარება, ბოლმა და შური, მერე უვიცთა ტირანია, ფარისევლობა...**

**მერე ლიქნი და დაბეზლება, მოძმეთ ლალატი, ამპარტავნობა, სიძუნწე და სიძვის ვნებები. მერე კაცთა კვლა... და გაივსო უცებ ქალაქი ცოდვის წყებების უბადრუკი გასვენებებით...**

**სხვა ცოდვებს მიჰყვა თავხედობა, ლანძღვა-გინება, სულის წარწყმედა, ეგოიზმი და სიძულვილი... ქვეყანა დარჩა (რადგან ღმერთმა ასე ინება) სოლომ-გომორას გადარჩენილ კაცთა სურვილებს...**

**ყველა დაკრძალვას გზად სიკეთე ახლდა — მეგობრად და ვერ ვხვდებოდი, მწყენოდა თუ გამხარებოდა?!**

**ღარინა ყურაუა**

თამარ ყალიჩავა

# „ხელისუფლებას მარბინალად მიაჩნდა“

□

## „გალაკტიონოლოგიის“ VI ტომის წარდგინება

„გალაკტიონოლოგია VI“-ის წარდგინება, მანამდელი წლების მსგავსად, წელსაც გალაკტიონის იუბილეს დაემთხვა. პირველი კრებულის გამოცემიდან უკვე ათი წელი შესრულებულა და, ცხადია, გალაკტიონის კვლევის ცენტრის მიღწევათა მასშტაბურობას საზოგადოებას გალაკტიონოლოგიის კრებულებიც უთვალსაჩინოებენ — იკვებება, რომ ერთი ავტორის კვლევა, ეპოქის, მიმართებების, სკოლების კვლევასაც გულისხმობს, ამ ერთი ავტორიდან კვლევა ეპოქის მიმართულებით ფართოვდება.

მეექვსე კრებულის წარდგინება შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა ირმა რატიანმა გახსნა და იმ წარმატებული პროექტის შესახებ ისაუბრა, რომელმაც ერთმნიშვნელოვნად გამოჰკვეთა ერთი მწერლის კვლევის მრავალსპექტიანობა. მისი თქმით, ეს წამოწყება აღარ ტოვებს შეკითხვებს და გალაკტიონოლოგიის VI კრებულის გამოცემა მისი გამორჩეული მნიშვნელობის მორიგ დასტურად უნდა აღვიქვათ.

„ეს ძალზე წარმატებული პროექტია, რომელიც ადასტურებს ძალიან მნიშვნელოვან თეზას, მეცნიერება — ლიტერატურათმცოდნეობა იქნება ის თუ სხვა ჰუმანიტარული მეცნიერება — შეიძლება თანაბარი წარმატებით ემსახურებოდეს ძალიან გაფართოებულ პრობლემას, და ერთი მწერლის, ერთი ავტორის შემოქმედებას. როდესაც ისეთ ავტორზეა საუბარი, როგორც გალაკტიონია, მის კვლევას წამდვილად სჭირდება მთელი ცხოვრება, შეიძლება არაერთი, რამდენიმე მეცნიერის ცხოვრება...“

ირმა რატიანმა მაღლობა გადაუხადა იდეის ავტორს, თეიმურაზ დოიაშვილს, გალაკტიონოლოგიის კვლევითი ცენტრის თანამშრომლებს, რომლებიც მონაწილეობდნენ თითოეული ტომის გამოცემაში, ყველა იმ მეცნიერს, ვინც ცენტრთან თანამშრომლობს.

გალაკტიონოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელმა თეიმურაზ დოიაშვილმა, გალაკტიონის 125 წლის სიუბილეო თარიღის მოახლოება გაახსიანა და მისი წინანდელზე ღირსეულად აღნიშვნის სურვილი გამოთქვა. ამჯერად ცენტრს, ბატონი თეიმურაზის ხელმძღვანელობით, გალაკტიონის ახალი აკადემიური გამოცემის მომზადება განუზრახავს, ისე, რომ საიუბილეოდ 3-4 ტომი მაინც მოეწარმოა. ჩაუფიქრებიათ სამეცნიერო, საიუბილეო კრებულის გამოცემა, რომელშიც უცხოელი ქართველოლოგებიც მიიღებენ მონაწილეობას, და ამ თარიღს — ირმა რატიანის შეპირებისამებრ — საერთაშორისო კონფერენციაც მიეძღვნება.



„125 წლისთავი ისეთი თარიღია და გალაკტიონი იმსახურებს, რომ ეს თარიღი ფართომასშტაბიანად აღინიშნოს. გალაკტიონის კვლევის ცენტრს ამასთან დაკავშირებით აქვს გარკვეული ხედვები, მიმდინარეობს წინასწარი სამუშაოები და დავინყებთ გალაკტიონის ლიტერატურული მემკვიდრეობის ახალ აკადემიურ გამოცემას, რომელიც ძალიან საშური, გავიდა თითქმის 50 წელი, კარგად იცით რა შეფასება მოჰყვა მას თავის დროზე, მე ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება არ მაქვს, პირიქით, მაღლობელი ვარ იმიტომ, რომ თუკი გალაკტიონოლოგიაში ასე უხვად იწერება ნაშრომები, ეს ამ გამოცემის დამსახურებაც არის. დროება შეიცვალა, ეპოქა შეიცვალა, სინანულით შეიძლება ვთქვათ, რომ გალაკტიონი, თვით მისი მონაწილეობითაც, დამახინჯებულია. ამიტომაც, აუცილებელია, ახალ კონცეპტუალურ საფუძველზე ამ გამოცემის მომზადება საიუბილეოდ, ვფიქრობთ, რამდენიმე ტომი მომზადებული გვექნება.“

ვიდრე როსტომ ჩხეიძეს გადასცემდა სიტყვას, თეიმურაზ დოიაშვილმა საზოგადოებას ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა, გალაკტიონ ტაბიძის შესახებ ბიოგრაფიული რომანის „კომიკოსი ტრაგედიაში“ შექმნა მიულოცა და წიგნის განხილვაზე მიპატიჟებას დაჰპირდა:

„ეს არის ძალზედ საინტერესო, კონცეპტუალურ საფუძველზე მომზადებული წიგნი. როსტომმა ურთულეს საქმეს გაართვა თავი, კომპოზიციურად შეკრული და ძალიან ორიგინალური ფორმაცაა მოძებნილი. შეიძლება სადავოდაცაა დანახული გალაკტიონი — მისი პიროვნებაც და შემოქმედებაც.“

ვიდრე როსტომ ჩხეიძე ზოგად სურათს წარმოაჩინდა გალაკტიონოლოგიის VI ტომისა და ზუსტი დაკვირვებებით შეეხებოდა კრებულში შეტანილ თითოეულ წერილს, ხაზი გაუსვა აღსანიშნი თარიღის ტრაგიკულობას, ბრძანა, 17 მარტი უშუალო გაგრძელებად იქცა 30 აგვისტოსი, წინამურის ტრაგედიისაო.

„კრებულის მნიშვნელობა ძირითადად ფასდება რამდენიმე ნაშრომით. თუ ოთხი-ხუთი კარგი ნაშრომი იქნა, ეს ნიშნავს, რომ კრებული უკვე კარგია. არსებობს იშვიათი შემთხვევები, როცა ყველა ნაშრომი შესანიშნავია და როგორც მოზაიკიდან ვერ გამოარჩევ ერთ კენჭსაც კი, რადგანაც მოზაიკა გახუნდება, თუნდაც ერთი კენჭი რომ გამოაკლდეს, ასევეა ეს კრებულიც. ერთი მასალაც კი არ არის ისეთი, მკითხველმა თქვას: რა აუცილებლობა იყო მისი დაბეჭდვაო. ისინი ერთმანეთს ავსებენ და ქმნიან ერთ მთლიან სურათსა და ფონს.“

მან ვრცლად მიმოიხილა კრებულში შეტანილი თითოეული ნაშრომიც: საკუთარი „სალამოები — სვერდის ყდაში“; ლევან ბრეგაძე „რეალობის მონატრება“; ირაკლი კენჭოშვილის „ღამე ყაბახზედ“ და გალაკტიონის „სალამო“; ნათია სიხარულიძის „მრავალსტილურობის პრობლემა გალაკტიონ ტაბიძის 20-იანი წლების შემოქმედებაში“; ემზარ კვიციანიშვილის „პოსეიდონის საუფლოში“. თეიმურაზ დოიაშვილის „იგი თანამგზავრ, ხშირად მეჩვენება“; კონსტანტინე ბრეგაძის „ლურჯა ცხენები“ ნების მეტაფიზიკა და (ანტი-)სნავლება მარადიული დაბრუნების შესახებ“; ნინო დარბაისელის „Qui pro quo“; ვახტანგ ჯავახიძის „ჩემი პირველი ცრემლი“; გურამ გოგიაშვილის „ფრევალი: რა არის თუ ვინ არის?!“; ლევან ბრეგაძე „რა ახშობს „გონების კარს?“; კონსტანტინე ლიხტენფელდის „გალაკტიონ ტაბიძე“; ფატი დიდიას „მოგონებები საქართველოს სსრ სახალხო მგოსან, საქართველოს სსრ მეცნიერთა აკადემიის აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძეზე“; კახი იოსებიძის „მხოლოდ გალაკტიონი“; ნოდარ ნებიერიძის „ერთი გალაკტიონოლოგიური მონოგრაფო-მანია“; ნათია სიხარულიძე „რომანსი“; ეკა იმერლიშვილის „არცოდნა თუ...“

ქეთევან ელაშვილმა სიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ერთი ავტორის ენციკლოპედიის გამოცემის აუცილებლობაზეც ისაუბრა. კრებულში შეტანილ ნაწარმოებთაგან კი ყურადღება განსაკუთრებით როსტომ ჩხეიძის, ფატი დიდიას, ემზარ კვიციანიშვილის წერილებზე შეაჩერა.

**თამარ ბარბაქაძემ** განსახილველ კრებულში გალაკტიონის პოეტურ ხერხებისა და სიმბოლოების კვლევას მიაქცია ყურადღება. ისაუბრა გალაკტიონის 70-იანი წლების ევფონიზმზე, შეეხო ლევან ბრეგვაძის მაღალი პროფესიონალიზმით აღნიშნულ წერილზე, მიმოიხილა ნათია სისხარულიძის წერილი.

ამ პროექტის გავრცელებით ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი და გალაკტიონის კვლევის ცენტრი უპირველესად ახალგაზრდებს, დამწყებ მკვლევარებს ეხმარება. მათ, ვინც უკვე მზად არიან, რომ მეცნიერების სამყაროში შეაბიჯონ. „გალაკტიონოლოგია VI“ მისი რედაქტორის, თეიმურაზ დოიაშვილის მიერ პირველსავე ტომში გახმანებულ განცხადებას, ახალგაზრდა თაობის მკვლევართა მოზიდვას ერთგულს, კვლავ თხოვნით მიმართავს და აგულიანებს, რომ სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში ჩაერთონ. სწორედ ახალგაზრდების სახელით ისაუბრეს ღონისძიებაზე **ლექსო დორეულმა** და **ნიკა აგლაძემ**.

გამოცდილმა კრიტიკოსმა **ნონა კუპრეიშვილმა** როსტომ ჩხეიძის გამოსვლას მასტერკლასი უწოდა, აღნიშნა, თვითონ ძნელად თუ შეპბედავს გალაკტიონს. ბრძანა, თეიმურაზ დოიაშვილსა და ლევან ბრეგვაძეს გარკვეული სიმნიშვნელობა აქვთ გალაკტიონთან მიმართებით, და მათ მიერ მრავალმხრივ საგულისხმო დეტალთა მიგნების, შემდეგ კი მათი გაშლის ოსტატობით აღფრთოვანება დაადასტურა, და დასძინა, ეს ფაქტი სამაგალითო უნდა იყოს იმ მკვლევართათვის, ვისაც ლიტერატურის დამონმება ავიწყდება ხოლმეო.

თავყრილობა **ემზარ კვიციანიშვილმა** შეაჯამა. იუმორით შეზავებულ გამოსვლას გულწრფელი მადლიერება უძღოდა ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის, მისი დირექტორის, ირმა რატიანის მიმართ, რადგანაც უკიდურესი გაჭირვების უამს, როცა ფილოლოგია სულს ღაფავს, ეს დისციპლინა შეინარჩუნა. ბატონმა ემზარის აზრით, ეს წარმატებული პროექტი პრიორიტეტულიც უნდა იყოს, და გულისწყვეტით გაიხსენა შემთხვევა, როცა სახელმწიფო პრემიაზე წარდგენილი „გალაკტიონოლოგის“ პირველი სამი ნიგნი სათვალავშიც არ ჩააგდეს.

მკვლევარებისადმი, უმთავრესად კი მაინც ახალგაზრდებისადმი თემურ დოიაშვილის მიმართავს მანვე უწოდა კოპაბიტაციის საუკეთესო ნიმუში. ისაუბრა როსტომ ჩხეიძის ახალ ნიგნზეც — „კომიკოსი ტრაგედიაში“ — გალაკტიონის ბიოგრაფიას უზუსტესი დაკვირვებით, მრავალფეროვანი რეალისტური სურათებით რომ წარმოაჩენს.

დიდ ადამიანთა უმრავლესობის მსგავსად, გალაკტიონმაც სიცოცხლე მათ შორის გაატარა, ვისაც არ ესმოდა, არ უყვარდა და არცთუ დიდ ვინმედ მიიჩნევდა მას. ეს ტრაგიაში კიდევ ერთხელ დაადასტურა **ლევან ქურციკაშვილის** მიერ დასმულმა კითხვამ. ბატონ ლევანს აინტერესებდა, კვბ-ს არქივში გალაკტიონის შესახებ დაცულმა ინფორმაციის მოპოვების საშუალება თუ იყო. **თეიმურაზ დოიაშვილმა** მსგავსი ჩანაწერების არსებობა უარყო, ხელისუფლებას მარგინალად მიაჩნდა გალაკტიონი და, იდეოლოგიური გავლენის არმქონეს, ასე სერიოზულად არ აღიქვამდაო.

\*\*\*

კარგად დაწერილ ბიოგრაფიას უიშვიათეს მოვლენად მიიჩნევენ, თუმცა როსტომ ჩხეიძის მიერ შექმნილ ბიოგრაფიულ რომანთა წყალობით ამ „შენდულეობასაც“ შეერყა საფუძველი. მის საუკეთესო ნაწარმოებებს გალაკტიონზე შექმნილი ბიოგრაფიული რომანი შეემატა და XX საუკუნის ერთ-ერთი გენიის სწორად აღქმა შეგვაძლებინა, თუმცა გალაკტიონის კვლევის ცენტრის მიერ ჩაფიქრებული ნიგნის პრეზენტაცია და მკვლევართა გამომხმარება წინ გვაქვს, ვნახოთ როგორ მიიღებენ ახალ — როსტომ ჩხეიძის თვალთ დანახულ — გალაკტიონს.

გალაკტიონის კვლევის ცენტრის მიღწევები, გალაკტიონოლოგიის კრებულები თვალნათლივ ადასტურებს, რომ სწორი ორიენტაციების გამოკვეთა მომავალი თაობებისთვისაც გააადვილებს დაწყებულ კვლევათა გაღრმავებას.

ქეთევან ელაშვილი

# უჩვეულო მოულოდნელობა

გალაკტიონი ბუმბერაზია. ამიტომაც თვითონვე გვანიჭებს უდიდეს თავისუფლებას, რომ პირადი არქივისა თუ მოგონებათა ამოწურავი ციკლის წყალობით შევექმნათ მისი ახალი „ლიტერატურული ბიოგრაფია“ (რომანი) თუ „პორტრეტი“, ანდა სულაც ჩავიკარგოთ მისი პოეზიის მისტიკურ ლაბირინთებში. ეს პროცესი უსასრულოა და ყოველთვის უჩვეულო მოულოდნელობით გამორჩეული. ასე მოხდა ამჯერადაც — **„გალაკტიონოლოგია VI“**. 2012 წელი. გალაკტიონის კვლევის ცენტრის (ხელმძღვანელი **თეიმურაზ დოიაშვილი**) ახალი ნაყოფი.

წინათქმისთანავე იწყება რუბრიკა — „ცხოვრება, როგორც ტექსტი“, სადაც **როსტომ ჩხეიძის** თითქმის 900-გვერდიანი ახალი მონოგრაფიიდან **„კომიკოსი ტრაგედიაში (გალაკტიონ ტაბიძის ცხოვრების ქრონიკა)“** არის მცირედი ამონარიდი (49-გვერდიანი) სახელდებით — **„სალამოები ხავერდის ყდაში“**. როსტომ ჩხეიძე ახდენს გალაკტიონის შესახებ ყოველივე არსებულის, ზოგჯერ გალაკტიონის წყალობითვე ჩანიშნულის, ამასთანავე ოთარ ჩხეიძის მიერ შეცნობილი გალაკტიონის სახების უნივერსალურ რესტავრაციას — გამორჩეულს თავისი მასშტაბითა და ყოვლისმომცველობით. საგულისხმოა ისიც, რომ როსტომ ჩხეიძე აქ ეზოთერული წოდებითაც კი ცდილობს ალაღვინოს გალაკტიონის ცხოვრების მიზანსცენები, გამოკვეთოს თავად პოეტის „თამაშარე“ ყოფნის უჩვეულო ფენომენი და დიდი ტაქტით გვამცნოს (ისე, რომ არ დაგვაზიანოს) მის თანამედროვეთა (თუნდაც ჩვენთვის მნიშვნელოვან პირთა...) არაკორექტული ქმედებანი ანდა თუნდაც ბრალეულობანიც კი... და კიდევ ერთხელ გამოიკვეთოს, თუ მავანნი როგორ უშლიდნენ ხელს გალაკტიონს, რომ „საკუთარი ნიგნი სულიერ არსებად ექცია და ხალხში გაეტანა“.

გალაკტიონის მუდმივ უკმარისობას გულწრფელი ურთიერთობებისა, ადასტურებს **ფატი დიდიას** მემუარული ჩანაწერებიც (რუბრიკა — „მოგონებათა თოვის“) — **„მოგონებები საქართველოს სსრ სახალხო მგოსან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს გალაკტიონ ტაბიძეზე“**. ამ მოგონებებში ბევრი რამ იქნებოდა ჩვენთვის ბუნდოვანი, რომ არა **ნანა კობალაძის** საკმაოდ ინტელექტუალური და მრავლისმთქმელი კომენტარები.

დაბოლოს, **ემზარ კვიციანიშვილის** ინტერტექსტუალური გამოკვლევა — **„პოსიედონის საუფლოში (ქალაქი წყალქვეშ)“** — „სადაც გემის, ხომალდის, ნავის ქრესტომათიული სიმბოლიკით, გალაკტიონის მისტიკური თვალსაწიერის გათვალისწინებითა და თვით მკვლევარის ლიტერატურული გემოვნებისა თუ ერუდიციის წყალობით მრავალმხრივ საინტერესო „პოეტური დინებები“ იკვეთება.

\* სიტყვა „გალაკტიონოლოგია VI“-ის განხილვაზე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში 2013 წლის 17 მარტს

ადა ნემსაძე

# „მოფიქრალი კაცის“ განცდები



გია კობახიძე

გია კობახიძის პოეტური კრებული „სიზმარში ნანახ სიზმარივით“ სასიამოვნო გაცდების განცდას უტოვებს მის მხატვრულ სამყაროში მოხვედრილ ადამიანს. ეს განცდა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემნაირი მკითხველისთვის, ჩემნაირ მკითხველში კი იმ ხალხს ვგულისხმობ, პოეტის სახელს ადვილად რომ ვერ არქმევს ყველას, ვინც ლექსის მწერლად ითვლება დღეს საქართველოში. ნიგნის პირველივე გვერდებიდან იგრძნობა, რომ პოეტისთვის სიტყვა, ფრაზა არ არის უბრალოდ აზრის ან განცდის გადმოსაცემი საშუალება, ის პირველ ყოვლისა მისი სულის გამოძახილია, ხან

ბედნიერებით განათებული, ხანაც უიმედობით და ტრაგიზმით სავსე, უაღრესად ტევადი და ღრმააზროვანი.

მე შევეცდები გამოვკვეთო რამდენიმე მოტივი მისი პოეზიისა, რამაც ჩემი ყურადღება მიიქცია. გია კობახიძეს ადარდებს სამშობლოს ბედი, მარადიულ საფიქრალად გადაქცევია სიყვარული, დღევანდელი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მოდად ქცეული რწმენის საკითხი, არ ასვენებს წინაპრებზე (საბა, გურამიშვილი...) და მათ მიერ დატოვებულ სულიერ კულტურაზე ფიქრი...

საუბარს დავიწყებ მამულის უსაზღვრო სიყვარულითა და, ამავე დროს, სევდითა და ტრაგიზმით აღსავსე ლექსებით. პოეტისთვის ყველა შეცდომა გულში ღრმა იარად აღბეჭდილია და აქედან გამომდინარეობს გულისწყვეტაც, „რომ ისევ ჯიუტად ვიმეორებთ ყველა შეცდომას“; ქვეყნის სიყვარული არც იმის დანახვაში უშლის ხელს, „შური და ბოლმა ღრუბელივით რომ თავზე გვადგას“, პირიქით, ეს ყველაფერი უფრო მტკივნეულად განიცდება სწორედ სიყვარულის გამო. ან თუნდაც ვუნოდოთ ამას სირცხვილის განცდა, მრავალჯერ თავს გადამხდარი და კვლავ განმეორებული სირცხვილისა... მის ლექსებში შეინიშნება ის დიდი სულიერი ტკივილიც, რაც არაერთ ქართველ მამულიშვილს აწვალებს და რასაც მამისმკვლეელი ერის შვილობა ჰქვია:

**არჩევანს მიჰყევ, მოფიქრალი კაცის წესია,  
გდია წინამურს, სადღაც ტყვიის მასრა ბერდანის,  
ვერ გავჩუმდები, როცა სინდისს შუბლში ესვრიან,  
არც მამისმკვლეელი საქართველო არ მწამს, ღმერთმანი!**

პატრიოტული ხაზის ლექსებში მნიშვნელოვანია ვალის შეგრძნება მამულისა და ღვთის წინაშე. ისინი ღრმა მოქალაქეობრივი შეგნებითაა დაწერილი. პოეტს კარგად ესმის სამშობლოს თხოვნა თუ მოთხოვნა მისი შვილებისადმი და იმა-

საც აღიარებს, რომ გმირობის ჩადენა დღეს საკმაოდ ძნელი საქმე გამხდარა. თუმცა არის, ერთი შეხედვით, თითქოს არც ისე რთულად შესასრულებელი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი მისია, რაც აუცილებელია გაითავისოს თითოეულმა მამულიშვილმა — შვილი მაინც გაზარდოს ნამდვილ ქართველად:

**მაშინ ჩათვალე, რომ ტყუილად არც შენ მოსულხარ  
შენი გულით და საკუთარი შენი სათქმელით.**

ქართულ პოეზიას სამშობლოს სიყვარულის გამოხატვის მდიდრული გამოცდილება აქვს. ჩვენ ცვრიან ბალახზე ფეხშიშველი გავლით გამოწვეული განცდაც ვიცით და ამ პატარა მიწის ნაგლეჯით რომ შემადრწუნებლად ხარ ბედნიერი, ისიც. ოთარ ქილაძე სამშობლოს სიყვარულს სამი საგნის — ვაზი, ჩუქურთმა და სალამური — ემოციური და გონისმიერი აღქმით გამოხატავს ლექსში „როდესაც ასე ახლოა გრემი“, გია კობახიძის ერთ უსათაურო ლექსში კი ქართული ნაციონალური იდენტობის გამომხატველ სახე-სიმბოლოებს შორისაა — ნაბადი, ჩოხა და თეჯა:

**ელრინებოდა ქოფაკივით მთიულურ ნაბადს  
სპარსული ჩალმა და უხეში რუსული ჩექმა.  
სამასმა წელმა გაირბინა ლანდივით სწრაფად,  
ღვარა სისხლი და რაც შეეძლო, ზარებიც რეკა,  
თავის ადგილზე დარჩა მაინც ქართული კაბა,  
თეთრი ჩოხა და საოცარი თუშური თეჯა.**

გია კობახიძეს საოცრად ლირიკული და ფაქიზი განცდის შემცველი ლექსების გვერდით აქვს მძაფრი სამოქალაქო პათოსით აღსავსე პოეტური ნიმუშებიც. მართლაც შეუძლებელია, თუ ნამდვილი ქართველი ხარ, არ აგაღელვოს შენი სამშობლოს ძნელბედობამ, მაგრამ როცა ამას ზედ ერთვის გამძაფრებული პოეტური განცდაც, ეს მით უფრო საგრძნობია. პოეტს ადარდებს, რომ ძალაუფლების ტახტზე უსამართლობა ზის, თუმცა მას ერთი წუთითაც არ ტოვებს ნათელი და ღირსეული მომავლის დაბრუნების რწმენა, დადგება დრო და:

**ღირსეულს ისევ დააფასებს ღირსების მქონე  
და დაბრუნდება შუბლზე ძარღვი და მკლავში — ღონე...  
...ბაგეზე ისევ დაბრუნდება ძველი ღიმილი,  
წამოგვახტუნებს მიწისა და სისხლის ყივილი,  
არცერთი კაცი არ იქნება ღალატის ღირსი,  
სიმართლეს ფასი დაედება და ეტყვი პირში...**

ამ ყველაფერთან ერთად, ამ საყოველთაო არეულობის, ქაოსის, უსამართლობის ჟამს ვერც კი წარმოიდგენ, რა პატარა სიხარულმა შეიძლება დაგამშვიდოს და მოგფინოს იმედის სხივი. ლექსში — „არის ეს ცხოვრება ასე მონყობილი“ — პოეტი დაპირისპირების ხერხის გამოყენებით ქმნის ორ ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსს. ერთ მხარესაა „ჭირი მკლავზე აცრად“, „ასი ბრძენის ნაცვლად ასი პრიმიტივი“, „შეგებულე-ბაში გასული“ კანონი (ეს ერთ-ერთი გამორჩეული მხატვრული სახეა, კონკრეტულ დროსა და სივრცეზე არაჩვეულებრივად მორგებული და ზუსტი — „კანონი ნებეირობს შეგებულებით“), მეორე მხარეს კი ამ ყველაფრის საპირწონედ გვევლინება მარტივი, ერთი შეხედვით, თითქოს არაფრისმთქმელი „ჩაი ორცხობილით“. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, ეს არ არის მარტივი და აზრობრივი არეალით ღარიბი მხატვრული სახე. ესაა ბედნიერი, სამართლიანი, მყუდრო ცხოვრების სიმბოლური გამოხატვა. დიახ, „ჩაი ორცხობილით“ სიმბოლოა და, როგორც სიმბოლოს შეფერვა, მას დიდი აზრობ-



რივი ველიც აქვს. ამ ერთ სახეში უთუოდ უნდა მოვიპოვოთ ყველა ის დადებითი მახასიათებელი, რაც ბედნიერ ცხოვრებას ქმნის და ამისათვის სულაც არ არის საჭირო მათი სათითაოდ ჩამოთვლა (როგორც ლევ ტოლსტოი ამბობს „ანა კარენინას“ დასაწყისში — „ყოველი ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს...“ ანუ ბედნიერება მარტივია):

**არის ეს ცხოვრება ასე მოწყობილი —  
შენ რომ მოგეწონა, სხვები იოცებენ,  
თურმე მარტო ჩვენ გვაქვს ჩაი ორცხოვნილით,  
თურმე უკეთესზე ვერც კი იოცნებებ.**

ჩემი საუბრის ეს ნაწილი მინდა დავასრულო ერთი პატარა და ძალიან საინტერესო ლექსით. ამ შემთხვევაშიც პროფესიონალი მკითხველის აღქმაში შემოვიდოდა ლექსის ალგორითული ფონი და იგი, ალბათ, ხაზს გაუსვამდა იმას, რომ კიტრი არის ამაყი და ამპარტავანი, ხოლო პომიდორი სირცხვილისაგან განთლებული პატიოსანი ადამიანის სახე, მაგრამ თვით ეს ერთსტროფიანი ლექსი ისეთი მსუბუქია, რომ მისი ასე დამძიმება მიზანშეწონილად აღარ მივიჩნევ:

**ქოფაკივით იყვება ავი ქარი,  
ეს ოხერი, აღარ დადგა ამინდები,  
ბოსტნის ბოლოს ისე მოსწონთ კიტრებს თავი,  
სირცხვილისგან წითლდებიან პამიდვრები.**

არ შეიძლება აღნიშვნის გარეშე დავტოვოთ კრებული მხატვრული გაფორმება, წიგნი აქა-იქ მიმოხეული ილუსტრაციებით, რომლებიც საინტერესოდ ერწყმის პოეტურ სათქმელს. განსაკუთრებით კი ერთი გვერდი იქცევა ყურადღებას, რაც წიგნის უბრალო გადაფურცვლისასაც კი ხვდება თვალში მკითხველს — შავ ფონზე თეთრად დაბეჭდილი ერთი ლექსი. შავ-თეთრის ოპოზიციას, სიკეთე-ბოროტების მარადიულ დაპირისპირებას აქ მისი გრაფიკული სახეც გამოკვეთს, ცნობიერებითა და მხედველობით ერთდროულად აღქმული მოვლენა უფრო დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე და სათქმელიც აქტუალობასა და მარადიულ ხასიათსაც წარმოაჩენს:

**შავი ნიშნავს კუპრს, ღამეს და ბნელს,  
თეთრი ნიშნავს სიხარულს და სიცილს,  
შავი საქმე შავს ატყვია ხელს,  
თეთრი ფიქრი თეთრ ღრუბლებში იცდის...**

მეორე, რაც ყურადღებას იქცევს, არის სიყვარულის საოცარი განცდა: განსაკუთრებით ნაზი და ფერადია ბატონი გიას სატრფიალო ლირიკა. აქ წვიმა ქალია, ფოთოლი — სატრფო და მათი სიყვარულის დაგვირგვინება ცისარტყელა — მამლის კუდი:

**ცისარტყელა მოჰგავს ბოლოს მამლის,  
ღამაზსა და ხელის გულზე სატარებს,  
ჩვენთან წვიმა ვერ იქნება მამრი,  
ქალია და ქალის სურნელს ატარებს.**

მოულოდნელად მოსული წვიმა მოულოდნელად მოსულ ქალსა ჰგავს, მასავით ღამაში და თბილია. აქ სევდაც კი გამჭვირვალე, ნაზი და ფერადია. სხვათა შორის, ბატონი გიას პოეტურ სამყაროში ქალია არამარტო წვიმა, არამედ ღიმილიც: „ღიმილი კაცსაც უხდება, მაგრამ ის მაინც ქალია“.

პატრიოტული ხაზის ლექსებისგან განსხვავებით, მხატვრულ სახეთა სიუხვე შეინიშნება ისეთ ლექსებში, სადაც პოეტური განცდა უფრო ნაზია და მგრძობიარე, ერთგვარი

გამჭვირვალობისა და სისადავის ბეჭედი აზის მის მეტაფორებსა და შედარებებს:

**მზე ღიღინებს თავისთვის,  
არსად არ ეჩქარება,  
ისევ ქარი თუ არხევს,  
ცაზე ღრუბლის ნარჩენებს,  
ტალღას აზის შუადღე  
და ცხენივით აჭენებს.**

ერთ დიდ ყოვლისმომცველ გრძობას წარმოადგენს სიყვარული, რომელიც მთავარია ამ სამყაროში არსებობისათვის. სიყვარული არის ის, რასაც ყოველწამიერად განიცდი, და ისიც, რასაც არა მხოლოდ აქ, ამ მიწაზე, არამედ ამქვეყნიდან წასვლის შემდეგაც კი იგრძობ:

**იცოდე, ქვეყნად სიყვარულია ყველაფრის დედა,  
დედა კი ცაშიც დედაა და დედამიწაზეც.**


სიყვარული თუ გაქვს, არაფერია შეუძლებელი, ამ გრძობით ყველაფერი მისაწვდომი ხდება, ყველაფერს სხვა ელფერი და შუქი ადგება, ის შემოდგომის ნაცრისფერ დღეებსაც კი აგიმწვანებს:

**ოქტომბრის ბოლოს დაგასველებს მაისის თქეში,  
თუ სიყვარულის ნაპერკკალი თითებს შეგახებს.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოეტური სახეები განსაკუთრებული სიუხვით გვხვდება სიყვარულის თემაზე შექმნილ ლექსებში. აქ პოეტის წარმოსახვა იძენს უამრავ ფერს, ნათდება კამკაშა და ელვარე შუქით, მეტაფორები თუ შედარებები ისე მოულოდნელად ჩნდება პოეტურ ქსოვილში, რომ თვალს ჭრის მათი სიმკვეთრე და მრავალფეროვნება.

საილუსტრაციოდ დავასახელებ რამდენიმეს: „მენატრები, როგორც ტრამალს წვიმა“, ან „ისევ გნატრობ, ვით ტრამალი წვიმას“; „არაფერს არ გთხოვ, / მოწყალების ნაფი ჩამისვი / და ზღვის ტალღებში / შენი გულის ძგერად გამიშვი“; „წვიმიან შუალამეში ნაკადულივით მესმოდი“; „გარბის დრო და შენც მწყემსივით მისდევ“; „და იმეორებს შენი გულის ძარღვების ქსელი / შენი ანბანის ასოების მოხაზულობას“...

ვისაც გია კობახიძის პოეტურ სამყაროში უმოგზაურია, დამერწმუნება, იქ ესთეტიკური ტკობისთვის ბევრ ასეთ მიზეზს იპოვოს.



თამარ სიღამონიძე

# ჟამი დიდი ტერორისა...

ბელადის დირექტივა: „ნანას კი არ უნდა ვეუბნებოდეთ პარტიას, — არამედ ვავითარებდეთ მასში სიფხიზლეს, კი არ უნდა მივაძინოთ, — არამედ ვიყოლიოთ საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში...“ ლავრენტი ბერიამ პროლოგად წაუშვებდა თავის სტატიას „გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები!“ რომელიც დაიბეჭდა 1936 წლის 19 აგვისტოს „პრავდაში“.

იდეოლოგიურმა ჯალათმა კარგად იცოდა სტრიქონებს შორის კითხვა და ბელადის მიერ პარტიული სიფხიზლისაკენ მონოდება ახალი არგუმენტებით გაამყარა: „სიფხიზლე იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ კომუნისტს მჭრელი თვალი ჰქონდეს და ცდილობდეს თავისი პარტიული თვალთ შიქრას ყველა კუთხესა და ჭუჭყრუტანაში...“ და თუ ესეც საკმარისი არ აღმოჩნდება, მამინ „პროლეტარიატის რეინის ქუსლით გავსრისოთ ქვეწარმავალნიო!“

\* \* \*

საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია (info@soviab.ge) :  
1937 წელი

\* ივნისი 02 — დაპატიმრეს ნიკოლო მინიშვილი (ნიკოლოზ სირბილაძე). ქართველი მწერლებიდან იგი პირველი გახლდათ. მისი დაპატიმრების მიზეზი, სავარაუდოდ, ბერიას პირადი მოთხოვნა იყო.

\* აგვისტო 14 — ციხეში ჩასვეს მიხეილ ჯავახიშვილი.

\* აგვისტო 15 — ეჟოვის ბრძანებამ ისედაც გადატენილ ციხეებში პატიმართა ახალი ნაკადი გამოიწვია. კონტრრევოლუციის ბრალდებით დაპატიმრებული ყველა მსჯავრდებულის მეუღლეს, გამოძიების გარეშე, 8 წლით ციმბირში ასახლებდნენ.

\* ოქტომბერი 08 — ტიცთან ტაბიძე მწერალთა კავშირიდან შემდეგი ბრალდებით გარიცხეს: „ტ. ტაბიძე რიგი წლების მანძილზე მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა უკვე გამოძევადებული ხალხის მტრებთან. მიუხედავად ამისა, არ ისურვავა ეთქვა სიმართლე და ბოლომდე განაგრძო თვალთმაქცობა“.

\* ოქტომბერი 09 — ტიცთან ტაბიძე დაპატიმრეს. მისი დაპატიმრების ფორმალური საბაზი ნიკოლო მინიშვილის, მიხეილ ჯავახიშვილისა და ლიდა გასვიანის ჩვენებები იყო. პოეტს, სხვათა მსგავსად, სასტიკად გაუსწორდნენ და გამოძიებისთვის სასურველ აღიარებაზე მოაწვინეს ხელი.

\* ოქტომბერი 30 — მ. ჯავახიშვილი დახვრიტეს. მწერლის სიტყვები განაჩენის გამოტანის შემდეგ: „მე უდანაშაულო ვარ !.. რადგან ზვარაკია საჭირო, მზად ვარ საქართველოს თავი შევწირო, თქვენ მე მომსპობთ, მაგრამ იმას ვერასოდეს წაშლით, რაც დავტოვე. საქართველოს მიწა-წყალზე ისეთი მუხა დავტოვე, რომლის ფესვებს ვერასოდეს აღმოფხვრით“.

\* დეკემბერი 15 — ტიცთან ტაბიძე დახვრიტეს.

\* \* \*

აპოკალიფსური ძვრების ჟამს საღად მოაზროვნე შემოქმედთა საქმიანობა სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობისათვის ბრძოლის ბიძგის მიმცემი ხდება. ისინი ქმნიდნენ ისტორიას, რომელიც მომავალი თაობა საკუთარი წარსულისა და მომავლის ანარეკლს ხედავდა.

1937 წლის რეპრესიების დროს „ცისფერყანწნელებს“ მთელი სისასტიკით გაუსწორდნენ, თუმცა მათ შემოქმედებას ვერაფერი დააკლეს...

იღვა ეპოქა დიდი ტერორისა...

ჩვენი ისტორიის სწორედ ეს მონაკვეთია ასახული ირაკლი ქასრაშვილის პიესაში „დიღემა“ („ჩვენი მწერლობა“, 2012, №19), რომლის კითხვისასაც გული გიმძიმდება. ძნელი არაა

მწერლის ჩანაფიქრის გახსნა. გასაღებს სათაური წარმოადგენს: „დიღემა“ — ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა; მსჯელობა ან დასკვნა, რომელიც შეიცავს ორ, ერთმანეთის გამომრიცხავ დებულებას, რომელთაგან ერთ-ერთის არჩევა აუცილებელია (იხ. მიხეილ ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1989).

ავტორი მოქმედებების აღწერისას მკითხველის მეგზურობას ესწრაფის... დიალოგები შთამბეჭდავია... ისტორიული ეპოქა არაადამიანური ქმედებებითა და შეფასებებით ამძიმებს სიუჟეტურ ხაზს:

„პირნავარდნილი ანტისაბჭოთა ელემენტი“... (ქობულოვი ტიცთანზე);

„ვინ როდის უნდა დავიჭიროთ, ამას მე ვწყვეტ“ (ბერიას სიტყვები);

„ჯერ თბილი ლოგინიდან — პირდაპირ „კარანტინში“, ორისამი დღე მშიერ-მწყურვალნი, „უბორნიის“ გარეშე, უჭაეროდ, მერე მათრახით და ჩექმებით დამუშავება კაბინეტში და აღიარებაც მზადაა“ (ქობულოვი ბერიას).

„მარქსიზმი გვასწავლის, რომ მარადიული ჭეშმარიტება არ არსებობს, თითოეული დრო თავის საკუთარ სიმართლეს ქმნის“ (ბერია ტიცთანს).

ქეფიც კონტრრევოლუციურია! პოეტი „სტუკაჩია“... „მოლაღატეა“ ოჯახის წევრები „ЧСИР“-ები (ქვეყნის მოლაღატის ოჯახის წევრთა რუსული აბრევიატურა)...

პიესის ავტორი განსაკუთრებული სისასტიკით გადმოგვცემს მიხეილ ჯავახიშვილის წამებას:

„ქობულოვი — აი, იმ მწერალმა, ჯავახიშვილმა, ძალიან გამანვალა, მაგრამ ერთი მთელი კვირა ფეხზე მყავდა დაყენებული უძილოდ და მერე ძვალ-რბილი რომ გავუერთიანე მათრახით, აჭიკჭიკდა. „Сразу свои преступные связи выложил, сволохь“.

ბერია — ჰო, თან სხეულის ყველა ნაწილიდან სისხლი სდიოდა.

ქობულოვი — ისე დამისვარა კაბინეტი, მთელი დღე დაჭირდა განმენდას“.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისიის მოადგილე ბოგდან (ბახჩო) ქობულოვი ადამიანის მსგავსი არსებაა, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი ადამიანური: „რა მომენტი მიყვარს იცით, გამოაშკარავებულ მოლაღატეს დროვის ცხენივით რომ გადავკრავ მათრახს და ტკივილისგან რომ აბლაღვდება. ზოგი გამოძიებული ამ დროს პირს უკრავს პატიმარს, ყვორილმა არ შემანუხოსო. მე კიდევ, რაც უფრო ხმამაღლა ღრიალებს, ის მიჩვენია. ასე მგონია, მთელი მავათი კონტრრევოლუციური შიგანი გამოდის გარეთ“.

1937-1938 წლების ტოტალიტარიზმი ანადგურებდა და ნთქავდა ყველაფერს. ქვეყანა, რომელიც „სოციალისტური სამოთხის“ კარიბჭესთან იდგა, მოიცვა საყოველთაო ბოროტებამ, დაპატიმრება-გადასახლებამ, ანგარიშსწორებამ, შემზარავმა მკვლევლობებმა.

რეპრესიებმა უმძიმესი კვალი დააჩნია ქართულ ინტელექტუალურ ელიტას, ნადგურდებოდა ქართული სული და ნაციონალური ხასიათი.

ამ ჯოჯოხეთმა ფართო ასახვა ჰპოვა ქართულ მხატვრულ შემოქმედებაში. სტალინის თემას ბევრი ქართველი მწერალი შეეხო. „ბელადის“ ფენომენი სხვადასხვა კუთხით წარმოჩინდა. იყო მორალური კომპრომისებიც სახობტო პოეზიის ნიმუშების სახით: ვალერიან გაფრინდაშვილის „ოცნება ბელადზე“, შალვა აფხაიძის „სტალინი“, ალიო მამაშვილის „სამშობლო ბელადისა“, ილიო მოსამვილის „ბელადს“, კონსტანტინე ჭიჭინაძის „სტალინისადმი“ ...

ამონარიდი პიესიდან:

„ბერია — (მკაცრად)... „რევოლუცია და პოეტები“ რომ შეთხზე ოცდაერთ წელს, იქაც ისე აურიე ერთმანეთში დღევანდლობა და წარსული, დანტე, გოეთე და ბაირონი პუშკინთან და ილია ჭავჭავაძესთან, რომ კაცი ვერ მიხვდება, მართლა უჭერდი მხარს საქართველოს გასაბჭოებას თუ გვატყუებდი.“

ქრონოლოგიური საწყისი პიესისა მწერალთა კავშირიდან ტიცინა ტაბიძის გარიცხვის მეორე დღეა, 1937 წლის 9 ოქტომბერი, დღის 12 საათი. ამ თარიღის გამოცხადება გალაკტიონის ლექსი მოხმობილი პიესის ავტორის მიერ ეპიგრაფად:

**ელვარე და ლომფერი  
იყო ცხრა ოქტომბერი.**

და დროის ათვლა მხოლოდ 12 საათს მოიცავს. პიესის დასასრულს კი სიგნალის ხმაა. ავტომობილი უკვე ეზოშია. თორმეტი ხდება...

„სულ ესაა ცხოვრება? — აღმოხდება ტიცინას, — ახლა ჩემი ორმოცდახუთი წლიდან რამდენიმე ეპიზოდია მასხენდება — მდინარეზე ბანაობა ბავშვობაში, მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლა, ჩვენი ქორწილი და ნიტას დაბადება, „ცისფერყანწელთა ორდენი“ და პაოლოსთან მეგობრობა, პასტერნაკის ჩამოსვლა, ჩემი ლექსები... (ჩაფიქრდება) არცთუ ცოტა ყოფილა...“

და იქვე:

„რა ვქნა, ნინო, ვერ შევძელი. ვერ გავცვალე პაოლო, თუნდაც მკვდარი, საკუთარ თავში და ღირსებასაც ვერაფრით გადავბიჯე. ვერ ვაიძულე თავი“.

სულისშემძვრელია ღირსებააყრილთა და სულჩანხილულთა აღსარებანი...

რა იყო მიზეზი? იდეოლოგიური წნეხი თუ ჭეშმარიტი იდეის არსებობა? ტოტალიტარულ საზოგადოებაში ხომ ძალიან რთულია მტყუან-მართლის გარჩევა. ამ საზარელ ქაოსში ღმერთიც არსად ჩანს, ნუთუ მოკვდა?

თუ გულდასმით მიყვებით პიესის ტექსტს, მრავალჯერ აღმოჩნდება უღმერთობისა და უკანონობის სისასტიკესთან პირისპირ... ტერორმა და რეპრესიებმა გააჩანაგა ადამიანთა ღირსება. ქართული ინტელიგენცია იყო ერთადერთი ძალა, რომელსაც უნდა განესაზღვრა საქართველოს მომავლის ორიენტირები სისტემის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეროვნულმა სულმა საკრალური მნიშვნელობა შეიძინა.

როდესაც პაოლო იაშვილი, ტიცინა ტაბიძე და მათი მეგობრები მოვიდნენ ქართულ მწერლობაში, ირგვლივ ყველაფერი თითქმის ქარიშხლისწინა დაძაბული დუმილით, მომავალი რღვევისა და გარდატეხის მღელვარე წინათგრძნობით იყო გამსჭვალული. ცისფერყანწელები დამოუკიდებელ საქართველოზე ოცნებობდნენ... ოცნება ოცნებად რჩებოდა...

კვლავ ირაკლი ქასრაშვილის „დიღემას“ მივუბრუნდეთ. მესამე სცენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანია სიუჟეტის განვითარებაში. ყურადღებას იპყრობს ბერიას სიტყვები, რომელთაც იგი ტიცინას მისამართით იყენებს: „საიდან მოიტანეთ ეს იტალიური და ფრანგული სახელები? პიჯაკში გაჩრილი მიხაკები? ან სიმბოლიზმი და დეკადენტობა? პოზიორობაა ეს და მეტი არაფერი. პროლეტარიატისთვის უცხო და უსარგებლო ფორმალიზმი... უფრო მეტიც — ჩვენი ლიტერატურისა და ხალხისთვის მტრული მიმდინარეობა“. შემდეგ აგრძელებს მენტორული ტონით: „ვერ მოეშვით რა, ამ არღნის, ტივის, ყანწის, ღვინის, ქეიფის და დარდიმანდობის ტრფილის. წარსულში ხართ დარჩენილები, ტაბიძე, წარსულში. ველარ მიხვდით, რომ სხვა დრო დადგა და ვინც ფეხს ვერ აუწყობს კომუნისტურ მშენებლობას, ჩამორჩება და ნაცარტუტად იქცევა“.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ბერიამ ზეპირად იცის ტიცინას პოეზია. ალბათ, ჭეშმარიტი პოეტური ქმნილებების შეფასებისას ალღო არ ღალატობს, გრძნობს მათ მარადიულობას. პიესაში ის ზეპირად წარმოთქვამს სტრიქონებს:

**გარჩენილი ვარ ქვებზე კალმახი და ახელი მაქვს ლაყუნები,  
შემართულია ფეხზე ჩახმახი და უსიკვდილოდ ვერ გადვურჩები.**

რაზედაც ქობულოვი ირონიულად პასუხობს, რომ ხალხის მტრებისთვის ლაყუნების ახევა კარგად ეხერხებათ.

\* \* \*

„შენ ღმერთი გნამს, ტაბიძე?“  
პირველად სწორედ ასე გაიძვრება უზენაესის სახელი პიესაში. ეს კითხვა დაუსვეს სასიკვდილოდ განწირულ ადამიანს, რომელსაც ხვალისდელი დღე არ ეიმედება. აქვს კი შემორჩენილი რწმენა სასიკვდილოდ განწირულ ადამიანს მოჯადოებულ წრეში?

„ადრე, როცა გნამდა, ლოცულობდი?“  
„იმედი გაგიცრუა ღმერთმა?“  
„ველარ გშველის?“  
„აბა, მითხარი, სად არის ის? ცაშია, მინისქვეშ თუ წყალში?“

— კითხვების კორიანტელი თრგუნავს მკითხველს. თითქოს ჩვენც იმ ურწმუნოების მონაწილე ვხდებით. ტიცინას შერყეული რწმენის ხვეულებში ავტორს უსასტიკესი ეპიზოდით შევყავართ. პიესაში ბერია პოეტს სტალინის სურათის წინ დაჩოქებას სთხოვს, უკაცრავად, მაგრამ უფრო მოითხოვს ამას! მანამდე კი კითხვით მიმართავს ტიცინას:

„მე, მაგალითად, აქვე შემოძლია შენი სიცოცხლისა და სიკვდილის ამბავი გადავწყვიტო. რით არა ვარ ღმერთი შენთვის?“

შესაშურია ავტორის გადაწყვეტილება — შესანიშნავი გამოსავალი აურჩევია შექმნილი სიტუაციიდან:

„ტიციანი — უკეთესია, პირდაპირ თუ მივმართავ ამხანაგ სტალინს. ხატებზე გარდაცვლილები არიან გამოსახული, ის კი ცოცხალია“.

სცენა 10...

ერთმანეთს ხვდებიან ძველი მეგობრები... მაგრამ ეს შესვედრა განსხვავებულია. მრავლისმეტყველია პაოლოს აჩრდილის სიტყვები ტიცინას სახლში გამოცხადების შემდეგ:

„მე აქ ვარ, ვიდრე შენ გჯერა ამის. იქნებ არც ვარ და მხოლოდ გეჩვენები? (ტიციანი ისევ ნამოდგება და პაოლოსკენ ნავა) არ მომეკარო, თორემ გაეჭვება“.

ტიციანმა იცის, რომ თავის მოკვლა ცოცხალია. სწუხს, რომ პაოლომ ეს ჩაიდინა და ამის გამო სამოთხეში ვერ მოხვდება. თავის საქციელს ნანობს... „არ უნდა მეთქვა, რაც იმ სხდომაზე ვთქვი შენზე“...

„მე შენ ვერ განგსჯი. მითუმეტეს, ახლა“, — ვკითხულობთ პიესაში.

ამაღელვებლად გადმოგვცემს ირაკლი ქასრაშვილი ტიცინას სულის ფორიაქს. გადამდება მისი სულიერი განწყობა: ხშირად — რწმენის, ზოგჯერ — ურწმუნოების.

პაოლოს აჩრდილის გამოცხადებაც სიმბოლურია...

ტიციანისთვის ეს სულის მოთქმაა, წყურვილის მოკვლაა, სამის ტყუპთან შეხვედრაა, თუმცა სხვა განზომილებაში. კითხვები კითხვებად რჩება, პასუხგაუცემელი კითხვები მოსვენებას უკარგავს ტიცინას...

\* \* \*

წლების შემდეგ გურამ ასათიანი დანერს:

„არა მხოლოდ ელვარე ნიჭის გამო, მე პაოლო იაშვილი იმ საბედისწერო გასროლისთვის მიყვარს, რადგან მისი ორლულიანი თოფიდან გამოვარდნილმა ცეცხლმა სიცოცხლეს აზრი მისცა, ღირსება შემატა და ჩვენ, მომდევნო თაობებსაც, შეგვიტრუსა წამწამები, არ მოგვასვენა და ჩვენს არჩევანზე, ამ სოფლად ადამიანად ყოფნის, ადამიანად დარჩენის უძნელეს აუცილებლობაზე დაგვაფიქრა“.

ფიქრობ, ირაკლი ქასრაშვილის პიესამ კიდევ ერთხელ უნდა დააფიქროს მკითხველი.

**P. S.** მრავლისმეტყველთა მხატვარ გეგა პაქსაშვილის ორიგინალური სურათი, რომელიც ორგანულად ერწყმის პიესის განწყობას საბჭოთა კავშირის აღმნიშვნელ აბრევიატურაზე მაცხოვრებით გაკრული მომაკვდავი ადამიანი უკანასკნელ წამებს ითვლის. ისიც და აბრევიატურაც მიზანშია ამოღებული. სურათის სრული ფონიდან ბერია სახე გვიმზერს. ის თითქოს დასაკითხ საკანშია — უსასრულობასთან პირისპირ. ხის მაგიდაზე, წინა პლანზე, უსანთლო შანდალია, რომელშიც წვეთ-წვეთად ჩაედინება ცვილისა თუ სისხლის წვეთები. სურათი თითქოს ხატივით ტირის და ამით კათარზისის მოლოდინის ეფექტს ქმნის.

გივი ალხაზიშვილი

დღიური

25 სექტემბერი

საზღვრები გაუხსნეს სამხრეთ ოსებს ჩრდილოეთიდან. ცოდოა ეს მცირერიცხოვანი ხალხი, უკეთ რომ იცხოვრონ, რუსეთთან მიმოსვლა უფიზო უნდა იყოსო და პუტინის განკარგულებით საზღვრები გაუხსნეს ჩრდილოეთისკენ. საკითხავია საზღვრები ოსებს გაუხსნეს თუ რუსებს საქართველოს ტერიტორიებისკენ. აქაც უმცირესობაში მოაქცევენ ოსებს და თვითონ იქნებიან უმრავლესობა. ეს გახლავთ სანიშნუი ზრუნვა ოსურ და აფხაზურ ეთნოსზე: გადაგარჩენ უმცირესობაში.

\*\*\*

ორჭოსანთან ამაზრზენი ინციდენტი მოხდა. მთავარი გზიდან ერთ კილომეტრში გაძარცვეს ჟურნალისტები, წაართვეს ტელეფონები და ფული. გზის მშენებლებს, ავტობანის აღდგენით სამუშაოებს რომ ასრულებდნენ, დაუცხრილეს მანქანები, ექსკავატორები, ისინიც მიწაზე დააწვინეს და რაც კი ჰქონდათ წაართვეს.

ეს ის ბუფერია, რუსს რომ ვერ გააგებინეს, აქ ბუფერი არ წერიაო. რუსმა: მე ბუფერს ვკითხულობ და ბუფერი იქნება, მეტს ნუ ვიკამათებთო. ცხინვალში ვინ გაიგო ასე ოპერატიულად, ტრასაზე რომ ხალხი მუშაობდა და კარიერზეც გამოჩნდნენ ადამიანები? ცხადია, ახლორე სოფლიდან ან იქნებ, სულაც ორჭოსანიდან მისცეს “ნაკოლი” და გააძარცვივნეს ხალხი. ყველა შარავზის ყაჩაღი ჩვენ დაგვხვია, სისხლს გვწოვენ, გვანადგურებენ.

\*\*\*

ფვიქრობ, კარგი საქმე კეთდება წეროვანსა და შავშვებში, სოფლებს აშენებენ ლიხვის ხეობიდან გამოდევნილი ოჯახებისთვის. ერსართულიანი შენობებია, ორი ოთახითა და სამზარეულოთი.

ავეჯითაც გაუწყობს მთავრობა, როგორც ითქვა. წეროვანში ათასი მეტრი მიწის ნაკვეთი ექნება ყოველ მოსახლეს, ხოლო შავშვებში ექვსასი. ასე ამბობენ, ვნახოთ. ამ პატარა ნაკვეთებით ისინი თავს ვერ ირჩენენ, თუ სხვა რამ საქმე არ გაჩინეს. ითქვა, რომ ასეთი მრავალი სოფელი აშენდება. ის, რაც დაიწყეს, როგორც ამბობენ ნოემბრის შუარიცხვებში დასრულდება. რომ არ ეთქვათ, ისედაც ნათელია, გიორგობისთვის რომ დაამთხვევდნენ.

საქმე გაკეთდეს და ეს განვალებული ადამიანები შევიდოდნენ თავიანთ ახალ სახლებში და ვინც უნდა იმან მიიწეროს და როცა უნდათ მაშინ აღნიშნონ. ვხვდები რომ ნაკვეთები არ იქნება საკმარისი და ეს კეთილი საქმე სანახევროდ არ აღმოჩნდეს გაკეთებული.

26 სექტემბერი

რუსეთმა კავკასიონი გადმოლახა და შიდა ქართლში გაავლო თავის საზღვარი, მას შემდეგ, რაც ხუთდღიანი ომის შედეგები “დააკანონა” და ე.წ. ს.ო. მიუერთა რუსეთის ფედერაციას.

ლუშკოვის რიტორიკა, როგორ შეიძლება ქედი ჰყოფდეს ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთს, რომ ისტორიული სამართლიანობა აღდგა, მწარე ლიმილს იწვევს. მათი ისტორია ტრაქტატის პერიოდს გულისხმობს და თვლიან, რომ მაშინდელი საზღვრები უნდა აღდგეს.

ორასი კი არა ასი წლის წინათაც არ არსებობდა ე.წ. ს.ო. უბრალო მიზეზის გამო, შიდა ქართლში კანტიკუნტად ცხოვრობდნენ ოსები. თუმცა ამას რაღა აზრი აქვს. ვისაც ძალა აქვს ისაა მართალი. აკაკის გადმოქართულებული “მგელი და კრავი” მახ-

სენდება. ტყუილად საუბრობენ სამართლიანობის პრინციპებზე. დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც, სამხრეთშიც და ჩრდილოეთშიც “ძალა აღმართს ხნავს”. საომარ რიტორიკას თუ არ შევეშვით და ბირთვული წონასწორობის ეპოქაში თუ ისევ შუასაუკუნეების გამარჯვებებზე ვიქენით ორიენტირებულნი და არა გონივრულობაზე, ნაცვლად ფასადური თავმომწონეობისა და შოუმენური ონანიზმისა, არაფერი გამოგვივა.

გიორგობისთვე დიდებულია, ბრწყინვალეა გიორგობის დღესასწაული, მაგრამ რა საჭიროა ყოველი გიორგობა იყოს უკიდურესად პომპეზური, დადგმული, ტყუილ-მართლის ნახავი, მეტადრე დაკარგული მხარეების უმტკივნეულეს ფონზე. გაბმული გლოვისკენ არავის მოვუნოდებ, მაგრამ დაფიქრებისკენ და გონიერებისკენ დროა დრო მაინც გავიხედოთ.

არაა სახელმწიფო გაბმული დღესასწაული და არც გაბმული ფიქცია. ფიქციის ლიმიტიც მთავრდება და შემცველიც იკვეთება ახალი მარცხით და გამარჯვებით, ფიქციის მორიგი ლიმიტით და მორიგი აბსურდებით, ალბათ დოზირებული სიკეთითაც. ისინიც გამოცდიან ხალხის გამძლეობას და ამასობაში, შესაძლოა ჩვენმა პოლიტიკოსებმაც რამე ისწავლონ.

ახლოვდება სოხუმის დაცემის დღე, უმძიმესი გასახსენებელი დღე! ვინ დაარქვა სოხუმის დაცემის და არა აფხაზეთის ოკუპაციის დღე? საბოლოოდ გააფორმა რუსეთმა?!

27 სექტემბერი

დღეს უმძიმესი დღეა, განსაკუთრებით აფხაზეთიდან დევნილთათვის და რა თქმა უნდა ნებისმიერი ჩვენგანისთვის. გამახსენდა ის სამინელი დღეები, როცა საკენი-ჭუბერის გზით, ზღვით – ფოთიდან, მცირე ნაწილი ენგურის ხიდის გავლით მოინგდნენ აქეთ, ჩვენკენ, სადაც დაედგომებოდათ და ეიმედებოდათ თავიანთი სახლებიდან გამოდევნილებს, მიწაწყალწართმეულებს, დამცირებულებსა და სიკვდილგამოვლილებს. დევნილთა სამასათასიანი დინება ნაკადებად დამლილი - აჩქარებული შეერთვოდა დანარჩენ საქართველოს, სადაც მათ განასახლებდნენ სასტუმროებსა და ტურბაზებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, საავადმყოფოებსა და საბავშვო ბალებში, ყოფილ პროფტექნიკუმებსა თუ ვინ იცის, სად აღარ...

წლების მერე სახელმწიფო დაიწყებს მათ გამოდევნას იმ შენობებიდან, სამრევატიზაციოდ რომ შეიგულა. ცოდვის კითხვა იყო დევნილების ხელმეორედ განდევნა. არ ღირს ამ უბედურების გახსენება და არც მენტალიტეტზე ფორსირებული შეტევის ავტორების ხსენება. ეს მოიერიშე ქორები, ისე ექცვიან ხალხს, როგორც საექსპერიმენტო არსებათა მთლიანობას. ექჩარებათ წინა თაობების გასტუმრება, ექჩარებათ ღირებულებათა სრული ჩანაცვლება. წამოცდა კიდევ “ჩარეცხილები”-ო და მოგვიანებით მოინდომა ვითარების გამოსწორება, მაგრამ უშედეგოდ.

უცნაური იდეოლოგია აქვს სამთავრობო არსს “რუსთავი” 2-ს, მშვიდობიან დროს ჯეო-ბარი, ქართული მასკულტურის ყავლგასული ტიპები, “თითო-ოროლა პროპაგანდისტი მწერლუკა,” როგორც ხელისუფლების ლიბერალურ ღირებულებათა ერთგულების დასტური, ხოლო ომის დროს პატრიოტულ თემებზე შექმნილი ძველი ფილმები და ლადო ასათიანის პატრიოტული ლექსები.

ომში განცდილი მარცხის განსაქარვებელი კონცერტი პარლამენტის წინ, თითქოს გამარჯვებულის თამაში, რომელსაც სიმბოლურად დაემთხვა ცხონებული ვახუშტი კოტეტიშვილის ქაშვეთიდან გამოსვენება და სეფაშვილის მქუხარე სიმღერა რუსთაველის მეორე მხარეს. ეს ყველაფერი სინქრონულად ხდებოდა.

დღეს 27 სექტემბერია. მიმძიმს, მაგრამ უნდა ვაღიარო, ჩვენი შეცდომების უწყვეტელი ჯაჭვი დღეისათვის ისე დაგრძელდა, რომ ცხინვალის ამბების შემდეგ გაორმაგდა, გასამმაგდა. ერთი წლის წინათ ნოემბრის მოვლენებისას ჩაეყარა საფუძველი დღევანდელ სინამდვილეს. ხოლო მანამდელი სინამდვილე თაბუკამ-

\* დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ № 9, 10, 11

ვილის ქუჩაზე მრავალსართულიანი სახლიდან გამოძევებული ადამიანებით და წართმეული საკუთრებებით შეკონინდა და კიდევ ვითომგამოძიებული, გახმაურებული მკვლელობებით, ნულოვანი ტოლერანტობით და გაუქმებული ჯიბის სასამართლოთი.

ნუთუ არ დადგა დრო დაფიქრების, განვლილი გზის გაანალიზების, სამხედრო დოქტრინის გადახედვის, დარჩენილი ქვეყნის მოვლა-პატრონობის. მე დავილაღე პოლიტიკური პიარშიკებითა და შოუმენებით. ჩვენი ცხოვრება დაემგვანა გაბმულ თოქ-შოუს, სიგიჟედდ მისული მოკამათები ღრიალებენ, ერთმანეთს სიტყვის თქმას არ აცლიან, არ უსმენენ. ფიქრის დრო ვილაცამ მოპარა ადამიანებს. ჩვენ უნდა გვიხაროდეს მარცხი უთანასწორო ომში, რადგან ყველა გაზეთსა და ტელეარხზე ჩვენზე იყო საუბარი, მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოვხვდით, ამდენი არასოდეს ულაპარაკიათ საქართველოზე, ამდენი პრეზიდენტი და მაღალი რანგის პოლიტიკოსი არ ჩამოსულა საქართველოში, ამდენი მხარდამჭერი არასოდეს გვეყოლია, არც მაშინ სოხუმის დაცემისას და არც არასოდეს.

ასეთ დროს განა შეიძლება გულისამრევი ტრამპზი და კლოუნადა?! ვინ გააჩერებს მთავარ კლოუნს?  
დღეს 27 სექტემბერია.

**28 სექტემბერი**

- გავიდააა რუსიიი?
- არააა!

მაჩაბელი შებრუნდა სახლში, ფანჯარა მიხურა და დილის ლოცვას შეუდგა. მეცნარამეტე საუკუნის მესამე წელი იდგა და მაჩაბელის თხოვნა ღვთისადმი უაღრესად მარტივი და სამართლიანი იყო: ღმერთო, ისე ნუ მომკლავ, ჩვენი ქვეყნიდან რუსების გასვლას რომ არ მოვესწრო.

\*\*\*

ბიბისისთან ინტერვიუში, გუშინ სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროკავშირში ინტეგრაციას უფრო ეთანხმება, ვიდრე ნატოსთან მიერთებას, რასაც ასე აპროტესტებს რუსეთი. “ჩვენ რუსეთს ტანკებით ვერასოდეს ვაჯობებთ”, – “მაგრამ ჩვენ შეგვიძლია პრინციპებში შევეჯიბროთ”.

ასეთ განცხადებებს, რომ ვისმენ პრეზიდენტისგან, მიჩნდება იგივე შეკითხვა: რატომ წამოვეგეთ პროვოკაციას, ადრეც ხომ იბომბებოდა ქართული სოფლები, მაგრამ შეჭრისგან თავს იკავებდა ქართული მხარე?! ისე, კაცმა რომ თქვას, სად შეჭრისგან? ცხინვალში რა ესაქმებოდა რუსს? მართლაც გასაბრაზებელია, მაგრამ ხომ ხედავთ რა მოჰყვა იერიშს?

ევროკავშირში ინტეგრაცია, ნატოსთან მიერთების სანაცვლოდ, სრულიად ახალი ამბავია.

რუსეთს, მთელი ევროპა ანგარიშს უწევს და არა მარტო ევროპა.

როგორმე უნდა დავესხლტეთ ამ მინოტავრს. ევროკავშირთან ინტეგრაცია უფრო მოხერხებული გზაა მშვიდობის მოსაპოვებლად. არ ვიცი, ისურვებს თუ არა ევროპა ჩვენთან ინტეგრირებას. არცთუ დიდი ხნის წინათ, ევროკავშირმა უკრაინას შესთავაზა ასოცირებული წევრობა.

რუსეთს სძულს აშშ, მასზე ძლიერი, მდიდარი და მსოფლიო პოლიტიკაში მთავარი მოთამაშე, ეზიზღება ნატო, არც ევროკავშირითაა მოხიბლული, მაგრამ ურჩევნია მასთან ურთიერთობა, ვიდრე აშშ-სთან და ნატოსთან, თუნდაც იმიტომ, რომ ევროპელები მისი ენერგო-პარტნიორები არიან და მათზე არიან დამოკიდებულები, ამიტომაც მათგან არასასურველ სურპრიზებს არ მოელოს, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში დესტრუქციულ ზემოქმედებასაც არ მოერიდება.

**29 სექტემბერი**

მშენიერი შემოდგომის დღე გათენდა. გამოიდარა გაბმული წვიმების მერე. ჩემს უბანში მომრავლდნენ მანქანები, ერთმანეთისგან შორი-ახლოს რომ დგანან და ხილსა და ბოსტნენ-

ულს ყიდიან. უკვე ვიცნობ ვინ რომელია. ქიწინიდან, ფხვინიდან, ვარიანიდან ჩამოსული გლეხები ვაჭრობენ და თან ე.წ. ბუფერის ამბებს ყვებიან.

გამიკვირდა, რომ მიხარია მათი აქ გამოჩენა, საკუთარი ქვეყნის დედაქალაქში რომ შეუძლიათ ჩამოღწევა და საკუთარი ბალ-ბოსტნის ჭირნახულის თავისუფლად გაყიდვა.

იქაურ ამბებს ვეკითხები. შარავზის ყაჩაღები ისევ დათარეშობენ ბუფერულ ზონაში.

აი, რატომ ამოიკითხა რუსმა “ბუფერიული ზონები”, სარკოზი და კუშნერი, ექვსპუნტტიანი ხელშეკრულების ავტორები უხსნიდნენ მოსკოვს, არავითარი ბუფერი არ წერიაო და ესენი კიდევ, როგორ, ჩვენ ბუფერი წავიკითხეთო. გაიტანეს კიდევ თავისი და აი, შედეგიც.

რაც ჩაიფიქრეს შეასრულეს. ათარეშეს ოსები და კაზაკები, მისცეს საშლიგინო სივრცე და მათი გულიც მოიგეს. სხვა დროს რომ დასჭირდებოდა “ოპოლჩენცები”, უფრო სწორად ბანდები, ხომ უნდა ჰყავდეთ კმაყოფილები, მერე რომ გამოიყენონ?! ამნიოკებელთა ინსტიტუტი რუსებმა კარგახნის წინათ ჩამოაყალიბეს და გამოიყენეს კიდევ აფხაზეთის ოკუპაციისას - რეგულარულ ჯართან ერთად, ახლა კი ცხინვალის რეგიონში დაუფარავად მოქმედებდნენ.

მაინც არ უნდა წამოვეგებოდით პროვოკაციას. თუმცა, ვინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ე.წ. ცრუ სამშვიდობო რეჟიმი აფხაზეთსა და ცხინვალში?! ოკუპანტების ხელში ჩვენი თავდასხმის ფაქტი ცხინვალზე, აგრესორების ერთგვარ, გამამართლებელ საბუთად იქცა.

რუსული პროპაგანდა ასე იყენებს და დასავლეთში ჩვენი მოკეთებებიც შეცდომად თვლიან ომის მეშვეობით კონფლიქტის გადაწყვეტის მცდელობას.

\*\*\*

უკვე რამდენი დღეა, არავინ იცის, შიდა ქართლის სოფლებში, ბუფერულ ზონაში, ცხინვალის რეგიონიდან ჩამოჰყავთ მანქანებით ქალები, მოზარდები, კაცები და შეიარაღებული დაცვის თანხლებით, რუსების მიერ დათმობილ ტერიტორიებზე, ქართლის ბაღებში დაღამებამდე კრეფენ ხილს, უმთავრესად ვაშლს, აწყობენ ხის ყუთებში და ეზიდებიან ცხინვალისკენ. შარავზის ყაჩაღები ლაღად აგრძელებენ მამა-პაპის ხელობას და უკანმოუხედავად ძარცვავენ იქაურ გადამწვარ სოფლებს. ადრე დაუმარხავ მკვდრებსაც ხდიდნენ სამოსელს და ფეხსაცმელს. ახლა, როცა მიცვალებულებს მიწა აღირსეს და იქ ვერანირ სარგებელს ვეღარ იპოვიდნენ, ადგნენ და ქართლის ბაღებს შეესივნენ. ვაშლს კრეფენ და ამზადებენო, ერთმა გლეხმა მითხრა. დამზადება ჰქვია დაკრეფას და ყუთებში ჩაწყობას, მასალებად გამზადებას. როცა ყაჩაღების ცოლები, დები, ქალიშვილები ხილს იპარავენ და ამზადებენ, მათი ქმრები, მამები, ძმები დაძინიან მიტოვებულ და განადგურებულ სოფლებში და კარ-ფანჯრიდან დაწყებული, ღობის ბადით დამთავრებული ყველაფერს იპარავენ. რისი წაღებაც არ შეუძლიათ წვავენ ან ავტომატის ჯერით ცხრილავენ. ომი უმრავლესობას ასასტიკებს და ადამიანობას აკარგვინებს. მებრალეა ყველა მათგანი, ვინც მკვლელად და ყაჩაღად იქცა, რადგანაც მათი ხვედრი მძიმე და უმომავლო იქნება.

\*\*\*

ხელთუბნელ ცოლ-ქმარს შევხვდი, იქაური ამბები გამოვიკითხე. კაცი გვარად იჩქითი აღმოჩნდა, ცოლი კი ოსი ჰყოლია. თქვა ის, რაც მე ვიცოდი: ოსებს და ქართველებს თანაცხოვრებისა და ურთიერთობის პრობლემა არა ჰქონია. ეს კონფლიქტი გამოგონილია. ახლა რაღა აზრი აქვს ჩემს ან მათ საუბარს. რუსმა საკმარისზე მეტად “იღვანა”, აქაურობისა და აფხაზეთის მისატაცებლად, ჩვენ კი ახლომხედველები და უგონოდ ფიცხები აღმოჩნდით და ძალაუწებურად მათ ნისქვილზე ვასხამდით წყალს 1989 წლიდან აგვისტოს კონფლიქტის ჩათვლით.

რუსები არაფერს აშავებენ, თავისით დგანან, აი, ოსები კი დათარეშობენ და მაროდორობენო. ავუხსენი, რომ იქ რუსების დგომა უკვე დანაშაულია, რადგან ისინი აგრესორები არიან. რომ არა რუსული საგუშაგოები, აქ ჩვენი პოლიცია განლაგდებოდა და მაროდორობაც აღარ იქნებოდა, მაგრამ ქართულ პოლიციას რუსები არ უშვებენ. ბევრი ვერაფერი გაიგო ჩემი საუბრიდან. თუმცა ამ გლეხის რა მიკვირს, როცა მასწავლებელი ქალი შემხვდა და იგივე მითხრა: რუსები არაფერს აშავებენ, აი, ოსები კი დათარეშობენო.

უფრო მეტიც, სანდო წყაროდან ვიცი, რომ ერთი გორელი მწერალი მთელი სერიოზულობით აცხადებდა: ეს რა მაგარი კაცი ყოფილა გენერალი ბორისოვი, როგორც კი გორში შემოვიდა, იდეალური წესრიგი დაამყარაო.

როგორც ვხედავ, ზოგს არ ესმის, რა ხდება და ვინ არის დამნაშავე. ვილაც გამოვიდეს ტელევიზიით და ამ უბირ ხალხს განუმარტოს სრულიად უმარტივესი საკითხი.

პირველი ოქტომბრიდან განლაგდებიან ევროპელი დამკვირვებლები ორივე კონფლიქტურ რეგიონში. უიარალო მონიტორინგი, ფაქტობრივად, ინფორმაციის შემგროვებლები და მაუნყებლები იქნებიან, თბილისში განთავსდება სწრაფი რეაგირების რაზმი. მთავარია საპოლიციო სამსახური შევიდეს გორის რაიონის ბუფერულ ზონაში და ხალხმა დაცულად იგრძნოს თავი.

ვნახოთ, შეასრულებენ თუ არა რუსები ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას?!

დიდი სარეაბილიტაციო სამუშაოები იქნება ჩასატარებელი ამ გაძარცვულ და ნახევრად გადამწვარ მხარეში. რეაბილიტაციას საჭიროებენ, უბირველეს ყოვლისა ტრავმირებული ადამიანები და მერე მათი საცხოვრისები, სკოლის შენობები, ამბულატორიები, საკომუნიკაციო საშუალებები და ათასი რამ.

**30 სექტემბერი**

“აღდგომა და ხვალეო”.. ვნახოთ, ხვალ როგორ დაიწყება მონიტორინგის განლაგება ე.წ. ბუფერულ ზონებში და როდის დაიწყებენ რუსები გასვლას, სხვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე – ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში.

ევროსაბჭოში დაიწყო მკაცრი დებატები “რუსეთ საქართველოს ომთან” დაკავშირებით.

რუსი პარლამენტარების წინააღმდეგობის მიუხედავად ასეთი ფორმულირება ჩაინერა დღის წესრიგში –რუსეთ – საქართველოს ომი. გამომსვლელთა უმრავლესობა რუსებს უკიჟინებდა, არ მოიქეციოთ კარგადო, მაგრამ მეექვსეა ამ თამაშიდან რამე გამივიდეს. ღმერთმა ქნას ვცდებოდე. რუსებს თავის მხარდამჭერები ჰყავთ და ვფიქრობ, რბილ გადაწყვეტილებას ან სულაც ლოიალურ ტექსტს მიიღებენ, მანამდე ორთქლს გამოუშვებენ.

\*\*\*

როგორც ჩანს, რაღაც ისეთი ხდება, რასაც არ გვეუბნებიან. როდემდე დამალავენ?! შესაძლოა ნატოში მაპის მიღება ისევ გადაიდოს გაუკვეველი ვადით. ასე გზაბნეულ და გაურკვეველ მდგომარეობაში არასოდეს ვყოფილვარ. ეს ყოველთვის ასეა, როცა შენი თავი არ გეყუდნის და სხვისი შემწეობის მომლოდინე ხარ, მაგრამ შეგვიძლია კი სრული დამოუკიდებლობა?? ეს ხომ გამორიცხებულია მსგავს სამეზობლოში.

**1 ოქტომბერი**

დღეს დაიწყო დამკვირვებლებმა ე.წ. ბუფერულ ზონებში განლაგება. ოკუპანტების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან არ არსებობს მემორანდუმი რუსული ძალების ევროპელი დამკვირვებლებით ჩანაცვლების და რადგანაც რუსებთან არ შეუთანხმებიათ რა რაოდენობის ქართული პოლიციური კონტიგენტი განლაგდება, დროებით შეაჩერებენ დამკვირვებელთა შეშვებას “ბუფერებში” და დაიწყებენ კონსულტაციებს ევროპელ დამკვირვებლებსა და ქართულ მხარეს შორის არსებულ საკითხებზე.

ამ კონკრეტული ფაქტიდან იოლად შეიძლება დავინახოთ რუსეთის, როგორც სახელმწიფოს სახე, რომელიც უმაღლეს დონეზე დადებულ ხელშეკრულებას არად მიიჩნევს და ფაქტობრივად ახალ მოლაპარაკებებს მოითხოვს. ამათი გასვლა რომ გაჭინურდებოდა, წინასწარ ვიცოდით. ათას ხრიკს მოიგონებენ რომ შეაფერხონ გასვლის პროცესი, ესეც ძალაღობა და სიძულვილის გამოხატვის საშუალებაა. ვითომ სეპარატისტული რეგიონების უსაფრთხოებას იცავს, როცა ქართველ პოლიციელთა სავარაუდო რაოდენობის გაგებას მოითხოვს, აშავე დროს, ისინი შეეცდებიან, ენგურჰისის მიმდებარე ტერიტორიაზე და ჯავის სიახლოვეს, შესაძლოა კიდევ სხვაგან, თავის საგუშაგოების შენარჩუნებას შეეცადონ. არ ვიცი, რამდენად დაკვირვებულად მოიქცევა ჩვენი მხარე და არ დაუშვებს სავალალო შეცდომას...

\*\*\*

ახლა, როცა მხოლოდ დამკვირვებლები განლაგდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კონფლიქტური რეგიონების სიახლოვეს, ალბათ მეტი ხიფათია მოსალოდნელი.

შესაძლოა პროვოკაციები განხორციელდეს ამ უიარალო მონიტორინგზე. არ ვიცი, რამდენად ეფექტური იქნება არსებული ფორმატი. სხვა გზა ჯერ არ ჩანს და კარგახანს არ გამოჩნდება.

\*\*\*

პროექტი, დღეს რომ წარუდგინეს ევროსაბჭოს, ხვალ განიხილება და ხვალ უნდა გადაწყდეს, დარჩება თუ არა ტექსტში ის სიმკაცრე, რაც პირველ ვერსიაშია აღბეჭდილი.

პროექტში ევროსაბჭო რუსეთს მოუწოდებს უარყოს სეპარატისტული რესპუბლიკების აღიარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ევროსაბჭოს წევრობის სტატუსის შეჩერებით ემუქრებიან.

\*\*\*

ერთმა ჩემმა მეგობარმა, არ მახსოვს რომელია, თქვა: საქართველო იმ კაცს ნააგავს, თავის ინიციატივით, შეგნებულად, პირველი რომ გარბის დანაღმულ მინდვრებზე და გზადაგზა კარგავს ხან ერთ, ხან მეორე კიდურს და სხვები მიჰყვებიან მის გაკვალულ გზას. თვითონ სახინრდება, უამრავ ადამიანს და ტერიტორიას კარგავს, მაგრამ ძალღუმადურ სიცოცხლეს მიანიც აგრძელებს. მერე თავისი ნათქვამის საილუსტრაციოდ გაიხსენა 1989 წლის 9 აპრილი, საბჭოთა კავშირში ყველაზე ადრე დამოუკიდებლობის გამოცხადება, ხოლო მანამდე კი უზენაესი საბჭოს თავისუფალი არჩევნები.

სეპარატისტებთან უნუგეშო და უაზრო ომებში ჩათრევა, ახლა კი რუსულ საომარ პროვოკაციაზე ნამოგება, რასაც დიდხანია ელოდა რუსი. პირველად ჩაინერება უახლეს ისტორიაში “რუსეთ საქართველოს ომი”-ს შესახებ. რუსული ჯარი ხაშურიდან იკოეთამდე აკონტროლებდა საავტომობილო გზას და მთლიანად შიდაქართლს, ფოთის პორტს, სენაკს, ზუგდიდს, ნალენჯიხას, ჩხორონყუს და გზას ზემო იმერეთისკენ /მეზობელი ჯავის ხაზით/.

სამხიელი გასახსენებელია დაბომბვის დღეები, განადგურებული გორი და მთელი შიდაქართლი, ფოთში აფეთქებული სანაპირო დაცვის გემები, აეროდრომები მთელ საქართველოში ყაზარმები და მთელი ინფრასტრუქტურა. ყოველივე ეს კეთდებოდა სიძულვილის კარნახით და იმის შეგნებით, რომ საქართველო მათია ისტორიულად და როგორ გავგებდით ნატოსკენ გახედვა, რომ ჩვენ ვართ რუსეთის უპირველესი მტრები. დსთ-ს სივრცეში პირველად მოხდა სეპარატისტული რეგიონების აღიარება რუსეთისგან და ომიც პირველი იყო უფროს და ერთ-ერთერთ უმცროს “ძმას” შორის. ვფიქრობ, ასეთი პრეცედენტი აღარ გამოვრდება, რადგან საქართველოს მაგალითზე დაინახა დასავლეთ ევროპამ, რომ სწრაფად უნდა შეძლოს ენერგორესურსების დივერსიფიკაცია, რათა დამოკიდებული არ იყოს აგრესიულ რუსეთზე, რომელსაც ნებისმიერ ვითარებაში შეუძლია იძალადოს თავის პარტნიორებზე. ჩვენ, კიდევ ერთხელ გა-



ვირბინეთ დანაღმულ ველზე და ახლა ჭრილობებს ვიშუშებთ ორი, უმძიმესი ამპუტაციის შემდეგ. დღეიდან აღარ გვაქვს უფლება დანაღმულ ველზე ვირბინოთ და კიდევ ერთხელ სასწორზე შევავადოთ ჩვენი ხალხის და ქვეყნის არსებობა.

დაინახა აშშ-მ და დანარჩენმა მსოფლიომ არასანდო, უნდო პარტნიორი, რომელსაც საბჭოური კომპლექსები არ ასვენებს და ვერ გაურჩევია ნაციონალისტური ქვეყანა იყოს თუ იმპერიული. ისინი ამ სურვილებში დიდხანს ვერ გაერკვევიან. საკაპიული ხშირად იმეორებს, რომ ამდენჯერ არასოდეს უხსენებიათ საქართველო მსოფლიოს ელექტრონულ და ბექდურ მედიაში და გულწრფელად უხარია. კიდევ ერთხელ ვრწმუნდები იგი როდენ აღიარებს პიარის ძლევამოსილებას და რეალობა მეორე პლანზე გადააქვს, შეიძლება არც გადააქვს, მაგრამ პიარი მისთვის საარსებო წყაროა, ჰაერია, არსობის პური, ყველაფერია. არა მგონია საქართველოს ხშირი ხსენება მსოფლიო მასმედიაში, რაიმე შედეგს აძლევდეს, ანუ გეშვებდეს, თუნდაც იმ დევნილებს, რომელთაც სახლებს უშენებენ, აღარ ვამბობ იმ ადამიანებზე, ახლობლები რომ დაკარგეს, სულ ერთია მშვიდობიანი მოქალაქეები თუ სამხედროები. ყურადღება მართლაც დიდი გამოიჩინა დასავლეთმა და რომ არა მათი ჩარევა, თბილისშიც შემოიჭრებოდნენ და აქაც საშინელება დატრიალდებოდა. შევეშვათ ტრაბახს, რომ თბილისი ჩვენ გადავარჩინეთ, თბილისი ევროპელებმა, ევროკავშირმა, კერძოდ კი სარკოზიმ დაიცვა. ცხადია მას დაურეკეს თბილისიდან მოსალოდნელ ხიფათზე, მაგრამ რა არის ამ "ქმედებაში" საგმირო, უნდა დაერეკა, ვალდებული იყო დარეკა, ხოლო შემდეგ, რაც მთავარია, სარკოზი უნდა დაკავშირებოდა მედევდევს და როგორღაც მისთვის გადაეფიქრებინა თბილისზე გამოლაშქრება. ჰოდა, ნულარ ვიტყვით, თბილისი გადავარჩინეთო.



ყველამ ყველაფერი იცის და არაფერი იმალება მზისქვეშეთში. ახლა ამ თემაზე საუბარი აღარც ღირს. ცნობილი მხოლოდ ერთი რამ არის: რუსეთი აცხადებს, რომ არ დაუშვებს საქართველოს ნატოში განევრიანებას. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ისევ დავაპირებთ ნატოში შესვლას, ახლა უკვე დაუფარავად შემოიჭრება და შეცვლის ხელისუფლებას. ალბათ, ამიტომ განაცხადა სააკაშვილმა, რომ ევროკავშირში ინტეგრაციაზე იფიქრებს საქართველო და არა ნატოსთან მიერთებაზე, რაც ასე აღიზიანებს რუსეთს. რა მოვახერხეთ ჩვენ? დავანახეთ დანარჩენ მსოფლიოს რუსეთის ნამდვილი სახე, მსხვერპლისა და ნგრევის ხარჯზე. უთვალავჯერ ახსენეს და აჩვენეს საქართველო მსოფლიოს ტელე-არხებით – გადამწვარი ტყეებით, განადგურებული სოფლებით და ადამიანებით, მათი სახლებით და ა.შ. რუსეთს ნამდვილად შეელახა სახელი, მრავალი გამკითხავი გაუჩნდა, თუმცა ამას არ შეუშლია ხელი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მიეტაცებინა და დამოუკიდებელ რესპუბლიკებად ელიარებინა. კი, მსოფლიომ მართლაც დაინახა რუსეთის ნამდვილი სახე, ჩვენ მივიღეთ დიდი ფინანსური დახმარებები, როგორც ჩანს ნატოში შესვლა ჩანაცვლდა ევროკავშირში სამომავლო ინტეგრაციით.

რა გამოვიდა ამ თამაშიდან? იყო კი ეს თამაში, ადამიანების ბედით თამაში – დანყებული ცნობილი მკვლელობებიდან,

რომელთა გახსნა არ ისურვეს, საკუთრებების წართმევით გაგრძელებული, რომლის გვირგვინი თაბუკაშვილზე ახლადამენებული სახლიდან მოსახლეობის გამოძევება იყო.

7 ნოემბრის ამბებიც დაუფინყარია, თავისი ჭრელი, უჭრელესი ოპოზიციით, მიტინგის დაშლის სისასტიკით, სახლის კარამდი დადევნებით და სახლში შეჭრითაც. იფიქრებს კაცი, განა არ ჯობდა გაზაფხულზე საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა, ვიდრე უკიდურესობამდე დაძაბული საზოგადოება, ჭანჭიკებად ქცეული ადამიანები და საგანგებო მდგომარეობა.

განვლილმა გზამ გვიჩვენა მიზას თანდათანობით დაცემა, იგი საკუთარ თავს იმეორებდა, მაგრამ ახლა უკვე სასტიკად დამფრთხალს ყველაფერი უკან მიჰქონდა, რაც კი უშუალოდ მისი ინციატივით თუ თანაპარტიელთა კარნახით კეთდებოდა მთელ საქართველოში. ეს არ იყო შეცდომების აღიარება, ეს უფრო ელექტორატისთვის ბრძოლას ჰგავდა. ასე ჩამოყალიბდა ჩემს თვალწინ უღირსებო პრეზიდენტი, რომელსა არ ვცემდი პატივს და მითუმეტეს მხარს არ ვუჭერ.

2 ოქტომბერი

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეია დღეს კენჭს უყრის საკითხს, რომლის მიღების შემთხვევაში კონკრეტულად ურჩევნ რუსეთს, უარი თქვას თავის უკანონო გადანყვეტილებაზე და გააუქმოს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკების აღიარების პროცედურა.

არ ვიცი, ეს საკითხი გავა თუ არა, მაგრამ კიდევ რომ გავიღეს და რაღაც ვადა დაუნესონ რუსეთს დათქმულ დრომდე, ხოლო შემდეგ შეუჩერონ კიდევ ევროსაბჭოს წევრობა, იმ შემთხვევაში თუ ბათილად არ ცნო თავისი გადანყვეტილება მუამბოხე რეგიონების აღიარებასთან დაკავშირებით, არა მგონია ამან რელობა შეცვალოს. შესაძლოა რუსეთი საერთოდ გავიღეს ევროსაბჭოდან, მაგრამ თავის გადანყვეტილებას არ შეცვლის.. 2000 წელს იყო მსგავსი შემთხვევა, როცა რუსეთს შეუჩერეს ევროსაბჭოს წევრობა დროებით, ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის გამო, მერე რა, არ დაუბრუნდნენ ევროკავშირს?! დაუბრუნდნენ და ყველა ძალადობა შერჩათ.

\*\*\*

დასავლური პრესა ღიად აღნიშნავს რომ რუსეთმა დიდი ხანია დაიწყო აფხაზეთის და ს.ო.-ს ანექსია პასპორტიზაციით, რკინიგზის გაყვანით აფხაზეთში, გამუდმებული პროვოკაციებით ქართულ სოფლებზე ცხინვალის რეგიონში და ბოლო პროვოკაციაზე შემტევი პასუხით "აგრესორმა საქართველომ" რუსეთის მისი ქმედებების გამართლების საბაბი მოსცა.

აი, რაზე აშენდა მთელი დემაგოგია, საქართველოს აგრესიობას რომ შეეხება. ევროპა მაინც არ მოტყუვდა, რადგან თეთრი ძაფითაა ნაკერი ყველაფერი და რუსეთი ამაზე არც წუხს, უბრალოდ, ყველა დონეზე, ყველა საერთაშორისო ტრიბუნლიდან გაპყვირიან რომ ქართველები დაესხნენ თავს რუს მოქალაქეებს. ეს მოქალაქეები არავის ჩამოუსვია ცხინვალში პარაშუტით, ისინი სპეცსამსახურის დავალებებს ასრულებდნენ და ყოველდღიურად ახალ-ახალ პროვოკაციას ამზადებდნენ იმათი დავალებით, ვინც პასპორტები დაურთავა და რუსეთის მოქალაქეობა მანიჭა.

იგივე მეთოდებით, რუსეთს შეუძლია უსირცხვილოდ და უტიფრად შეუტეოს ნებისმიერ სუვერენულ სახელმწიფოს, თუ მედვედევის და პუტინის განსაკუთრებული ინტერესის სფეროში მოხვდა. ეს განუკითხაობა, რაც რუსეთს უნდა თავსმოახვიოს და-

ნარჩენ მსოფლიოს და დაუკითხავად ითარეშოს მეზობელი ქვეყნების ტერიტორიებზე, ყოველგვარ ზღვარს სცდება და წინ თუ არ აღუდგა საერთაშორისო თანამეგობრობა, ცუდად დასრულდება.

\*\*\*

როგორც გაირკვა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე უმრავლესობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს რუსეთისგან ბათილად ცნოს აფხაზეთის და ს.ო.-ს ალიარება. ევროსაბჭო გაკვირვებულია სეპარატისტულ რეგიონებში ევროპელი დამკვირვებლების შეშვებაზე რუსეთის კატეგორიული უარით.

შემდგომ სესიაზე, ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ევროკავშირი მიიღებს შესაბამის სანქციებს. ცხადია, ეს გარემოება უპირველეს ყოვლისა ჩვენი მხარდაჭერაა და სულაც არ არის რუსეთისთვის სულერთი, მაგრამ ანგარიშს მანც არ გაუწევს.

ასევე გადაწყდა, ევროსაბჭომ ჩაატაროს აგვისტოს მოვლენების ფართომასშტაბიანი გამოძიება.

**3 ოქტომბერი**

იქაურებისგან გავიგე, დამკვირვებლები პატრულირებენ შიდა ქართლის განადგურებულ სოფლებში, მაგრამ რუსები საგუშაგოების მოხსნას არ აპირებენ. შეთანხმებულ გრაფიკს წამდაუნუმ არღვევენ და დროს ჭიმავენ. არავინ იცის როდემდე გაგრძელდება ეს გაუგებრობა.

რუსი სადაც შევა, მერე იქიდან ძნელად ან აღარ გამოდის. ვნახოთ, რა ზეგავლენას მოახდენს ევროსაბჭოს რეზოლუცია საქართველოდან რუსის ჯარების გაყვანის პროცესზე.

მერკელისა და მედვედევის გაუშინდელ პრესკონფერენციაზე სანკტ-პეტერბურგიდან რომ გადმოიცა, ისევე მივაქციე ყურადღება მედვედევის ერთ ფრაზას – მერკელის საპასუხოდ რომ თქვა, მართალია ჩვენი შეხედულებები კავკასიის პრობლემატიკაზე განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ არსებობს მთავარი საკითხები, რაშიც განვავარძობთ თანამშრომლობას.

უკვე მერამდენედ, რუსეთი კავკასიაში მომხდარ ამბებს იხსენიებს მეორეხარისხოვან, სრულიად უმნიშვნელო კონტექსტში, თითქოს და ისეთი არაფერი მომხდარა და ლამის მოუწოდებს ევროპას, მსოფლიოსაც, რომ შეეშვან კავკასიაში ომის საკითხებზე ყურადღების ზედმეტად გამაზვიანებლას, რადგან რუსეთი უფრო მნიშვნელოვანია მსოფლიოსთვის თავისი რესურსებით და შესაძლებლობებით, ვიდრე საქართველოსთვის წართმეული ორი სეპარატისტული რეგიონი, სადაც გამალებით აშენებებს სამხედრო ბაზებს.

სამწუხაროდ, ჩვენ, დამოუკიდებლად არ შეგვიძლია წინაღუდვად რუსეთს, რომელმაც თვითონ არ იცის სად იწყება და სად მთავრდება, როგორც ჰაველმა თქვა, ამიტომაც ვართ სხვათა ხელში შემყურე და მომლოდინე, რაც სრულეებით არ არის სასიამოვნო მდგომარეობა, მაგრამ სხვაგვარად ვერაფერს გავხდებით და ალტერნატივაც ვერ მოგვიძებნია.

\*\*\*

ქინსიელ თემურ ფარეხელაშვილს ვესაუბრე, გაგიჟებულია კაცი, უფრო ამაგრებენ საგუშაგოს კარაღეთში და არსად წასვლას არ აპირებენო. დამკვირვებლები მისულან მასთან სახლში და უკითხავთ რა გიჭირთო. ამას უთქვამს: ჩემი გასაჭირი – ეს ნახევრადანგრეული სახლია და რაც მთავარია ოსი ბანდიტები, რომ დალამდება ეგრევე იწყებენ თარეშსო. მე კი არა ვარ მარტო ამ დღეში, წამოდით და სხვებსაც გაჩვენებთო და მოუტარებია მთელი ქინსი და ოსი ბანდიტებისგან შენუხებული მოსახლეობა, ვინც კი იქ დარჩა და ყველა უჩვენებია დამკვირვებლებისთვის. ყველაფერს ინერდენო, უკვირს თემურს. ამ უიარაღო მონიტორებს მეტი ძალა აქვთ, ვიდრე შეიარაღებულ ბანდიტებს და ამიტომაც ვერ იტანენ რუსები და ოსები, რადგან თავისუფლად პარპაში აღარ შეუძლიათ. ამკარად ჩანს, რომ აფერხებენ რუსები

გასვლას, შესაბამისად ბუფერში ვერ შედის მკვიდრი მოსახლეობა და პოლიციური ძალები, რომლებიც მშვიდობიან მოსახლეობას დაიცავენ, ჩვეულებრივ მშვიდობიან რიტმს ვერ უზრუნდებიან გატანჯული, დამცირებული და გაძარცვული ადამიანები. სადამსჯელო ოპერაციები დღემდე გრძელდება ე.წ. ბუფერულ ზონაში, რისთვისაც დაანესეს ეს ზონები რუსებმა და არცერთ ხელშეკრულებაში არ ეწერა. ახლაც მიმდინარეობს ეთნონმენდა ამ ზონებში და მძვინვარებს ჰუმანიტარული კატასტროფა. მონიტორების მეშვეობით, დანარჩენი მსოფლიო გაიგებს რა მოთმინების ძაფი განვირღდა. მონიტორებს დაუშვებიათ ქინსიელები, მალე გავლენ რუსები და ოსებიც ვეღარ შემოვლენ, ცოტაც მოითმინეთო და ესენიც ითმინენ, მეტი რა გზა აქვთ...

\*\*\*

რუსეთსა და საქართველოს შორის დიპ-ურთიერთობის შეწყვეტამ წარმოშვა იდეა – ორ ქვეყანას შორის გარკვეული კავშირების აღდგენის შესახებ, მესამე ქვეყნების მეშვეობით. კერძოდ კი რუსეთის ინტერესებს საქართველოში წარმოადგენს შვეიცარია და შექმნის შესაბამის სამსახურს – რუსული ინტერესების სექციას, ხოლო ქართული მხარის ინტერესებს, სავარაუდოდ წარმოადგენს რუსეთში – შვედეთის საელჩო და იქაც გაიხსნება შესაბამისი სამსახური – ქართული ინტერესების სექცია.

არ ვიცი, აქედან რა გამოვა, მაგრამ მე მახსენდება შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რეაქცია რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, როცა მან რუსეთის ქმედება საქართველოში შეადარა ნაცისტური გერმანიის ქმედებებს ჩეხეთში, რამაც რუსეთში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია და კარლ ბილდტი აიძულა რუსეთში ვიზიტისთვის თავი აერიდებინა.

**4 ოქტომბერი**

გუშინ ცხინვალში რუსული სამშვიდობოების განლაგების საიხლოვეს აფეთქდა “ოაზის” მარკის მანქანა. ამ აფეთქებამ შეინირა ცხრა რუსი სამხედრო. ცხადია, რუსები და ოსები ხელს თბილისისკენ იშვერენ, მაგრამ უცნაური ფაქტები ვრცელდება ბზს-ით, კერძოდ კი ის რომ ავტომანქანა, რომელიც აფეთქდა, ქართულ სოფელ დიკში ყოფილა კონფისკირებული, უფრო ზუსტად მოტაცებული, მერე მტაცებლებისგან გაყიდული და ამის მერე აფეთქებულია. საინტერესო ინტერპრეტაცია და სრული უნიჭობაა. ქართველს მანქანა წაართვეს, მერე გაყიდეს და ცხინვალში რომ აფეთქდა იმ მძღოლის ბრალი ყოფილა, ვისაც მანქანა წაართვეს ან სულაც თბილისში ექებენ კვალს. მართალია, ეს ყველაფერი დაუჯერებელია, მაგრამ რუსს შეუძლია იძახოს თეთრზე შავიაო და არ შერცხვეს, როგორც ექვსპუნქტიან ხელშეკრულებაში ბუფერული ზონები ამოიკითხა და ვერც კუშნერმა და ვერც სარკოზიმ ვერ გადაათქმევინეს, არა, მე ასე ვკითხულობ და რა თქვენი საქმა.

\*\*\*

სახელმწიფო მდივანმა, კონდოლიზა რაისმა თავის ბოლო გამოსვლაში – საქართველოსა და რუსეთს შორის, სეპარატისტული რეგიონების, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის გამო წამოჭრილი კონფლიქტის დახასიათებისას თქვა, რომ კრიზისის მიზეზები რთულია და ყველა მხარემ დაუშვა “შეცდომები, მაგრამ არც ერთი ამ შეცდომათაგანი არ ამართლებს რუსეთის ქმედებებს...”

სახელმწიფო მდივნის ამ შეფასებას სრულიად ვიზარებ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენს შეცდომასა თუ შეცდომებზე საუბრობს ჩვენივე პატრონი და არა კრემლი და გვმართებს იმის გაგონება და გააზრება, რასაც ის გვეუბნება ვისაც ვეყრდნობით. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ მოგვწყინდა იმპულსური, გაუაზრებელი ნაბიჯით გამოწვეული შეცდომები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საგარეო პოლიტიკაში, რასაც მოჰყვა კიდევ ადამიანების სრული ანტიპატია და უარყოფითი

ეპოტეტიზმის ფეიერვერკი კონკრეტული მისამართით, მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველის, არც არაფერი გამოსწორდება თუ ადრესატი ვერ მიხვდება რომ გაერიდოს, დისტანცირებული ურთიერთობა ჰქონდეს ხალხთან, გადაინაცვლოს კულისებში და მისცეს ელექტორატს მშვიდობიანი და რეალური არჩევანი გააკეთოს.

**5 ოქტომბერი**

როგორც იქნა დაიწყეს რუსებმა საგუშაგოების აღება. დღეს, დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოში, ასევე ქართლში, ნაწილობრივ გააუქმეს თითო-ოროლა საგუშაგო. წინ კიდევ ხუთი დღეა, ალბათ, ბოლომდე გამოიყენებენ დარჩენილ დროს. არც იმას გამოვიტყვავ, ზოგიერთი საგუშაგოს მისაკუთრებას შეეცადონ და ამით გააჯანჯლონ ჯარის სრული გაყვანა “ბუფერებიდან”. ასეთი საეჭვო ადგილები ენგურჰესის მიმდებარე ტერიტორიაზეა, ზემო იმერეთში სოფელი პერევი, ჯავახს რომ ესაზღვრება, შიდა ქართლში, ალბათ, ახალგორის რაიონი. შეუძლებელია ამის შეგუება, როცა შენი მიწა-წყალი მიაქვს გადამთიელს და ძირძველ ქართველობას მიერეკება მამა-პაპის საცხოვრისიდან. რუსული პასპორტებით თუ შეიძლებაოდა საქართველოს დანაწევრება და უძველესი კუთხეების რუსეთზე მიერთება, ვერ წარმოვიდგენდი.

რუსეთი დიდია და მიწაც ბევრი აქვს, დიდგულობს და არავის ეკუთვნის, მაგრამ მიწას ნაირგვარი დანიშნულება აქვს / მიწა ვარ და მიწად ვიქცევი/. მართმადიდებლობის და სახელმწიფოს სინთეზმა თავის ნაყოფი მერამდენედ გამოიღო?! კერძოდ კი ის, რომ როცა ზრახვები ნაციონალისტურია, სახელმწიფო იქვემდებარებს ქრისტიანულ იდეას და თვითონ ხდება უზუნაესი. ასე მოხდა საქართველოს მიმართ აგვისტოში და მეცხრამეტე საუკუნიდან დღემდე იგივე გრძელდება სხვადასხვა მასშტაბით. ბოლო /არ ვიცი თუ ბოლია?/ თავდასხმა რუსეთისა, ყველაზე საშიშელი და შურისმაძიებლური იყო. ნუთუ ჩვენი ხალხი, აგვისტოს მოვლენების შემდეგ, ვერ დაინახავს, რას ნიშნავს, ან რა არის ერთმორწმუნეობის ფიქცია?

ადრეც თვალს ვხუჭავდით ათონიდან ქართველი ბერების გამოდევნაზე და შემდგომ კი იქ მათ არ შეშვებაზე, ჯვრის მონასტერში ერთმორწმუნეთაგან რუსთაველის ფრესკის ჩამოფხეკაზე, ორსაუკუნოვანი რუსული ბატონობის პერიოდში საქართველოდან რუსეთში გატანილ სინმიდეებზე, ხატებზე, საეკლესიო სიმდიდრეზე და თეთრად გადაღებულ ეკლესიებში ეკზარხოსების პარაპაზე, ავტოკეფალიის გაუქმებაზე. ყოველი თვალისმოხუჭვა შემგუებლობას ნიშნავდა და თანდათანობით ვეფლობოდით ფიქციის ქაობში, მაგრამ ამ თანარეხასაც ჰყავდა და ჰყავს მხარდამჭერი ერშიც და ეკლესიაშიც.

**6 ოქტომბერი**

გადიან და არც გადიან ეს რუსები. ელოდებიან დასავლეთე-როპელი დამკვირვებლები, ესენი კიდე გადიან და არც გადიან. ნერვები ევიჯგენება ყველას და შეგნებულად აჭიანურებენ გასვლის პროცესს, უარესად გვთრგუნავენ, გვალიზიანებენ, უფრო სწორად ასრულებენ უმაღლესი მთავარსარდლობის ბრძანებას, ნოგოვიცინის სალდაფონურ ბოდვებს ემორჩილებიან. სამეგრელოში ოჯახებში უვარდებიან და არაყს ითხოვენ, ცამეტი წლის ბიჭს კლავენ და გარბიან. ბუფერი არ წერიო სარკოზიმ, ამათ, რუსებმა, მე ასე ამოვიკითხე და ასე მესმისო. ესეც შენი ბუფერი – კვლა, ძარცვა, სახლების გადაწვა, ყაჩაღობა, ათასი უბედურება.

\*\*\*

ნატოს კარი არ იღება ჩვენთვის, მორიგი დაპირება და მორიგი ვაჭრობა რუსეთთან გერმანიის და საფრანგეთის. გაიროკვა: გაზი უფრო საჭიროა ამ და სხვა ქვეყნებისთვის, ვიდრე საქართველო და მისი უსაფრთხოება. ერთა ლიგა უარესად იქცეოდა, ვიდრე ესენი, მაგრამ ჩვენთვის რა შელავათია მათი სიტყვიერი მხარდაჭერა?! ამერიკული გემები რომ არ მორი-

გეობდნენ შავი ზღვის ქართულ პორტებში, მთლად მიტოვებულად ვიგრძნობდი თავს.

**ხედავთ, რამდენჯერ ახსენეს საქართველო ამ დღეებში? ამაყად კითხულობს პრეზიდენტი.**

ვაი, ჩვენს პატრონს?

\*\*\*

ლექსებში ერთ სოფელში – ისუნდერში – ხარობს უნიკალური ჯიშის ვაზი უსახელოური და ბრწყინვალე ღვინო დგება მისი ყურძნისგან.

ერთ წელს უცხოელებმა შეიძინეს იქაური მოსავალი და კარგი ფულიც გადაუხადეს მევენახეებს. შეპირდნენ სოფლებს რომ მომავალ წელსაც ჩამოვიდოდნენ და იყიდდნენ მათგან მთელ მოსავალს, თან გააფრთხილეს, ჩვენს ჩამოსვლამდე არ გაყიდოთ ყურძენიო.

დადგა მეორე წელი, მოინია ყურძენი სოფელმა და გლეხები ელოდებიან მყიდველს, თვალი გზისკენ უჭირავთ. არა და არ მოდის. გავიდა ერთი დღე, ერთი კვირა, გავიდა დიდი დღო, როცა მოლოდინი უაზრობად იქცევა და გინებით თუ გაუმკლავდები გულში სიცარიელესავით გაჩენილ უიმედობას და... არავინაც არ ჩამოვიდა. ხალხს შერჩა დაკრეფილი ყურძენი და ამაო მოლოდინის სიმნარე. რა ექნათ, თავისთვის დაწურეს და შერჩნენ ზამთარს უსახსროდ.

ჩვენ ვართ გერმანელებისა და ფრანგებისათვის, იტალიელებისა და ბელგიელებისთვის, როგორც უსახელოური, არა როგორც უნიკალური ჯიშის ყურძენი, არამედ, უბრალოდ უსახელოური, თითქმის უსახელო, რომელიცაც, სადღაც და აღარ ჩამოდიან და ტყუილად ველოდებით ისუნდერელი გლეხებით, რადგან როგორც კალკულატორმა უკარნახა მათ – რუსეთის გაზი ჯობს ჩვენებურ უსახელოურს.

სადაა ნაცარქექია, ჩვენი დიდებული გმირი? ის კიდეც ცოცხალია და სახეშეცვლილი მოგვევლინება ხოლმე უკიდურესი გასაჭირისას, ხან როგორც ყვარყვარე, ხან კი როგორც ტყუილების გუდა, ახლა რომ მთელი მსოფლიო იცნობს.

ისე კი გვერჩინა ნაცარქექია ისევ ზღაპარში ყოფილიყო და მისი უნარების უნიჭო მიბაძვა არ დაენყო ერთ ცალთავა დევს, რომელიც ნაცარქექიობას ჭკუით ვერ დაიკვებნის და მისი ტყუილები კი ზეპირად იცის დიდმა და პატარამ.

\*\*\*

პუტინი იხვენება, რომ მის სახელს ნუ დაარქმევენ ქუჩებს, მოედნებს ნუ აღუმართავენ ძეგლებს კვარცხლბეკებზე. პუტინის ეს ხვენება გაისმა მას შემდეგ, რაც რამზან კადიროვი, ჩეჩნეთის პრეზიდენტმა, რუსეთ-ჩეჩნეთის კეთილშობილობისა და მეგობრობის 420-ე და თავის დაბადების 32-ე წლისთავზე, გროზნოში, გამარჯვების ქუჩის დაარქვა პუტინის სახელი. კადიროვის გადაწყვეტილება დიდად გაახარებდა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობისათვის დახოცილი 200 000 ადამიანის ჭირისუფლებს ან მათ სულელებს, ვისაც ჭირისუფალიც კი არ დარჩა.

ამაზე დიდი ცინიზმი არ მსმენია. მგონი პუტინსაც კი შერცხვა კადიროვის ამ საქციელის გამო და არ მიწადა ძეგლების აღმართვა და ნურც ჩემს სახელს დაარქმევეთ ქუჩებს. ვინლა მოუსმენს? სტარში ოპერმა არ იცის რა ნაყოფს გამოიღებს სახელმწიფოს სტრუქტურა, რომელიც მან შექმნა. ხე ნაყოფით იცნობა, ავტორიტარიზმი ბელადით, რომლის სახელსაც არქმევენ ქუჩას, მერე სად? სატანური გადაწყვეტილებაა.

**7 ოქტომბერი**

ფხვინიელ გლეხს შევხვდი და ჩვეულებისამებრ გამოვიკითხე “ბუფერული” ამბები. მითხრა რომ ჯერ არ გასულან არც კარალეთიდან და არც ვარიანიდან, ისე კი რუსი სალდათები ამბობენ-მალე გავალთო, რო გავლენ, მაშინ დავიჯერებ. ვილაც შემოგვესწრო საუბრისას, ფერმკრთალი, საგანგებოდ გამოწყობილი, აი, ისეთი, ყველას რომ ზევიდან უყურებს და იკითხა:

- ვარიანი კანდელაკის სოფელი არ არის?
- ჰო, ეგეც იქაურია.
- ეგეც რა, სხვა ვინღა იქაური უფრო მნიშვნელოვანი?
- აი, ისა, “დედა ენა” ვინც დაგვიწერა.

ახალგაზრდას ხმა არ ამოუღია, ისევ შეევაჭრა, ოთხმოცთვეთ-რიანი პომიდორი ორმოცდაათად მომეციო და იქვე მოაყოლა:

— გამიიასნე სხვა ვინაა კანდელაკზე უკეთესი ვარიანი-დან, რა გაუგებრად მეტაზრები?

თვალი ჩაუფარა ფხვნიისელ გლეხს და ჩემ გზას დავადექი. თავი ძლივს შევიკავე, რამე მამა-პაპური რომ არ წამომცდენოდა.

\*\*\*

ამერიკის შეერთებულ შტატების ერთ-ერთ ქალაქში, მეჯიბრზე, სადაც გაიმარჯვა მოკრივე კანდელაკმა და აუცილებელი შეიქნა შესრულებულიყო საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი, კანდელაკისა და მისი მწვრთნელის გადაწყვეტილებით შეჯიბრის ორგანიზატორებს გადასცეს კინტაური /დისკიზე ჩანერილი/, როგორც საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი. ეს ამბავი მოიგონა თვითონ გიორგი კანდელაკმა საზოგადოებრივი ტელევიზიის ერთ გადაცემაში და სცილისგან ჩაბჟირდა.

\*\*\*

ქინსიელ თემურ ფარეხელაშვილს ველაპარაკე ტელეფონით, გახარებულმა მითხრა: გახიზნული ცოლ-შვილი სოფელში ჩამოვიყვანე და მშვიდად ვართ. წუხელ დიდი სუფრა გვექონდა სამეზობლოს და შინ დაბრუნება აღვინიშნეთ. რაც ეს დამკვირვებლები გამოჩნდნენ ოსები აღარ დათარეშობენ და შედარებით დამშვიდად აქაურობა. კარალეთის საგუშაგოს დამლა დაიწყეს, თანდათან შლიან. ვარიანში ჯერ არ იძვრიან, ისევე დგანან ყინჩადა.

ველოდებით, როგორც კი რუსები გავლენ, მაშინვე ჩვენი პოლიცია შემოვა და დაცულები ვიქნებით.

**8 ოქტომბერი**

დღეს საქართველოს შსს-მ ოფიციალურად განაცხადა რომ რუსულმა საოკუპაციო ჯარმა დატოვა ე.წ. ბუფერული ზონები. ასეთივე ინფორმაცია გაავრცელა ბიბისიმ, ქართულ საინფორმაციო წყაროზე დაყრდნობით, სხვა საინფორმაციო საშუალებებმაც იგივე გაიმეორეს.

ახალგორი ვისია ბატონო უტიამვილო?

ახალგორში განლაგებული რუსულ-ოსური შეიარაღებული ბანდები არ უნდა გავიდნენ იქიდან თუ ახალგორი ოსების ტერიტორიაა და ამიტომაც არ დაობთ, არ გააპროტესტეთ?! ვაი, ჩვენი ბრალი, ამ განუკითხაობასა და უფიცობაში.

მგონი, ცოტა მეტი მოვიინდომე. სიმართლე გითხრათ, არც ამის დაბრუნებას ველოდა, რაც დააბრუნეს, მაგრამ გულში რომ ჩავიხედავ – ახალგორიც, კოდორიც, მთელი ცხინვალის რეგიონი, სამურზაყანო, მთელი აფხაზეთი, აღმაშენებლის აგარაკებიც აქ არის, ჩემშია, ჩვენშია, მაგრამ არ ვიცი, მომავალ თაობებში თუ დარჩება.

რაც დარჩა საქართველო ტერიტორიითა და ადამიანური რესურსებით, როგორც ახლა ამბობენ ხოლმე, ყველამ ერთად მივხედოთ, ოღონდ იმათ გარეშე, ვინც ამ უბედურებაში გავგზვია; ეგენი აღარ დავგანახოთ, ეყარონ თავისთვის ხმაგაკმენდილები.

**9 ოქტომბერი**

გამნალმელებმა დაიწყეს ყოფილ ბუფერულ ზონაში თავის პროფესიული საქმე. პოლიციელები განთავსდნენ გაპარტახებულ სოფლებში. მალე კარვების ქალაქს დამლიან გორში და უმრავლესობა თავიანთ სოფლებში დაბრუნდება. მთავრობამ დახმარება აღუთქვა დაზარალებულ ადამიანებს, სახლებ-დანგრეულ თუ სახლებგადამწვარ მოქალაქეებს, ისიც შესთავაზეს, ვისაც შეუძლია თვითონაც გაანძრიოს ხელი და იმუშაოს საკუთარი სახლის აღდგენასა თუ მშენებლობაზე.

\*\*\*

გაივლის დრო და ბევრი რამ შეიცვლება. ახალ თაობებს აღარ ეცოდინებათ ან მხოლოდ გადმოცემით, ყურმოკვრით ეცოდინებათ აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების შესახებ, როცა რუსეთმა მთელი მსოფლიოს თვალწინ ძალით მიიერთა ქართული ტერიტორიები და მთელ საქართველოში ჩამოყარა უამრავი ბომბი.

ვარაუდებით, ეს რომ არ მომხდარიყო, მაშინ ის მოხდებოდა, რომ რუსეთი ამას გვიხამდა ან იმას აპირებდა.. ასეთი ალბათობებით ვერ ვისაუბრებთ და სრული სისულელეა ასე მსჯელობა. ამ ხუთდღიან ომს ჰყავს თავის დირიჟორი, რომელმაც პარტიტურის კითხვა არ იცის; უვერტიურა, პირველი მოქმედება, რამდენიმე აქტი კარგად რომ გაიარა, მაგრამ მეორე მოქმედებაში ბრინჯივით დაიბნა და პანიკაში ჩავარდა. დროდადრო სააკაშვილი გამოვარდებოდა ტელევიზიით და წამოიძახებდა სასონარკვეთილი: თბილისთან არიან რუსის ტანკები, — რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ ტელევიზიას ესტუმრებოდა, რუსის ტანკები ქუთაისისკენ მიდიან. ყოველ ჯერზე ყურნალისტები უხერხულად აზუსტებდნენ პრეზიდენტის მიერ გადაუმონებელ ინფორმაციებს და მობოდიშებით აუნყებდნენ მიყურადებულ მაყურებელს: არ შეესაბამება სინამდვილეს.

\*\*\*

ენუგურჰესის მინდებარე სოფლებიდან ჯარის გაყვანა მნიშვნელოვანია, კარგია რომ ზოგიერთების ვარაუდი არ გამართლდა, მაგრამ არავინ იცის რა იქნება ხვალ.

\*\*\*

ბიშკეკში დსთ-ს მორიგ სამმიტზე დააკმაყოფილეს საქართველოს — “რიჟა” ორგანიზაციიდან გასვლის განცხადება, მაგრამ ფორმალურად 2009 წლის აგვისტომდე მაინც წევრად ვითვლებით, ამასთან გვაცნობეს რომ თუ მოვიინდომებთ უკან დაბრუნებას, არავინ უარს არ გვეტყვის და ღიაა დსთ-ს კარი საქართველოსთვის.

**10 ოქტომბერი**

გუშინ, გვიან ღამით საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუშნერი ჩამოვიდა.

დღეს მოინახულა ყოფილი ბუფერული ზონები, შეხვდა შინდაბრუნებულ ადამიანებს და ყურნალისტებს განუცხადა რომ რუსეთმა ნაწილობრივ შეასრულა შეთანხმება. ახალგორი და კოდორი ისევ რჩება ოკუპირებული. ოკუპირებულია აგრეთვე სეპარატისტული რეგიონები, მაგრამ ეს ხანგრძლივი და დიდი გზის გავლის შემდეგ, თანდათან მოგვარდებაო ჟენევის ფორმატით გამართულ მოლაპარაკებებზე, რომელსაც ევროკავშირი, გაეროს გენერალური მდივანი, რუსეთი და საქართველო დაესწრება. რუსები კატეგორიულად თხოულობენ აფხაზეთის და ოსეთის წარმომადგენელთა დასწრებას იმ სხდომებზე, ჟენევაში რომ გაიმართება.

\*\*\*

ჩვენში არავინ საუბრობს იმ ეკონომიკურ კრიზისზე, მთელი მსოფლიო რომ შეაზანზარა და დღემდე გრძელდება ციებ-ციხელება ბირჟებზე, საბანკო სისტემაში და ყველგან, რასაც კი ეკონომიკა ეხება. არის კი ისეთი რამ, რასაც ეკონომიკა არ ეხება?

ჩვენში სხვათაშორის ლაპარაკობენ ამ თემაზე მაშინ, როცა ევროპის ქვეყნები, ცალკე დიდი შვიდეული + რუსეთი — თათბირობენ ამ საშინელ კრიზისზე, რომელმაც საგონებელში ჩააგდო ცივილიზებული სამყარო.

ჩვენში ისე საუბრობენ, თითქოს სხვაგან ხდება, არ ანადგულებთ ეს ყველაფერი და მგონი მხოლოდ სხვების პრობლემაა. იმდენად სუსტია ჩვენი ეკონომიკა, რომ შესაძლოა არც კი გვეხება, რადგანაც ეკონომიკა არ გვაქვს, კრიზისიც არ არის, ანუ იმ დონეზეა კრიზისი რა დონეზეც არის ეკონომიკა.. შესაძლოა ვცდები, მაგრამ ჩვენი ეკონომიკური სექტორის გადაჭარბებული სიღინჯე, ხოლო დანარჩენი მსოფლიოს მთავრობების საგანგებო

ქმედებები და ბანკებზე გამოჩენილი ფინანსური დახმარებები მაფიქრებინებს, რომ ჩვენ ისევ დონორების ხარჯზე ვცხოვრობთ და ამიტომაც კრიზისი საიდან გვექნება.

### ოქტომბრის მომდევნო დღეები

ბუფერული ზონებიდან გამოდევნილები ისევ ცხოვრობენ საბავშვო ბაღში. ბაღი არ მუშაობს და ცუდ დღეში არიან სოციალურად დაუცველი ოჯახები, რადგან არ შეუძლიათ კერძო ბაღებში ატარონ ბავშვები. მოვიდნენ მერიიდან, პოლიციიდან, ეხვეწნენ, ემუდარნენ, აუხსნეს, ავტობუსები მიაყენეს, თქვენსავე სოფლებში დაგაბრუნებთო და დევნილების ნახევარი წავიდა, მეორე ნახევარი კი ფეხსაც არ მოვიცვლით აქედან, თუ კარგია სოფელი, ადექით და თქვენ წადითო.

კარგახანს ვფიქრობდი რატომ არ მიდიან გათავისუფლებულ სოფლებში იქაური გლეხები და რატომ ურჩევნიათ აქ. მერელა მივხვდი რა ხდებოდა. ვინც სოფელში წავიდა ისინი უზიდავდნენ აქ დარჩენილებს ხილს, ბოსტნეულს, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა, ესენი კიდევ ქუჩისპირებზე ჩამწკრივებულები ვაჭრობდნენ და ღამის სათვეიც საძებნი არა აქვთ. ეგეც არ იყოს, ჰუმანიტარული დახმარება პირდაპირ მათთან მიდის და რატომღა წავლენ მშობლიურ კერაზე, სადაც ჩუმ-ჩუმად ისედაც დადიან? ასე რომ ქალაქშიც მოინდომეს ბინა და გაიჩინეს კიდევ. იმას აღარ ფიქრობენ, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვები დარჩნენ უბალოდ. ჩვეულებრივი ამბავია, ნებისმიერი გასაჭირიდან ცდილობენ ადამიანები სარგებელის მიღებას და არად დაგიდევნენ ზნეობას.

ცოლოები არიან, მაგრამ თავს უფრო ისაცოდებენ, ვიდრე არიან, იმის იმედით რომ რამეს გამოიჩინებენ ვითარებას. თვლიან რომ ეკუთვნით.

### ბოლოთქმა

საკაპშვილის სულსწრაფობა რომ არა, არავინ იცის რა გაგრძელება ექნებოდა ოსების წამოწყებულ პროვოკაციას, რასაც აპყვა ქართული მხარე და გაიცა კიდევ იერიშის ბრძანება ცხინვალზე.

აღბათობით საუბარი იმაზე, რომ ჩვენ თუ არ დავინწყებით ომს, მაშინ რუსები შემოიჭრებოდნენ და თბილისსაც აიღებდნენ, სრული სისულელეა, არა იმიტომ რომ რუსებს ამის გაკეთება არ შეეძლოთ, არამედ იმიტომ, რომ ვარაუდებით საუბარი თუ რა შეიძლებოდა მომხდარიყო – ყოველთვის ცრუ წინასწარმეტყველება.. უფრო იოლი წარმოსადგენია რისი გაკეთება არ შეეძლოთ რუსებს, ხოლო რაც შეეძლოთ გაეკეთებინათ, ის უკვე გააკეთეს და ევროპას რომ ხელი არ შეეშალა, გაცვლილებით უარესს ჩაიდენდნენ. მომავალშიც მოსალოდნელია ნაირგვარი ხიფათის სახელმწიფოსგან, რომლის საზღვარი ამჟამად თბილისიდან 25 კილომეტრზეა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: სააკაშვილმა გადადგა სრულიად გაუაზრებელი ნაბიჯი ან იგი ცრუ დაპირებას დაეყრდნო და გაცუცურაკდა... ახლა თავისივე დანაშაულის მიჩუმათებას ცდილობს. ისე გამოვიდა, რომ მან თავის ქმედებით დააღალატა ჩვენი მოკავშირეები დასავლეთში, უპირველეს ყოვლისა აშშ და ეჭვიან ევროპას მისცა მყარი არგუმენტი საიმისოდ, რომ უარი ეთქვა საქართველოს ნატოში გაწევრიანებაზე, ისევე და ისევე მოუმზადებლობის გამო. მოუმზადებლობაში იგულისხმება საქართველოში დემოკრატიის საეჭვო ხარისხი და სასამართლო რეფორმის არასაკმარისობა. ევროპის ფორმულირება იქნება ასეთი და არავინ იტყვის იმას, რომ საფრანგეთი და გერმანია გაზის მოპოვებას შეუდგნენ რუსეთში, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ და რომ მათი ინტერესები გადაჯაჭვულია რუსეთის ინტერესებთან.

ამ ომმა დააჩქარა ბევრი ნეგატიური მოვლენა, რაც თანდათან უნდა მომხდარიყო და რუსეთს გაუხსნა ხელ-ფეხი შემოჭრილიყო საქართველოში და მიენგრ-მოენგრა ყოველივე და ყვე-

ლაფერი. ამის შემდეგ თავის მართლება, თან მომხდარზე პასუხისმგებლობის აღება და პრეზიდენტის სავარძელზე მიჯაჭვულობა, მართლაც მძიმე ავადმყოფობის ნიშანია. როგორც ჩანს, სახელმწიფოებანა კარგი გასართობია და სხვა უკეთესს საქმეს ვერ პოულობს შურისმაძიებელი ტიპი.

ნურც ის ვერსია დაგვაინწყებდა, კულუარებში რომ იმეორებენ, დასავლეთმა ნააქეზა სააკაშვილი და იმიტომ შეიყვანა ჯარი ცხინვალში. ჭირს სიმართლის დადგენა, შედეგი კი სახეზეა და დამნაშაის ძიებას მაინც სააკაშვილთან მივყავართ, რადგან მან, მთავარსარდალმა გასცა ბრძანება ცხინვალში სამხედრო დანაყოფები დაუყოვნებლივ შეეყვანათ და შევიდნენ კიდევ.

რეალობა ერთადერთია, დღევანდელი დასახიჩრებელი ქვეყანა, რომელიც აგვისტოს ომის შემდეგ შეგნებულად იყო განწყვეტილი ორ ნაწილად, როცა ხაშურიდან იგოეთამდე აკონტროლებდა რუსი მთავარ გზას, პარალელურად დაპყრობილი ჰქონდა მთელი სამეგრელოს რეგიონი და კარგა ხანს ელოდა აჯანყებას თბილისსა და სამეგრელოში; საპასუხოდ კი მიიღო ჯერ ანტირუსული მიტინგი პარლამენტის წინ, მოგვიანებით კი ცოცხალი ჯაჭვი, მილიონახევარმა ადამიანმა რომ გააბა მთელ საქართველოში. არ ვიცი, რუსები მიხვდნენ თუ არა, რომ მათი წარმოდგენები საქართველოზე და ქართველ ხალხზე სტერეოტიპურია და არ შეესაბამება მათ ცრუ წარმოდგენებს და არსებულ გეგმებში არ ეწერება.

არავინ არ უნდა მიითვალოს საკუთარ თავზე ქართველების უნიკალური თანადგომა, რომელიც უფრო მეტად ნიშნავდა აგრესორი რუსეთისთვის წინააღმდეგობას, საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვას და არა ვირტუალურიპრეზიდენტის მხარდაჭერას.

ევროპის როლი მეტად მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ დასავლეთ ევროპა, ცხადია, საკუთარ ინტერესებს არ გასწირავს არასოდეს და იქნება მუდამ პრაგმატიკი რუსეთთან დამოკიდებულებაში. ეს გამოჩნდა კიდევ გერმანიის მაგალითზე, როცა ანგელა მერკელს/გერმანიას/ შესთავაზეს ერთ-ერთ საბადოზე გაზის მოპოვების უფლება შესაბამისი ანაზღაურების საფასურად, როგორც ამბობენ მისაღებ ფასად. რუსეთი ცდილობს ევროპის წამყვანი ქვეყნების მოსყიდვას და ახერხებს კიდევ, თუმცა ევროპელები რეალურად იქნებიან ენერგორესურსების დივერსიფიკაციაზე და მაინც ფრთხილად ეკიდებიან, შიშით უყურებენ რუსეთს.

ჩვენი ნატოში გაწევრიანება, როგორც ჩანს გადაიდო, მაშინ, ვიდრე ევროპა გაერკვევა ენერგორესურსების დივერსიპიკაციაში, მანამდე, ვეჭვობ, ზოგიერთმა ევროპულმა ქვეყანამ ჩვენი "მეპი" ამჯობინოს რუსულ გაზს.

რა დაგვრჩენია პერსპექტივაში?! ალბათ, ისევ ამერიკა, მაგრამ არავინ იცის ვინ იქნება ახალი პრეზიდენტი და რა გზას დაადგება თეთრი სახლი საქართველოსთან მიმართებაში.

რუსები ახლაც კი მიგვანიშნებენ სამხედრო-პოლიტიკური კავშირი შეეკრათ მათთან, დსთ-ს სხვა ქვეყნებთან და შესაძლოა სეპარატისტულ რეგიონებზეც დაგველაპარაკონ.

გამოიკვეთა მთავარი გარემოება: რუსეთმა ხელი შეუშალა ჩვენს ნატოში გაწევრიანებას.

როგორც წესი, რამდენიმე ევროპული სახელმწიფო ისე იქცევა, როგორც მისი გაზის მიმწოდებელი უკარნახებს. დრო, როცა რუსეთს ანგარიშს არ გაუწევს დანარჩენი მსოფლიო, თუნდაც მთელი ევროპა, მე არ ვიცი როდის დადგება.

სახელმწიფოებრივ პრაგმატიზმს, ალბათ, კონფორმიზმს ვერ ვუნოდებ და ვერც ზნეობრივ საქციელს მოსთხოვ რომელიმე სახელმწიფოს, საკუთარი ინტერესების შესაბამისად რომ მოქმედებს. რომელიმე ევროპული ქვეყნის თუ ქვეყნების სახელმწიფო ინტერესებს არ ემთხვევა საქართველოს ნატოში გაწევრიანება. ჩემთვის ადრევე ნათელი იყო, რომ დასავლეთი არამხოლოდ იდეალებისთვის იღვწოდა საქართველოსთან მიმართებაში. არსებობდა გეოპოლიტიკური ინტერესი და დღესაც იარსებებს, ვიდრე ნავთობსადენები გადის

საქართველოზე, მაგრამ ჩვენი დერეფნის მნიშვნელობის გაზრდა ან საგრძნობი შემცირება მოხდება იმის მიხედვით, განხორციელდება თუ არა “ნაბოკოს” პროექტი საქართველოს გავლით თუ საერთოდ განხორციელდება.

საქართველო ისევ იმყოფება მოსალოდნელი გეოპოლიტიკური დაპირისპირების ეპიცენტრში.

რა ვქნათ ახლა, ვიცნებოთ რომ ნაბოკოს პროექტმა გაიაროს საქართველოზე და იმ იმედით ვიარსებოთ რომ ნაბოკო გვიშველის თუ??? ამ კითხვისნიშნებს გველებივით აღუმართავთ თავები და პასუხი არ ჩანს. არც გამოჩნდება, ვიდრე გონიერ ხელისუფლებას არ ავირჩევთ და არ დავასრულებთ ვირტუალური წარმატებებით ხალხის, როგორც ახლა ამბობენ, – დაბოლებას.

**P.S.** ჟენევაში დაგეგმილი მოლაპარაკება, რომლის პირველი შეხვედრა ჩაიშალა, ხანგრძლივი და არაფრისმთქმელი სალაყბოა, სადაც არაფერს გადაწყვეტენ და არაფერი შეიცვლება. შეყოლიების, დროის გაჭიანურების, ადგილის ტკეპნის, აბსურდული დიალოგის ხელშემწყობი ფორმატია ანუ მოლაპარაკება მოლაპარაკებისთვის. დიალოგი რომ განახლდა ეს უკვე ნინსვლაა. ასეთი შეფასებები გაისმის მათგან, ვისთვისაც ეს ვითომ მოლაპარაკება სამსახურია, რაშიც სოლიდურ ანაზღაურებას ლებულობენ.

**კადრი დანკვინისათვის**

საკავშირი პასუხობდა ომის შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის შეკითხვებს.

თვითონ იყო პროკურორი, მსხვერპლი, ადვოკატი, მოსამართლე და დამნაშავე ერთდროულად; როგორ ითავებს ამ ყოველივეს ეს შოუმენი, უკვე აღარ მიკვირს, საკვირველი ის არის, არავისი და არაფრის რომ არ რტყვენია და ყველას მოტყუებას ისე იწყებს მეთავედ, როგორც პირველად.

**ჩვენი ფოსტა**

**ცხელ გულზე გამონათქვამი**

ძვირფასო რედაქცია. სასიამოვნო აღმოჩენა გახლდათ ჩემთვის „პოეტის ერთი ლექსის“ რუბრიკით დაბეჭდილი „**ბავშვი და ტყე**“ — ნელი პატიაშვილისა.

სანყენად ნუ დაურჩება მოაზროვნე ქალბატონს, თუ ვაღიარებ, რომ ჩემთვის უცნობი პოეტია. დღეისამასიქით მოვიძიებ მის ნაწერებს და გულმოდგინედაც ვავეცნობი.

ბარემ აქვე აღვნიშნავ მაღლიერებით სარედაქციო წინათქმაზე, რომელიც, შეიძლება ითქვას, პროზაული სარკე გახლავთ იმ ყოველივესი ანუ ფერადოვანი განცდისა, რაც ამ მშვენიერ ლექსშია გაცხადებული. წინათქმა ფაქტობრივად ინვესტ მკითხველს პოეტური ხვაშიადის შესაცნობად.

და კიდევ, ბევრი რომ არ გავაგრძელო. ლექსი იკითხება თვალმოუწყვეტლივ, გაფაციცებით, ერთი ტაეპი კი არა, ერთი სიტყვაც არ გინდა გაგისხლტეს და დაიკარგოს. პოეტის სიტყვა ანათებს, ცხოველყოფელია. აქ იკითხება მთელი ცხოვრება ადამიანისა, მისი სწრაფვა თავისუფლებისაკენ, ბუნების კანონზომიერების შეცნობის ნადილი და ამავე დროს ამ სისავსეზე ამოზრდილი გამაკეთილშობილებელი ტანჯვა ადამიანისა, სიხარულიც, მარადიულობის სილამაზით გამოწვეული. ერთი სიტყვით, იქით ბუნება, აქეთ უშიშარი დამკვირვებელი, თუმცა ერთდროულად ამაყი და მორჩილი დიდი კანონზომიერებისა.

მთელი ლექსი მუსიკაა: დღე, ღამე, შუქი, კვალი, ფოთოლი, დელე, ყვავილი, სოკო, მუხა, ნიფელი, ქარი, მწერი თუ ჩიტი — დიდებული ორკესტრი, შემქმნელი ამ უჩვეულოდ ცოცხალი მუსიკისა.

გულუბრყვილობად ნუ ჩამეთვლება და მე, როგორც აღფრთოვანებულმა მკითხველმა, შევიცანი ამ ლექსის ავტორი, როგორც დობილი **ვაჟა-ფშაველასი** და ჩემს ნათქვამს ნამეტანი დაცილებულად თუ მიიჩნევთ სიმართლესთან, სხვას რომ თავი დავანებოთ, „ღამე მთაში“ გაიხსენეთ...

**მადონა მისხია**

**ფრიდემ კარინტი**

**იანოზ —  
რა თქმა უნდა**

ვინ არის იგი?

სად შევხვდი პირველად?

როდის ვნახავ უკანასკნელად?

არ ვიცი. ჩემს აკვანთან კი მაშინვე იდგა, როცა ვჩნდებოდი, როცა დროთა წიაღიდან გამოვდი ამ სოფელ-ქვეყანაზე. გამოვარღვი ათასწლეულთა აბოლქვებულნი ნისლი უცხო ძალამ, უცხო წყვდიადში.

და როდესაც თვალები გავახილე და მიმოვიხედე ამ სიუცხოვეში, ის აკვანთან იდგა და ჩემს მშობლებს ულოცავდა. მერე მეც მომილოცა დაბადება.

ბიჭუნავ, — მითხრა მე. მე, ვინც მოვედი უსაზღვრო სამყაროდან, ვინც თავი დავაღწიე უკვდავი სულების სამეფოს. ჯანმრთელი იყავ, ბიჭუნავ, — მითხრა, — დიდი გაიზარდე.

ისე მელაპარაკებოდა, ისე მილოცავდა გაჩენას, თითქოს ღირსი ვიყავი ჯილდოსი, მუყაითი შრომითა და სანიშნო ყოფაქცევით რომ დავიმსახურე. მელაპარაკებოდა, რასაკვირველია, ერთგვარი უპირატესობით, როგორც ადამიანი, ვინც ბევრს მიაღწია ჩემთან შედარებით, მაგრამ მაინც ერთობ კეთილმოსურნედ, თითქოს უნდოდა ეთქვა, რომ თვითონ ფაქტი ჩემი გაჩენისა, უკვე რაღაცას ნიშნავს, ყოველ შემთხვევაში, იმედის მომცემია. როგორღაც ხომ უნდა დაიწყოს. დღეს თავს უფლებას ვაძლევ დაგარწმუნოთ — თუ რაიმეს მიღწევა გნადიათ, ცხრაპირი ოფლი უნდა მოიღინოთ და, რომ იბადებით, ეს უკვე დასაწყისისათვის კარგია. უამისოდ ჩვენს დროში შორს ვერ წახვალ.

დაახლოებით ამგვარებს უბნობდა. შემდეგ განაცხადებს, რომ ყურებით ალი-კვალი მამა ვარ, ცხვირი ნაძერწი ასლი მაქვს დედისა.

ვბედავ, დაგარწმუნოთ, განაგრძობს იგი, რომ არავინ იცის ბავშვი რა დადგება მომავალში. ოლონდ კარგი ღვინო მალე დადულდება, ბრძნულად უთქვამთ.

სხვათა შორის, ასეც ხდება, ხომ იცით, რომ ყოველად უვარგისი ბავშვისაგან მშვენიერი ჭაბუკი დამდგარა.

აბა, რას გაიგებ წინდანინ, ხომ მეთანხმებით?

რა თქმა უნდა, ბატონო კოვარ. ბატონო იმანო, არ ვიცი მისი სახელი, დამავიწყდა, თუმცაღა არაერთხელ გამეცნო, ფეხის ყოველ ნაბიჯზე მხვდება: სადილობის დროს, ვახშობისას, გემზე, მატარებელზე, თეატრში, დოღზე, ომიანობის დროს და მშვიდობის ჟამს, კაფესა და ტრამვაიში, იმიტომ, რომ ყველგან და წარამარა ვხვდები, მისთვის სულერთია, მზად არის ათასჯერ გაგეცნოს. მას უღვაშები და განიერი ცხვირი აქვს.

ყოველთვის აღერსიანია ჩემდამი. სალამს ვერ ვასწრებ. ვერაფერში შეედავები. უადგილოდ და უსწოროს არაფერს იტყვის. რანაირ მდგომარეობაშიც უნდა აღმოვჩნდეთ, მას ყველაფრის ცნობისნადილი აქვს. როცა გავჩნდი, დაბადებაზე მელაპარაკა, მატარებელში რომ შემხვდა — რკინიგზაზე, დაკრძალვის დროს — სიკვდილზე, გამოფენაზე — სურათების შესახებ.

მასთან კამათი შეუძლებელია, რადგანაც რაზეც ის ლაპარაკობს, უკანასკნელი და, თანაც, მაღალი სინჯის სიბრძნეა. შუახნის მამაკაცია, რომელმაც თითქმის



ყველაფერი იცის ყველაფერზე. არცერთი ამბავი არ ჩაივლის მის განუსჯელად. არ აკვირებს პროგრესი, ადრევე აქვს ნაწინასწარმეტყველებები, რომ სწორედ ასე იქნება ყოველივე. მოკლედ, ვერაფრით გააოცებთ.

მთელი ცხოვრება ერთგულად მედგა მხარში — არ მეტმასნებოდა, არ მეძებდა, ფეხდაფეხ არ დამყვებოდა და მაინც ყოველთვის ჩემ გვერდით იდგა. არ ვიცი, რად ვუყვარვარ, რას ფიქრობს ჩემზე, მას ხომ ერთადერთი, რაც დღემდე ჩემგან ესმის, არის — რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, ან თქვენ სავსებით მართალი ბრძანდებით, ზუსტად ისეა, როგორც თქვენ ბრძანებთ, ან კი, ეს არის სიმართლე.

იგი ახლაც გვერდით მიზის და მსჯელობს იმის შესახებ, რომ, რა თქმა უნდა, შესანიშნავია, როცა ადამიანს შემოქმედებითი უნარი აქვს, მაგრამ ეს უნდა დაბადებიდანვე დაგვყეს. აი, ეს არის სიმართლე.

ის ჩემს სასიკვდილო სარეცელთანაც იდგება, ანუ შემეშვას ახლობლებს, ეცდება დაარწმუნოს, რომ ჩემთვის ასე ჯობია, ბოლოს და ბოლოს ტანჯვას მორჩაო.

ეს უკვე რაღაცაა. და ის მართალი იქნება.

მაშ ვინ არის იგი?

სად შევხვდი პირველად?

სად დავემალე?

შევეცდები აღვწერო იქნებ ასე მაინც გავთავისუფლდე მისგან ან მის ტყავში შევძვრე და იმდენად შევერწყა, შესანიშნავადაც კი ვიგრძნო თავი ამ მდგომარეობაში. რაც იქნება, იქნება.

რა თქმა უნდა.

იანოშ-რა თქმა უნდა თავს დააქნევს ჩემს ბოლო შენიშვნაზე და დასძენს, რომ მე ძალიან სწორად ვლაპარაკობ, იმიტომ, რომ ასეთი რამ არასოდეს ყოფილა, იყო და არა იყო რა.

აბა, რას გეუბნებოდით?

იანოშ-რა თქმა უნდა, სიტყვა შენზეა.

### ის სიტყვებისთვის არ გაჩენილა

ის სიტყვებისთვის არ გაჩენილა.

ასე იწყებს ყოველ სადღეგრძელოს. ბატონებო, მე სიტყვებისთვის არ გაჩენილვარ.

ერთი შეხედვით, თითქოს თავმდაბლობს, უფრო კი თავს იზღვევს, რომ მისგან არ ელოდონ რაღაც განსაკუთრებულ სიღრმეებს ან დიდ ჭკუას, ან ელვარე გზნებას. რა თქმა უნდა, თავმდაბლობის ამ თვითგვემაში გამოსჭვივის ერთგვარი დაცინვა მათი მისამართით, ვინც გაჩენილა სიტყვებისთვის, გაუთავებლად რომ აფრქვევენ არაფრისმქმედ სიტყვებს და საქმესთან მწყრალად არიან.

მაშინ ის...

ისე კი რისთვის არის გაჩენილი თუ არა სიტყვებისთვის, ამის ახსნა მიძნელდება.

ამ საქმეში ყველაზე საოცარი ეს არის: თუმცა მისი სადღეგრძელოების ოთხმოცდაცამეტი პროცენტი ამ ფრაზით იწყება, უცებ თუ ვინმე გულუბრყვილო და მოაზროვნე თავი გადანყვეტს, სადღეგრძელო ორატორული ხელოვნების ერთ-ერთი ჟანრიაო, იგი იძულებულია აღიაროს, რომ სადღეგრძელო მსგავსია ტაძრისა, ან კარადისა, ან ლანჩისა, ან რომელიმე სამრეწველო ნაკეთობისა, რომელსაც ხელმარჯვე მუშები ამზადებენ. ისეთი ადამიანის ხელები კი, როგორც იანოშ-რა თქმა უნდაა, არ ლაპარაკობენ — მოქმედებენ.

სიტყვებისთვის გაჩენილ კაცს დღესასწაულებზე სიტყვას არავინ აძლევს. ის არც ესწრება დღესასწაულებს, სწორედ მაშინ არის დაკავებული. ჰოდა, ისე ხდება, რომ მის მა-

გივრად უნდა ილაპარაკოს ვილაცამ, ვინც სიტყვებისათვის არის გაჩენილი.

მაგრამ რა გვექნა სიტყვებისათვის გაჩენილი ეს კაცი?

ნაღდად იმ ადგილზეა, რომელიც სიტყვათა სავანედ უნდა ჩაითვალოს. პარლამენტში, მაგალითად, სადაც, როგორც დასახელება გვიჩვენებს,\* საქმე კეთდება ლაპარაკით, ან თეატრში, ან რედაქციებში, ან საწერ მაგიდასთან.

ოლონდ იანოშ-რა თქმა უნდა დიდი წარმოდგენისა არ არის ამ ადგილებზე.

რაც შეეხება პარლამენტს, იქ ცარიელი ლაყბობაა, დიდიხანია დასაშლელია და პირდაპირ გეტყვით, იცით, გინდაც ჩამოქიდო, მხოლოდ ლაყბობენ და სხვა არაფერი.

არადა, რაოდენ სასარგებლო იქნებოდა იქ, პარლამენტში რომ ბენჯახეხით გაეხეხათ რამე ან სხვაგვარად წაემუშავათ. ისე კი... რის მაქნისები არიან?

ამაზე, იცით, ვერავინ გიპასუხებთ. მე, იცით, დემოკრატი ვარ, მაგრამ იმაში, რასაც ეს მუსოლინი ლაპარაკობს, ბევრი სიმართლეა, ვბედავ, დაგარწმუნოთ.

მუსოლინი იანოშ-რა თქმა უნდას სისუსტეა. მას ხომ ისეთი ორატორები უყვარს, რომლებიც ლაპარაკის მაგივრად მოქმედებენ.

ყველაზე დიდი წარმატება, პოპულარობა და პატივისცემა იმ პოლიტიკოსებს ხვდებათ ნილადა, რომლებიც პარლამენტში ლიად აცხადებდნენ, სიტყვებისათვის არა ვართ გაჩენილნიო. მათში იანოშ-რა თქმა უნდაც ხედავს თავის თავს.

ომამდელი წლების მთავარი პოლიტიკური ფიგურა იყო გამოჩენილი მოღვაწე, რომელმაც ნამდვილი ომი გამოუცხადა არამართო მჭევრმეტყველების კულტს, საერთოდ, სიტყვის კულტს — მისი მოკლე, შეკუმშული, წინასწარმეტყველური გამონათქვამები ბრძანებებივით ესმოდათ რომელიცა დრომოჭმული შენობის ბინადრებს.

აბა, ჰე! ზოგისთვის ისიც საკმარისია, სამომავლოდ ერთ ჩხირს თუ გადააბრუნებს.

ბატონებო, მოკლედ მოჭრა მან, ვიღებ რა პასუხისმგებლობას იმის თაობაზე, რომ ქვეყანა გაჰყვა იმპერატორს, ბატონებო, ჩვენ მოვიგებთ ომს.

ესეც ასე. აი, ლაპარაკი. ასე ლაპარაკობენ ვაჟკაცები, სჯერა იანოშ-რა თქმა უნდას. მოკლედ, შეკუმშულად, უცერემონიოდ. ასე ლაპარაკობს ნამდვილი მამაკაცი, რომელიც სიტყვებისთვის არ არის გაჩენილი.

მოგონებანი აქამდე ავსებს იანოშ-რა თქმა უნდას გულს მოკრძალებით და რწმენით.

ომი ჩვენ თუმცაღა წავაგეთ, მაგრამ ვის არ ახსოვს ცნობილი კრაკოველი რაბინის ამბავი? ლვოვი იწვის! — აღმაფრენით წარმოთქვა რაბინმა. აფრინეს მარბიელები და გამოირკვა, რომ ლვოვი არ იწვოდა.

გეყოფათ, გეყოფათ, — დღესაც გაიძახიან კრაკოველი რაბინის პატივისმცემლები, როცა კი ამ ამბავს ვინმე გაიხსენებს, — მერე რა, რომ ლვოვი არ იწვოდა, მაგრამ, ბატონებო, ეს ხუმრობა ხომ არ არის, კრაკოვიდან ლვოვი დაინახო?..

იანოშ-რა თქმა უნდას პეტეფის თხზულებებიდან ის ფაქ-



\* პარლამენტი — (იტალ.) ლაპარაკი

ტი მოსწონს, რომ პოეტმა იწინასწარმეტყველა თავის წაგება ბრძოლაში და ცხენის ფლოკეებზე სიკვდილი.

მან ისიც განჭვრიტა, როგორ დაიტირებდა ცოლი თავის მშვიდ სამარესთან, მაგრამ ეს არ ითვლება, რამდენადაც ქალმა სხვა მონახა.

ყველა დანარჩენი, ბატონო ჩემო, სხვა არა არის რა, თუ არა პეიტრობა.

კარგი ლაპარაკის მოყვარულებმა, სჯობს, რამე სასარგებლო გააკეთონ, იარონ თუნდაც ზოზინით.

მათ მაგივრად იტყვის ყველაფერს, იმას, რასაც ამბობს, აქვს წონა, აზრი, მარლი, რადგანაც იგი სიტყვებისათვის გაჩენილი არ გახლავთ.

ვნახოთ, რას ლაპარაკობს.

**საერთოდ,  
ისეთი კაცი არ არის**

იმიტომ, რომ ის არა მხოლოდ სიტყვებისთვის გაჩენილი არ არის.

საერთოდ არ არის ისეთი კაცი.

მე, იცით, ისეთი კაცი არა ვარ.

ის, თქვენთვის ცნობილი უნდა იყოს, რომ სრულიად განსხვავებული კაცია, არა ისეთი, როგორც სხვები, და იცით, რატომ?

იმიტომ, რომ სხვებმა დაივიწყეს თავმდაბლობა და თავს, ღმერთმა იცის, რაღას არ ადარებენ, წარმოუდგენიათ, თითქოს რაღაც განსაკუთრებულები არიან, დიხხაც. მათზე ამას ვერ იტყვი და ვერც იმას იტყვი, ასეთი ხალხი, უბრალოდ, სასაცილოაო.

მე, იცით, ჩემს ცოლს სულ ვეუბნები — ერთი იმას შეხედე, ძვირფასო, ხომ ხედავ, ამერიკის აღმომჩენი ჰგონია თავი. არა, ის ასეთი არ არის.

თავმდაბალია. მოკრძალებული შეხედულებისაა საკუთარ თავზე. ჩემი მოკრძალებული შეხედულებით... ის ისე მოკრძალებით გადმოსცემს თავის მოკრძალებულ შეხედულებებს, რომ გარშემო მყოფნი აუცილებლად მიაყურადებენ და თავად დაჩუმიდებიან: ღირს ამის მოსმენა, როცა ასეთი მოკრძალებული კაცი ლაპარაკობს, მაშასადამე, აქვს საამისოდ მართლაცდა სერიოზული საფუძვლები.

მე, ბოლოს და ბოლოს, ერთი უბრალო კაცი ვარო. მეორე ასეთ უბრალო კაცს ვერ იპოვი.

მთელ დუნიაზე არ არსებობს ასეთი ჩვეულებრივი, საშუალო, უბრალო, მარტივი ადამიანი.

ის ერთადერთი უბრალო კაცია ქვეყანაზე.

რადგან მას აქვს კეთილგონიერება, არა ისეთი, როგორც აქვთ ამ, უკაცრავად გამოთქმისათვის — დამსწრეებს არ ვგულისხმობ — სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს, ვილას არა, იცით, უბრალოდ, სასაცილოა.

რადგან, გეთაყვა, რაღა შორს წავიდეთ, ავილოთ, თუნდაც, ბოდიში მომიტხოვა, ებრაელები.

მე, იცით, ისეთი კაცი არა ვარ, რომ იმისათვის, რომ ვილაცა, მაგალითად, ვთქვათ, რომ ებრაელია...

დამეხსენით, XX საუკუნეში ასეთი სჯა-ბაასი ნებადაურთველია. ჩვენ დღეს სრულიად ახალ მსოფლიოში ვცხოვრობთ და მე ისეთი კაცი არა ვარ, რომ არ ვაღიარო — ებრაელებს შორისაც დღეს ჩვენ მრავლად გვხვდებიან ღირსეული და წესიერი ადამიანები.

\* აქ და შემდეგაც, მოთხრობაში ნახსენებია სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის უნგრელი პოლიტიკური მოღვაწეების და მწერლების სახელები.

მაგრამ, იცით, არის ამაში რაღაცა, პირდაპირ გეტყვით, გინდაც ჩამოშორდონ, იცით, არის რაღაცა იმაში, რასაც ლაპარაკობს ეს გიომბიოში.\*

მას, იცით, პირდაპირ გეტყვით, რომ არ ეშინია. თუმცა ფრთხილი, თავმდაბალი ადამიანია, მაგრამ სიმართლე მისთვის ყველაფერზე ძვირფასია. ის ამ შემთხვევაში შეურიგებელია.

რა მისი ბრალია, რომ სიმართლე მასთან მიდის იმ მომენტში, როცა იგი აღიარებულია დროის რაღაცა მონაკვეთში მეორე სიმართლის საპირისპიროდ, საერთო აღიარება რომ ჰქონდა ნახევარი წლის წინათ ან რომ უნდა მოიპოვოს ნახევარი წლის შემდეგ.

ის, იცით, პირდაპირ გეტყვით, გინდ ჩამოჰკიდეთ, რომ ბეტლენი, თუ გინდათ, შესანიშნავი კაცია.

ახლა ჩამოჰკიდეთ.

იცით, მისი ბრალი სულაც არ არის, რომ ჩვენს დროში რაღაც შემთხვევითობის გამო არავის ჰკიდებენ ასეთ თამამ შეხედულებათა სააშკარაოზე გამოტანისათვის.

აქ ერთი დაბრკოლებაა: მე როცა შევხვდი მას კომუნის დღეებში, დამინყო ახსნა-განმარტება, იცით, ამ იდეაში არის რაღაცაო. მე, იცით, ისეთი კაცი არა ვარ, ადვილად რომ აღფრთოვანდებ, ან, ვთქვათ, ცეცხლში ვვარდებოდე, როგორც ახლა ამბობენ, ოღონდ ის კი შემოიღია ვთქვა, გინდაც დამხვრიტონ, რომ, იცით, ამაში არის რაღაცა. რაში? იმაში, რომ საწყალ კაცსაც უნდა არსებობა.

ის არავის დაუხვრეტია, თუმცა მზად იყო ყველა გზაჯვარედინზე ეყვირა, რაც სწამდა.

ის ეგეთი კაცი არ არის.

მას ვერ შეაშინებ.

ზაფხული თუა, ნებისმიერ ადამიანს ეტყვის დაუფარავად: გადაეცით მაგ ვაჟბატონს, რომ ცოტა სითბო მარგებელია ჯანმრთელობისათვის.

კარგი იქნებოდა, სულ რომ ასე იყოს, იცით, სხვათა შორის, ეს ჩემი მოკრძალებული თვალსაზრისია, შეიძლება, ვცდებოდე, აი, ცხენი, ხომ იცით, ოთხით დადის და ისიც ნაიფორხილებს ხოლმე.

ზამთარში ისე თბილად ესალმება სიცივეს, როგორც ზაფხულში ცივად გაერიდება ხოლმე იმ კონსერვატულ ელემენტებს, ოფლად რომ იღვრებიან და ეშმაკს ახსენებენ.

ის ეგეთი კაცი არ არის. გულახდილად, თვალეში ეტყვის მის მაღალკეთილშობილებას, თქვენო, თქვენო მაღალკეთილშობილება, ჰაი-ჰაი რომ დიდებული საქმე წამოიწყეთ, პირდაპირ გეტყვით, თქვენო მაღალკეთილშობილება.

იგი უფალ ღმერთსაც პირდაპირ თვალეში ეტყვის, რომ ჭეშმარიტად ყოვლადმონყალე უფალი ხარ, მშვენიერი სამყარო შექმენი, ღმერთმანიო.

**ეს სწორედ ის არის**

ვთქვათ, რაღაცას უყვებიან.

რაიმე უაზროს.

რომ ამოხეტა პოპოკატეპეტლმა და ხანძარმა იმსხვერპლა ორმოცი ათასი კაცი. რომ მოკლეს ჩინეთის იმპერატორი, რომ გაიმარჯვა ინგლისის მუშათა პარტიამ ან გამოიგონეს კიბოს სანინაალმდეგო შრატი.

გულმოდგინედ უსმენს, ეტყობა, რომ აზროვნებს. და როცა ხმას ამოიღებს, ყველანი მონინებით უსმენენ, ყველას ანიაზებს მისი აზრები. ეს ადამიანები ასეთი პატივისცემით არ უსმენენ თომას მანის ან ბერნარდ შოუს, თუ გინდათ, განდის შეხედულებებს: აბა, ამათგან რა უნდა აიღონ, ყველას თავთავისი მიკერძოებული აზრი და იდეაფიქსი აქვს, რასაც ყველაფერს გადააყოლებენ ხოლმე.

იანომ-რა თქმა უნდა კი მიუკერძოებელია. რა ხერის გვაძლევს აბდაუბდა მიეთ-მოეთი.

ერთხელაც ამბობს: ეს სწორედ ის არის.

კიბოს შრატი? იცით, ეს სწორედ ის არის, ჩემს მოყვარეს რომ ჰქონდა. მოყვარე მყავს, ხომ იცით. ყოველ წელს ახალ პალტოშია გამოწყობილი. მე ვეუბნები, რად გინდა ამდენი პალტო? ის კი, იცით, რას მეუბნება — ყველაფერზე უნდა იფიქრო, ასეთი რამე არც მინახავს და არც გამოვიტყვი. ეს სწორედ ის არის.

ყველანი ცოტახანს იყურებენ, თავს დააკანტურებენ და თანდათანობით, ერთიმეორის მიყოლებით, სირცხვილს იგრძნობენ — ალბათ სხვებმა უთუოდ გაიგეს, რატომ არის ეს სწორედ ის — და უფრო ენერგიულად მოუმატებენ თავის კანტურს: რასაკვირველია, ეს ხომ მართლაც სწორედ ის არის, უბრალოდ, დღეს ცოტა გადავიღალე და ვერ მივხვდი.

შედეგად რჩება, ზოგჯერ საუკუნოდაც, ერთგვარი ანალოგია, მაგალითი, ახსნა, ანეკდოტი, ამოზრდილი ზოგჯერ იმ თეორიად, რომ ეს საქმე, ეს ახალი იდეა, ეს რევოლუციური ნაფიქრი, ეს ნოვატორული და ბუნტარული გეგმა არაფრად ვარგა, არა აქვს აზრი მათ მიხედვას და რაღაც ილუზიების არაკეთილგონივრულ კვებას, რადგან ეს სწორედ ის არის, რაც იანომ-რა თქმა უნდას მოყვარე კაცის თავს იყო, იმის თავს — პალტოებს რომ ყიდულობდა.

იანომ-რა თქმა უნდას მოყვარის შემთხვევა გაცილებით დიდ გავლენას ახდენს მსოფლიოს განვითარების შემაკავებელ და დამამუხრუჭებელ ძალებზე, ვიდრე ჰგონიათ.

ჰამლეტმა მოკლა მამინაცვალი? ეს, იცით, სწორედ ის არის, რაც იყო ჩვენთან, იცით. ერთი ბუბერი მმართველი გვყავდა, რომელიც შოლტთან მსახურობდა, მაგრამ არა ნოვარდელ შოლტთან, არამედ, თუ გნებავთ, შომოდელთან, ჰოდა ის და გუბერნატორი დანასისხლად იყვნენ ერთმანეთთან გადაკიდებულნი, ამის მიუხედავად, მაინც კარგად რიგდებოდნენ, დამეთანხმეთ — განა მართალი არ იყო ჰამლეტი?

ე. ი. ის რომ მოკლა, სწორედ ის არის, რაც იქნებოდა, რომ არ მოეკლა.

ანდა ლირი რომ მიატოვეს ქალიშვილებმა? ეს სწორედ ის არის, იცით, ზაფხულობით რომ ემართებათ ხოლმე იხვებს, მორჩა და გათავდა.

არადა, ჭეშმარიტად რა უბრალოდ ხდება ყველაფერი, საკმარისია, კაცმა ერთხელ შენიშნოს, რომ ეს არაფრით განსხვავდება იმისგან. აბელიარი კუნიგუნდაა, კუნიგუნდა კი — აბელიარი.

ყოველივე კარგავს თავის ტრაგიკულ მნიშვნელობას და სამყარო ხდება არაჩვეულებრივად მოსახერხებელი და გასაგები.

იანომ-რა თქმა უნდა ბუნებით ნამდვილი პოეტია. მისი სტიქიაა შედარება. დარწმუნებულია, რომ საგნები თავისთავად შეუცნობელი არიან, მაგრამ, საბედნიეროდ, არსებობენ სხვა საგნები, რომლებსაც ისინი უნდა შევადაროთ.

აბა, გეკითხებით, რა ფასი ექნებოდა ზეთს, მისი შედარება რომ შეუძლებელი ყოფილიყო ნუშთან ან რა ფასი აქვს ნუშს, ზეთს თუ არა ჰგავს.

ზეთის არსი რომ შეისწავლო და ისწავლო მისგან სიამოვნების მიღება... საერთოდ, საკუთარი აზრი რომ გქონდეს ზეთსა ან ცხოვრებაზე, ან ცხოვრების აზრსა და მიზანზე... ამაზე მარტო ისეთი გიჟები ფიქრობენ, როგორც გადარეული ნიუტონია ან ეს დამანგრეველი აინშტაინი, ან კიდევ ნახევრადშეშლილი, რა ჰქვია... ჰმ, რა ჰქვია, სულ რომ ფილოსოფოსობს, იცით, ეს არის მაგის სიბრძნე, იცით, ეს იგივეა, ჩემს მოყვარეს რომ დაემართა — ბევრი ფიქრისგან კუპრით სავსე კასრში ჩავარდა.

კი, წყალი ისევ იგივეა, რაც ცეცხლი, სხვაფრივ — სიცოცხლევ იგივეა, რაც სიკვდილი, სიკეთე იგივეა, რაც ბოროტება და მთელი სამყაროც ისეთია, როგორც გინდოდა დაგენახა.

**უკაცრავად, დაგვანახე, მამისტრო**

ბოდიში, მაგრამ ვინ არის ეს ხალხი?

რომ იკრიბებიან, ყველა ხედავს.

ბოდიში, მაგრამ რა სიგიჟეა?

მესმის, რა თქმა უნდა, წავიკითხე და გავიგონე კიდევ, რომ სათეატრო კრიზისია.

მე, იცით, სპეციალისტი არ გახლავართ და ვერ გამოვხატავ, როგორც ბატონი რედაქტორები. მე რომ ბატონ აურელ კარპატივით ვწერდე, სწორედ ახლა რომ ვკითხულობ ან, მაგალითად, ამ პალ რელესავით.

მე მარტო იმის თქმა მიინდა, იცით, შესაძლოა, ვცდებოდე, მაგრამ არცერთი იმას არ წერს, როგორც გნებავთ, ბოლოს და ბოლოს, რაშია საქმე.

მე რალაცრალაცებს ავუსხნიდი ბატონ რედაქტორს, შეიძლება ეს არც ისე გარკვევით გამომსვლოდა, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ბოდიშს ვიხდი სიმკვეთრისათვის, ეს არ ვარგა.

მოდით, წარმოვიდგებოთ, იცით.

მე, იცით, არავისი წყენინება არ მიინდა, მაგრამ, თუ გნებავთ, წარმოვიდგინოთ, რომ მე, ვთქვათ, მივდივარ ამ თეატრში.

მე, უკაცრავად, ისე ვამბობ ამას — მივდივარ-მეთქი — მაგალითისთვის. მე, იცით, არავის ვაყენებ შეურაცხყოფას — არც ბატონ მწერლებს, არც ბატონ მსახიობებს.

იცით, ძალიან ძნელია უცბად შეიცნო — ვინ ნამდვილია და ვინ არა. არის მხოლოდ ერთი ფერენც ხერცეგი და თუ გნებავთ ან, უკაცრავად, ერთი ფერენც მოლნარი, განა მართალს არ ვამბობ? აი, ხედავთ?!

ჰო, მე ვიცი, რომ მართალი ვარ, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩემნაირად არავის შეუძლია სიმართლის ხმამაღლა გაცხადება. მე მესმის, იცით, ვინ მისცემს თავს ამის უფლებას. ასე თუ ისე, იცით, ყველას ვიღაცის ეშინია.

ეს მე არ მადარდება.

მაგრამ, აი, ეს ნადაში, იცით, მომწონს, თუ რამე არ მომწონს, იცით, პირდაპირ წერს — არ მომწონსო. ძალიანაც არ



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

ჩაეძიება წერილმანებს, თუ რატომ არ მოსწონს. არ მოსწონს, მორჩა და ეგ არის. აი, ეგ, თუ გნებავთ, გამბედავი ადამიანია. ამას პირდაპირ თვალელებში ვეტიყვი. იმრავლონ ასეთებმა.

იმიტომ, რომ მე, მაპატიეთ, არავის წყენინება არ მსურს — ნასწავლ ადამიანს ერთ ვერსზე შეატყობ. მე, იცით, არ ვლაპარაკობ შექსპირზე, რა განათლებული კაცი იყო, ისეთი, როგორც საჭიროა. მე, იცით, პირდაპირ ვეტიყვი, გინდაც ჩამქოლეთ, დიდი ადამიანი იყო, ბოდიში ამ გამოთქმისთვის.

ახლა, იცით, მოდის ჩინოვნიკი თეატრში. არა, მე არა, ვთქვით, ჩინოვნიკი, თქვენ წარმოიდგინეთ.

და, ამ დროს, რას ფიქრობს ეს ჩინოვნიკი? მსახიობი, იცით, ისიც ადამიანია, ჭკვიანი ადამიანი, ნაკითხი ადამიანი, განათლებული ადამიანი. ითამაშოს ეს როლები, მაგალითად.

ჰოდა, მიდის ეს ჩემი კაცი. იცით, მთელ დღეს ფუსფუსებდა კანტორაში ან მალაზიაში, იცით, თავზესაყრელი საქმე აქვს, გაეხედავ, დაგარწმუნოთ. მერე, ვბედავ, დაგარწმუნოთ, მიდის თეატრში, რომ გულს გადააყოლოს.

აბა, რას იტყვის? ალბათ, ერთადერთს: აბა, თეატრო, ახლა ვნახავთ, როგორ გამომიკეთებ გუნებას. ბილეთში ფული გადავიხადე — რას მომიცემ მის სანაცვლოს თეატრო?

ამ დროს თეატრი ჩვენებს სხვადასხვა საშინელებას, დამატებით — სისულელეებსაც.

და განა ეს ჩინოვნიკი მართალი არ არის?

მე, იცით, შემოძლია ვთქვა, რა უნდა ითამაშონ თეატრებმა.

მე, იცით, არავის არ ვაყენებ ზიანს, მაგრამ აი იმ თეატრის დირექტორს პირდაპირ ვეტიყვი.

იმავეს, რასაც ეს ნადაში წერდა, იცით. სავსებით მართალია, იცით. მან პირდაპირ უთხრა, უნდა ეს დაეფასოს, ოღონდ ყურს არ უგდებენ, რადგან გამბედავი კაცია და მაღალჩინოსნებს არ ეპირფერება! მან ჯერ კიდევ შარშან, იცით, ვიდრე ეს ჩავარდნები დაიწყებოდა, თქვა, საჭიროა კარგი პიესების დადგმა. მამ!

აბა, იცით? აი, თუ გნებავთ, მართალი, გულახდილი სიტყვები. ეს ნუ გგონიათ ამ წიგნიერი მწერლების მეცნიერული ყბედობა და დაღვლარქნილი აბდაუბა.

უკაცრავად, დაგვანახე.

### ეს ადი, იცით...

ავილოთ, მაგალითად, თუნდაც ეს ანდრე ადი.

ყველაფერი სულაც არაა ისე, როგორც ამბობენ, იცით, მარტო ისლა გესმის, რომ ასე და ისეო, სინამდვილეში კი ასე და ისე კი არ არის — პირიქით, ისე და ასეა.

ახლა ისინი ავილოთ. მინისტრი კლემენტსბერგი და ფინანსთა ყოფილი მინისტრი ჰეგედელიუმი. და ამ დროს, რაო ადომ, უკაცრავად. მაგრამ ადი მართალი გამოდგა, გეთაყვა. ნათელია, იცით, თქვენ წარმოიდგინეთ.

მე, იცით, პირდაპირ ვეტიყვი, თუნდაც მომკალით, ერთი ანდაზაა — შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.

იცით, ყოველთვის ვამბობდი, ჩემს მოყვარეს ჰკითხვით, თუ გინდათ. ლაცი, ვეუბნები ერთხელ (მას ლაცი ჰქვია, ამიტომაც ასე მიემართე — ლაცი), გეტიყვი, რომ ამ ანდრე ადომი რალაცა არის, თორემ ნახავ. ხალხი ვერ უგებს. მე კი შენ გეტიყვი: არ უნდათ გაგება და არ უგებენ. ის კი ნახავ თუ დიდი კაცი არ გახდეს ოლესმე.

მეტი რა გინდათ.

ისე კი, მასაც დევნიდნენ, იცით, იმიტომ, რომ განათლებული კაცი იყო. სირცხვილი, თავსლაფი, გეტიყვით თქვენ, რომ ასეთი რამეების თქმა მიხდება, მაგრამ, ბატონებო, იცით, სწორედ იმისთვის დევნიდნენ, დაბოლოს, რა დარჩა იმ გაუნათლებელ და განუვითარებელთაგან — ფშუტი. მაგ-

რამ მან ხომ ამ უვიცებს შეაღია სული, არადა, ისეთი რა დაუშავა მათ ამ ტლანქმა კაცმა, რომ ასე მოქცეოდნენ.

სიმართლე მის მხარეს იყო, მაგრამ მაინც სდევნიდნენ. ასე ექცეოდნენ შანდორ პეტეფისაც. ისიც იდევნებოდა, განა არა. ის ბრძოლის ველზე დაიღუპა მაინც.

მე თქვენ ვეტიყვით, გინდაც ამ ვაჟბატონებმა წიხლებით მიმასიკვილონ: ეს ადი ნაღდი პოეტი იყო. პოეტური ბუნების განათლებული ადამიანი, ფილოსოფოსი. არა და არ მოუსვენეს.

ვილაცები რომ ამბობენ, რალაც სისულელეებს წერდაო, ვისაც გაგება არა აქვს, იმისთვის არის სისულელეები, ხომ იცით. მე გეტიყვით: აბა, რა უნდა ექნა, თუკი წუთითაც არ აძლევდნენ მოსვენებას. ის იმიტომ წერდა სისულელეებს, რომ ეთქვა კარგი ბატონებისათვის — აი, სადამდე მიმიყვანეთ, რომ ასეთ სისულელეებს ვწერ. ის იმიტომ წერდა სისულელეებს შავ როიალსა და მისთანებზე, რათა ამ ბატონებს დაენახათ და შერცხვენოდათ, რომ იმდენად გაანამეს ჭეშმარიტი უნგრელი პოეტი, რომ ხალხის დაუკარგეს, შეექმნა რაიმე, გარდა სისულელეებისა — მთვარემ შეჭამა ცეცხლიო, ეშმაკმა დალაზვროს.

მაგრამ ამას იმიტომ აკეთებდა, რომ მასხრად აეგდო ის ბატონები, რადგანაც გულის სიღრმეში ნამდვილი უნგრელი გახლდათ. მღვდლები მიაშობოდნენ. მათ არ მოსწონდათ, რომ სვამდა. დიდი ამბავი. მას, იცით, უყვარდა ღვინო, მას ყველაფერი მწველი უყვარდა — ღვინოც და ქალიც. და მართალიც იყო. მე, ვისაც გინდათ, იმას ვეტიყვი თვალელებში — სხვის ტაფაში არ უნდა იხრაკებოდე. ის იყო ნამდვილი უნგრელი თავისი ყოველი უჯრედით. გამბედავი კაცი, ისტერიული კაცი, ამიტომაც, იცით, ეშინოდათ მისი, საეჭვო რეპუტაციისა და სადისტური მიდრეკილებათა კაცისა.

მან, იცით, უნგრელებს მისცა ახალი იდეები, იცით, მომავალი განჭვრიტა, როგორც წინასწარმეტყველმა. მან თქვა, იცით, ასე იქნება ან ისე იქნება. ზუსტად ასე თქვა და რა, მართალი არ გამოდგა? ისიც შანდორ პეტეფი იყო. უყვარდა ხალხი და ღვინო. იგინებოდა გვარიანად და მაინც არაფრის გულისათვის სდევნიდნენ.

იმიტომ, რომ ეს ადი უდანაშაულო კაცი გახლდათ, ჭიანჭველას ფეხს არ დაადგამდა და მაინც ცილს სწამებდნენ თითქოსდა ასეთ-ისეთი იყო და თანაც სუბტილისტური. ეს, იცით, სიცრუეა, თუ ინებებთ და წაიკითხავთ, რა შესანიშნავად წერს იმნაირ რამეებზე... მამ ეს რა არის — ვირწევი დერეფანში, იცით, ან კიდევ. ის განათლებული კაცი იყო. გაფრინდი, გაფრინდიო, იცით, ამას მაშინ ამბობდა, როცა ჯერ კიდევ გამოგონებული არ იყო თვითმფრინავი, ის უკვე ხვდებოდა. აქეთ ყნოსვა ამ პოეტებს.

დიანაც, დადგება მისი დროც, როცა ბოლოსდაბოლოს გაიგებენ მის ყველა იდეას და ჩანაფიქრს, რაც გადმოცემული აქვს ლექსებში და ჯერჯერობით ხალხისთვის გაუგებარია — სიყვარულის თავისუფლება და იქვე — გაუმარჯოს სამშობლოს. იმიტომ, რომ მას ჰყოფნიდა სითამამე ეთქვა, რომ ეს არის ნამდვილი პოეზია, რომ უნდა აკეთო კეთილი საქმეები და არა სისაძაგლეები, როგორც, მაგალითად, ის იყო, რომ მას ქვებს უშენდნენ, მაგრამ მისი დროც მოვა და მაშინ ყველა აღიარებს — ადი, ო, ეს გახლდათ ნამდვილი პოეტი.

იმიტომ, რომ მე, იცით, მეუბნებოდნენ, თითქოს ის ცუდი კაცი იყო, ხალხის მოძულე, თანაც იმით დაავადებული, მაგრამ ეს ყველაფერი რომ მართალი ყოფილიყო, ხომ ვერ დაწერდა ისეთ სულისშემძვრელ ნაწარმოებებს, რომელთა გამო ღმერთი ოქროთი შეფერავს მის ხელებს სამარეშიც კი. აბა, იმ ადის გამოგნებული ლექსები ვთქვავთ. მოიცათ, ჰო, წყდება ფოთოლი... ოლი... ამბობს გავითლებული... ებუ-ლი... თავდება გაზაფხული... ული... ლი...

თარგმნა  
ჯემალ ინჯია

\* \* \*

კარლო ფაჩულია წიგნიერებით გამოირჩეოდა სხვა მხატვართაგან (სხვათა შორის, იშვიათი პირადი ბიბლიოთეკა აქვს შექმნილი!) და ვერ წარმოედგინა ნაწარმოები გულდასმით წაკითხვის გარეშე გაეფორმებინა მხატვრულად. ნაუკითხავად ხომ რა სათქმელია!.. ის, რაც ჩვეულებრივ მოვლენად დამკვიდრებულა მხატვართა წრეში, კარლო და მცირერიცხოვანი გუნდი იმთავითვე გაემიჯნებოდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი შეიძლება მოხდეს ადამიანის ცხოვრებაში.

სამუშაო დღის მიწურულია და... „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში კარლო და თედო ბექიშვილი ჭადრაკს ჩაუსხდებოდნენ. ხან ერთი მოიგებდა, ხან მეორე და ამიტომაც შეყვებოდნენ. ამასობაში თემურ აბულაშვილი თავის ახალ ნოველას „ბიჭი და სახედარი“ აწვდის ილუსტრაციისათვის. ნოველა გაზეთის ზეგინდელ ნომერშია გათვალისწინებული და სასწრაფოდაა დასახატი.

კარლო გამოემშვიდობებოდა თედოს, რათა შინ ჩაჯდომოდა ნოველას და, როგორც სჩვეოდა, ოცამდე ვარიანტი მაინც შეექმნა, ვიდრე საბოლოო ფორმას მოძებნიდა.

არადა, თედო აგებს ოთხით ხუთს და ეძნელება კარლოს გაშვება. და სთხოვს: ეგ ნოველა მე მოვამზადე დასაბეჭდად და შინაარსს მოგიყვები, ოღონდაც არ გამექცეო.

იმდღევანდელ მატჩს თითო ჭიქის აწვითაც დააგვირგვინებდნენ.

კარლო ძალზე გვიან დაბრუნდება შინ, სისხამზე კი გაემზადება ილუსტრაციისათვის და... ახლავს გაახსენდება, რომ თედოს არ დაუზუსტებია, თუ როდის ხდება მოქმედება — ზაფხულში, შემოდგომით, გაზაფხულზე თუ ზამთარში. მხატვრისათვის კი, მოგეხსენებათ, ასეთი „წერილობების“ ცოდნა აუცილებელია.

თუმცა... ნოველა აკი იმაზეა, თუ როგორ მიდის ბიჭი ტყეში შემის მოსაჭრელად. და კარლო თავისთვის გადანყვებულს, უსა-

თუოდ ზაფხული იქნებოდა, თორემ ზამთარში რაღა დროს შემის შეგროვებააო. და დახატავდა ზაფხულის პეიზაჟს, ბიჭს — მოკლე სახელოიანი პერანგითა და ოფლის წვეთებჩამომდინარეს. ნახატი თავისთავად ჩინებული გამოვიდოდა და გახარებული გაეშურებოდა სტამბისაკენ ავტორის კმაყოფილი სახის მოლოდინში...

თემური კი ნახატს რომ აიღებდა, პირკატა ეცემოდა.

— როგორ... კარლო... არ წავიკითხავს?

— რა მოხდა? — გაფაციცდებოდა კარლო.

— მოქმედება ზამთარში ხდება, დიდთოვლობისას და... ეს ზაფხული რა არის?! აუცილებლად უნდა გადააკეთო, თორემ ასე რანაირად გამოვა?!.

კარლო არ შეეპუებოდა.

— შენ გადააკეთე მოთხრობა, ამოიღე თოვლი და ჩაწერე მზე.

— აქ სწორედ თოვლია მთავარი, რომ ამოვიღო, მთელი სიუჟეტი დამენგრევა.

კარლო შეწუხებით კი შეწუხდებოდა, მაგრამ დრო აღარ დააცდიდა. ახალი ხანა რომ ყოფილიყო — კომპიუტერებისა — იოლად მოველებოდა ამ ყველაფერს, თენგიზ რობიტაშვილის ხელით მსწრაფლ გადაკეთდებოდა ილუსტრაცია ნოველის სიუჟეტის შესაფერისად. მაგრამ სტამბებში ჯერაც ქვის ხანა გვედგა და... შერჩებოდა კარლოს ხელთ ის ნახატი — ნოველა ილუსტრაციის გარეშე დაიბეჭდებოდა.

გადასაგდებად მაინც დაენახებოდა და არქივში ჩატოვებდა.

ამას წინათ თავისი ძველი ნამუშევრების ძებნა-თვალეირებისას უეცრად წააწყდებოდა ამ ილუსტრაციას და ნოსტალგიური კილოთი მამცნობდა, ასეა და ასე, შენც შეიძლება გახსოვდეს ის ამბავი, ახლა კი გდია თავისთვის, რაში გამომადგებაო.

მე მომეცი, ეგებ რამეში გამოვიყენო-მეთქი.

შენ იციო.



\* \* \*


— რომელი მწერლის პროზა უფრო მოგწონს? — ჰკითხავდა აკაკი წერეთელს იონა მეუნარგია მარსელ პრუსტის ანკეტის კვალობაზე.

პასუხად აკაკი ჯერ ნიკოლაი გოგოლის სახელს ჩაწერდა, მაგრამ... იქვე გადაშლიდა და ასე შეანაცვლებდა:

— ლავრენტი არდაზიანის.

ამითაც გამოხატავდა პროტესტს ამ ჩინებული მწერლისა და პიროვნების დაუფასებლობის გამო, ავტობიოგრაფიულ რომანში — „ჩემი თავგადასავალი“ — ორიოდე შტრიხით მის კოლორიტულ პორტრეტს რომ მოხაზავდა და გულისწყრომას იქაც გამოურევდა:

— საკვირველია, რომ ამ ნიჭიერ კაცს, „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ დამწერს, არც სიცოცხლეში ჰქონდა დიდი პატივი და არც ახლა იხსენიებს ვინმე!.. მაშინ როდესაც დანიელ ჭონქაძე, ავტორი ერთადერთი „სურამის ციხისა“, თითქმის ბავშვურ მოთხრობის, გაჭიმულია როგორც დიდი ვინმე!..



დანიელ ჭონქაძეზე მეტ დაფასებას ვილა ჩიოდა, ოღონდაც მთლად დასავინწყებლადაც არ გაემეტებინათ. და აკაკი წერეთელი გულისჯავრს იმით მაინც ამოიყრდა გემოვნებამორღვეულ, ლიტერატურის საზომებარეულ საზოგადოებაზე, რომ ყოველთუკეთეს პროზაიკოსად დაასახელებდა.

ისე მაინც რა იყო, რომ ლავრენტი არდაზიანსა და დანიელ ჭონქაძეს გვერდიგვერდ აკლდამაში მოუნევდათ განსვენება და ამ გარემოებას გალაკტიონ ტაბიძე საგანგებოდაც ჩაინიშნავდა თავის ჩანაწერებში.

ლავრენტი არდაზიანის ხსოვნას კი იმით გამოეხმაურებოდა, რომ ომონიმური რითმებით შედგენილი ლექსის გმირად აქცევდა მისი მოთხრობის — „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ — მთავარ პერსონაჟს.

ხომ ჰქონდა აკაკის ომონიმურ რითმაზე განყოფილი ლექსი „აღმართ-აღმართ“?

მამ გალაკტიონსაც რატომ არ უნდა ჰქონოდა?

რითმების ჯადოქარისათვის ვითომ რა საქნელო უნდა ყოფილიყო ამ ყაიდის ლექსის შექმნა? თუნდაც ექსპრომტის, თვითონ სონეტად რომ მიიჩნევდა და კოჯორში 1947 წლის 19 ივნისს წარმოსახვით გაესაუბრებოდა ლავრენტი არდაზიანის მოთხრობის გმირს, თანაც დაამადლიდა: შენს თხოვნას ვასრულებო.

**მეჯღანუაშვილების, შვენებო, სოლომან — მოგვხიბლა იმ კონცერტზე ხმისა შენის სოლომან...**

**ციდან შენ არ მოდიხარ და არ დაზიანდები — რეალისტი კაცი ხარ, გაარდაზიანდები!**

სონეტი კიდევ გრძელდება („რაკი მე მგოსანი ვარ, შენ კი ძველი მეჯღანე, ლექსებით შემაქეო, რადგან ბევრი მეჯღანე — ამ ექსპრომტით, სოლომან, მე შენს თხოვნას ვასრულებ, და ლექსს ომონიმური გართმებით ვასრულებ“), მაგრამ სო-

\* \* \*

კობა ცხაკაიას რომანში — „გადააბიჯეთ მკვდრებს გაბედულად“ — ჩირიკა იტყვის თუ არა: მაგარი სერიოზული აზრის ჩამოყალიბება დავინყე, თქვენ კი იმდენად დამაბოლეთ, ყველაფერი დამავინყდაო, — მის ამფსონთაგან ერთ-ერთმა წიგნაკში თითქმის ნაბეჭდი ასოებივით უნდა გამოიყვანოს:

— „დაბოლება“ — ესაა მოკლევადიანი სკლეროზი, გამოწვეული დაბნეულობით ან ნერვიულობით.

ჩამწერისათვის ლექსიკონა-ნოდარა შეურქმევიათ, და თუ რატომ, თვითონ უნდა ამცნოს სხვა პერსონაჟებსაც და მკითხველსაც, თანაც, ცხადია, სიამაყით:

— უკვე ორი ათასი სიტყვა შევაგროვე. მალე ლექსიკონს გამოვცემ! თუკი არის „ბლატნოი“ სიმღერების წიგნი, რატომ არ უნდა იყოს „ბლატნოი“ სიტყვების ქართული ლექსიკონი? უნდა იყოს! ესეც თავისებური... კულტურაა!

აგერ „შიზდრიკი“ უნდა ახსენონ, რომელიც მარცვალ-მარცვალ უნდა გაიმეოროს ლექსიკონა-ნოდარამ და წიგნაკი კიდევ ერთი ახალი განმარტებით შეავსოს:

— იგივე გულუბრყვილო, სულელი, მიამიტი, ჭკუასულტი.

მაღევე „ტოტას“ განმარტებაც უნდა მიაშველოს:

— ტანადი ქალის აღმნიშვნელი ფორმაა, რომლითაც მამაკაცები მანდილოსნის სხეულით აღფრთოვანებას გამოხატავენ.

მაგრამ ეშში შესულს შავმა ხელიდან უნდა წაგლიჯოს ბლოკნოტი: მომბზრდა შენი განმარტებების მოსმენა. სასაცილოა. ბერდები თუ რაა? დაგიბრუნებ მაშინ, როცა წასვლას დავაპირებთო.

ნოდარა ყელში უნდა წვდეს; დამიბრუნეო, — მაგრამ ძიძგილაობა შავის სასარგებლოდ მთავრდება.

საერთოდ კი ისეა მიჩვეული ჟარგონული სიტყვებისა და გამოთქმების შეკრებასა და ახსნას, არამცთუ წიგნაკში ინიშნავს განმარტებებს, საუბრის დროსაც ველარ იკავებს თავს:

— ნუ მაიძულებთ — „და-გაჩ-მო-როთ“ და მერე „გაგატისკოთ“, ანუ მორალური შეურაცხყოფა მოგაყენოთ და სრულიად გაგანადგუროთ!

ძალზე კოლორიტული, ორიგინალური პერსონაჟია ლექსიკონა-ნოდარა, ვინც გრძნობს, რომ აუცილებელია ჟარგონის ლექსიკონის შედგენაც, როგორც კულტურის ერთ-ერთი

ლომონ ისაკირ მეჯღანუაშვილს, ირონიულად წარმოსახულს ავტორის მიერაც, გალაკტიონიც ექილიკება, სიცილ-სიცილში კი ეს ნეოლოგიზმიც უნდა გაჩნდეს: გაარდაზიანდებიო.

ნეტა რას გულისხმობს ეს გალაკტიონური სიტყვათმომხრა?

თითქოს რაღაც... რაღაც თვითონ მწერალსაც ფამილარულად ექცევა, მეტი რომ არც ითქვას. დამეთანხმებით, „გაარდაზიანდები“ მთლად პატივისცემად ვერ აღიქმება მკითხველის თვალში.

რითმას გაეტაცა და აინუნში აღარც ჩაეგდო, თუ ლავრენტი არდაზიანი უნებურად „შემოეხარჯებოდა“?

უბრალოდ, „სოლომონ ისაკირ მეჯღანუაშვილის“ ავტორი მის მსოფლგანცდაში არ გამოიყურება მაინცდამაინც ამაღლებულ სახელად და ამიტომაც ეიოლება მისი გვარის ასეთნაირი გათამაშება.

...არ არის ლავრენტი არდაზიანი ასე გასამეტებელი, მეტი პატივი ეკუთვნის ჩვენგანო, — უსათუოდ დანყდებოდა გული აკაკი წერეთელს, ამ ლექსის გამოქვეყნებას რომ მოსწრებოდა.

ნიშნისა და დამადასტურებლის, საამისოდ მომზადებულად კი საკუთარი თავი ესახება.

და აგერ დასტურიც მისი თვითდაჯერებისა: ორი ათასზე მეტ სიტყვას მოგროვება და განმარტება არ უნდოდა?!

პერსონაჟი რომანში ახორციელებს იმავეს, რასაც ყოფით რეალობაში ლევან ბრეგაძე მოაბამდა თავს. და კობა ცხაკაიას „გადააბიჯეთ მკვდრებს გაბედულად“ დაწერისთანავე რომ გამოქვეყნებულიყო, ლექსიკოგრაფი აუცილებლად გამოიყენებდა საილუსტრაციო მასალად რომანში უხვად თავმოყრილი ჟარგონული სიტყვებისა და გამოთქმების ერთ ნაწილს. ლექსიკონა-ნოდარას წიგნაკს მაინც არაფრისიდეებით არ გაუშვებდა ხელიდან და შეუდარებდა თავის განმარტებებს თუ დაესესხებოდა კიდევც.

ისე კარგი კი იქნებოდა, რომანში ლექსიკონა-ნოდარას ვინმე ამცნობდეს, რომ უკვე არსებობს ქართულადაც ჟარგონის ლექსიკონი და სასურველია მისი გათვალისწინება, და ავტორის გაცნობაც შეიძლება — ლევან ბრეგაძისა, ვინც სასიამოვნო მოსაუბრეცაა და მისგან ბევრი რამის გაგება შეიძლება.

სხვათა შორის, ლევან ბრეგაძის ლექსიკონის პირველ გამოცემაში ექვსასზე მეტი ჟარგონული სიტყვა და გამოთქმა რომ შევიდოდა, მეორეში — ათასზე მეტი, ხოლო მესამეში — ათას ხუთასამდე, არ უნდა გვეცოტაოს ლექსიკონა-ნოდარას ნაშრომ-ნამოღვანართან შედარებით. ბოლოსდაბოლოს, მისი ორი-ათასსიტყვიანი ლექსიკონი მწერლის წარმოსახვის ნაყოფია.

ისე, კარგი კი იქნებოდა, ლექსიკონა-ნოდარას ვინმე ამცნობდესო...

თანამედროვე რომანი თავისუფლად იტანს ამგვარ ჩანართებს, მითუმეტეს — „გადააბიჯეთ მკვდრებს გაბედულად“, რომელიც ისეთი რეალისტიური მანერითაა დაწერილი, ხშირად ნატურალიზმშიც გადადის, ყოფითი რეალობის შეგრძნება ხელშესახებია და ბუნებრივად იგუებდა რაღაც ამგვარს, ის კი არა, პერსონაჟთა შორის ლევან ბრეგაძის ჩახატვასაც.

...ბოლოსდაბოლოს წინ არის ამ რომანის ხელმეორე გამოცემა და გადახედვისას და ზოგიერთი პასაჟის ჩასწორება-შეცვებისას მწერალი შესაძლოა საამისოდაც განწყოს.



ნახატები კარლო ფაჩულიასი



### კემბრიჯელები და ბერძნული რომეო

საყოველთაოდ ცნობილია დალოცვილი ინგლისური იუმორი, რომელიც სხვას არავის ნააგავს, ყველაზე ფაქიზი და დავენილი გახლავთ, მისი მოსმენისთანავე როდი ახარხარდები, მასში ჩანვდომას ცოტაოდენი ტვინის განძრევა სჭირდება.

ძნელი სათქმელია, მიეკუთვნება თუ არა ინგლისური იუმორის ოქროს ფონდს, მაგრამ სიმართლესთან კი ძალზე ახლოს დგას, XX საუკუნის შუა წლებში გაჩენილი მწარე ხუმრობა, რომ დიდი ბრიტანეთის უშიშროების სამსახური (ანუ კონტრდაზვერვა) წარმოადგენდა საბჭოთა „კაგებეს“ საზღვარგარეთულ ფილიალს. ბარაქლა, „ვერაგი ალბინის“ შვილებო! ყველას როდი ძალუძს თვითკრიტიკული იუმორი, მით უფრო — ერთადერთი სამშობლოს მისამართით. მაღლობა ღმერთს, თქვენ ძალგიძთ!

ამ ხუმრობის ანალოგიით, ჩვენც შეიძლება შევიტანოთ მოკრძალებული წვლილი ინგლისური იუმორის ლაბირინთებში და განვაცხადოთ, რომ კემბრიჯის უნივერსიტეტი წარმოადგენდა საბჭოთა მსტოვართა სამჭედლოს. მათგან ყველაზე სახელმწიფოებრივი შეიქნა ე.წ. „კემბრიჯის ხუთეული“ (მოსკოვში, პოპულარული ამერიკული ფილმის პერიფრაზით, „ბრწყინვალე ხუთეული“ რომ შეარქვეს).

გასული საუკუნის 30-იან წლებში სწორედ კემბრიჯის უნივერსიტეტში გაიფურჩქნა საიდუმლო საზოგადოება „მოციქულები“, რომლის ერთ-ერთი ყოფილი წევრი, მწერალი ე. ფორსტერი გვაუწყებს: „თუკი მოციქულის წინაშე გაჩნდებოდა დილემა, რომელი უნდა გავეცა — ამხანაგი თუ სამშობლო, დილემა სამშობლოს სასარგებლოდ არ გადაჭრიდა“.

...ღვთიკურთხეული „ნატო“ (ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია) დაიბადა „ცივი ომის“ დასაწყისშივე. 1949 წლის მაისში 9 მოკავშირე ქვეყანა (ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, კანადა, ბელგია, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, დანია და ნორვეგია) გაერთიანდა „ლერძის“ სამეულის წარმომადგენელ იტალიასა და ორ სახელმწიფოსთან, მეორე მსოფლიო ომის წლებში ნეიტრალიტეტს რომ იცავდა (პორტუგალია, ისლანდია) და ასე დაარსდა „ნატო“, რომელსაც 1952 წელს შეუერთდნენ თურქეთი და საბერძნეთი, ხოლო 1955 წელს — დასავლეთ გერმანია.

საბჭოთა დაზვერვამ, ჯერ კიდევ „ნატოს“ შექმნის გარიჟრაჟზე, ნამდვილი შეტევა წამოიწყო თავისუფალი სამყაროს ფორპოსტის წინააღმდეგ და ავანგარდში კემბრიჯელები ჩადგნენ.

კემბრიჯის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული დონალდ მაკლინი, 40-იანი წლების დამლევს, გახლდათ ვაშინგტონში ბრიტანეთის საელჩოს პირველი მდივანი, რაც შესაძლებლობას აძლევდა მოემარაგებინა რუსები დეტალური ინფორმაციით ანგლო-ამერიკული კონსულტაციების შესახებ „ნატოს“ ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით.

ერთ ამერიკულ დოკუმენტში, სადაც ლაპარაკია მაკლინის მიერ მიყენებულ ზიანზე, ვკითხულობთ: „მთელი რამდენადმე მნიშვნელოვანი ინფორმაცია ატომური ენერჯის განვითარებაზე ამერიკის შეერთებულ შტატებში, დიდ ბრიტანეთსა და კანადაში, აგრეთვე — ევროპული პოლიტიკის ანგლო-ამერიკული ომისშემდგომი დაგეგმვის თაობაზე, დაუყოვნებლივ რუსების ხელში ხვდებოდა“.

ასევე აქტიურად ირჯებოდა კიდევ ერთი კემბრიჯელი — ჯონ კერნკროსი.

იური მოდინი, საბჭოთა კურატორი „კემბრიჯის ხუთეულისა“, თავის წიგნში „ჩემი ხუთი კემბრიჯელი მეგობარი“ (1994) წერს, რომ კერნკროსი მსახურობდა ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში და უშუალოდ მიუწვდებოდა ხელი უსაიდუმლო ინფორმაციაზე. როდესაც მას სთხოვეს, მოეპოვებინა ცნობები „ნატოს“ ბირთვული იარაღის განლაგების შესახებ დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე, ერთ თვეში დავალება შესრულებულ იქნა ფრიადზე.

ი. მოდინი აღნიშნავს: „ჩვენ თავიდანვე ვიცოდით, რა ფასი დაუფლავთ ამერიკელებს თავიანთი სამხედრო ბაზების განლა-

გება თურქეთში, ნორვეგიაში, ისლანდიასა და იტალიაში; რა წვლილი შეიტანა ბრიტანეთმა ამ ბაზების აღჭურვაში, ვინ იყო

პასუხისმგებელი სურსათ-სანოვავით მომარაგებაზე, ვინ გამოყოფდა სახსრებს ბაზების შესანახად და რა ოდენობით; ჩვენ აგრეთვე ვიცოდით, შეიარაღების რომელი ტიპები იყო იქ და სახელმწიფო რომელი ქვეყნები აწვდიდნენ“.

კემბრიჯელებზე არანაკლები რუდუნებით იღვწოდა აღმოსავლეთ გერმანიის საიდუმლო პოლიცია („შტაზი“) თავისი აგენტების ჩასანერგად „ნატოს“ ყოველ კუთხე-კუნჭულში.

„შტაზის“ თანამშრომელი — სექსუალურად მიმზიდველი ახალგაზრდები (დასავლეთში „რომეო“ რომ შეარქვეს) იღებდნენ საპატიო დავალებას, ეცდუნებინათ დასავლეთ გერმანიის სახელმწიფო სტრუქტურებსა და „ნატოს“ ცენტრალურ აპარატში დასაქმებული მდივან-ქალები და მათგან საიდუმლო ინფორმაცია მიეღოთ.

ყველაზე წარმატებულ „რომეოდ“ მიიჩნევენ რაინერ რუპს. ის დასავლეთ გერმანიის მკვიდრი იყო და ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გადაიბირა „შტაზიმ“. 1970 წელს, ბრიუსელში ყოფნისას, ოცდახუთი წლის რაინერმა გაიცნო ინგლისელი ქალბატონ ენ-კრისტიან ბოუენი, ადრე მდივნად რომ მსახურობდა ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში და 1968 წელს ლონდონიდან გადაუყვანიათ ბრიუსელში, „ნატოს“ დაქვემდებარებული ბრიტანული სამხედრო მისიის შემადგენლობაში.

ფრიად მიმზიდველი ლუკმა იყო გერმანელი რომეოსათვის! თქვენ წარმოიდგინეთ, რაინერსა და ენ-კრისტიანს ერთმანეთი შეუყვარდათ (შემდგომში, „შტაზის“ აგენტი ამტკიცებდა, დავალებას როდი ვასრულებდი, გულწრფელად შემიყვარდაო). რომეომ საცოლეს გულახდილად გაუმხილა, ვინც იყო და რასაც საქმიანობდა. „ნატოს“ თანამშრომელი ინგლისელი ქალბატონი არც აღშფოთებულა და არც შეშფოთებულა. როგორც გამოირკვა, იმხანად უკვე ანტიამერიკული შეხედულებებით იყო შეპყრობილი და გმობდა ამერიკელთა ომს ვიეტნამში. ჩანს, ამიტომაც მშვიდად შეხვდა თავისი საქმროს მსტოვრობას და ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა.

1972 წელს ისინი დაქორწინდნენ.

ენ-კრისტიანს თავისი სამსახურიდან ქალის ხელჩანთით გამოჰქონდა „ნატოს“ უსაიდუმლოესი დოკუმენტები, შინ მიატუნცულედა, რომეო სპეციალური ფოტოკამერით გადაიღებდა ამ ფასდაუდებელ ქაღალდებს და მეორე დღეს ცოლი ადგილზე აბრუნებდა.

კურატორებმა რაინერ რუპს მიაკუთვნეს ოპერატიული ფსევდონიმი „თოპაზი“, ცოლს — „ფირუზი“ (ძვირფას თვლებად მიაჩნდათ!).

1977 წელს რომეომ სამსახური დაიწყო „ნატოს“ საერთაშორისო ეკონომიკის სამმართველოში და ამიერიდან თავად მიუწვდებოდა ხელი საიდუმლო დოკუმენტებზე. ენ-კრისტიანი მსტოვრობას განაგრძობდა 1980 წლამდე, როდესაც პირში შეეძინათ. გრძნობდა, რომ დედის როლი შეუთავსებელი იყო მსტოვრის როლთან და, ამასთან ერთად, გულიც გასტეხოდა კომუნიზმის იდეალებზე.

რომეოს საბოლოოდ დაემსხვრა ილუზიები 1979 წლის დამლევს, როდესაც საბჭოთა ჯარები ავღანეთში შეიჭრნენ, მაგრამ მერკანტილურ მოსაზრებათა გამო განაგრძობდა არალეგალურ მოღვაწეობას ვიდრე ბერლინის კედლის დაცემამდე. ხუმრობა საქმეა, „შტაზი“ ყოველთვიურად 1500 ამერიკულ დოლარს უხდიდა!

საკმაოდ ხანგრძლივი გამოდგა რომეო-ჯულიეტას ერთობლივი მსახურება ეშმაკისა. მათ „შტაზის“ გადასცეს დაახლ. 10 ათასი საიდუმლო დოკუმენტი!

როგორც აღნიშნავენ სპეციალისტები, რუპ-ბოუენის მოღვაწეობას „შეიძლება გამოეწვია „ნატოს“ დამარცხება ომში“!!! ცოლს არ უღებდნენ სახელგანთქმულ კემბრიჯელებს.

ცოლად აირჩია სათნო ქართველი

ევროპელი მოგზაურები და მწერლები ოდითგანვე ხოტბას ასხამდნენ ქართველი ქალის მშვენიერებას. ალბათ იშვიათი იქნება ისეთი ნაშრომი, სადაც საქართველოს მოსხენიებისას უმაღლეს არა ჩნდებოდეს ქება-დიდება ქართველი ქალებისა, არ აღინიშნებოდეს მათი საარაკო სილამაზე თუ სხვა, არანაკლებ ძვირფასი, ღირსებანი — რაც საგანგებო ყურადღებას იმსახურებდა.

ქართველი ქალის სათნოება ხაზგასმულია XVII საუკუნის თურქი პოეტის ერთ ლექსში, მაგრამ მის გაცნობამდე ორიოდე სიტყვით შევეხოთ ამ ლექსის თემას — მამის რჩევა-დარიგებას შვილის მისამართით.

...XII საუკუნის სპარსელი ავტორის ქეი-ქაუსის „ყაბუსნამე“ (ქართულადც არის თარგმნილი) გადმოგვცემს, რომ მოხუცებულ ქეი-ქაუსს თავისი სიცოცხლის მიწურულში შვილისათვის ანდერძით დაუტოვებია მრავალი რჩევა-დარიგება, ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს რომ ეხებოდა. და მათ შორის ვკითხულობთ ამგვარსაც: „როცა ცოლის მოყვანას დააპირებ, მის ქონებას ნუ გამოეკიდები. ქალი საქმეში ნახე და მისი ლამაზი სახის მონა ნუ გახდები. ლამაზი ქალი მხოლოდ საყვარლად გამოდგება. კარგი ქალი ღვთის მოშიში, გამრჯე დიასახლისი, ქმრის მოყვარული, მორიდებული, კდემამოსილი, ჩუმი, მომჭირნე და ქონების ყურისმგებელი უნდა იყოს“.

შეგონების ავტორს მხოლოდ სათნოება მიაჩნია ქალის მთავარ ღირსებად და თავის შვილს ამიტომაც მოუწოდებს, რომ ქალის სილამაზე და ქონება არაფერად ჩააგდოს, მარტოოდენ სათნოება ეძებოს და თუკი განება უწყალობებს ცოლად სათნო ქალს, მისი ბედნიერება უსაზღვრო იქნება.

XIII საუკუნის სახელგანთქმული სპარსელი პოეტი საადი თავის პოემაში „ბუსთანი“ ასევე ამახვილებს ყურადღებას ცოლის აკვარგანიობაზე და ყველაზე ძვირფას განძად ქალის ბუნებაში სათნოებას მიიჩნევს: „ცოლი კეთილი და გამგონე თუ მოძევვა, ქმარი გლახაკი ფადიშაჰად გადაიქცევა... თუ მორჩილია, მხიარული და ღვთისნიერი, მის სილამაზეს და სიგონჯეს ნულარ უცქერი... ციხეში ჯდომა სასჯელისთვის სჯობია ბევრად, ვიდრე ნახო შინ ცოლის წარბი შეკრული ტევრად. ჯობს, რომ გაიჭრე და ეთარიო მთასა და ბარში, ვიდრე ავი ზნის ცოლთან იჯდე მუდამ სახლ-კარში“ (თარგმანი ამბაკო ჭელიძისა).

დავით გურამიშვილსაც გადაუხდია მატრიმონიალური ხარკი თავის პოემაში „ქაცვია-მწყემსი“. მამა ასე არიგებს შვილს მომავალი ცოლის თაობაზე: „ერიდე კახპას, ურცხვს, ლოთს და კაპასს, თორემ გიგინებს დედ-მამას, პაპას... გაქვს, თუ არა გაქვს, არ გაგიკითხავს, გეტყვის: არ მაცმევე შაიდომთ ნიფხავს“. მამა აფრთხილებს შვილს, აწიხი და ურცხვი ქალის ცოლად შერთვას ერიდო და ბიბლიურ სიბრძნეს იმონებებს: „უმჯობეს არსო ლომთ-ვეშაპთანა, ვიდრე ბოროტის დედაკაცთანა“ (ამ ფრაზის წყაროს წარმოადგენს „ნიგნი ისოზირაქისა“, სადაც ძაძასავით პირდაბნელებულ და სულმდაბალ დედაკაცს უპირისპირდება დედაკაცი კეთილი, ქმრისთვის სანატრელი, მისი ლხინისა და ჭირის მოზიარე, მისი მშვიდობიანი ცხოვრების სანინდარი).

...1853 წელს ჟენევაში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა თურქული პოეზიის ანთოლოგია („ოსმალური მუზა“), სადაც მოთავსებულია ზემოხსენებული თურქი პოეტის, სახელდობრ ნიაზი მისრის (1618-1694) ერთი დიდაქტიკურ-ეროტიკული ლექსი, რომელიც აღძრულ თემას გლობალური ასპექტით განიხილავს და თითქოსდა მეგზურად ემსახურება თავის ვაჟიშვილს სტამბოლის ბაზარზე, სადაც მამრიყ-მადრიბის ქვეყნების დაპყრობით გალაღებულ ოსმალებს, მორჭმული ფაშა იყო თუ რიგითი იანიჩარი, დიდი არჩევანი ჰქონდათ — იქ ყველა მოდგმის და ჯურის ქალებს უყრიდნენ თავს გასაყიდად.

ლექსი ასე იწყება: „ცოლს როცა ირთავ, შვილო ჩემო, აწონი-დაწონე, კარგად დაფიქრდი, არჩევანი არ შეგეშალოს. დაფიქრდი, რადგან ბედ-იღბალმა თუკი გიმტყუნა, ენით უთქმელი მწუხარებით შეიბორკები“.

ლამაზი სატრფო ცოლად რომ გადაიქცევა, მწარე ცრემლებს დაგალვრევიანებსო. ამიტომაც სათნო ქალწული უნდა ეძებო, კეთილი გულით რომ მოგხიბლავს და დაგატყვევებს, ლხინშიც შენთან იქნება და ჭირსაც გაიზიარებსო.

მაგრამ ესოდენ სრულქმნილ ქალს სად მონახავო? — ამას ხომ რიტორიკული კითხვა ჰქვია. როგორი უსაზღვრო არჩევანი აქვთ დალოცვილებს, მოგზაურის კვერთხი არაფრად სჭირდებათ, გადი სტამბოლის ბაზარზე და აირჩიე სათნოებით უხვად შემკული ქალი! რუსის ქალს არ ურჩევს, ლალატი უყვართო. არც ფრანგი ეამბე, არც გერმანელი და არც უნგრელი — ცუბერნი არიან, ჩვენი ადათ-წესები არ იციან და ჩვენს წმინდა მუშაედს იოტისოდენა პატივს არა სცემენო. კეთილი და პატიოსანი. ერთი ხელის დაკვრით მოითავა ევროპა და ახლა აზიას მოავლო თვალი.

ჩერქეზის ქალი მშვენიერია, მაგრამ ხმალ-ხანჯალს უფრო მოეფერება, ვიდრე ქმარსაო. ცხენის ჭენება უფრო სწყურია, ვიდრე ქმრის აღერსო. არაბი ქალი თავნება და თავქარიანი არის, არ გირჩევო. ზანგის ქალი მხურვალე ვნებით მოგაჯადოებს, ჩაგეკონება ცხელისხლიანი, მაგრამ... (თურქი პოეტი რასიზმის ბაცილებით დასნეულებულა და მრავალწერტილი დავუსვათ).

ერთი სიტყვით, მარდად მოიარა ევროპა და აზია, და სწორედ ამ ორი კონტინენტის შესაყარზე ეგულება „საცოლეთა კონკურსში“ პირველობის პალმის უპირველესი პრეტენდენტი.

აი, რას წერს ნიაზი მისრი: „ბოლოს რაღა ვთქვა, რა გირჩიო, ვინ აგირჩიო... ხომ გსურს იცხოვრო, შვილო ჩემო, მშვიდად და ტკბილად? მამ უყოყმანოდ აირჩიე სათნო ქართველი! მთელს დუნიაზე ჭეშმარიტად ერთადერთია — ცოლად, მეგობრად, მიჯნურად რომ გამოგადგება“.

რა უშავს, რომ უხეირო სამოსელი აცვია, ამის გამო ნუ დაინუნებო. გულწრფელი არის, ნაზი და ხალასიაო.

დასასრულ, კატეგორიული ვერდიქტი: „მამ, შვილო ჩემო, აირჩიე ქალი ქართველი, მასთან ცხოვრებით შენ იხილავ ყველაფერს იმას, რასაც ალაჰი უწყალობებს უბრალო მოკვდავთ — ამქვეყნიური ნეტარების მოსაპოვებლად“.

მეტი რაღა გნებავთ, ქალბატონებო და ბატონებო?!

მწერალთა სახლში გაიმართა **ოთარ ჭილაძის** ხსოვნის საღამო. ბატონ ოთარს 80 წელი შეუსრულდებოდა. ამ ღონისძიების ერთ-ერთ ორგანიზატორი იყო გამომცემლობა „**ინტელექტი**“. სწორედ მისი მთავარი რედაქტორი **ზვიად კვარაცხელია** გაუძღვა საღამოს. როგორც მან აღნიშნა, გამომცემლობამ ბატონი ოთარის გარდაცვალების შემდეგ უკვე სამი წელი გამოუშვა. ესენია: „**100 ლექსი**“, „**წინ მარადისობა**“ და „**ცა მიწიდან იწყება**“.

ოთარ ჭილაძე გაიხსენეს მეგობრებმა და ლიტერატორებმა. ნაიკითხეს უამრავი ლექსი და ისაუბრეს არაჩვეულებრივი მწერლის ცხოვრების უცნობ დეტალებზე. ღონისძიებას აფორმებდა ფოტოვიდეო მასალა, რომლის საშუალებითაც დამსწრე საზოგადოებამ იმოგზაურა ოთარ ჭილაძის სამყაროში. საღამოს მსვლელობისას, მიმდინარეობდა წიგნების გამოფენა-გაყიდვა.

ზვიად კვარაცხელიამ წინასწარვე განაცხადა, რომ 2013 წლის 1 ოქტომბერს გამოვა წიგნი, რომელშიც თავს მოიყრის ოთარ ჭილაძის ხელნაწერები, ფოტოები და სხვადასხვა ნაწარმოებები.

80 წელი შეუსრულდა...

ყველაზე ამაღლებელი იყო, როდესაც **ლია სტურუამ** ბატონი ოთარი ასე მოიხსენია: „ის იყო ასიმეტრიულად აგებული სვეტიცხოველი“. **გენო კალანდია** კი გაიხსენა უფროსი მეგობრის გარდაცვალების ბოლო წლები და თქვა: „მისი სიკვდილი იყო ქვეყნის ტკივილი“.

**მაკა ვახაძემ** ერთგვარად შეავსო მწერლის პორტრეტი, როდესაც აღნიშნა, რომ ოთარ ჭილაძე ნეორეალისტური ფილმებისათვის დამახასიათებელი სიხალავით შემოვიდა ქართულ პოეზიაში თავისი ურბანისტული, თბილი ხელნერით. ეს სიხალავათე მამინაც შეინარჩუნა, როდესაც მისი რომანები უკვე მსოფლიო ლიტერატურის კუთვნილება გახდა და სიბნელის ზონაშიც ბიჭვით მსუბუქად შეაბიჯა.

გამომსვლელთა შორის იყო **გივი შაჰნაზარი**. მან ოთარ ჭილაძის იშვიათ პიროვნულ თვისებებსა და შემოქმედებაზე ისაუბრა. ღონისძიების კულმინაცია გახლდათ ახალგაზრდა პოეტის **სალომე ბენიძის** ემოციური გამოსვლა.